

ᄒᄒᄒᄒ -

X ს. მემორიალური ტაძარი

O S H K I -

10th Century Memorial Church

O Ш K И -

Мемориальный храм X в.

OŞKI KILISESI -

Onuncu Asrın Anıtsal Tapınağı.

გ ა რ ე კ ა ნ ზ ე : ოშკის სტელა ღმრთისმშობლისა ყრმით და დავით მეფის გამოსახულებით; 976 წლის ახლო.

ა ვ ა ნ ტ ი ტ უ ლ ზ ე : ოშკის ტაძარი, ხედი დასაველეთიდან; 973-976 წწ.
(ფოტო — გიორგი შაგრატიონისა).



IVANE JAVAKHISHVILI STATE UNIVERSITY OF TBILISI
MESKHETI BZANCH

Valeri Silogava

Oshki - 10th Century Memorial Church

Publishing House "Nekeri"
Tbilisi - 2006

ТБИЛИССКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ УНИВЕРСИТЕТ
ИМ. И.А. ДЖАВАХИШВИЛИ
МЕСХЕТСКИЙ ФИЛИАЛ

В. И. Силогава

Ошки - Мемориальный храм X в.

Издательство "Некери"
Тбилиси - 2006

IVANE SAVAKHIÇVILI TBILISI DEVLET ÜNİVERSİTESİ
MESKHETİ ŞUBESİ

Valeri SİLOGAVA

Oşki Kilisesi X. Asrın Anıtsal Tapınağı

"Nekeri" Basımevi
Tiflis - 2006

ვალერი სილოგავა

ოუკი

X ს. მემორიალური ტაქარი



წიგნი ეძღვნება 2003 წლის 7 ნოემბერს ოშკის ტაძარში გამოვლენილი ქვის ორი სტელის და მათი წარწერების პუბლიკაციას. მანამდე ზურგიდან ხილული ამ სტელეების ტაძარში XIX ს-ში ჩაშენებული კედლიდან გამოთავისუფლების შემდეგ, გაირკვა, რომ, მათ წინა მხარეს, ერთზე წარმოდგენილია X ს-ის II ნახ-ის საქართველოს გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწის — დავით კურაპალატის, ზოლო მეორეზე, მისი ძმის — ბაგრატ ერისთავთა ერისთავის ბრწყინვალე რელიეფური პორტრეტები. ამასთანავე, პირველი სტელის ზედა ნახევარი უჭირავს ჩვილდი ღმრთისმშობლის, ზოლო მეორესი — წმ. იოვანე ნათლისმცემლის, ასევე მაღალი დონის რელიეფურ გამოსახულებებს. ორივე სტელაზე მოთავსებულია სხვადასხვა დანიშნულებისა და შინაარსის 16 ასომთავრული წარწერა — ქართული ეპიგრაფიკის შესანიშნავი ძეგლები.

წიგნში, ამათთან ერთად, განხილულია ოშკის ტაძრის სხვა წარწერები, დადგენილია მათი ქრონოლოგიური რიგი, შესწავლილია ოშკის დეკორატიულ რეპერტუარში ვედრების თემის რამდენიმეგზის ჩართვის მიზანი, გარკვეულია ოშკის, როგორც მემორიალური ტაძრის — დავით კურაპალატის და მისი ახლობლების დაკრძალვის ადგილის დანიშნულება. წარწერების მონაცემების ახლებური ანალიზის საფუძველზე, დაზუსტებულია ოშკის ტაძრის მშენებლობის თარიღი — 963-976 წწ.

წიგნს ერთვის დამატებები და დანართი — ავტორის მიერ ოშკის თემაზე ადრე გამოქვეყნებული ნაშრომები. ახალმოკვებული მასალის მკითხველთა ფართო წრისათვის გაცნობის მიზნით, წიგნი ოთხენოვანია — გარდა ქართულია, მასში მასალა წარმოდგენილია ინგლისურ, რუსულ და თურქულ ენებზე. ასევე, იგი უხვადაა ილუსტრირებული; ერთვის სამეცნიერო-საცნობარო აპარატი.

წიგნი განკუთვნილია, როგორც სპეციალისტების, პირველ რიგში — ეპიგრაფიკოსებისა და ხელოვნებათმცოდნეების, ისე საქართველოს წარსულით, მისი მატერიალური და წერილობითი კულტურის ძეგლებით დაინტერესებული მკითხველისათვის.

© ვალერი სილოგავა, 2006 წელი

© გამომცემლობა „ნეკერი“, 2006 წელი

ISBN 99940-890-6-4

წინასიტყვაობა

2003 წლის 7 ნოემბერი დიდი აღმოჩენით აღინიშნა ოშკის ტაძარში — მასში ჩაშენებულ სოფლის მეჩეთიდან დარჩენილი კედლის დაშლის შემდეგ გამოვლინდა ქვის ორი დიდი სტელა (საშუალოდ 160X65X35 სმ ზომისა) უმაღლესი დონის რელიეფური გამოსახულებებით წინა მხარეს, რომელთა მხოლოდ გლუვი ზურგები ჩანდა მანამდე. გაირკვა, რომ სტელებზე წარმოდგენილი იყო პორტრეტული გამოსახულებები ტაოელი ხელმწიფეების — დავით მეფისა და მისი ძმის ბაგრატ ერისთავთა ერისთავისა, წმ. ღმრთისმშობლისა და წმ. იოვანე ნათლისმცემლის გამოსახულებებთან ერთად. ორივე სტელაზე 16 ქართული ასომთავრული წარწერა დაფიქსირდა, რომელთა მეშვეობით გაირკვა, რომ ისინი თარიღდებოდნენ 966-973 წლებით, უფრო — 966 წლის ახლო დროით. ცხადია, აღმოჩენას მაშინვე დიდი რეზონანსი მოჰყვა — გაშუქდა 10-ზე მეტ გაზეთსა და ჟურნალში, რამდენჯერმე გადაიკა ტელევიზიის სხვადასხვა არხით, აისახა ტაო-კლარჯეთის ძეგლების შესახებ თბილისში გამოცემულ საფუძვლიან გამოკვლევა-გზამკვლევსა და თურქეთში გამოცემულ 2005 წლის ერთ-ერთ კედლის კალენდარში. ცხადია, ეს სტელები მომავალშიც არაერთხელ იქნება შესწავლისა და ხელოვნებათმცოდნეთა თაობების კვლევის საგანი. მანამდე საჭიროა, მართალია, წინასწარი, მაგრამ დეტალური პუბლიკაცია მოპოვებული ძეგლებისა, რომ ისინი ამ გზით ხელმისაწვდომი გახდეს დაინტერესებულ პირთათვის.

განსაკუთრებულ ინტერესს ამ სტელებისადმი ისიც იწვევს, რომ ერთ მათგანზე გამოსახული დავით მეფე არის ძველი საქართველოს ერთ-ერთი უკანმოჩენილესი პოლიტიკური მოღვაწე — დავით კურაპალატი (†1001 წ.), რომლის სახელთან დაკავშირებულია ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოსათვის საფუძვლის ჩაყრა და ქვეყნის გაერთიანების დასაწყისი. დავით კურაპალატი, არამარტო საერთო ქართული, არამედ საერთო კავკასიური და გარკვეულწილად, ბიზანტიური მასშტაბის პოლიტიკური მოღვაწე იყო. მან წარუშლელი კვალი დატოვა სამივე დასახელებული რეგიონის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

სტელების აღმოჩენა შესაძლებელი გახდა იმ ხელშეწყობისა და დახმარების პირობებში, რომელიც გამოიჩინა ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის მთავარეპისკოპოსმა მეუფე თეოდორემ (ჭუაძე) (დანვრისლებით იხ. აქვე, დამატება III).

წინამდებარე გამოცემის მიზანია სტელებისა და მათზე მოთავსებული მდიდარი ეპიგრაფიკული მასალის პუბლიკაცია სათანადო გამოკვლევით. გამოკვლევაში აუცილებელი შეიქნა საკუთრივ ოშკის ტაძართან დაკავშირებული ცალკეული საკითხების განხილვა — ოშკის მთელი ეპიგრაფიკის კიდევ ერთხელ შესწავლა, რამაც გამოიწვია მათი ახალი ქრონოლოგიური

რიგის დადგენა; ოპკის დეკორატიულ რეპერტუარში ვედრების თემის რამდენიმეგზის დაყინებული ჩართვის გაანალიზება, რასაც მოჰყვა ოპკის, როგორც მემორიალური ტაძრის დანიშნულების გარკვევა და სხვ. ახლებურად დაისვა ტაძრის მშენებლობის დათარიღების საკითხი. სტელები, როგორც ეს მოსალოდნელიც იყო, უმჭიდროესად დაკავშირებული აღმოჩნდა მთლიანად ოპკის ტაძართან, მის დანიშნულებასთან, მის მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან ეპიგრაფიკულ მასალასთან.

ნაშრომს ერთვის სამი დამატება და ერთი დანართი. | დამატებიდან კარგად ჩანს ავტორის დანიტერესება ოპკის ტაძრით ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან, რომლისკენაც მისი ყურადღება მიმართა აკად. ელენე მეტრეველმა, ოპკელი მოღვაწეებისა და ოპკის სკრიპტორიუმის შესახებ თვითონაც არაერთი შესანიშნავი გამოკვლევის ავტორმა. დასაანია, რომ იგი ვერ მოესწრო ოპკის სტელების აღმოჩენას.

დამატებაში წარმოდგენილი ზოგიერთი ავტორისეული ძველი დასკვნა ყოველთვის არაა თანხმობაში წინამდებარე გამოკვლევის ახალ შედეგებთან (მაგ., ტაძრის დათარიღების საკითხი), მაგრამ მათი შეცვლა საჭიროდ არ ჩავთვალე სახარებისეული „რომელი დავნერე, დავნერე“ (ი. 19,22) მიხედვით. გარდა ამისა, წიგნსა და მის დამატებებში შეიძლება ადგილი ჰქონდეს ცალკეულ განმეორებებს, რომლებსაც, მიუხედავად დიდი მცდელობისა, ვერაფრით ვერ ავცდი, რისთვისაც ბოდიშს ვიხდი მკითხველის წინაშე.

წიგნის დანართში წარმოდგენილია სტატია პარხლის შესანიშნავ ნარწერაზე პატრიარქის მოხსენიებით. მისი დართვა განაპირობა ორმა გარემოება: 1. ეს ნარწერაც განეკუთვნება ოპკის ტაძრის ერთ-ერთი კტიტორის — დავით კურაპალატის დროს, რომელიც იგულისხმება კიდევ მის ტექსტში და მასვე უკავშირდება პატრიარქის ტიტულის შემოღება X ს-ის საქართველოში, ისევე, როგორც — კათალიკოსის ტიტულისა ვახტანგ გორგასალს V ს-ის საქართველოში. 2. წმინდა ტექნიკურმა მიზეზმა — პირველ პუბლიკაციაში (წიგნი — „ნათელი ქრისტესი საქართველო“, თბ., 2003), გამოცემის სპეციფიკიდან გამომდინარე, სტატიას არ ახლავს სამეცნიერო აპარატი, რომელიც მას აქ დაერთო.

ამ წიგნის გამოცემაში განუული დახმარებისათვის მაღლობას მოვახსენებ:

მაღალყოვლადუსამღვდელოეს მეუფე საბას (გიგიბერია) — ხონისა და სამტრედიის მთავარეპისკოპოსს;

ყოვლადუსამღვდელოეს მეუფე სტეფანეს (კალიჯიშვილი) — ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსს.

გამოცემა ეძღვნება ქ-ნ ნათელა ხაზალიას ხსოვნას მისი სულის მოსახსენებლად.

თავი I. ოშკის ტაძრის მდებარეობა, ხუროთმოძღვრება, შესწავლის ისტორია

1. ადგილმდებარეობა, ძველი მოსახლეობა, სახელწოდება

ოშკის დიდებული ტაძარი (ტაბ.1) მდებარეობს ისტორიულ ტაოში, ძველ ქართულ რეგიონში, რომელიც ამჟამად თურქეთის საზღვრებშია. სოფელს, რომელშიც ტაძარია, დღეს *ჩამლიამაჯი* (Çamlıyamac) ეწოდება. ტაძარი გამოირჩევა თავისი გრანდიოზული მასშტაბებით და იგი, ამ მხრივ, ისეთი ქართული კათედრალების გვერდით დგას, როგორებიცაა — ქუთაისის ბაგრატის ტაძარი (დამთავრებული 1003 წელს), მცხეთის სვეტიცხოველი (1010-1029) და ალავერდის ტაძარი (XI ს. I მეოთხედი). ამასთანავე, იგი ყველა დასახელებულ ძეგლს ქრონოლოგიურად უსწრებს და როგორც მასზე არსებულ — ამოკვეთილ ან საღებავით შესრულებულ — ნარწერებიდან ჩანს, 963-976 წლებშია აგებული ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სამეფო სახლის ნარმომადგენლების — დავით მეფისა და ბაგრატ ერისთავთა ერისთავის სურვილით და დავალებით. სამშენებლო სამუშაოთა ხელმძღვანელი ყოფილა ვინმე *გრაგოლი*, რომელიც ტაძრის რამდენიმე ნარწერაში იხსენიება — ერთგან მისი გამოსახულებაცაა შემორჩენილი (სამხრეთი გალერეის რვანახნავა სვეტზე — სურ. 14).

ოშკის ტაძრის მდებარეობა შესანიშნავად აღწერა ე. თაყაიშვილმა, რომელიც აქ იყო 1917 წელს. რადგან ეს აღწერილობა კარგად მიესადაგება საკუთრივ ოშკის, როგორც ტოპონიმის ეტიმოლოგიას და, რაც მთავარია, გადმოსცემს იქ ამჟამადაც არსებულ სურათს, მოვიყვან ვრცელ ამონაწერებს:

„ოშკის მონასტერი მდებარეობს მაღალი მთის ფერდობზე, *თორთუმის წყლის* (თურქულად „თორთუმ-ჩაის“) მარცხენა ნაპირას, სულ ახლოს იმ ადგილიდან, სადაც ეს მდინარე ერთვის თორთუმის ტბას (ტაბ.2). X საუკუნეში, როდესაც ოშკის ტაძარს აშენებდნენ, თორთუმის ტბა არ არსებობდა. იგი გვიან გაჩნდა, დაახლოებით 1791 წელს, როდესაც ძლიერმა მინისძვრამ მოსწყვიტა *ხორსბაშდაღის* მთის მწვერვალი, ჩააზვავა იგი თორთუმის წყალში და შეაგუბა მდინარე, რის შედეგადაც წყლის დონემ აინია მაღალ კლდოვან მთათა შორის და ამრიგად ნარმოიშვა ტბა, სიგრძით 13 კილომეტრი და 420 მეტრი, სიგანით 2 კილომეტრი და 170 მეტრი (შუაში ამაზე ნაკლებიც — ერთი კილომეტრი და 680 მეტრი) (ტაბ. 2). ტბას ამშვენებს სამი ჩანჩქერი, რომელთა შორის ყველაზე დიდი და ყველაზე ლამაზი პირველია¹.

¹ აქ ე. თაყაიშვილი უთითებს წიგნს: *Я. Проскураков*, Заметки о Турции, ЗКОИРГО, кн. XXV, вып. 1, Тифлис, 1905, с. 74-76. ამ ნაშრომის გამოკვეყნებიდან დღემდე, 150 წლის განმავლობაში, ამ ტბის ზომებთან დაკავშირებით იქნებ ზოგი რამ შეიცვალა, მით უმეტეს იქ ჰესიც არის ჩადგმული, მაგრამ, უახლესი მონაცემების მოპოვება ვერ შეუძელი. იგივე უნდა ითქვას ოშკის გარშემო, მის მიდამოებში ე. თაყაიშვილის მიერ მოყვანილი მიკროტოპონიმის

თორთუმის ტბის მახლობლად თორთუმის წყალს ერთვის პატარა მდინარე, რომელიც წარმოშობილია ოშკის ხევისა და მანუსორის ხევის შეერთებით. ამ ორი ხევის შეყრის შემდეგ მაღალი და გრძელი ფერდობი, რომელზედაც ოშკის ტაძარია აშენებული, იღებს სახეს (გეგმაში) აყირავებული სამკუთხედისა, რომლის მწვერვალზე, ხეების შესართავთან, კლდეები ისე უახლოვდება ერთმანეთს, რომ გასასვლელი გზის სიგანე ორ მეტრს არ აღემატება. ამ გასასვლელის დახშვით მთელი ვრცელი სამკუთხედი ფერდობი თავის მონასტრიანად წარმოგვიდგება ძნელად მისასვლელ სიმაგრედ, ვინაიდან აღმოსავლეთით მას უფლის მანუსორის ხევის ხრამი, სამხრეთ-დასავლეთით ოშკის ხევის ხრამი, ჩრდილოეთით კი ამართულია მაღალი ქედი სობათა და მისი კლდოვანი მწვერვალი ბალაბეთი. ეს მწვერვალი ისეა ღვარების მიერ დასერილი, რომ შორიდან დიდი ლოდებით ნაშენი ციხე ეჩვენება კაცს. აღმოსავლეთით და სამხრეთ-დასავლეთის ფრიად ღრმა ხეცებს თან ახლავთ კლდოვანი ქედები მწვერვალებითურთ. ამ ღრმა ხეცთა და მაღალ მწვერვალთა შორის, ხელოვნურად დავაკებულ ფართობზე ამართულია უზარმაზარი ნაგებობა ოშკის მონასტრისა, რომლის მშენიერი გუმბათი უფრო მაღლა ადის, ვიდრე ორი მახლობელი მწვერვალი, მაგრამ ველარ უთანასწორდება ჩრდილოეთით მდებარე მწვერვალ ბალაბეთს [...].

ზაფხულობით ოშკის წყალი ბალების მოსარწყავად არის ხოლმე განანიღებული, რის გამოც მისი კალაპოტი მშრალია და გზად არის გადაქცეული და სხვა გზა არც არის². თორთუმის ხევის ბალები, სადაც კი წყალი სწვდება, საოცარია. თუმცა მონასტერი დიდ მალლობზეა აგებული, მის ახლოს ვენახიც ხარობს, ისე ცხოველია აქ სამხრეთის მზის სხივები.

თორთუმის წყლიდან და თორთუმის ტბის დასაწყისიდან, ე.ი. იქიდან, სადაც თორთუმის წყალი ტბას ერთვის, ოშკის ტაძარი კარგად მოჩანს, მაგრამ მისკენ აშავალ აღმართს რომ შეუდგებით, ტაძარი იმალება, ხოლო როცა ზედ მიადგებით, ის მოულოდნელად გეცემათ თვალში, როგორც ჭალარა ბუმბერაზი, ბევრი ჭირვარამის გადაშხდელი და საკმაოდ დაზიანებული. ეს შთაბეჭდილება ერთი-ორად მატულობს, როდესაც მონასტრის სამხრეთ ეზოდან გადახედავთ თორთუმის წყლის ხეობის დიდებულ სურათს და თორთუმის ტბის დასაწყისს. მთელი ხეობა მოცულია ბალებით, მდელოთი, მწვანეულობით, ხოლო მისი მაღალი ქედების ფერდობები შემოსილია ტყით.

ტაძარი, როგორც ვთქვით, აგებულია საგანგებოდ დავაკებულ ადგილას და სამხრეთით მას ახლავს საკმაოდ მოზრდილი, ლორღმოყრილი ფართობი [...]³.

შესახებ, რადგან გასული 150 წლის განმავლობაში აქ მოსახლეობაც ბევრჯერ შეიცვალა (გგულისხმობ სხვადასხვა ტომთა ადგილმონაცვლეობას) და პოლიტიკური ხელმძღვანელობაც (როგორც ცნობილია, ერთ დროს ეს ტერიტორია რუსეთის იმპერიის შემადგენლობაშიც შედიოდა).

² ამჟამად ოშკის წყალს თანამედროვე, სავტომობილო გზა გასდევს, მაგრამ ერთი-ორჯერ ისიც ოშკის წყლის ხეცსა და ხიდზე გადადის, რის გამოც ზოგან ოღრო-ჩოღროა.

³ ამის შემდეგ მოყვანილია აქ არსებული „თაღოვანი საძვალე სარდაფის“ მოკლე აღწერილობა, რომელსაც ქვემოთ დაეუბრუნდებით.

მცირე ფართობი აღმოსავლეთითაც ახლავს ოსკის ტაძარს. წინათ ეს ფართობი ბევრად უფრო დიდი ყოფილა, მაგრამ ესლა იგი ნაწილობრივ დაუპყრია ხრამს, რომელიც თანდათან ფართოვდება და ემუქრება ტაძრის აღმოსავლეთ მხარეს, ხოლო მეორე დიდ ნაგებობასთან, სემინარია-საოსტიგნესთან, რომელიც ჩრდილოეთით ეკვრის ოსკის ტაძარს, სულ ახლოს არის მისული და მოსპობას უქადის გზას, რომელიც იქედან *ლოქის* ზეკარზე მიემართება და რომლის განი აქ ერთ მეტრსაც არ აღემატება⁴.

ამის შემდეგ, ტაძრის მდებარეობის აღწერილობასთან ერთად, ე. თაყაიშვილს მოჰყავს საინტერესო ცნობა ექსპედიციის მუშაობის პირობების შესახებ:

„ვიწიდან ტაძრის აღმოსავლეთით ძალიან მცირე ადგილია დარჩენილი, იქიდან აღმოსავლეთ ფასადის მთლიანად გადაღება შეუძლებელი იყო და დ. ერმაკოვიც იძულებული შეიქნა, ორ ნაწილად გადაეღო იგი. მაგრამ ექსპედიციის ერთ-ერთმა წევრმა მოახერხა აცოცება მაღალ კლდოვან მწვერვალზე (რომელსაც დიდი და ღრმა ხევი გამოყოფს ტაძრისაგან) და შეძლო იქედან მთლიანად გადაღება ტაძრის აღმოსავლეთ ფასადისა და, აგრეთვე, მასზე ჩრდილოეთით მოშენებული სემინარია-საოსტიგნისა“⁵.

ტაძრის მდებარეობის აღწერისას, მისგან დასავლეთით და ჩრდილოეთით მდებარე ადგილების შესახებ, ე. თაყაიშვილი წერს:

„ტაძრის დასავლეთით მდებარე ადგილი მთიანი მაღლობია, მაგრამ ფართოა და ადვილად მისადგომი“.

⁴ მართლაც, ტაძრის აღმოსავლეთ ფასადსა და ხევის შორის მეტად მცირე, თუმცა, კლდოვანი ადგილია დარჩენილი. დღეს აქ დგას არცთუ ისე მკვიდრად ნაშენი ორსართულიანი ხუხულა საცხოვრებელი სახლი, რომლის ქვედა სართულში დუქნებია გამართული. გზა ამ სახლსა და ტაძარს შორის ვინროა, თუმცა, ავტომანქანა მაინც ახერხებს გავლას.

⁵ სამწუხაროდ, ექსპედიციის ერთ-ერთი წევრის მიერ გადაღებული ტაძრის აღმოსავლეთ ფასადის ფოტო ე. თაყაიშვილის წიგნის არც რუსულ და არც ქართულ გამოცემაში გამოქვეყნებული არაა და არც მისი ნეგატივი მოიხდომა ფოტოარქივებში. წიგნში მითითებული ტაბ. 44 კორექტურული შეცდომია — სინამდვილეში ტაბულაზე წარმოდგენილია შორიდან გადაღებული ტაძრის სამხრეთი ფასადი. სამწუხაროდ იმიტომ, რომ ტაძრის აღმოსავლეთ ფასადის მთლიანი ფოტო, როგორც ჩანს, არ არსებობს — ე. ჯობაძესთანაც მისი მხოლოდ ზედა ნაწილი და სამხრეთ მონაკვეთის ფრამენტია წარმოდგენილი (*W. Djobadze, Early medieval Georgian monasteries in historic Tao, Klarjet'i and Shavseti, Stuttgart, 1992, ტაბ. 149, 158*), ხოლო უფრო ახალ პუბლიკაციაში (*ი. გვიიაშვილი, ი. კობლაძე, ტაო-კლარჯეთი, თბ., 2004*), ესეც არაა. ე. თაყაიშვილის მიერ დასახელებული დ. ერმაკოვის მიერ ორ ნაწილად გადაღებული აღმოსავლეთის ფასადის ფოტოებია მისი წიგნის ტაბულები 47 და 48 — რაკურსით გადაღებული ფასადი სამხრეთისა და ჩრდილოეთის კუთხეებიდან. ერთ-ერთზე (ტაბ. 48) თვითონ ე. თაყაიშვილიცაა გამოსახული. როდესაც სურთ ტაძრის აღმოსავლეთ ფასადის წარმოდგენა, მოჰყავთ დ. ერმაკოვის მიერ გადაღებული ეს ორი ფოტო (*ე. მერიძე, ძველი ქართული სურათმოდკვრება, თბ., 1974, ტაბ. 76; В. Берძე, Место памятников Тао-Кларджети в истории грузинской архитектуры, Тб., 1981, таб. 55; П. Закария, Зодчество Тао-Кларджети, Тб., 1992, таб. 163, 164*). დღეს ამ ფასადის მთლიანი გადაღება უკვე შეუძლებელია თითქმის მიჯრით აშენებული ახალი ნაგებობების გამო.

⁶ დღეს სწორედ ამ მიმართულებითაა გაშლილი ბალიან-ვენახიანი სოფელი *ჩამლიიაშვილი*. იქვე რკალად ჩამწკრივებულია ადგილ-ადგილ ერთმანეთზე მიბმულ-მიშენებული ორ და სამ სართულიანი, ზოგი კაპიტალური და ზოგიც ხუხულა საცხოვრებელი სახლები ქვედა

ჩრდილოეთით ტაძარი ეკერის ფერდობს, რომელიც შვეულად არის ხელოვნურად ჩამოჭრილი სამი მეტრის სიმაღლეზე. ჩრდილო ეკედერის კედელი სამი მეტრით შორავს ჩამოჭრილ ფერდობს. თუ რამდენად შორავდა ტაძრის ჩრდილო მკლავის კედელი ფერდობს, ძნელი სათქმელია, რადგან ეს ადგილი ეხლა ამოვსებულია მიწით და აღნიშნული მკლავი უერთდება ფერდობსა და სხვა ნაგებობას. მაგრამ აშკარაა, რომ აქ მანძილი იმთავითვე სულ მცირე უნდა ყოფილიყო⁷.

ოშკის ტაძარი მდებარეობს იმ ტერიტორიაზე, რომელიც უძველესი დროიდან ქართული ტომებით იყო დასახლებული. აქაური ქართველი ტომები *ტაოხებისა* ჯერ კიდევ ძვ. წ. XII-XI და ძვ. წ. IX-VIII სს. ასურულ და ურარტულ ლურსმულ წარწერებშია მოხსენებული⁸. პირველი მეცნიერული თვალსაზრისი ამ საკითხზე აკად. ნ. მარმა გამოთქვა «გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების» მის მიერ მომზადებული გამოცემის წინასიტყვაობაში. იგი წერს:

«Археологические недра Тао-Кларджетии могут вскрыть материалы не только для эпохи грузинской колонизации или предшествующего им армянского заселения и поздней тубалкаинской государственности, именно лазской, в VI-ом веке, но и для так называемой до-исторической эпохи, эпохи архаической культуры ивери-чанов, связанной и с развитием металлургии и тубал-кайнов и халибов, и с колхским могуществом, давшим пищу для сказания о золотом руне»⁹.

სართულში გამართული დუქნებით. აქვე, თითქმის ზედ ტაძართან აშენებულია ახალი მეჩეთი, ხოლო ნამდვილად ზედ ტაძართან მიშენებულია მეჩეთისთვის აუცილებელი ატრიბუტი — ჩეჩმა და ზელ-ფეხის დასაბანი წყლის ონკანები.

ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბ., 1960, გვ. 32-33. იგივე იხ. რუსულად: *Е. Такайшвили*, Археологическая экспедиция 1917-го года в южные провинции Грузии, Тб. 1952, с. 45-46. სხვათა შორის, ნიგნს უძღვის მისი რედაქტორის აკ. შანიძის მოკლე წინასიტყვაობა (იგი ქართული გამოცემის რედაქტორიცაა, მაგრამ ამ გამოცემას მისი წინასიტყვაობა არ ახლავს), რომელიც მთავრდება შემდეგი წინასწარმეტყველური სიტყვებით: «Интерес к этим материалам еще более возрастает (იგულისხმება ე. თაყაიშვილის მიერ 1917 წელს ტაო-კლარჯეთში მოპოვებული მასალა), если принять во внимание, что к описываемым здесь грузинским памятникам нет доступа миролюбивым советским ученым. Но ход истории таков, что и в этих местах восторгается идеология мира и дружбы народов, которая так нужна Турции, влезшей, по меткому выражению Л. П. Берия, в петлю американской «помощи», и тогда находящиеся там памятники грузинской старины будут изучены всесторонне и основательно» (იქვე, გვ. 5). მართალია, ამ ძეგლების ყოველმხრივი და საფუძვლიანი შესწავლა ჯერ არაა დაწყებული, მაგრამ ამჟამად შეუდარებლად უკეთესი პირობებია მათ ადგილზე შესასწავლად, ვიდრე ეს იყო ამ ნახევარი საუკუნის წინ, როდესაც ზემოთ მოყვანილი სიტყვები ინერგოდა. ამის მაგალითად, თუნდაც, წინამდებარე ნიგნი და მასში პირველად გამოქვეყნებული ახალმოპოვებული მასალა გამოდგება.

⁷ *Г. А. Меликишвили*, Урартские клинообразные надписи, М., 1960, с. 424; *Его-же*, К истории древней Грузии, Тб., 1959, с. 114, 176; *Н. В. Арутюнян*, Корпус урартских клинообразных надписей, Ереван, 2001, с. 503 (აქ აღრიცხულია *დიაოხისა* და *დიაოხელების* სხვადასხვა წარწერებში მოხსენიების 15 შემთხვევა). ამ საკითხზე უახლესი გამოკვლევა ლიტერატურის დასახელებით: ე. *ანტახიშვილი*, უძველესი ქართველური გაერთიანებები და მათი ურთიერთობა ძველ ასურეთთან და ურარტუსთან, წელიწადური «ქართული დიპლომატია», 1, თბ., 1994, გვ. 21-29.

⁹ *Георгий Мерчул*, Жизнь св. Григория Хандзтийского. Грузинский текст, введение, издание, перевод *Н. Марра*, с Дневником поездок в Шавшино и Кларджию, ТР, кн. VII, СПб, 1911, с. ХХСХV.

მაშასადამე, ნ. მარის აზრით, ჯერ კიდევ „ნიწანისტორიულ“ ხანაში ამ ტერიტორიაზე „იბერ-ჭანები“ ბინადრობდნენ, რომელთა კულტურა დაკავშირებულია მეტალურგიის განვითარებასთან თუბალ-კაინებსა და ხალიბებში და კოლხების ძლიერებასთან, რომელმაც საფუძველი დაუდო თქმულებას ოქროს სანძისზე.

ძვ. წ. II-I სს. ეს მიწები სომხეთის გაძლიერებულმა სახელმწიფომ დროებით მიიერთა, რასაც მოჰყვა, ნ. მარის გამოთქმით, „армянское заселение“. მოგვიანებით, VI ს-ში აქ ლაზების სახელმწიფო შეიქმნა, რასაც IX-X სს-ში ფეოდალური სახელმწიფოს („ქართველთა სამეფოს“, „ქართველთა საკურაპალატოს“) ჩამოყალიბება მოჰყვა, როგორც შედეგი ამოტ ბაგრატიონის (†28.1.826) პოლიტიკური მოღვაწეობისა და ნმ. გრიგოლ ხანძთელის (759-861) მიერ გაშლილი მძლავრი სამონასტრო აღმშენებლობისა.

მთლიანად ამ მხარის — ტაო-კლარჯეთის, ეთნიკური ისტორია მრავალ საკითხს უკავშირდება, მეცნიერებაში მის შესახებ სხვადასხვა თვალსაზრისი არსებობს. ასევე, მრავლად არსებობს ამ საკითხის შესახებ სხვადასხვა დროის წყაროები. მათ განხილვას აქ არ შეუდგები, მით უმეტეს, რომ ეს ვრცლად აქვს წარმოდგენილი პ. ინგოროყვას, რომლის ძირითადი თვალსაზრისი — ამ მხარის მოსახლეობის იმთავითვე ქართველობის, ხოლო შემდეგშიც, საუკუნეთა განმავლობაში ამ მხარის ქართველებით დასახლების შესახებ (შემთხვევით არ ერქვა აქ ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ ერთეულს „ქართველთა სამეფო“¹⁰) — სადღეისოდ ყველაზე არგუმენტირებული და დამაჯერებელია¹¹.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, ანუ ტაო-კლარჯეთის უძველესი მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის შესახებ უახლესი თვალსაზრისი ასეთია:

„ძვ. წ. XII-VIII საუკუნეებში ასურულ და ურარტულ წყაროებში მოხსენიებული ქვეყანა „დაიენი-დაიუხი“ ფრიად მნიშვნელოვანი ახლოაღმოსავლურქართული სახელმწიფოებრივი ერთეული იყო, შექმნილი ტაოელთა ჰეგემონიით. ტერიტორიულად იგი მოიცავდა არზრუმის ფართო ზეგანს და ჭოროხის აუზს მთლიანად. მისი მოსახლეობა, ძირითადად, ქართული იყო ხურიტული ტომების მცირე მინარევით, რომელიც დროთა განმავლობაში ასიმილირებული იქნა ქართველთა მიერ. თვით ტაოელები აღმოსავლურქართულ ტომს წარმოადგენენ. ცხადია, არ არის გამორიცხული დასავლურქართულ ტომთა აქ არსებობაც, რაც მცირე რაოდენობის

¹⁰ მ. ლორთქიფანიძე, ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა. ტაო-კლარჯეთი („ქართველთა სამეფო“), იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, საქართველო IV-X საუკუნეებში, ტომის რედაქტორი შოთა მესხია, თბ., 1973, გვ. 445-489. მ. დ. ლორდკიპანიძე, Картвельское царство (Тაо-Кларджети), см. Очерки истории Грузии, т. II, Грузия в IV-X веках, Тб., 1988, с. 306-339.

¹¹ პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა. ნარკვევი ძველი საქართველოს ლიტერატურის, კულტურის და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიიდან, თბ., 1956, გვ. 450-544.

სათანადო ტოპონიმის მიხედვით სავარაუდოა (არტანუჯი, ოპიზა...)“¹². ასევე ქართველურ სამყაროს აკუთვნებს დიაენი-დიაუხს აკად. გ. გიორგაძე¹³.

ტაო-კლარჯეთის ტოპონიმიაში ასახულია აქ მიმდინარე ინტენსიური მიგრაციული პროცესები. ჯერ კიდევ ნ. მარი აღნიშნავდა ზოგიერთი ტოპონიმის ეტიმოლოგიის შესახებ: «*Опица* точнее *Опицжа* – Тубал-Каїнская форма слова, соответствующая грузинскому *Санира*» ნერდა ის¹⁴, რასაც ეთანხმება აკ. შანიძეც, რომელიც დამატებით თვლის, რომ «ასეთივე ფორმაა *ოლთისიც*, მხოლოდ ცოტაოდენად გადმოქართულებული (-*ში* ს ნაცვლად -*სი*)“¹⁵.

სწორედ II-I სს. სომეხთა ჩამოსახლების დროიდან ჩარჩა ამ მხარის ცალკეულ ადგილებში სომხური მოსახლეობა და, შესაბამისად, სომხური ტოპონიმები: *იზხანი*, *შატბერდი*, *მიჯნადორი*... თუმცა, არც მათი სომხური წარმომავლობა ყოველთვის უჭეველი. მაგ., *შატბერდთან* დაკავშირებით საქმის ვითარება ასეთია: იგი კომპოზიტია და შედგება ორი ნაწილისაგან - „შატ“ და „ბერდ“. იდეოგრამა „შატ“-ს ლურსმულ დამწერლობაში (ბაბილონურ-ასურულში) მრავალი მნიშვნელობა აქვს — იგი შეიძლება გამოყენებული იყოს წარწერაში, როგორც სხვადასხვა მარცვლის („ქურ“, „მათ“, „მად“, „შად“, „შათ“, „შატ“, „ლათ“, „ნათ“ და სხვ.), ასევე ცნების („ქვეყანა“, „მთა“, „დაპყრობა“) გადმოსაცემად¹⁶. კომპოზიტის მეორე ნაწილი *ბერდ* *b[r̥](e)r̥g[ʰ], როგორც ინდოევროპულ (მაგ., ბერძნულ, სომხურ...) , ასევე ახლოაღმოსავლურ (ურარტულ, ასურულ...)) ენებზე ნიშნავს „სიმაგრეს“, „ციხესიმაგრეს“. თ. გამყრელიძის და ვიარ. ივანოვის დასკვნით, «Постулирование данного слова в значении «крепость», «укрепление» в группе древних индоевропейских диалектов дает основание считать его общеиндоевропейским словом, обозначавшим «укрепленное поселение», «крепость на возвышенности, скале»¹⁷. ამრიგად, *შატბერდი* საერთო ინდოევროპულ დონეზე (და არა მხოლოდ სომხურზე) ნიშნავს „გამაგრებულ დასახლებას“, „ციხესიმაგრეს მთაზე, კლდეზე“.

ცხადია, ამ საერთო ინდოევროპული ტოპონიმების გვერდით, აქ მრავლადაა მათზე ადრე არსებული და დღემდე შემორჩენილი ქართველური (ჭანურ-მეგრული) ტოპონიმები: *ოპიზა*, *არტანუჯი*¹⁸ და მათ შორის *ოშკი*. ეს უკანასკნელი „შიშინა

¹² დ. მუსხელიშვილი, „დიაენი“ - „დიაოხის“ ქვეყნის მოსახლეობის ეთნიკური ვინაობისათვის, „ანალები“, 1, 2004, გვ. 10.

¹³ გ. გიორგაძე, დიაენი-დიაუხი: არაქართველური სამყარო?, კრ. „ქართული სახელმწიფოებრიობის სათავეებთან“, თბ., 2001, გვ. 16.

¹⁴ *Георгий Мерчул*, *Житие св. Григория Хандзтийского*, с. XXII.

¹⁵ აკ. შანიძე, ვინაობის სუფიქსი არ ქართველში, იხ. *მისი*, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, 1, თბ., 1957, გვ. 32.

¹⁶ გ. მელიქიშვილი, როგორ ამეტყველდნენ ლურსმული წარწერები, თბ., 2004, გვ. 7; მდრ., ქსე, ტ. 9, გვ. 455.

¹⁷ *Т. В. Гамкрелидзе*, *Вяч. Вс. Иванов*, *Индоевропейский язык и индоевропейцы*. Реконструкция и историко-типологический анализ праязыка и протокультуры, II, Тб., 1984, с. 745.

¹⁸ *არტანუჯის* მეგრულ-ჭანურ წარმოშობას მონიშნავს ის, რომ იგი, როგორც აკ. შანიძემ დაადგინა, ორი ნაწილისაგან შედგება: *არტან* და *უჯი*. ეს უკანასკნელი მეგრულ-ჭანურად „ყურს“, „ყურეს“ ნიშნავს. მაშასადამე, *არტანუჯი* < *არტანიშ* *უჯი*, ე.ი. „არტანის ყურე“

წარმოშობისა უნდა იყოს, რომელიც შეიძლება „მეგრულ-ჭანურ“ შუა („შუა“)-საგან ნაწარმოებად მივიჩნიოთ¹⁹. მართლაც, ოშკის ტაძრის, მთლიანად სამონასტრო კომპლექსის მდებარეობის ზემოთწარმოდგენილი ე. თაყაიშვილისეული აღწერა-დახასიათებით, იგი მთებს შორის, ხეობათა შეყრის ადგილას, ამ მიზნით საგანგებოდ მოსწორებულ კლდოვან ადგილზეა შუაში აგებული. ცხადია, ამ ადგილს მეგრულ-ჭანური „ოშქა“²⁰, ე.ი. *შუაში მდებარე, შუათანა მანამდე* ერქვა და შემდეგ იგი მონასტრის სახელად გადაიქცა.

აქ მხოლოდ მცირე მაგალითებია მოყვანილი; მაგრამ, მათი მიხედვითაც ტოკლარჯეთის, როგორც მოსახლეობის, ისე ტოპონიმის უძველესი ქართული ეთნო-კულტურული სამყაროსადმი კუთვნილება უეჭველია.

(აქ. *შანიძე*, ჯ ბგერის წარმოშობის წყაროები ქართველურ ენებში, *საქ. მეც. აკადემიის საზოგად. მეცნ. განყ. მოამბე*, 2, 1960, გვ. 225-233; ზ. *სარჯველაძე*, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984, გვ. 149-150).

¹⁹ თ. *გონიაშვილი*, დაალექტიზმებისათვის პადიშის ძეგლში, „ენიკის მოამბე“, IV:2, ტფ., 1938, გვ. 123.

²⁰ დღესაც მეგრულში „ოშქა“, როგორც ზმნიზედა, „შუას“ აღნიშნავს, „ოშქაპი“ „შუათანა“, ისევე, როგორც მისი პარალელური ფორმა „ოშქარი“; მაგ., *ოშქარ ჯიმა* ნიშნავს *შუათანა ძმას* (ო. *ქაჯაია*, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II ტომი (ზ-ს), თბ., 2002, გვ. 460, 461). მეგრულ-ჭანური – არ სუფიქსი აქ ისეთივე დატვირთვისაა, როგორც ამ სუფიქსით გაფორმებულ ადგილობრივ ტოპონიმებსა და წარმომავლობის აღმნიშვნელ სიტყვებში: *მტბევარი, ოპიზარი, ხაბული...* (მდრ. თ. *გონიაშვილი*, დასახ. ნაშრომი, გვ. 123; აქ. *შანიძე*, ვინაობის სუფიქსი არ ქართულში, გვ. 21).

2. შესწავლის ისტორია

ვახუშტი ბატონიშვილი (1696-1757), რომელსაც თავის ცნობილ ნაშრომში საქართველოს კუთხეებს შორის სამხრეთ საქართველოს — ტაო-კლარჯეთის გეოგრაფიული აღწერა-დახასიათებაც აქვს მოცემული²¹, ოშკს არ იცნობს. «ქართლის ცხოვრებაშიც» იგი ერთხელაა მოხსენიებული — ლაშა-გიორგის დროინდელი ანონიმი მემატრიანე, თამარის მეფობის აღწერისას, «ქრონიკონი ოთხასოცდათხუთმეტის» (1215) წინა ხანების მოვლენების გადმოცემისას ამბობს, რომ «ამისსა შემდგომად აღილეს კარი, და ციხენი კარნიფორისა, და ვანანდისნი, და რაკისპირის ციხენი; და წინა ამისსა ხახული, ოშკი და ბანა ნაელო»²². ამის შემდეგ ოშკი მხოლოდ XIX ს-ში გახდა ცნობილი სამეცნიერო წრეებისათვის და ისიც იქ გადაწერილი ხელნაწერების ანდერძების წყალობით, თუმცა, აქაც ერთგვარ გაუგებრობებს ჰქონდა ადგილი, რომელთა შესახებ ქვემოთ იქნება აღნიშნული.

მეცნიერული თვალსაზრისით პირველი სერიოზული და მნიშვნელოვანი მასალა ოშკის შესახებ გამოქვეყნდა 1864 წელს. ამ წელს აკად. მ. ბ რ ო ს ე მ რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის «მემუარებში» (Mémoires) გამოაქვეყნა სამხრეთ საქართველოში მხითარისტ ნ ე რ ს ე ს ს ა რ გ ი ს ი ა ნ ი ს მიერ შეკრებილი ძველი ქართული წარწერები²³. წარწერები ნ. სარგისიანს პალეოგრაფიული ასლებით გადმოეღო შემდეგი ძეგლებიდან: *ოშკი* (ეოშკ, როგორც იგი უწოდებს ადგილობრივი სახელის მიხედვით), *ხახული* (ხახუ, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის გამოთქმით), *ეჭექი* (ეგრეკი), *იშხანი*, *ყარსი*, *ჩანგლი*. ოშკიდან გამოქვეყნებულია 10, ყველა ძირითადი წარწერა²⁴, თუმცა, იქ წარწერების რაოდენობა გაცილებით მეტია. მაგრამ, მთავარია, რომ პირველად შემოვიდა მიმოქცევაში სამეცნიერო თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი წარწერების ჯგუფი დადგენილი ტექსტებით და მათი ფრანგული თარგმანით.

1883 წ. აღ. ც ა გ ა რ ე ლ მ ა, პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის პროფესორმა, პალესტინის რუსული საზოგადოების წინადადებით და დაფინანსებით ათონის მთაზე ექსპედიცია მოაწყო. 1886 წელს მანვე გამოაქვეყნა ექსპედიციის შედეგები და მათ შორის ათონის ქართველთა მონასტერში დაცულ ქართული ხელნაწერების პირველი მეცნიერული აღწერილობა. ოშკის ბიბლიის (978-979 წწ.) აღწერისას, ანდერძ-მინაწერების მოყვანის შემდეგ, აღ. ცაგარელი შენიშნავს, რომ მათში მოხსენებული ოშკი უნდა იყოს უშკი — კლიმენტის მონასტრის ადგილის ძველი სახელწოდება, სადაც შემდეგ ქართველებმა დიდი მონასტერი ააგესო²⁵.

²¹ ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქცა, IV, გვ. 656-690.

²² ქცა, I, გვ. 368: 31-32; ქართლის ცხოვრება («ძველი ქართლის ცხოვრება»), გამოსაცემად მოამზადეს ი. ანთელავამ და ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1996, გვ. 299.

²³ Inscriptions géorgiennes et autres recueillies par le Père Nersès Sargislan et expliquées par M. Brosset, MAIS, VII^e série, tome VIII, №10, St.-Pb., 1864.

²⁴ იქვე, გვ. 5-11.

²⁵ А. Цазарели, Сведения о памятниках грузинской письменности, вып. 1, СПб, 1886, с. 72.

ალ. ცაგარელის ეს მცდარი მოსაზრება გაიზიარეს დ. ბ ა ქ რ ა ძ ე მ²⁶ და თ. ყ ო რ დ ა ნ ი ა მ²⁷. უფრო მეტი, ალ. ცაგარელის მიერ შენიშვნის სახით გამოთქმული თვალსაზრისი დ. ბაქრაძემ განავრცო — ათონის მთის ოპკის სავანის ანალოგიით ეს სახელი ჭოროხის ხეობის ტაძარსაც (ეოპში) ეწოდებოდა²⁸.

ტაო-კლარჯეთის ძეგლების და მათ შორის ოპკის ტაძრის შესწავლის ისტორიის ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი დაკავშირებულია ე. თ ა ყ ა ი შ ე ი ლ ი ს (1863-1953) სახელთან.

1917 წელს ტაო-კლარჯეთის ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების შესასწავლად ე. თაყაიშვილმა დიდი ექსპედიცია მოაწყო. ეს იყო „თურქეთის საქართველოში“ მის მიერ მოწყობილი მესამე ექსპედიცია. მანამდე, მან პირველი ექსპედიცია მოაწყო 1902 წელს, ხოლო მეორე — 1907 წელს. ამ ექსპედიციების დროს შეკრებილი მასალები გამოქვეყნდა სხვადასხვა დროს არათანმიმდევრულად, იმის მიხედვით და შესაბამისად, როგორც მიეცემოდა ავტორს გამოცემის შესაძლებლობა²⁹.

1917 წლის ექსპედიციის მასალები გამოქვეყნდა ე. თაყაიშვილის გარდაცვალების შემდეგ აკ. შანიძის რედაქტორობით, ორჯერ — პირველად რუსულად 1952 წელს³⁰ და მეორედ — ქართულად 1960 წელს³¹. აი, რას წერს ე. თაყაიშვილი 1917 წლის ექსპედიციის შესახებ:

„როცა პირველი მსოფლიო ომის დროს რუსის ჯარმა თითქმის მთელი ანატოლია დაიკავა, ჭოროხის ხეობა ზურგს უკან მოექცა რუსის ჯარს და 1917 წელს, ჩვენც საშუალება მოგვეცა მოგვეწყო მესამე ექსპედიცია ტაო-თორთუმ-მისპირის ძეგლების შესასწავლად. ამ ექსპედიციაში, რომელიც საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სახელით იყო მოწყობილი, ჩვენ მოვიწვიეთ სამოქალაქო ინჟინერი ა. კალგინი³², მხატვარი დ. შევარდნაძე³³, მოხალისე

²⁶ დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, ტფ. 1889, გვ. 243.

²⁷ თ. ყორდანი, ქრონიკები, I, გვ. 107.

²⁸ დ. ბაქრაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 223; Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии, сост. Н. Кондаков. Грузинские надписи прочтены и истолкованы Димитрием Бахрадзе, СПб., 1890, с. 250. შენ. ლ. შენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნაკვ. II, თბ., 1962, გვ. 447. ლ. მენაბდე პ. პეტერსს შეცდომით მიანერს, რომ თითქოს მასაც ოპკი ათონზე ეგულებოდა (იქვე).

²⁹ E. Takaišvili, Христианские памятники, МАК, XII, М., 1907. ე. თაყაიშვილი, ქართული ხუროთმოძღვრების ალბომი, ტფ., 1924, ტაბ. 12-31; მისივე, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, პარიზი, 1938.

³⁰ E. Takaišvili, Археологическая экспедиция 1917-го года в южные провинции Грузии, Тб., 1952.

³¹ ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბ., 1960.

³² ანატოლი კალგინი (1875-1943) — არქიტექტორი, პროფესორი; ქართული საადგილმამული ბანკის, ახლანდელი საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის შენობის და ზაქესის ნაგებობის ავტორი. დაკრძალულია ეცხეთაში, სამთავროს ტაძრის გალავანში (ე. ძერიძე, მოგონებები, თბ., 1987, გვ. 254-256).

³³ დიმიტრი შევარდნაძე (1885-1937) — მხატვარი, საზოგადო მოღვაწე, „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების“ და სურათების ეროვნული გალერეის დამაარსებელი და პირველი დირექტორი.

ხუროთმოძღვარი ალპინისტი ი. ზდანევიჩი, მხატვარი ლადო გუდიაშვილი³⁴, მხატვარ-მსახიობი მიხეილ ჭიაურელი³⁵ და ვარძიის მონასტრის წინამძღვარი მღვდელ-მონაზონი იპოლიტე. ეს უკანასკნელი საქართველოს სამღვდელოების მიერ და პირადად ლეონიდე კათალიკოსის რჩევით იყო მოწვეული³⁶. ის ჩვენთან ერთად უნდა გასცნობოდა ხახულის, ოშკისა და იშხანის მონასტერთა ნაშთებს და, თბილისს მობრუნების შემდეგ, ისევ უნდა გამგზავრებულიყო თორთუმის ხეობაში, რათა მიეღო ზომები მათ დასაცავად და შესაკეთებლად. ჩვენი თბილისს მოსვლის შემდეგ მღვდელ-მონაზონი იპოლიტე მართლაც გავგზავნეთ დიდის მარაგით თორთუმში, მაგრამ იგი იძულებული გახდა გზიდანვე დაბრუნებულიყო, ვინაიდან ამ დროს რუსის ჯარმა მიატოვა ფრონტი და თურქებმა ხელახლა დაიკავეს მათ მიერ დაცლილი ადგილები.

ჩვენი ექსპედიციის სუსტ მხარეს შეადგენდა სპეციალისტი ფოტოგრაფის უყოლობა. კავკასიის განთქმული ფოტოგრაფი დ. ერმაკოვი, რომელსაც წინათ დიდი სურვილი ჰქონდა ჩვენთან ერთად ემგზავრა „თურქეთის საქართველოში“, უკვე ცოცხალი აღარ იყო³⁷. ჩვენ წარუვდგინეთ სამხედრო უწყებას რამდენიმე ფოტოგრაფის კანდიდატურა, მაგრამ მან არც ერთს ნება არ დართო ჩვენთან ემგზავრა, და იძულებული გავხდით ფოტოგრაფის როლი დაგვეკისრებინა ჩვენი ექსპედიციის ზოგიერთი წევრისათვის³⁸.

ცხადია, ჯერ კიდევ მიმდინარე პირველი მსოფლიო ომის (1914-1918) პირობებში, საყოველთაო გაჭირვებისა და ეკონომიკური ნგრევის დროს, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ექსპედიციის ფინანსურ და მატერიალურ უზრუნველყოფას. ამის შესახებ ე. თაყაიშვილი წერს:

„ფულით დაგვეხმარნენ თბილისის თავადაზნაურობა და საქართველოს სამღვდელოება, მაგრამ ფული ვერას გვიშველიდა, რომ სამხედრო ორგანიზაციას არ შეეწყო ხელი: ფულით არაფრის შოვნა არ შეიძლებოდა ჩვენ მიერ გამოსაკვლევ

³⁴ ლადო გუდიაშვილი (1896-1980) — მხატვარი. მის შესახებ დაწერილ და გამოქვეყნებულ მრავალრიცხოვან გამოკვლევებსა და მოგონებებს შორის ცალკე უნდა გამოიყოს: ე. ბერიძე, მოგონებები, გვ. 320-323.

³⁵ მიხეილ ჭიაურელი (1894-1974) — კონორეჟისორი, მხატვარი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი.

³⁶ 1917 წელს ლეონიდე (ერისკაცობაში ლონგინოზ სოლომონის ძე ოქროპირიძე) კათალიკოსი ჯერ კიდევ არ იყო. თუმცა, 1917 წლის 12 აგვისტოს იგი დაადგინეს თბილისის მიტროპოლიტად და მას დაეკისრა საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველის ფუნქცია. ლეონიდე კათალიკოს-პატრიარქი იყო 23.II.1919—11.VI.1921 წწ. (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რედაქტორი აკად. როინ მეტრეველი, თბ., 2000, გვ. 183-187). ე. თაყაიშვილის ექსპედიცია 1917 წლის 8 ივლისს გაემგზავრა და, ცხადია, ავტორი ლეონიდეს კათალიკოსად მოიხსენიებს წიგნის გვიან დაწერილ წინასიტყვაობაში.

³⁷ დ. ერმაკოვი (კაშპიაჯო) (1846-1916) — ცნობილი თბილისელი ფოტოგრაფი, რომელსაც დიდი ამაგი მიუძღვის, როგორც საქართველოს, ისე სხვადასხვა მთელი კავკასიის სიძველეების ფოტომატიანის შექმნაში. ე. თაყაიშვილის ცნობით, 1874 წელს იგი სამხრეთ საქართველოში ყოფილა და გადაუღია „მშვენიერი სურათები ოშკისა, იშხნისა, ხახულისა და ორიოდეც ოსთთა ეკლესიისა“ (ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია, გვ. 6, 37). დღეს ისინი ინახება საქართველოს სახ. მუზეუმის ფოტოარქივში, დ. ერმაკოვის კოლექციაში.

³⁸ ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია, გვ. 2-3.

რაიონში. ომისგან ის მხარე სრულიად განადგურებული იყო და ხალხი — დამშეული. დახმარებისთვის მივმართეთ სრულიად რუსეთის ერობის კავშირის გამგეობას, რომელმაც ნება დაგვართო მიგველო მათი საწყობებიდან ყველაფერი, რაც კი საჭირო იქნებოდა ჩვენი ექსპედიციისათვის. ამის განხორციელება დაეწალა მათ მოხელეს *ალექსანდრე დავითის ძე ციციშვილს*, ჩემს ყოფილ მოწაფეს, რომელიც დიდი ხალისით და თანაგრძნობით შეუდგა ამ განკარგულების სისრულეში მოყვანას: ყარსიდან ფორდის მანქანებით მიგვიყვანა ხახულში, და საერთოდ ისე მოგვინყო საქმე, რომ მთელი ექსპედიციის განმავლობაში არაფერი დაგვეკლებია. ალექსანდრე ციციშვილი საოცარი ენერჯის პატრონი აღმოჩნდა, ზრდილი, პატიოსანი, თავმდაბალი და დაულაღავი მუშაკი. მას ყველა მისი თანაშემწენი და ხელქვეითნი დიდად აფასებდნენ. სამწუხაროდ, ალექსანდრე ციციშვილი დღეს ცოცხალი აღარ არის, და ჩვენს ზნეობრივ მოვალეობად ვთვლით, პატივი ვსცეთ მის ხსოვნას და განვაცხადოთ, რომ თუ არ მისი ენერჯული დახმარება, ჩვენი ექსპედიცია თავის მოვალეობას ჯეროვნად ვერ შეასრულებდა³⁹.

ე. თაყაიშვილის 1917 წლის ექსპედიციამ 8 ივლისიდან, თითქმის ორი თვის განმავლობაში, შეისწავლა შემდეგი ძეგლები: იზხანი, ოშკი, ხახული, ექექი, სოხთოროთი, ისი, სუხბეჩი, ოთხთა ეკლესია, მუხლაჯილილისი, პარხალი; აგრეთვე, სამი ციხე თორთუმის ხეობისა — „მაღალ კუნძულზე მდინარის შუაში“, ალჯა-ყალა და ერსეს-ყალა. ოშკის მონასტერში ე. თაყაიშვილს აღწერილი და შესწავლილი აქვს: 1. მდებარეობა; 2. ტაძრის დაცულობა; 3. ტაძრის გეგმა; 4. ტაძრის ფასადები და სამხრეთის გალერეა; 5. გუმბათი და გუმბათის ყელი; 6. ფრესკათა ნაშთები; 7. სემინარია-საოსტიგნის ნაშთები; 8. მცირე ეკლესიები; 9. ტაძრის წარწერები, და ბოლოს — 10. დასკვნა. განსაკუთრებით დაწვრილებითაა აღწერილი ტაძრის ფასადები და სამხრეთის გალერეა. იგი შედგება შემდეგი მონაკვეთებისაგან: აღმოსავლეთი ფასადი, დასავლეთი ფასადი, სამხრეთი ფასადი, სამხრეთის სტოა-გალერეა, სამხრეთის სტოის გვიანი მინაშენი, ორნამენტებით შემკული ორი სვეტი, ჩრდილო ფასადი. ასევე ვრცელი მონაკვეთი აქვს დათმობილი ტაძრის წარწერებს, როგორც ქვაზე ამოკვეთილებს, ისე წითელი საღებავით შესრულებულებს. გამოქვეყნებულია 15 წარწერა, ამასთან უმეტესობა და მთავარი წარწერები — გრაფიკული მონახაზებით, ანუ პალეოგრაფიული ასლებით. წარწერათა ტექსტების დადგენა-გამიფრასთან ერთად წარმოდგენილია ისტორიული (ზოგჯერ, ფილოლოგიურიც) ხასიათის კომენტარები მათი დათარიღებისა და მოხსენიებულ პირთა იდენტიფიკაციის მიზნით.

უნდა აღინიშნოს, რომ ოშკის ტაძრის ეს აღწერილობა დღემდე ყველაზე სრულია და, მიუხედავად იმისა, რომ ე. ჯობაძემაც მოგვიანებით მისი ვრცელი აღწერილობა წარმოადგინა, იგი მაინც ბოლომდე ვერ სცვლის ე. თაყაიშვილისეულ აღწერილობას. მართალია, მოპოვებული მასალა მთლიანად, როგორც ზემოთ აღინიშნა, გვიან (1952, 1960) გამოქვეყნდა, მაგრამ ზოგი მათგანი ადრეც ქვეყნდებოდა.

³⁹ იქვე, გვ. 3.

მაგალითად, არქიტექტურული გეგმები და ჭრილები ოშკის ტაძრისა გამოიფინა თბილისში 1920 წელს და გამოქვეყნდა ქართულ (ავტორი ე. თაყაიშვილი) და რუსულ (ავტორი დ. გორდევი) ენებზე გამოცემულ გამოფენის კატალოგებში⁴⁰. გარდა ამისა, ოშკის ტაძრის გუმბათის ყელის რამდენიმე ბარელიეფი, რომლებიც ექსპედიციამ მულაჟით გადმოიღო და თბილისში თაბაშირში ჩამოასხმევინა, ე. თაყაიშვილის თანხმობით გამოაქვეყნა 1929 წელს ცნობილმა ხელოვნებათმცოდნემ ოურგის ბალტრუშაიტისმა⁴¹ და სხვ.

1921 წლიდან, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, თურქეთის ტერიტორიაზე მოქცეული ქართული კულტურის ძეგლების შესწავლა შეუძლებელი შეიქნა. კარგა ხანს ამ ძეგლების შესახებ ქართულ მეცნიერებაში არაფერი იყო ცნობილი.

მიუხედავად ამისა, ყოველთვის დიდი იყო ინტერესი ამ ძეგლებისადმი. ამის მაგალითია ის, რომ 1946 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების XXII სამეცნიერო სესიაზე აკად. გიორგი ჩუბინაშვილმა წაიკითხა მოხსენება ტაო-კლარჯეთის არქიტექტურულ ძეგლებზე⁴². მოხსენებაში დასახული იყო ის ძირითადი მეცნიერული პრობლემები, რომლებიც ამ ძეგლების შესწავლასთანაა დაკავშირებული და ხაზგასმული იყო ამ რეგიონის პროგრესული როლი შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურის განვითარებაში.

1947 წელს ორჯერ გამოქვეყნდა აკად. ს. ჯანაშიას რეცენზია 1946 წელს გამოცემულ ნიგნზე ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრების შესახებ⁴³. ნიგნის ავტორი ნ. ტოკარსკი ამ ძეგლებს განიხილავდა, როგორც სომხური ხუროთმოძღვრების ნიმუშებს. ს. ჯანაშიამ ფართო ისტორიულ ჭრილში განხილვით საფუძვლიანად უარყო ნ. ტოკარსკის დებულებები და ნათლად წარმოაჩინა მთლიანად ამ რეგიონის ორგანული კუთვნილება ქართული კულტურულ-ისტორიული სინამდვილისადმი⁴⁴.

⁴⁰ ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია, გვ. 4, შენ. 1.

⁴¹ I. Baltrusaitis, Études sur l'art médiéval en Géorgie et en Arménie, Paris, 1929, pl. LXXVI, 105, 106, LXXIII, 120, 121; ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია, გვ. 42, შენ. 2.

⁴² Г. Н. Чубинашвили, Архитектурные памятники Тао и Кларджети и выдвигаемые ими проблемы, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების XXII სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1946.

⁴³ Акад. С. Джанашиа, Об одном примере искажения исторической правды. По поводу книги Н. Токарского «Архитектура древней Армении», Тб., 1947. იგივე, ВИ, 5, М., 1947, с. 71-89.

⁴⁴ უნდა აღინიშნოს, რომ ნ. ტოკარსკის ტენდენციურმა მიდგომამ ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრული ძეგლებისადმი უარყოფითი გამოხმაურება პიკოა თვით შუა საუკუნეების სომხური არქიტექტურის სპეციალისტებს შორისაც. მაგ., ნ. ტოკარსკის ნიგნზე მოგვიანებით (1950) გამოქვეყნებულ რეცენზიაში ა. იაკობსონი წერს, რომ «Глава IV - «Тайская архитектурная школа X в.» выпадает из общей структуры книги, ибо те памятники, о которых идет речь, являются во всех отношениях памятниками грузинской архитектуры, да и принадлежат они территории, которая по своей культуре к X в. стала уже грузинской». «В тех памятниках Чорохского бассейна, которыми оперирует автор (храмы X-начала XI вв. в Ошке, Хадхле, Тбети и перестроенный храм в Ишхане), составляющих единую по стилю группу, ярко выражены черты, типичные именно для грузинской архитектуры» (ВВ, т. III, М.-Л-д, 1950, с. 262-263). მაგრამ, სამწუხაროდ, ნეოტოკარსკები პერიოდულად შემდგომშიც ნამოყოფნ ხოლმე

1959 წელს აკად. გ. ჩუბინაშვილმა გამოაქვეყნა 1954 წ. დაწერილი ვრცელი რეცენზია ე. თაყაიშვილის სამ ნაშრომზე, რომელთაგან ორი მიძღვნილია სამხრეთ საქართველოს ძეგლებისადმი⁴⁵. ჩვენი საკითხისათვის მნიშვნელოვანია, რომ ამ რეცენზიაში გ. ჩუბინაშვილმა წარმოადგინა ოშკის ტაძრის ახლებური, ე. თაყაიშვილისაგან განსხვავებული დათარიღება. კერძოდ, თუ ე. თაყაიშვილის მიხედვით ტაძრის მშენებლობა დასრულდა 958-961 წლებს შორის, ხოლო დაიწყო „საუკუნის პირველი ნახევრის ბოლოს“⁴⁶, გ. ჩუბინაშვილი თვლის, რომ ტაძარი დიდ ხანს შენდებოდა, თითქმის ნახევარ საუკუნეს, ხანგრძლივი შესვენებებით⁴⁷.

1965 წელს ტაო-კლარჯეთის ძეგლების შესწავლა დაიწყო კალიფორნიის უნივერსიტეტში (აშშ) მოღვაწე ქართველმა მეცნიერმა პროფ. ვ ა ხ ტ ა ნ გ ჯ ო - ბ ა ძ ე მ . იგი XX ს-ის 80-იანი წლების შუა ხანებამდე თითქმის ყოველწლიურად აწყობდა სამეცნიერო ექსპედიციებს ამ რეგიონში (მოაწყო რვა ექსპედიცია). მან მრავალი უცნობი ძეგლი გამოავლინა, ტაო-კლარჯეთის ქართული ძეგლების პირველი მეცნიერული რუკა შეადგინა, ვრცლად და დაწერილებით შეისწავლა ამ ძეგლებთან დაკავშირებული მრავალი ხელოვნებათმცოდნეობითი და კულტურულ-ისტორიული საკითხი, განსაკუთრებით ოშკის ტაძრის შესახებ, რომელთაც თავი მოუყარა ვრცელ შემაჯამებელ მონოგრაფიაში. ვ. ჯობაძის მიერ ოშკის ტაძრის შესწავლას ქვემოთ დავუბრუნდებით. მომდევნო ხანებში ტაო-კლარჯეთის და ოშკის შესწავლის ქრონოლოგია ასეთია:

1968 წელს გამოქვეყნდა ინგლისელი ხელოვნებათმცოდნის დ ე ვ ი დ უ ი ნ - ფ ი ლ დ ი ს ტატია ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთის, ფაქტობრივად ტაო-კლარჯეთის, შუასაუკუნეების ფიგურული რელიეფების შესახებ⁴⁸. მასში, დოლისყანის, პარხლის, ხახულის, იშხნის და ნიაკომის რელიეფებთან ერთად, განსაკუთრებით დიდი ადგილი აქვს დათმობილი ოშკის სკულპტურული რელიეფების შესწავლას. დაწერილებით, გულმოდგინედ და დეტალურად განიხილავს ავტორი ტაძრის სამხრეთი გალერეის დასავლეთის ნაწილში მოთავსებულ რვანახნაგა სვეტის რელიეფებს. ისინი სვეტის კაპიტელზეა მოთავსებული. ამ სვეტს განსაკუთრებული ადგილი უკავია ოშკის ტაძრის დეკორატიულ მორთულობაში. მასზე მრავალრიცხოვანი გამოსახულებებია წარმოდგენილი, რომელთაგან ზოგიერთის უეჭველად გარკვევა და დადგენა არ ხერხდება. ცხადია, რომ ეს რელიეფები გარკვეული იდეური დატივრთვის მატარებელია, თუმცა, მათში გარკვევა, დ. უინფილდისავე განცხადებით, და ამ ნიშნით მათი ურთიერთდაკავშირება, რთულია და ყოველთვის

თავს (*T. Marutjan, Архитектурные памятники, Ереван, 1989, с. 109-212; А.Ю.Казарян, Искусство армян-халкидонитов, ПЭ, т. III, М., 2001, с. 314-316*).

⁴⁵ „ქართული ხელოვნება (Ars Georgica)“, 5, 1959, გვ. 249-260.

⁴⁶ ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია, გვ. 50-51.

⁴⁷ „ქართული ხელოვნება“, 5, გვ. 258; დაწერილებით იხ. ე. ნილოვაჯა, გამოკვლევა ოშკის ტაძრის კტიტორთა რელიეფებისა და ამუნების თარიღის შესახებ, აქვე, დამატება I.

⁴⁸ *D. Winfield, Some Early Medieval Figure Sculpture from North-East Turkey, JWCI, vol. XXXI, London, 1968, p. 33-72.* დ. უინფილდის ამ გამოკვლევის შესახებ იხ.: *ნ. ალადაშვილი, უცხოელი მეცნიერი ტაო-კლარჯეთის კულტურის შესახებ, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 2, 1990, გვ. 58-85.*

არაა შესაძლებელი. ავტორი ამ რელიეფების სამ სავარაუდო იდეურ ინტერპრეტაციას გვთავაზობს:

1) სვეტზე წარმოდგენილია ბაგრატიონთა საგვარეულოს განდიდება, აპოთეოზი. თუმცა, ასეთ განმარტებას ავტორი თვითონვე საეჭვოდ მიიჩნევს, რადგან, ოშკის ტაძრის სხვა ადგილებისაგან განსხვავებით, სვეტზე ამ საგვარეულოს არც ერთი წარმომადგენელი არაა გამოსახული — პირიქით, იქ წარმოდგენილია გრიგოლი, ტაძრის მშენებლობის ხელმძღვანელი მლოცველ-მავედრებლის პოზაში.

2) სვეტზე წარმოდგენილია სვიმეონ მესვეტის აპოთეოზი. მართლაც, ადორაციის პოზაში ხელებაპყრობილი სვიმეონ მესვეტე უმცროსის წელზევითი გამოსახულება მოთავსებულია სვეტის სულ ზედა ნაწილში და იგი აკვირგვინებს აქ წარმოდგენილ სხვა გამოსახულებებს.

3) სვეტზე წარმოდგენილია დეკორატიული რელიეფების შემთხვევითი ნაკრები, რომელთაც სვეტის მხოლოდ მხატვრული გაფორმების ფუნქცია აქვთ.

ქ-ნ ა თ ე ლ ა ლ ა დ ა შ ვ ი ლ ი ს აზრით, რომელმაც რამდენიმე ნაშრომი უძღვნა საგანგებოდ ამ სვეტის რელიეფებს⁴⁹, მათში იდეურად გაერთიანებულია ტაძრის სხვადასხვა ფასადებზე წარმოდგენილი გამოსახულებანი. ამასთან, სვეტზე მათი რეპერტუარი გაზრდილია და აქ დამატებულია სხვა გამოსახულებანიც — მფრინავი ანგელოზები, სერაფიმები და ქერუბიმები, წმ. კოზმან და წმ. დამიანე, წმ. ნინო და სხვ.⁵⁰

დ. უინფილდის ნაშრომის განსაკუთრებული ღირსებაა ის, რომ მას ახლავს მალაზხარისხოვანი საილუსტრაციო მასალა — ფოტოები და გრაფიკული ასლები. ეს მასალა შემდეგში არაერთხელ იქნა სხვა ავტორების (ე. ჯობაძე, ნ. ალადაშვილი, პ. ზაქარაია...) მიერ გამოყენებული, მათ შორის იგი წარმოდგენილია ამ წიგნშიც (სურ. 10, 11, 13, 14, 28). დღეს ეს მასალა ფასდაუდებელი მნიშვნელობისაა რვანახნაგა სვეტიდან მოჭრილი და დაკარგულად მიჩნეული რელიეფების — ვედრების კომპოზიციისა და წმ. ნინოს გამოსახულების შესასწავლად (სურ. 13, 28; ტაბ. 39). განსაკუთრებით იზრდება ამ მასალის მნიშვნელობა თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართველთა განმანათლებლის, მოციქულთა სწორის, წმ. ნინოს ეს გამოსახულება იყო ძველი (X ს.) და ერთადერთი ქვაზე შესრულებული რელიეფურად (ე. თაყაიშვილი).

1981 წელს გამოქვეყნდა აკად. ვ ა ხ ტ ა ნ გ ბ ე რ ი ძ ი ს ვრცელი გამოკვლევა რუსულ და ფრანგულ ენებზე ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრების შესახებ⁵¹. ნაშრომში, ისტორიულ მოვლენათა ფონზე, ნაჩვენებია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ტიპის ნაგებობათა განვითარება და მათი ორგანული კავშირი ძველ ქართულ ხუროთმოძღვრებასთან. ძირითად ტექსტს ერთვის დან-

⁴⁹ ნ. ალადაშვილი, ოშკის ტაძრის სამხრეთ გალერეის სვეტი, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 9, 1988, გვ. 74-83; Н. Аладашвили, Восьмигранная колонна южной галереи храма Ошки, „ქართული ხელოვნება (Art Georgia)“, 10, 1991, с. 69-80.

⁵⁰ Н. Аладашвили, Восьмигранная колонна, с. 73.

⁵¹ В. Беридзе, Место памятников Тао-Кларджети в истории грузинской архитектуры. Monuments de Тао-Кларджети dans l'histoire de l'architecture géorgienne, Тб., 1981.

ვრილებითი ანოტაციები თითოეულ ძეგლზე უმთავრესი ლიტერატურის დასახელებით. მათ შორისაა ვრცელი ანოტაცია ოშკის ტაძარზე ტაძრის გეგმასთან ერთად⁵². აქვე ავტორს მოჰყავს ტაძრის საამშენებლო წარწერის (გრეგოლ „საქმესა ზედამდგომის“) ვრცელი ნაწყვეტი.

1992 წელს გამოქვეყნდა პ ა რ მ ე ნ ზ ა ქ ა რ ა ი ა ს გამოკვლევა — „ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრება“⁵³. მასში ერთგვარად შეჯამებულია ის ცოდნა, რომელიც ამ ძეგლების შესახებ იმ დროისათვის არსებობდა. აქ პირველადაა წარმოდგენილი ძეგლების კლასიფიკაცია არქიტექტურული ტიპების მიხედვით — ადრეული ბაზილიკები (ერუშეთი, წყაროსთავი, ურთა), ტეტრაკონქის ტიპის ეკლესიები (სუხბეჩი, ბანა, მუხლაჯილილისი), ტრიქონქის ტიპის ეკლესიები, ექვსაფსიდიანი ეკლესიები, რვააფსიდიანი ეკლესია, გვიანდელი ბაზილიკები (ოთხთა ეკლესია, პარხალი). ცალკეა განხილული დიდი ტაძრები — იშხანი, ოპიზა, ტბეთი, ბანა, ხახული... და, ბუნებრივია, მათ შორის ოშკი⁵⁴. ტაძრის ხუროთმოძღვრების დაწვრილებით აღწერასთან ერთად, აქ წარმოდგენილია იმ დროისათვის ცნობილი მთელი ეპიგრაფიკა წარწერების თარგმანით რუსულ ენაზე და მათ შესახებ არსებული (ე. თაყაიშვილისა და ვ. ჯობაძის გამოცემების მიხედვით) დოკუმენტური მასალა — ფოტოები და გრაფიკული მონახაზები, ანუ პალეოგრაფიული ასლები. თითქმის 70-მდე შავ-თეთრსა და ფერად ტაბულაზე წარმოდგენილია, როგორც ტაძრის სხვადასხვა ხედი, ისე მრავალრიცხოვანი დეტალები. ერთი სიტყვით, აქ წარმოდგენილია მანამდე არსებული ყველაზე სრული სურათი ოშკის ტაძრისა პუბლიკაციებსა, საარქივო და ფოტომასალებზე დაყრდნობით. ავტორის დასკვნით, «Ошки является тем узловым памятником, где как бы подытоживается все то хорошее, что дали предыдущие эпохи, и вместе с тем зачинается много прогрессивного, что потом будет жить века»⁵⁵.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრების და მათ შორის ოშკის ტაძრის შესწავლაში ახალი ეტაპი დაკავშირებულია ვ ა ხ ტ ა ნ გ ჯ ო ბ ა ძ ი ს სახელთან. 1976 წ. გამოქვეყნდა მისი გამოკვლევა — „ეკტიტორთა რელიეფები და ოშკის ეკლესიის დათარიღება“⁵⁶. მასში განხილულია ტაძარზე არსებულ ეკტიტორთა რელიეფების ორი ჯგუფი — ერთი მოთავსებულია ტაძრის სამხრეთ ფასადზე, ვედრების კომპოზიციის ორივე მხარეს, ხოლო მეორე — ტაძ-

⁵² В. Беридзе, Место памятников, с. 164-166, 297-299.

⁵³ П. Закарая, Зодчество Тао-Кларджети, Тб., 1992.

⁵⁴ იქვე, გვ. 163-185.

⁵⁵ იქვე, გვ. 183.

⁵⁶ W. Djobadze, The Donor Reliefs and the Date of the Church at Oski, BZ, 69, 1976, p. 39-62, Taf. I-XIV. ნაშრომი გამოქვეყნდა ქართულ ენაზეც: ვ. ჯობაძე, ოშკის ტაძარი, თბ., 1991, გვ. 15-53. მის განხილვას მიეძღვნა სპეციალური წერილი — ვ. სილოგავა, გამოკვლევა ოშკის ტაძრის ეკტიტორთა რელიეფებისა და აშენების თარიღის შესახებ ახლად აღმოჩენილი ეპიგრაფიკული ძეგლების მიხედვით, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1, 1977, გვ. 136-142, რომელიც მეორდება ამ წიგნშიც (დამატება I). ვ. ჯობაძის ამ და მომდევნო ნაშრომის ქართულადაც გამოცემას სპეციალური წერილით გამოეხმაურა დ. ხოშტარია. იხ. მისი, ვახტანგ ჯობაძის ნაშრომები ქართულ ენაზე, ჟურნ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1-2, 1992, გვ. 242-250.

რის სამხრეთ-დასავლეთ გუმბათქვეშა ბურჯზე. პირველი ცნობილი იყო ჯერ კიდევ XIX ს-ის შუა ხანებიდან (მ. ბროსეს პუბლიკაციით), ხოლო მეორეს მიაკვლია თვითონ ვ. ჯობაძემ 1973 წელს, როდესაც სვეტის ეს ადგილი გაინმინდა ტალახის (კაოლინის) სქელი ფენისაგან. ორივე რელიეფზე კტიტორებად წარმოდგენილია ბაგრატ ერისთავთა ერისთავი და დავით მაგისტროსი. ეს გარკვევით ჩანს წითელი საღებავით შესრულებული წარწერებიდან, რომლებიც გამოსახულებებს ახლავს (ტაბ. 40-44).

კტიტორების ორჯერ გამოსახვა ტაძარში — ერთხელ ექსტერიერში და მეორედ — ინტერიერში, ვ. ჯობაძის აზრით, უნდა აიხსნას იმით, რომ მათ კარგად ჰქონდათ გააზრებული იმის აუცილებლობა, რომ ხაზი გაესვათ თავიანთი დიდი საქმიანობისათვის. ვფიქრობ, ტაძარში კტიტორთა რელიეფების კიდევ ერთი, მესამე წყვილისა (აღმოჩნდა 2003 წ.) და ტაძრის მორთულობაში ვედრების კომპოზიციის ოთხეზის თუ ხუთეზის გამოსახვა, ისევე როგორც ტაძრის მრავალრიცხოვან წარწერებში კტიტორთა სახელების უკვდავყოფა, სხვა, უფრო მნიშვნელოვან მიზნებს ისახავდა, რაც დაკავშირებულია ოშკის, როგორც მემორიალური, კტიტორთა და მათი ახლობლების განსასვენებელი ტაძრის დანიშნულებასთან. ამაზე ქვემოთ საგანგებოდ შეეჩერდებით.

ნაშრომში დიდი ადგილია დათმობილი კტიტორთა კოსტუმებისა და მათი რეგალიების აღწერა-აწარმოებისათვის. მათი წარმომავლობის დასადგენად ავტორს მოჰყავს დიდძალი პარალელური მასალა ბიზანტიისა და აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიიდან. უნდა ითქვას, რომ ნაშრომის ეს მონაკვეთი შეუწელებელი ინტერესით იკითხება.

ამავე ნაშრომში გამოქვეყნებულია ოშკის ტაძრის მანამდე უცნობი კიდევ ერთი წარწერა მემორიალური დანიშნულებისა, შესრულებული წითელი საღებავით (სურ. 18). იგი, როგორც ახლა გაირკვა, მოთავსებული ყოფილა ბაგრატ ერისთავთა ერისთავის გამოსახულებიანი სტელის ზურგზე. წარწერაში აღნიშნული იყო „ექლესიათა დაწყების“ თარიღი — 963 წლის 25 მარტი. ე. თაყაიშვილის მიერ აღმოჩენილი და ამჟამად დაკარგული რელიეფის წარწერის („... ათსა წელსა აშენებდა“) და ახალაღმოჩენილი წარწერის მონაცემების შეჯერების საფუძველზე, ვ. ჯობაძემ დაადგინა ოშკის ტაძრის მშენებლობის თარიღი — 963-973 წლები, რაც დღეს საყოველთაოდ მიღებულია. ნაშრომს ახლავს მალალხარისხოვანი საილუსტრაციო მასალა, მათ შორის სამხრეთ ფასადზე გამოსახულ კტიტორთა რელიეფების გრაფიკული ასლები (სურ. 26, 27), რომლებიც ამის მიხედვით შემდეგშიც არაერთხელ იქნა სხვა ავტორების მიერ გამოყენებულ-გამოქვეყნებული და წარმოდგენილი ამ ნიგნშიც⁵⁷.

1978 წელს გამოქვეყნებულ სპეციალურ ნაშრომში — „ტაო-კლარჯეთის ქართული ეკლესიები: მშენებლობის მეთოდები და მასალა“⁵⁸, სამხრეთ-დასავლეთ

⁵⁷ გამოხმაურება ვ. ჯობაძის ამ ნაშრომზე იხ. აქვე, დამატება I.

⁵⁸ W. Djobadze, The Georgian Churches of Tao-Klarjet's: Construction Methods and Materials (IX to XI century), OrCh, 61, 1978, p. 114-134, taf. I-XII.

საქართველოს ხუროთმოძღვრების ზოგადი საკითხებია განხილული: მონასტრებისათვის ადგილის შერჩევა, მათი მდებარეობა, ეკლესიების აშენება ნინასწარი გეგმის მიხედვით, სამშენებლო მასალა, ტაძრების დეკორატიული გაფორმება, მასში ფერადი საღებავების გამოყენება და პოლიქრომიის განსაკუთრებული მნიშვნელობა ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრული ძეგლების ფასადების გაფორმებაში, პოლიქრომული ჭიქურით დაფარული კრამიტებით ეკლესიების გადახურვის მხატვრულ-ფუნქციონალური დანიშნულება და სხვ.

ნაშრომში მოტანილია ცნობები ტაძრების ხუროთმოძღვრათა, მშენებლობის ზედამხედველთა, ქვის ჭრის ოსტატთა შესახებ. ეს ცნობები მოიპოვება ზოგჯერ ეკლესიების კედლების წარწერებში ან იმდროინდელ ლიტერატურულ ძეგლებში („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“...), აქვე განხილულია კტიტორები, რომელთაც, როგორც ნესი, ეკლესიის მოდელი უჭირავთ ხელში. აღსანიშნავია, რომ ასეთი გამოსახულებანი უშირატესად სწორედ ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრულ ძეგლებზეა: ობიზა, ტბეთი, დოლისყანა, ოშკი...⁵⁹ (მათი უადრესი ნიმუშებია მცხეთის ჯვრის კტიტორთა სკულპტურული რელიეფები ტაძრის აღმოსავლეთ და სამხრეთ ფასადებზე⁶⁰).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნაშრომში ვ. ჯობაძეს გამოქვეყნებული აქვს ოშკის ტაძრის მთავარი კტიტორული წარწერის ტექსტი: მხედრული ტრანსკრიპცია, გაშიფრვა, ინგლისური თარგმანი, პალეოგრაფიული ასლი (ე. თაყაიშვილის მიხედვით) და ფოტო⁶¹. ამით, ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქართული ეპიგრაფიკული ძეგლი (როგორც ცნობილია, მასში ოშკის ტაძრის კტიტორების საგანგებო ფორმით დასახელება-განდიდებასთან ერთად, მოიპოვება უნიკალური ცნობა — აღრიცხულია ტაძრის მშენებლობაზე ერთი წლის მანძილზე გაწეული ხარჯი) ხელმისაწვდომი შეიქმნა სპეციალისტთა და დაინტერესებულ მკითხველთა ძალზე ფართო წრისათვის.

1988 წ. გამოქვეყნდა ვ. ჯობაძის ნაშრომი „ვედრების ოთხი თემა ოშკის ეკლესიაში“⁶². ამ თემას ოშკის ტაძარში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და ქვემოთ საგანგებოდ დაუბრუნდებით. აქ აღვნიშნავ, რომ ვ. ჯობაძის მიერ განხილულია ოშკის ტაძრის შემდეგი გამოსახულებანი ვედრების კომპოზიციით: სამხრეთ ფასადზე, სამხრეთ-დასავლეთის გუმბათქვეშა ბურჯზე, სამხრეთი ვალერეის რვანახნაგა სვეტზე (ყველა ესენი ქვაზე შესრულებული რელიეფებია) და სამხრეთი მკლავის ერთ-ერთ ფრესკაზე; არსებობს ამ უკანასკნელი გამოსახულების სხვაგვარი ინტერპრეტაცია (იხ. ქვემოთ).

⁵⁹ შდრ.: ნ. ალადაშვილი, ვახტანგ ჯობაძე — საქართველოს კულტურისა და ხელოვნების ისტორიის მკვლევარი, წგნ.: *ვახტანგ ჯობაძე*, ოშკის ტაძარი, გვ. 9-11.

⁶⁰ Г. Н. Чубинашвили, Памятники типа Джвари, Тб., 1948, с. 142-149.

⁶¹ W. Djobadze, The Georgian Churches of Tao-Klarjet'i, p. 124-128, fig. 1 (p. 123), taf. fig. VI.

⁶² W. Djobadze, Four Deesis Themes in the Church of Oski, OrCh, 72, 1988, p. 168-182; ეს ნაშრომი გამოქვეყნდა ქართულ ენაზეც: ვ. ჯობაძე, ოშკის ტაძარი, გვ. 54-66.

1992 წ. გამოქვეყნებულ ვრცელ მონოგრაფიაში — „შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთში და შავშეთში“, დიდი ადგილი აქვს დათმობილი ოშკის ტაძარს⁴⁵. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ოშკი არამარტო ტაო-კლარჯეთის, არამედ მთელი შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების გამორჩეული ძეგლია. ნაშრომში ტაძართან დაკავშირებით განხილულია შემდეგი საკითხები: 1) სამშენებლო ტექნიკის რამდენიმე ასპექტი; 2) ეკლესიის აღნერ-ლობა; 3) აღმოსავლეთი ფასიდა; 4) ჩრდილოეთისა და სამხრეთის მკლავები; 5) დასავლეთის მკლავი; 6) სამხრეთის გალერეა; 7) ცენტრალური შესასვლელი; 8) ნიჟარისებრი ნიშა დასავლეთის ბურჯში; 9) ტაძარი (ინტერიერი); 10) სამხრეთ-დასავლეთი პორტიკი; 11) რვანახნაგა სვეტის რელიეფები; 12) ტაძრის შიდა სივრ-ცე; 13) ტაძარი (ექსტერიერი); 14) ფასადები და მათი არქიტექტურული რელი-ეფები: ა) აღმოსავლეთი ფასადი; ბ) სამხრეთი ფასადი და მისი „ვედრების“ ჯგუფი; გ) კტიტორთა ფიგურები; დ) სამხრეთი მკლავი; ე) ნადირობის და ცხოველთა ბრძოლის სცენები; ვ) ცენტრალურ თაღედში მოქცეული რელიეფები; ზ) სამხრეთი მკლავის პორტიკი; თ) ჩრდილოეთი ფასადი; ი) დასავლეთი ფასადი; 15) მცირე სარკმლები და კარები; 16) ტაძრის აგების თარიღი; 17) ოშკის მცირე სამლოც-ველოები; 18) სემინარია-საოსტიგენე და სკრიპტორიუმი; 19) წარწერები.

როგორც ხედავთ, ტაძარი დანვრილებითაა აღწერილი — ცხადია, აქ ბევრია ახალი დეტალი, რომელთა ნაწილი ვ. ჯობაძის მიერაა მიკვლეული და ე. თა-ყაიშიელისეულ ტაძრის აღწერილობასთან ერთად, იგი ოშკის ტაძრის მეტ-ნაკ-ლებად სრულ სურათს წარმოგვიდგენს. სურათის სისრულეს დიდად უწყობს ხელს 17 გრაფიკული სურათი (მათ შორის, ტაძრის ახალი გეგმა და ანაზომები — სურ. 1, 2) და 70 ფოტო, რომლებიც ტაბულებზეა წარმოდგენილი. უნდა აღინიშნოს, რომ საილუსტრაციო მასალის აბსოლუტური უმრავლესობა ახალია, ვ. ჯობაძის ექსპე-დიციების დროსაა მოპოვებული.

1983 წელს ტაძრიდან გაიტანეს (დაანგრის) მის სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთში ჩაშენებული ჯამე, ანუ მეჩეთი. უფრო ზუსტად, მოხსნეს მისი ორი კედელი (ჩრდილოეთისა და დასავლეთისა) და გადახურვა. გაირკვა, რომ მათ დაუფარავთ ტაძრის ამ მონაკვეთში არსებული რელიეფები და კედლის მხატვრობა, აგრეთვე, მრავალრიცხოვანი პილიგრიმული და სხვა წარწერები⁴⁶.

⁴⁵ W. Djobadze, Early medieval Georgian monasteries, p. 92-141, fig. 27-44, taf. 119-189.

⁴⁶ წარწერების ერთი ნაწილი ცალკე გამოქვეყნდა: ზ. სხირტლაძე, უცნობი ეპიგრაფიკული მასალები საქართველოს სამხრეთ ისტორიული პროვინციებიდან, „მაცნე“, ენისა და ლი-ტერატურის სერია, 2, 1993, გვ. 96-102. სამუნუხაროდ, მეფე დემეტრე I-ის (1125-1156), გარდამავალი მხედრულით და მეტად დახვეწილი გრაფიკით შესრულებული ვრცელი მოსახსენებლის ტექსტი ამ გამოცემაში მთლად ზუსტად არ არის ნაკითხული. კერძოდ, ფრაგმენტულად მოღწეულ წარწერაში ერთგან იკითხება არა „...[დაიცვე] დღეგრძელობით შენ მუდამ ყოვლად უძლქვეული მეფეთა მეფე დ[ემ]ტ[რ]ე...“, არამედ: „...[დაიცვე] დღეგრძელებით შენ მიერ[ქ] დამყ[ა]რებული, ძლიერი და უძლქვეული მეფეთა მეფე დ[ემ]ტ[რ]ე...“. არის მცირე ლაფსუსები სხვა წარწერების ნაკითხვებშიც.

1983 წ. ოშკში გამოვლენილ მხატვრობას მიეძღვნა ფრანგი ხელოვნებათმცოდნის ნიკოლა ტიერიის სპეციალური წერილი⁶⁵. მასში განხილულია სამხრეთის აფსიდაში ფრაგმენტულად შემორჩენილი მხატვრობის ორი კომპოზიცია. ავტორის აზრით, ერთზე გამოსახულია ტაძრის 1036 წლის მხატვრობის კტიტორები, მათ შორის პატრიკიოსი ჯოჯიკი, ხოლო მეორეზე — ბაგრატ IV-ის ქორწინება ბიზანტიელ პრინცესა ელენეზე, რომელიც ჩატარდა ბანის ტაძარში. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ის, რომ ამ სცენაში წარმოდგენილია ბანის მრგვალი, რამდენიმესართულიანი ტაძრის გამოსახულება, რომლის ქვემოთ იკითხება ასომთავრული წარწერა: „ბანასა ეკლესიაჲ და მე...“ შემდეგ ტექსტი ჩამოშლილია.

1996 წელს ავსტრიელმა მკვლევარმა ბრუნო ბაუშგარტნერმა შექმნა სადისერტაციო ნაშრომი „ნარკვევები ტაო-კლარჯეთის ისტორიული გეოგრაფიიდან“⁶⁶. ესაა დიდი მოცულობის (787 გვ.) გამოკვლევა, რომელშიც შესავალი ნარკვევის შემდეგ წარმოდგენილია ანბანის რიგზე ცნობები ტაო-კლარჯეთის ძეგლების და მათ შორის ოშკის ტაძრის შესახებ. ისტორიული ხასიათის ზოგადი შესავალი ნაწილის შემდეგ ავტორი მიმოიხილავს ტაძრის წარწერებს (მოჰყავს ტექსტების ნაწყვეტები გერმანულ ენაზე), ფასადების რელიეფებს, რვანახნაგა სვეტის რელიეფებს და სხვ. ნარკვევს ერთვის ტაძრის სამი ფერადი ორიგინალური ფოტო — გუმბათის ყელი და გადახურვა, ბაგრატ ერისთავთა ერისთავის მკერდზევითი გამოსახულება ეკლესიის მოდელით ხელში და სამხრეთი ფასადის ცენტრალური თალის სარკმელი — განიერი ორნამენტირებული წარბით და მის ზემოთ წარმოდგენილი რელიეფური გამოსახულებებით⁶⁷.

2002-2003 წლებში გამოქვეყნდა დორა პიგუე-პანაიოტოვას ვრცელი სტატია, მიძღვნილი ოშკის ტაძრის არქიტექტონიკისა და ორნამენტული დეკორისადმი⁶⁸. ე. თაყაიშვილისა და ვ. ჯობაძის მიერ თავის დროზე გამოქვეყნებული ტაძრის ძველი და ცნობილი გეგმების, აგრეთვე, ორიგინალური და მეტად საინტერესო ძეგლის დეტალების მრავალრიცხოვანი ფოტოების თანხლებით, ავტორი დანვრილებით განიხილავს ოშკის ტაძართან დაკავშირებული საკითხების ერთ ნყებას: ტაძრის ხუროთმოძღვრებას (ვრცლად), ექსტერიერის მორთულობას, სვეტისთავეებს გირჩებით, აკანთის ფოთლებით, ფიგურული გამოსახულებებით, სპირალური ორნამენტით, კანელიურებით; ნაშრომის ცალკე მონაკვეთია ტაძრის ორნამენტების შესწავლა. აქ განხილულია გეომეტრიული, მცენარეული, ფიგურული დეკორი; პორტალის (სამხრეთის კარიბჭის) მორთულობა, სამხრეთ გალერეის აღწერა, ანგელოზები ტაძრის ფასადებზე და კტიტორთა ფიგურები სამხრეთის პასტოფორიუმზე. ბოლოს, ავტორი განიხილავს ტაძრის აშენების თარიღს და წარმოადგენს მიღებულ დასკვნებს.

⁶⁵ N. Thierry, Peintures historiques d'Oski (Tao), REGC, 2, 1986, p. 135-153, fig. 1-12, sch. 1-5c.

⁶⁶ B. Baumgartner, Studien zur historischen Geographie von Tao-Klarzeti, Wien, 1996.

⁶⁷ იქვე, გვ. 519-535.

⁶⁸ Dora Piguet-Panayotova, The Church of Oski Architectonics and Ornaments, OrCh, 86, 2002, p. 103-144; OrCh, 87, 2003, p. 175-219.

პრობლემატურია ავტორის დასკვნები ტაძრის მშენებლობის თარიღთან დაკავშირებით. მას ეჭვი შეაქვს ვ. ჯობაძის აღმოჩენილ წარწერაში თარიღის აღნიშვნის სისწორეში და წერს — ძნელია დაეთანხმო აზრს, რომ მშენებლობა დაიწყო 963 წელს⁶⁹. ბაგრატ ერისთავთა ერისთავთან და დავითთან ერთად ტაძრის მშენებლობას უკავშირებს მათი მამის ადარნასე კურაპალატის სახელსაც, რაც ჯერ კიდევ ე. თაყაიშვილმა უარყო საესვებით სამართლიანად და თვლის, რომ იგი დასრულდა 961 წელს. საბოლოოდ, დ. პიგუ-პანაიოტოვას აზრით, ოშკის ტაძარი ააშენეს ადარნასე კურაპალატის შვილებმა 950-961 წლებს შორის⁷⁰. ეს მოსაზრება ტაძრის დათარიღების საკითხში უკან გადადგმული ნაბიჯია — დღეს ეს საკითხი სულ სხვაგვარად დგას (იხ. ქვემოთ).

1993 და 1994 წლებში საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობებს შორის დადებული სათანადო ხელშეკრულებების შედეგად ქართველებსაც მიეცათ შესაძლებლობა ტაო-კლარჯეთის ძეგლების მოხილვისა. მათ შორის ქართველმა მკვლევარებმაც მონაწივეს რამდენიმე გასვლა-ექსპედიცია ძეგლების ადგილებზე მეცნიერული შესწავლის მიზნით⁷¹. 1996 წელს მონყობილ ერთ-ერთ ექსპედიციას შედეგად მოჰყვა ნიგნი-გზამკვლევი, რომელშიც წარმოდგენილია ტაო-კლარჯეთის უმთავრესი ხუროთმოძღვრული ძეგლები უხვი, შავ-თეთრი და ფერადი ფოტოებით, ეკლესიებისა და ტაძრების გეგმებით და სხვადასხვა სახის დოკუმენტური მასალით, მათ შორის ძველი — XIX ს-ის ბოლოს და XX ს-ის დასაწყისში გადაღებული ფოტოებით⁷². ნაშრომში ცალკე მონაკვეთი აქვს დათმობილი ოშკის ტაძარს, მის ხუროთმოძღვრულ შეფასებას, დეკორატიულ მორთულობას. აქვე პირველად ქვეყნდება 2003 წლის 7 ნოემბერს ოშკში აღმოჩენილი სტელების ფერადი ფოტოები; მოცემულია მათი პირველი ხელოვნებათმცოდნეობითი შეფასება, ერთ-ერთ სტელაზე გამოსახული ღმრთისმშობლის, როგორც ნიკოპეის ტიპის დახასიათება⁷³ და სხვ.

⁶⁹ OrCh, 87, p. 214-215.

⁷⁰ იქვე, გვ. 216.


⁷¹ დ. ბოშტარია, მ. დიდებულიძე, ნ. ვაჩიშვილი, ტაო-კლარჯეთის არქიტექტურა და კედლის მხატვრობა. გამოფენის კატალოგი, თბ., 1996.

⁷² ი. გივიაშვილი, ი. კოპლატაძე, ტაო-კლარჯეთი, თბ., 2004.

⁷³ იქვე, გვ. 169, 172-173.

3. ოსკის ხუროთმოძღვრების შესახებ

ოსკის მონასტრის მთავარი ტაძარი იოვანე ნათლისმცემლის სახელობისა ქართული საეკლესიო არქიტექტურის ერთ-ერთი უდიდესი და უზრუნველესი ძეგლია (ტაბ. 1; ჭრილები – სურ. 3-5). როგორც აღიარებულია სპეციალისტების მიერ, მისი ხუროთმოძღვრება ძველ, ქართული არქიტექტურისათვის დამახასიათებელ ფორმებთან ერთად, მრავალ სიახლეს შეიცავს, რომელიც საფუძველი გახდა შემდგომი დროის ძეგლებისათვის⁷⁴.




სურ. 1. ტაძრის გეგმა (ვ. ჯობაძის მიხ.).

ა. გეგმა, ზომები. ოსკის ჯვარ-გუმბათოვანი ტაძარი სამაფსიდიანი ტიპის დიდი ზომის ნაგებობაა. მისი ზომებია: სიგრძე გარედან — 43 მ., შიგნიდან — 40.5 მ.; სიგანე გარედან — 30 მ (სამხრეთი პორტალის ანუ კარიბჭის ჩათვლით — 33.5 მ), შიგნიდან — 27 მ. გუმბათის ქვეშ სიმაღლე — 34 მ.⁷⁵ ტაძრის შიგნით, როგორც

⁷⁴ ოსკის, როგორც ტრადიციული ხუროთმოძღვრული ფორმებისა და ახალი ელემენტების შერწყმის ნიმუშის შესახებ, სათანადო დოკუმენტური მასალის წარმოდგენით, იხ.: კ. მოსულიშვილი, ქართული ძეგლის სტრუქტურა. IV-XIII სს. გუმბათოვანი არქიტექტურა, თბ., 1983, გვ. 74-78.

⁷⁵ ზომები აღებულია ი. გივიაშვილის და ი. კოპლატაძის წიგნიდან „ტაო-კლარჯეთი“, გვ. 156. ზოგჯერ ლიტერატურაში ოდნავ განსხვავებულ ზომებსაც შეხვდებით: „ტაძრის გარეთა ზომებია (მთავარ ლერძებზე): სიგრძე — 44 მეტრამდე, სიგანე დაახ. 30 მ., სიმაღლე შიგნით გუმბათის წვერამდე — 33-მდე“ (ვ. ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება,

აღმოსავლეთის, ისე სამხრეთისა და ჩრდილოეთის მკლავები, როგორც ამას ტრიკონქის ტიპის ნაგებობა მოითხოვს, აფსიდებითაა შემოხაზული (სურ. 1). ამ აფსიდებს სამივე შემთხვევაში ორივე მხარეს ასევე აფსიდებიანი პატარა ოთხკუთხა სათავსები აქვს ჩაშენებული და, ამდენად, სამივე მკლავი სამწინილიანია. მკლავების გვერდითი დამატებითი აფსიდები ორ-ორ სართულიანია.




სურ. 2. ტაძრის სამხრეთ გალერეის გეგმა (ვ. ჯობაძის მიხ.).

ტაძრის დასავლეთი მონაკვეთი გრძელი, ოთხკუთხა, ფართოდ გაშლილი ნაგებობაა. იგი სხვადასხვა სიგანის ხუთ უბედ იყოფა. დასავლეთის მკლავის ორივე — ჩრდილოეთის და სამხრეთის მხარეს გრძელი და შედარებით ვიწრო გალერეებია მიშენებული. ჩრდილოეთის გალერეა მარტივი კონსტრუქციისაა. მას დასავლეთის ნავთან ბოლოში, ჩრდილო-დასავლეთის კუთხესთან გაჭრილი გასასვლელი აკავშირებს; ხოლო სამხრეთის გალერეა რთული შედგენილობისაა — იგი ოთხ ნაწილად დაყოფილი, რომელთაგან თითოეულს დამოუკიდებელი ჯვრული გადახურვა მოეპოვება. ამ გალერეას ქვემოთ ცალკე დაფუძრუდებით. გეგმაში ოთხკუთხა ორივე გალერეა აღმოსავლეთის მხარეს ღრმა აფსიდებით მთავრდება.


თბ., 1974, გვ. 132); «Размеры храма снаружи: длина — 44м, ширина — 30м; высота внутри — 33м.» (Н. Дятловский, И. Цицишвили, Архитектурные памятники Грузии, М., 1996, с. 122). ვ. ჯობაძის მიხედვით, ტაძრის ზომებია: 41X278 (В. Djobadze, Early medieval Georgian monasteries, p. 90). შედარებისათვის აქვე მოვიყვან დასაწყისში დასახელებულ სხვა ტაძრების ზომებს: 1. ბაგრატის ტაძარი — გარეთ ზომები მთავარ ღერძებზე, კარიბჭეების გარეშე — სიგრძე 43მ., სიგანე — 35მ. (ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 133); 2. მცხეთის სვეტიცხოველი — გარეთა ზომები სიგრძე კარიბჭეებით — 57.7მ., სიგანე — 27მ., სიმაღლე — 49მ. (საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 5, თბ., 1990, გვ. 262); 3. ალავერდის ტაძარი — დაახ. სიგრძე 50მ., სიგანე- 41მ., სიმაღლე- 45მ. (Г.Н. Цыбиншвили, Грузинская средневековая архитектура и три ее величайших кафедрала (1925г.), см. Его, Вопросы истории искусства, том I, Тб., 1970, с. 271-274).

ტაძრის მრგვალი გუმბათი თავისუფლად მდგარ, ე.ი. კედლებიდან გამოყოფილ ოთხ მძლავრ ბურჯს, ანუ სვეტს ეყრდნობა. სვეტების შემკვერელი კონსტრუქცია, ოთხკუთხა კვადრატიდან, გუმბათის ყელის სიმრგვალეზე გადადის ნიჟარისებური აფრებით. ითვლება, რომ ქართულ ხუროთმოძღვრებაში ადრე გავრცელებულ სამაფსიდიან ჯვარ-გუმბათოვან ნაგებობაში გუმბათის ცალკე მდგომ ოთხ ბურჯზე ამოყვანა ოშკის ხუროთმოძღვრების ინოვაციაა, რომელმაც ასახვა ჰპოვა ბაგრატის ტაძრის, სვეტიცხოვლისა და ალავერდის არქიტექტურაში. სვეტიცხოველი ამათგან განსხვავებულია იმით, რომ ხუროთმოძღვრისათვის ამოსავალი ძველი ბაზილიკური ნაგებობა, გვერდითი მკლავების აფსიდებით დაბოლოების საშუალებას არ იძლეოდა. ოშკის ტაძრის გუმბათქვეშა ბურჯებიდან აღმოსავლეთისანი მრგვალი მოყვანილობისაა, ხოლო დასავლეთისანი რთული მრავალნახნაგაა.




სურ. 3. ტაძრის სამხრეთი ფასადი.

გუმბათის დამჭერი ბურჯების გამოყოფა კედლებიდან ჰქმნის დამატებით სივრცეებს და ტაძრის ინტერიერი იზრდება, იგი უფრო რიტმული და დინამიკურია. გუმბათის ბურჯებსა და გვერდით აფსიდებს შორის იქმნება შემოზღუდული ოთხკუთხა სივრცეები, რომლებიც გასასვლელებით უკავშირდება აფსიდებს. ორმხრივად სამხრეთ-აღმოსავლეთ აფსიდაში წარმოქმნილი ასეთი სივრცე, როგორც ჩანს, ტაძრის კტიტორთა განსასვენებელია, რადგან სწორედ აქ იდგა — სამხრეთ-აღმოსავლეთის გუმბათქვეშა ბურჯსა და სამხრეთის კედელს შორის გადასროლილი ნალოვანი თაღის ქვეშ — სტელები მათი გამოსახულებით. ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.



სურ. 4. ტაძრის აღმოსავლეთი ფასადი.




სურ. 5. ტაძრის ჭრილი საკურთხევლისკენ.

ბ. ინტერიერი. ტაძრის შიდა არქიტექტურული მორთულობა, ერთი მხრივ, ძუნწია და თავდაჭერილი და, ამავე დროს, მძლავრი, მონუმენტური და შთამბეჭდავი აქცენტებით ხასიათდება. აქ, პირველ რიგში, გამოიყოფა გუმბათქვეშა ბურჯები, რომელთა ბაზები მრავალსახად პროფილირებულ ლილვებთან, გეომეტრიულ, წნულ და ფართო ფოთლებად გადმოკეცილ ორნამენტებთან ერთად, ერთნაირი მოყვანილობის, მაგრამ სხვადასხვა გაფორმების მსხვილი ნაყოფებითაა დამშვენებული. ეს ნაყოფები, რომელთა გაფორმების მრავალფეროვნებაში გასაოცარი ფანტაზია გამოვლენილი, სამხრეთ-დასავლეთის გუმბათქვეშა ბურჯს დაუყვება გარშემო.

ტაძრის ინტერიერის არქიტექტურული გაფორმების მეორე მკაფიო აქცენტია ღრმა ნიშები სამხრეთ-დასავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის გუმბათქვეშა ბურჯებში. ჩრდილო-დასავლეთის ნიშა სადა გაფორმებისაა — სვეტები წნული გეომეტრიული ორნამენტით დაფარული კაპიტელებით მთავრდება. შეიძლება ნიშის სიღრმეში მხატვრობაც იყო, მაგრამ აქ შელესილობა მთლიანად ჩამოშლილია. მხატვრულად უფრო დამუშავებულია და რთული გაფორმებისაა სამხრეთ-დასავლეთის გუმბათქვეშა სვეტის ნიშა. აქ სვეტები მთავრდება სკულპტურული კაპიტელებით, რომლებზედაც, როგორც ნითელი საღებავით შესრულებული თანმხლები წარწერებიდან ჩანს, გამოსახულია — მარცხნივ დავით მაგისტროსი და მარჯვნივ — ბაგრატ მეფე და ერისთავთა ერისთავი. ისინი წარმოდგენილია წელზევით, პირდაპირ, მარჯვენა ხელში კვერთხით, რომელიც ჯვრით მთავრდება, ხოლო მარცხენა ხელი მაღლა აქვთ აღმართული ადორაციულ პოზაში (ტაბ. 41-44). ნიშის სიღრმეში შემორჩენილია ფრესკული მხატვრობის მოზრდილი ფრაგმენტი (ტაბ. 40). ვ. ჯობაძის აზრით, ეს მაცხოვრის გამოსახულებაა. კტიტორთა ორივე მხარეს, გამოსახულების განმარტებით წარწერებთან ერთად, შეუვლად

ჩამონერული ყოფილა — მარცხნივ წმ. ღმრთისმშობლის და მარჯვნივ წმ. იოვანე ნათლისმცემლის სახელები სახელობით ბრუნვაში, ე.ი. მიმართვის გარეშე, თითქოსდა, როგორც აღნიშვნა ამ წმინდანებისა (ტაბ. 42,44). ამის საფუძველზე ვ. ჯობაძე ვარაუდობს, რომ აქ ედერების თემა იყო წარმოდგენილი კტიტორების ორივე მხარეს, ისევე, როგორც ეს ტაძრის სამხრეთის ფასადის აღმოსავლეთის მონაკვეთშია, ოღონდ, ბევრად შემცირებული მასშტაბებით და სხვა ფორმით.



სურ. 6. სვეტიცხოვლის (1), ალავერდის (2) და ოშკის (3) ტაძრების გარეგანი მასების შედარებითი სქემა.

ვინც ამ საკითხს შეეხო, ყველა მიიჩნევს, რომ ეს ნიშები საღმრთო ლიტურგიის დროს მაღალი რანგის პირთა სამყოფი ადგილებია, რომლებშიც დასაჯდომებიც იყო გამართული. ითვლება, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთის ნიშა მეფის სადგომია, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთის — ეპისკოპოსისა⁷⁶.

ოშკი არ იყო საეპისკოპოსო ცენტრი — იგი დიდი მონასტრის მთავარი ტაძარი — კათოლიკონია. მართლმადიდებლურ ტაძარში ეპისკოპოსი თუ ნებისმიერი მღვდელმთავარი თვითონ აყენებს წირვას და წარმართავს ღმრთისმსახურებას, წმ. ლიტურგიას, ასე რომ ტაძარში გამოყოფილ სადგომში იგი არ დგას. ერთი ცხადია, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთი გუმბათქვეშა ნიშა ლიტურგიისას უმაღლესი რანგის საერო პირის სამყოფი უნდა ყოფილიყო, ხოლო ჩრდილო-დასავლეთის გუმბათქვეშა სვეტის ნიშის დანიშნულების შესახებ შეიძლება სხვადასხვა ვარაუდი გამოითქვას:

1. რადგან ტაძრის მშენებლობას ორი კტიტორი ჰყავდა, შეიძლება დავუშვათ, რომ თითოეულისთვის ცალ-ცალკე ნიშები იყო თავიდანვე ნაგარაუდები. მართალია, ერთ-ერთი მათგანი ტაძრის მშენებლობიდან სამი წლის შემდეგ გარდაიცვალა, მაგრამ, როგორც ჩანს, გუმბათქვეშა სვეტები ამ დროისათვის ნიშების სიმაღლეზე ამოყვანილი იყო. შეიძლება კტიტორთა შორის იერარქიული ურთიერთდამოკიდებულებითაა გამოწვეული მათი გაფორმების სხვადასხვა ხარისხი და დონე.

⁷⁶ ი. გვიგაშვილი, ი. კობლატაძე, ტაო-კლარჯეთი, გვ. 162.

2. თუ სამხრეთ-აღმოსავლეთი გუმბათქვეშა ბურჯის ნიშა მეფის ან ლიტურგიაზე დამსწრე რომელიმე უმაღლესი საერო ხელისუფლის სადგომია, და, როგორც ჩანს ეს ასეა, მაშინ ხომ არ შეიძლება დავუშვათ, რომ ჩრდილო-დასავლეთი გუმბათქვეშა ბურჯის ნიშა დედოფლის ან ლიტურგიაზე დამსწრე მაღალი რანგის მანდილოსნის სამყოფი იყო?

3. თუ ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთი გუმბათქვეშა ბურჯის ნიშა ნირვაზე დამსწრე უმაღლესი საერო პირის სადგომია, მაშინ მის გასწვრივ და სიმეტრიულად მოთავსებული ჩრდილო-დასავლეთის გუმბათქვეშა ბურჯის ნიშა მონასტრის ნინამძღვრის სამყოფელად ხომ არ შეიძლება ჩაითვალოს? მართლაც, როგორც ცნობილია, მონასტრების ნინამძღვრები კათოლიკონში ნირვის დროს, რომელსაც მათ მიერ გამორჩეული რომელიმე მღვდელი აყენებს, საგანგებოდ გამოყოფილ ადგილას დგანან, იქიდან ადევნებენ თვალს და წარმართავენ ლიტურგიას ისე, რომ თვითონაც აქტიურად მონაწილეობენ მასში.

საკმარისია გავიხსენოთ, რომ საღმრთი ლიტურგიისას მცირე და დიდი გამოსვლების დროს, კმევისას, მისი მონაწილეები ნინამძღვრის წინ ჩავლისას თაყვანს სცემენ და გამორჩეულად უკმევენ მას, ან მის სადგომ ადგილს, მიუხედავად იმისა, იგი იქ იმყოფება თუ არა. ასე რომ ნინამძღვრის სადგომი კათოლიკონში აუცილებლად უნდა ყოფილიყო და ოშკის ტაძარში, როგორც ჩანს, ასეთი იყო ჩრდილო-დასავლეთის გუმბათქვეშა ბურჯის ნიშა.

ამასთანავე, სამხრეთ-აღმოსავლეთის ბურჯში სამეფო სადგომი-ნიშის არსებობა არ ნიშნავს, რომ დავით კურაპალატი ყოველი ლიტურგიის დროს არტანუჯიდან ჩამოდიოდა და ამ ადგილას იდგა (მისი ძმა ბაგრატ, ალბათ, ტაძრის კურთხევას ვერც მოესწრო, რადგან იგი მშენებლობის მესამე წელს (966 წ.) გარდაიცვალა). მაგრამ, დავით და ბაგრატ მეფეების გამოსახულებანი სამეფო ნიშის ორივე მხარეს, მათი გარდაცვალების შემდეგაც, საუკუნეების განმავლობაში, ყოველი ლიტურგიის დროს მის მონაწილეებს გაახსენებდა მათ ღვანლს და მათთვის სათანადო პატივის მიგების აუცილებლობას. ამ რელიეფების მთავარი დანიშნულება სწორედ ეს იყო. ნიშანდობლივია, რომ ტაძრის არც ერთი წარწერით და არც რომელიმე სხვა დოკუმენტით დავით და ბაგრატ მეფეების მოხსენიების რომელიმე კონკრეტული დღე არაა დადგენილი, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი ხსენება უნდა აღსრულებულიყო ოშკში ჩატარებული ყოველი ნირვა-ლოცვისას.

არ ვთვლი, რომ ნიშების დანიშნულება ამ ვარაუდებით საბოლოოდ გარკვეულია, მაგრამ მათი ფუნქციის დადგენისას ამათი გათვალისწინებაც მიზანშეწონილია.

ტაძრის ინტერიერის უთუოდ მნიშვნელოვანი ელემენტები იქნებოდა საფლავებზე აღმართული *სტელები*. სამწუხაროდ, მეცნიერულად ტაძარი პირველად მაშინ აღინერა, როდესაც ეს სტელები ან საერთოდ არ იყო შემორჩენილი, ან დაფარული და ადგილშეცვლილი იყო. ტაძარში რომ ასეთი სტელები იდგა ეს გარკვევა 2003 წლის 7 ნოემბრის აღმოჩენამ — დავით მეფისა და ბაგრატ ერისთავთა ერისთავის სტელების მიკვლევამ ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთში,

რომელიც, როგორც ჩანს, კტიტორთა განსასვენებელი ადგილია. მართალია, სხვა საფლავის ქვები დღეს ტაძარში არსად ჩანს, მაგრამ არქეოლოგიურმა გათხრებმა იქნებ ისინიც გამოავლინოს, ისევე, როგორც გაარკვიოს ტაძრის ისტორიასთან დაკავშირებული მრავალი საკითხი.

ცხადია, ტაძრის ინტერიერის მშენებმა მისი *ფრესკული მხატვრობა* იქნებოდა. დღეს მისი სხვადასხვა დროის მცირე ფრაგმენტებია შემორჩენილი. მათგან უადრესი უნდა იყოს ის, რომელიც ტაძრის სამხრეთ-დასავლეთი გუმბათქვეშა ბურჯის ნიშის ზურგზეა მოთავსებული (ტაბ. 40). ვ. ჯობაძე მიიჩნევს, რომ იგი ტაძრის აგების დროინდელია. თუ ეს ასეა, მაშინ იგი 973-979 წწ. შეიძლება დათარიღდეს, რადგან ამ მხატვრობასთან დაკავშირებულ ნარწერაში დავითი მაგისტროსადაა დასახელებული, ხოლო 979 წ. მის მიერ კურაპალატობის მიღების თარიღია. სხვათა შორის, ეს ის წლებია, რომლებითაც უნდა დათარიღდეს ტაძრის ყველა ის ნარწერა, რომელშიც დავითი მაგისტროსად იხსენიება, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ იქნება დანვრილებით აღნიშნული. ამასთანავე, თუ ტაძრის მშენებლობის დამთავრების თარიღი 976 წელია (იხ. ქვემოთ), მაშინ მისი მოხატვის დროის კიდევ უფრო დაეინროება შეიძლება — 976-979 წწ.

ე. თაყაიშვილი თვლიდა, რომ „ტაძარი მოხატული უნდა იყოს აშენებიდან 75 წლის შემდეგ, ე.ი. 1036 წელს“, რაც მტკიცდება იმ თარიღიანი ფრესკული ნარწერით, რომელიც „საკურთხევის კედელზე დახატულ ლენტზეა დაცული“⁷⁷. მართლაც, აქ მოთავსებული ყოფილა ასომთავრული ნარწერა, რომლის თანახმად, ტაძარი „შეუმკიათ“, ე.ი. მხატვრობით დაუფარავთ ჯოჯიკ პატრიკიოსის საფასით „ქრონიკონსა სვ“, ე.ი. 780+256=1036 წელს. სამწუხაროდ, ამ ნარწერის დღეს მხოლოდ მცირე ფრაგმენტია ტაძრის კედელზე შერჩენილი.

ე. თაყაიშვილი დანვრილებით ჩამოთვლის იმ წმინდანებისა და ფრესკული კომპოზიციების გამოსახულებათა ნაშთებს, რომლებიც მან დააფიქსირა⁷⁸. მათი აბსოლუტური უმრავლესობა დღეს ჩამოშლილია, თუმცა, სამხრეთის აფსიდაში მანამდე უცნობი კომპოზიციაც გამოჩნდა. ე. თაყაიშვილის მიერ აღრიცხულ გამოსახულებებს აქ არ გავიშორებ, აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ტაძრის მოხატულობაში ისტორიული პირობები და საერო მინაარსის კომპოზიციებიც ყოფილა ნარმოდგენილი. მაგ., სამხრეთის აფსიდაში — ჯოჯიკ პატრიკიოსის გამოსახულება და ბაგრატ IV-ის ქორწილი ბანის ტაძარში. ეს მხატვრობა დანვრილებითაა შესწავლილი ნ. ტიერის მიერ⁷⁹.

ტაო-კლარჯეთის კედლის მხატვრობას და მათ შორის ოშკის ფრესკებს ე. პრივალოვამ სპეციალური წერილები უძღვნა⁸⁰. მან ეს მხატვრობა ადგილზე შეს-

⁷⁷ ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია, გვ. 43, 56.


⁷⁸ იქვე, გვ. 43-44, 56-57.

⁷⁹ N. Thierry, *Pentures historiques d'Oski*, p. 134-153.

⁸⁰ ე. პრივალოვა, ზოგიერთი შენიშვნა ტაო-კლარჯეთის მოხატულობის შესახებ, „სამეცნიერო შრომების წელიწადული“ (საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო), II, თბ., 1996, გვ. 5-14. მისივე, ტაო-კლარჯეთის მოხატულობათა შესახებ, „სამეცნიერო შრომების წელიწადული“, IV-V, თბ., 1999-2001, გვ. 22-32. მისივე, ზოგი რამ ტაო-კლარჯეთის

წავლა 1993 წლის სექტემბერში ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის მიერ მოწყობილ ათდღიანი ექსპედიციის დროს. მისი დასკვნით, ოშკის ტაძრის „აგებისას ინტერიერი მთლიანად მოსახატავად არ იყო განკუთვნილი: სამხრეთისა და ჩრდილოეთის აფსიდების კონქებში სუფთად თლილი ქვის წყობა შეფერილია; სამხრეთისაში — პარალელური ნახევარწრეების სახით, წითლითა და თეთრით, ჩრდილოეთისაში — სხივისებურად“⁸¹. ტაძარში ფერწერისთვის მხოლოდ გარკვეული ადგილები ყოფილა განკუთვნილი. „ამათგან უადრესი — სამხრეთ პასტოფორუმის კონქში აღმოვაჩინეთ“, - წერს იგი. მისივე დასკვნით, „კომპოზიცია „ქრისტეს დიდების“ სცენას გამოსახავდა და ტაძრის აგების თანადროულია“⁸². ამ სცენიდან შემორჩენილია და დღეისათვის გაირჩევა — მთავარანგელოზის მაღალი ფიგურა ჩრდილო ნახევარში, „ცეცხლოვან ბორბლებზე“ „შემომდგარი“ ტეტრამორფი ზემოთ ადამიანის პატარა ფიგურით და „თვლებით“ დაფარული, დიდი ზომის, ქვემოთ დაშვებული, მოღუნული ფრთებით; ნაწილობრივ შემორჩენილი თვლებით მორთული საყდარი, მანდორლის ოვალის შემომხერი თეთრი ზოლი...“⁸³.

ჯოჯიკის საფასით შესრულებულ 1036 წლის მხატვრობას მიაკუთვნებს ე. პრივალოვა იმ სცენის ფრაგმენტებს, რომლებიც აღმოსავლეთისა და სამხრეთის აფსიდებშია შემორჩენილი. აღმოსავლეთ აფსიდაში ზემოთ წარმოდგენილი იყო ქრისტე მთავარანგელოზებს შორის, ქვემოთ — ღმრთისმშობელი-ორანტა მოციქულთა შორის და იოვანე ნათლისმცემელი, ხოლო ბოლოს, მათ ქვემოთ — ეკლესიის მამათა, წმინდანთა და დიაკვნთა ფრონტალური გამოსახულებების რიგი⁸⁴. სამხრეთის აფსიდაში, ე. პრივალოვას დაკვირვებით, წარმოდგენილია ჯვარცმის სცენა, „სადაც არის იოვანე მისთვის დამახასიათებელი ჟესტიკულაციით, ღრუბლიან და შუბოსან მეომართა და იუდეველთა ჯგუფით“. ასევე თვლიდა ე. თაყაიშვილიც, თუმცა, მოგვიანებით, ვ. ჯობაძემ აქ „ჯვრის შემზადების“, ხოლო ნ. ალექსიძემ „ჯვრის ზიდვის“ სცენები დაინახეს⁸⁵.



სურ. 7. ნარნერა მაცხოვრის გრაგნილზე.

მოხატულობის შესახებ, „საქართველოს ეკლესიის, ქართული სასულიერო მწერლობის და ქრისტიანული ხელოვნების ისტორიის საკითხები“, თბ., 1998, გვ. 314-336.

⁸¹ ე. პრივალოვა, ზოგიერთი შენიშვნა, გვ. 9. ე. თაყაიშვილი მიიჩნევდა პირიქით: „ოშკის ტაძარი, როგორც ეტყობა, იმთავითვე განკუთვნილი ყოფილა ფრესკებით შესამკობად“ — ნერდასი (ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია, გვ. 43).

⁸² ე. პრივალოვა, ტაო-კლარჯეთის მოხატულობის შესახებ, გვ. 27.

⁸³ ე. პრივალოვა, ზოგიერთი შენიშვნა, გვ. 9.

⁸⁴ ე. პრივალოვა, ტაო-კლარჯეთის მოხატულობის შესახებ, გვ. 28.

⁸⁵ ე. პრივალოვა, ზოგიერთი შენიშვნა, გვ. 9.

იმავე სამხრეთის აფსიდაში „ჯვარცმის“ პირდაპირ შემონახულია სცენის ფრაგმენტები, რომელიც ბანაში ქორწილს გადმოსცემდა, ხოლო ამ ორ სცენას შორის წარმოდგენილი ყოფილა „ვედრება“ — მარცხნივ ღმრთისმშობელი, მარჯვნივ იოვანე ნათლისმცემელი, ხოლო შუაში მაცხოვარი (გრძელი გაშლილი გრაგნილით ხელში, რომელზედაც მოთავსებულია წარწერა — სურ. 7)⁸⁶. ასევე, ტაძრის მოხატვის კტიტორის — ჯოჯიკის (შეიძლება, კიდევ ერთი პირის) გამოსახულებები⁸⁷.

მხატვრობის ფრაგმენტები შემორჩენილია ტაძრის სამხრეთის გალერეის აფსიდაში, რომლის შესახებ ქვემოთ იქნება აღნიშნული.

გ. *ექსტერიერი (ფასადები, მათი მორთულობა; სამხრეთის გალერეა)*. ტაძრის გარეთა მასები რთული, მრავალ ნაწილად დაყოფილი, ამავე დროს მსუბუქი და მაღლა ატყორცნილი შედგენილობისაა. დღემდე შემორჩენილია ოდნავ შეისრული გუმბათის ძველი გადახურვა, რომელიც წითელი და ყვითელი ჭიქურით დაფარული კრამიტისაგან შედგება. გადახურვის ქვემოდან პირველი რიგი, რომელზედაც, ალბათ, ჯვრის გამოსახულებანი (შეიძლება — წარწერით) ანტიფიქსები იქნებოდა, მთლიანად შემომტვრეულია. გადახურვა ერთ ადგილას — ჩრდილო-დასავლეთის მხარეს, ჩანგრეულია.

გუმბათის ყელი მაღალია⁸⁸, მას 24 ერთეულისაგან შედგენილი თაღების რიგი უელის გარშემო. თითო თაღის გამოტოვებით თითო მაღალი და განიერი სარკმელია გაჭრილი — ე.ი. სულ 12. თაღების შეწყვილებული სვეტების იმპოსტები და კაპიტლები უხვადაა მოჩუქურთმებული სხვადასხვა ცხოველთა და მცენარეთა გამოსახულებებით და გეომეტრიული ორნამენტით. სარკმელებს თავზე ადგას დიდი ზომის, გოლგოთაზე აღმართული წითელი საღებავით შესრულებული თითო ჯვარი (სურ. 8) (ე. თაყაიშვილი, რატომღაც, ამ ჯვრებს შავი საღებავით შესრულებულად მიიჩნევს⁸⁹).

ტაძრის *აღმოსავლეთი ფასადი* (სურ. 4) სხვადასხვა სიმაღლის შვიდი მძლავრი კამარით ცალკეულ ნაწილებად დაყოფილი. მაღალი ცენტრალური თაღის ორივე მხარეს ღრმა და განიერი ნიშებია. აქ მოთავსებულია თითო სარკმელი, რომლებიც ორნამენტებითაა შემკული. თავისი ზომებით, მორთულობით და მდებარეობით

⁸⁶ წარწერის ტექსტი, რომელშიც იოვანე ნათლისმცემელი მიმართავს მაცხოვარს, ასეთია: „კრ(ა)ვო ღ(მრ)თ(ი)ს(ა)ო, | ს(ო)ფლისა ც(ო)დვ(ა)თა ამ(ხ)მ(ე)ლო, | გ(ე)ვ(ა)დრ(ე)ზი, ვ(ი)თარც(ა) | წ(ი)წ(ა)მ(ო)რ(ბ)ედი და მ(ე)გ(ო)ბ(ა)რი, იხილე უძლ(ურ)ებ(ა)ა გ(ო)წ(ე)ბ(ი)ს(ა)ა, რ(ომელიც)ა შ(ე)მოსე; უღზინე | მ(ე)ოხ(ე)ბ(ი)თა, ვ(ი)თარც(ა) ღ(მრ)თ(ი)ს მ ...“. წარწერის დასასრული, შელესილობის დაზიანებისა და ჩამოშლილობის გამო, ნაკლებია. შდრ. ი. 1, 29: „ხვალისაგან იხილა იესუ, მომავალი მისა, და თქუა: აჰა კრავი იგი ღმრთისაა, რომელმან აღიხუნეს ცოდვანი სოფლისანი“. გიორგი მთანმიდლისეული რედაქციით: „კრავი ტარიგი; აღიხური რედაქციით: აღიხუნეს ალკოცნეს.“

⁸⁷ ე. *კრეიალოვა*, ზოგიერთი შენიშვნა, გვ. 10.

⁸⁸ ე. თაყაიშვილის მიხედვით გუმბათის ყელის სიმაღლე 6.48-ია, ხოლო რადიუსი — 5.66მ. მთლიანად გუმბათის სიმაღლეა 6.84მ (ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია, გვ. 42).

⁸⁹ ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია, გვ. 42.

ფასადზე გამოირჩევა ცენტრალური სარკმელი, რომელსაც გვერდებზე და ზემოდან განიერი მოჩუქურთმებული არშია შემოუყვება, ხოლო თავზე განიერი, ორნამენტირებული წარბი აქვს შემოვლებული. წარბის ზემოთ, სარკმლის ლიობის ასწვრივ, ჩასმულია თავმომტვრეული ცხოველის (ვერძი, ხარი, ლომი?) სკულპტურა. მაღლა, ცენტრალური თაღის კეხს ქვემოთ, ფრონტონში ჩასმული ყოფილა რელიეფი საერო პირის გამოსახულებით. სწორედ მის ორივე მხარეს იყო მოთავსებული ის ცნობილი წარწერა „...ათსა ნელსა აშენებდა“, რომელიც ტაძრის მშენებლობის დათარიღების ერთ-ერთი საფუძველია. უკვე კარგა ხანია, რაც არც ეს რელიეფი და არც მისი წარწერა არსად ჩანს (სურ. 21). კედელში მის ადგილას ღრმა და განიერი ლიობია განგრეული.



სურ. 8. ფერწერული ჯვარი ტაძრის გუმბათის ყელზე.

ოშკის ტაძარში მთავარი *სამხრეთის ფასადია*. მნახელი სწორედ მას აღიქვამს პირველად, ერთბაშად და მთლიანად. ცხადია, ეს გათვალისწინებული ჰქონდათ ტაძრის შემქმნელებს და მთელი ყურადღება მის მორთულობაზე გადაუტანიათ; ხოლო ეს მორთულობა ერთი სიტყვით შეიძლება დახასიათდეს, როგორც საზეიმოდ ზეაღმტაცო. ამას ჰქმნის მთელი ფასადის მორთულობის დომინანტი — სხვადასხვა სიმაღლის თაღების „უნწყვეტი“ რიტმი. თვით დასავლეთის ნავის სარკმლების დიდი ზომის, განიერი და ერთ სიმაღლეზე განლაგებული ფართო წარბები ამ რიტმშია ჩართული. მთელი ფასადის სარკმლების ლიობსა და წარბს შორის მარაოსებრად განლაგებული წითელი საღებავის განიერი ზოლები ამ რიტმის გაძლიერების სამსახურშია. მაგრამ ზეატყორცნილ იერს და საზეიმო განწყობილებას, ცხადია, პირველ რიგში, განაპირობებს სამხრეთი ნავის ფასადის სხვადასხვა სიმაღლის, მიჯრით ურთიერთმონაცვლე ვიწრო და წაგრძელებული თაღები (სურ. 3). ამ თაღების ნაწილად აღიქმება ფასადის ცენტრალური სარკმლის შემომზღუდავი განიერი და უხვად

მოჩუქურთმებული წარბი, რომელიც საერთო რიტმშია ჩართული და გარდამავალი საფეხურია გვერდით თალებსა და ცენტრალური თალის ნახევარწრეს შორის. თალების საერთო რიტმში აღიქმება პორტიკის თალოვანი ლიობიც, რომელიც კამარნარის ცენტრშია განლაგებული, სხვებზე დაბალია, მაგრამ რომლისგანაც, როგორც მარაოს კვანძიდან იწყებს, თითქოს, განშლას, განფენას მთელი ფასადის თაღნარი.



სურ. 9. მთავარანგელოზების რელიეფი ტაძრის სამხრეთ ფასადზე.


ფასადი ზომიერადაა მორთული დიდი ოსტატობით შესრულებული რელიეფებით სამხრეთი ნავის ცენტრალური სარკმლის წარბის ზემოთ ჩასმულია პერალდიკური გამოსახულება — ანფასში და გაშლილი ფრთებით წარმოდგენილ არწივს მძლავრი კლანჭებით უჭირავს აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ განოლილი ცხოველი (ასეთივე გამოსახულებაა ხახულის ტაძარზე, სამხრეთი ფასადის შეწყვილებული სარკმლის ზემოთ. ხომ არ არის ეს ტაოს ბაგრატიონთა საგვარეულო ემბლემა?), ხოლო ამ გამოსახულების ზემოთ — სხვადასხვა ზომის წყვილი მთავარანგელოზები, ასევე ანფასში, მაგრამ ერთმანეთისკენ ოდნავ მიბრუნებით, რაც მათ დინამიურობას ანიჭებს. მთავარანგელოზების ფეხებთან ნითელი საღებავით მიწერილია მსხვილი, შორიდანაც კარგად აღქმადი ასომთავრული განმარტებითი წარწერები — მარცხნივ „მ(ი)ქ(ა)ელ“, მარჯვნივ — „გ(ა)ბ(რი)ელ“. წარწერები იმდენად ლამაზია, თვალშისაცემი და ეფექტური, რომ უდავოა მათი მხატვრული დატვირთვის ფუნქცია (სურ. 9).

ჩანს, რომ ტაძრის მთავარი შესასვლელიც სამხრეთის მხრიდან იყო. ამიტომაც აქ მისთვის პორტიკი მიუდგამთ. იგი შედარებით მცირე ზომისაა და ქუთაისის ბაგრატიის ტაძრის განიერ, საზეიმო და მართლაც დიდებულ პორტალებს ვერ შეედრება. ოშკის ტაძრის პორტიკი უხვადაა ჩუქურთმებით მორთული. მათ შორის ყურადღებას იპყრობს სამხრეთ-აღმოსავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი სვეტების მცენარეული ორნამენტები, რომლებიც ქვაზე მოულოდნელად წყდება და სამხრეთ-დასავლეთის სვეტზე სიმაღლეში წითელი საღებავით გრძელდება. როგორც ჩანს, ეს გამიზნულადაა და მხატვრული ჩანაფიქრია, თუ გავითვალისწინებთ სხვადასხვა ფერის საღებავის უხვად გამოყენებას ტაძრის მოსართავად (ე. თაყაიშვილი თვლის, რომ ეს საღებავით წინასწარ მომზადებული ჩუქურთმის კონტურებია, რომელიც ამოჭრას შემთხვევით გადაურჩა — გვ. 38).

სამხრეთის ფასადი გამორჩეულია იმ უნიკალური *გალერეით*, რომელიც დასავლეთის მკლავის მთელ სიგრძეზეა განლაგებული (სურ. 2). იგი დაყოფილია ოთხ მონაკვეთად, რომლებიც თალებით, ხოლო მათ ზემოთ ზიგზაგური გადახურვითაა შემოზღუდული. გალერეის ექსტერიერის ოთხი თაღოვანი ლიობი ინტერიერშიც ერთმანეთთან თალებითაა დაკავშირებული, რომლებიც გალერეას ოთხ კვადრატულ ოთახად პყოფს. ასე წარმოქმნილია პარალელური სვეტების და ნახევარსვეტების მწკრივი, რომლებიც ერთმანეთზე გადასროლილი თალების მთელ ქსელს ქმნიან. ასევე, მეტად „უღერადია“ ოთახების გადახურვა შიგნიდან, რომელიც ერთმანეთთან ტრომპებით და აფრებით დაკავშირებულ, ჯვრულად და ვარსკვლავისებურად ჩალაგებულ ქვებითაა შექმნილი.

გალერეის ოთხივე სვეტი ფიგურული რელიეფებით და დეკორატიული ჩუქურთმებით უხვადაა მორთული. მათ შორის გამორჩეულია დასავლეთის კიდის რეანახნავა სვეტი (სურ. 10). მის კაპიტელზე ყოველ მხარეს გამოსახულია ანგელოზები, მთავარანგელოზები, ქერუბიმები, სერაფიმები და ტეტრამორფები (ანუ, „ანგელოზნი ოთხხატულნი“, როგორც მის განმარტებით, წითელი საღებავით შესრულებულ ნარწერაშია აღნიშნული). გარდა ამისა, სვეტის ნახნაგებზე, უხვად განტოტვილ მცენარეულ ორნამენტებს შორის, ჩასმული იყო ვედრების მცირე ზომის, მაგრამ დიდი ექსპრესიით აღბეჭდილი გამოსახულება (სურ. 28), ხოლო მის ქვემოთ — მთელი ტანით და მავედრებლის პოზაში, ტაძრის მშენებლობის ხელმძღვანელის გრიგოლის მცირე ზომის ფიგურა მუხლმოყრით და გვერდულად (სურ. 14). ვედრების ორივე მხარეს ნახნაგებზე გამოსახულია წმ. მკურნალები კოზმან და დამიანე, აგრეთვე, წმ. ნინო (სურ. 13). სვეტის თავზე ჩადგმულია წმ. სვიმონ მესვეტის წელზევით გამოსახულება. ორივენი — ზეალმართული ხელებით ადორაციის პოზაში. სამწუხაროდ, ვედრების კომპოზიციის, გრიგოლის და წმ. ნინოს გამოსახულებები დღეს სვეტიდან მოჭრილია (ტაბ. 39). ეს ვანდალური აქტი 2000 წელს მოხდა.

სამხრეთ გალერეის აფსიდაში შემორჩენილია ფრესკული მხატვრობის ფრაგმენტები. ისინი ჯერ კიდევ ე. თაყაიშვილის, ხოლო შემდეგ ვ. ჯობაძის მიერ იქნა შემჩნეული. ე. პრივალოვას აღწერით იგი ასეთია: „შუაში, საყდარზე მჯდომი ჩვი-



სურ. 10. რვანახნავა სვეტი სამხრეთ გალერეაში (დ. უინფოლდის მიხ.).

ლენი ღმრთისმშობელი გაირჩევა, მისგან მარცხნივ ფრამენტულად შემონახული ანგელოზის გამოსახულებაა, ფრთების ძალიან ფაქიზი და დელიკატური ნახატი⁹⁰.

სამხრეთი ფასადის მეორე გამორჩეული მონაკვეთია მისი აღმოსავლეთი ნაწილი. იგი პასტოფორიუმის სამხრეთი კედელიცაა. მთელი კედლის სიგანე შემოზღუდულია გრანდიოზული თაღით, რომელშიც მოქცეულია ცენტრში ვედრების კომპოზიცია და მის ორივე მხარეს, მისკენ მიმართვით კტიტორები ჯვარგუმბათოვანი ეკლესიის მოდელით ხელში — მარცხნივ დაყით მაგისტროსი და მარჯვნივ ბაგრატი ერისთავთა ერისთავი. კტიტორები ოთხკუთხა ნიშნებშია. მათ მხრებზე მოსხმული აქვთ გრძელი, კოჭებამდე დაშვებული, მდიდრული, უხვად ორნამენტირებული, ოქრომკედით ნაქარგი მოსასხამები (სურ. 26,27; ტაბ. 37,38). ოქრომკედით ნაქარგობა აქ ტანსაცმლის მორთულობის ცალკეული დეტალების ოქროსფერი გაფერადებით იყო გადმოცემული, ხოლო კომპოზიციის გაფერადებაში გამოყენებული ყოფილა დღეს უკვე მთლიანად გადასული და მხოლოდ აქაიქ შემორჩენილი ნითელი (მთელი ფონი), ვარდისფერი (ღმრთისმშობლის მაფორიუმი), ლურჯი (იოვანე ნათლისმცემელი?) და თეთრი (ქრისტეს გამოსახულება?) საღებავი, როგორც ეს პირველად ვ. ჯობაძემ შეამჩნია⁹¹. ცხადია, ეს კომპოზიციას ქვიშაქვის ოქროსფერი კედლის, ხოლო მთლიანად ტაძარს ტაო-კლარჯეთის ლურჯი ცის და ხასხასა მწვანე ფერის მიდამოს ფონზე, ბრწყინვალე, საზეიმო და ნარულელი შთაბეჭდილებით გადმოსცემდა⁹².

კომპოზიციას რამდენიმე ვრცელი ნარწერა ახლდა. დღეს ისინი თითქმის მთლიანად გადასულია. მათ ქვემოთ ცალკე დავუბრუნდებით. კომპოზიციის შემადგენელი ფიგურები ძალზე დაზიანებულია: ჩამოვარდნილია ფილა ღმრთისმშობლის გამოსახულებით, რომელიც იქვე კუთხეში დევს (ტაბ. 35), თითქმის მთლიანად გამოქარულია ფილა მაცხოვრის გამოსახულებით, ასევე დაზიანებულია იოვანე ნათლისმცემლის გამოსახულებაც (ტაბ. 36). შედარებით კარგადაა მოღწეული კტიტორების ფიგურები, თუმცა, მათაც სახისა და მთლიანად თავის არე შემომტყრეული აქვთ. გამოსახულებათა ქვემოთ კედელი დიდ ნაწილზე განგრეულია. ვედრების ამ უძველეს რელიეფურ გამოსახულებას⁹³ ქვემოთ კიდევ დავუბრუნდებით.


ტაძრის დასავლეთი ფასადი გამოირჩევა სადა და ერთდროულად მონუმენტური გაფორმებით. კედლის ცენტრში დიდი ზომის შეწყვილებული სარკმელია ქვემოთ გახსნილი, მოჩუქურთმებული ორმაგი ლილვებით, რომლებიც მხატვრულად დამუშავებულ განიერ ბაზისებზე (იმპოსტებზე) დგას. სარკმლების შემომ-

⁹⁰ ე. პრევალოვა, ზოგიერთი შენიშვნა, გვ. 10.

⁹¹ W. Djavadze, The Donor Reliefs, p. 40; ვ. ჯობაძეს, ოპიის ტაძარი, გვ. 17, შენ. 7.

⁹² შდრ. ლ. ხუსკივაძე, ოპიის სკულპტურულ „ვედრებათა“ თავისებურებების შესახებ, „საქართველოს სიძველენი“, 3, 2003, გვ. 62, 81; ი. გვიათაშვილი, ი. კობლაძაძე, ტაო-კლარჯეთი, გვ. 168.

⁹³ იხ. აქვე, დამატება I, შენ. 5.



სურ. 11. რვანახნაგა სვეტის ნახნაგი ვედრების და გრიგოლის გამოსახულებით (დ. უინფილდის მიხ.).

ზღუდავი თაღები მორთულია მსხვილი სქელფოთლოვანი ჩუქურთმით, რომელთა შორის, თაღების ცენტრში, ჩასმულია რელიეფები: მარცხნივ -- ხარის და ლომის ორთაბრძოლა, მარჯვნივ -- სამი ფასკუნჯი; ამათგან ორი ერთმანეთის პირისპირ და კიდევ ერთი — მარცხენა ფასკუნჯის უკან (სურ. 12). სარკმლებს ზემოდან, შორიდან შემოუყვება გრანდიოზული ზომის, ნწული, გეომეტრიული ორნამენტით დაფარული ნარბი. ნარბსა და სარკმელს შორის სივრცე შევსებულია მარაოსებრად განლაგებული წითელი და თეთრი საღებავის განიერი ზოლებით. სარკმლებს ზემოთ, ნარბის თაღზე მიბრჯენით, ჩასმულია სვიმონ მესვეტის წელზევით გამოსახულება. კედლის ფრონტონში მოთავსებული იყო მოჩუქურთმებული ჯვარი, რომლის ფუძეც შედგებოდა მტევნებით შემკული სამი კამარისაგან. ამჟამად ჯვარი გადმონგრეულია.

ტაძრის ჩრდილოეთი ფასადი, ხუროთმოძღვრული ფორმებით იმეორებს სამხრეთის ფასადს პორტიკის გამოკლებით. მისი ადგილი აქ არც არის, რადგან, როგორც ტაძრის მდებარეობის აღწერისას აღინიშნა, ტაძრის ჩასადგმელად საგანგებოდ მოჭრილი კლდე აქ ახლოსაა და დარჩენილი ფართობი 2.5 მეტრია. ამის გამო, ჩრდილოეთ ფასადის ქვედა ნახევარი შედარებით მოკრძალებულადაა მორთული. მიუხედავად ამისა, შუა სარკმლის ნარბი აქაც მდიდრულადაა ორნამენტირებული, ხოლო ამ სარკმლის ორივე მხარეს, ზედა ნაწილში, კამარის დონეზე, მარცხნივ ლომის და მარჯვნივ ხარის პროფილში გამოსახული რელიეფებია. ლომი თავდასხმისთვის გამზადებულ პოზაშია ნარმოდგენილი. ცხოველთა ორთაბრძოლის რელიეფი ჩასმულია ამ ფასადის დასავლეთის სარკმლის ქვემოთაც.

ჩრდილოეთ ფასადის მორთულობასთან დაკავშირებით ე. თაყაიშვილს საინტერესო დაკვირვება აქვს, რომელიც დღესაც ძალაშია: «ამ ნაწილის განსაკუთრებული დეკორი იმით აიხსნება, რომ მთის ფერდობი ამ მხრით მაღალია და აქედან სულ ახლო და კარგად ჩანს ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი; კარგად ჩანდა, ალბათ, ეს მხარე საოსტიგენე-

სემინარიის აივანიდანაც და ამიტომაც ეს ნაწილი და ნამეტნავად კი გუმბათის ყელის ჩრდილო-აღმოსავლეთი მხარე ერთობ მდიდრულად და საუცხოოდ არის შემკული“. „საოსტიგნე-სემინარია და მათი აივანი სულ ახლოს უცქერის განიერს გუმბათის ყელს. ნამეტნავად ახლოა ეს ნაწილი და თითქოს ხელით მისაწვდომია“⁹⁴.

ტაძრის ჩრდილოეთით განლაგებული იყო სემინარია, საოსტიგნე-სატრაპეზო, სკიპტორიუმი და ზოგიერთი სხვა სამეურნეო ნაგებობა, რომლებიც დღეს ნანგრევებადაა გადაქცეული.



სურ. 12. ტაძრის დასავლეთ სარკმლის მორთულობა.

⁹⁴ ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია, გვ. 42.

4. ოშკელი მოღვაწეები, ოშკური ხელნაწერები.

ოშკი არამარტო ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლია, არამედ იგი ქართული კულტურის, კერძოდ, მნიგნობრობის შესანიშნავი კერა იყო. სამწუხაროდ, ოშკში შემოქმედებითი საქმიანობა დავით კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ, როგორც ჩანს, დიდ ხანს არ გაგრძელებულა XI ს-ის შემდეგ იქ შექმნილი ნაწარმოებების, ან გადაწერილი ხელნაწერების შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. თუ რა იყო მიზეზი ოშკის შემოქმედებითი ძალების ასე სწრაფად დაშრეტისა, უცნობია. შეიძლება ეს ამ დროს თურქ-სელჯუკთა შემოსევებს და ამ მხარის აოხრებასაც უკავშირდებოდეს, როგორც ამას ადგილი აქვს ტაო-კლარჯეთის სხვა მნიგნობრობის კერების შემთხვევაში. ამის ერთ-ერთი მიზეზი, უთუოდ, ისიცაა, რომ მნიგნობრობის ცენტრებმა ტაო-კლარჯეთიდან სხვა ადგილებში (ათონის მთა, იერუსალიმი...) გადაინაცვლა. მართალია, ოშკთან დაკავშირებული ნერილობითი ძეგლები, კერძოდ, ძველი ქართული ხელნაწერები, ცოტაა ცნობილი, სულ რამდენიმე ცალია, სამაგიეროდ, ისინი ქართულ ხელნაწერთა ოქროს ფონდს განეკუთვნებიან — სხვა რომ არაფერი, 978-979 წწ. გადაწერილი ოშკის ბიბლიის მონუმენტური ხელნაწერი რად ღირს.

ოშკელ მოღვაწეებს შორის პირველ რიგში უნდა დასახელდეს ტაძრის (შესაძლებელია სხვა ნაგებობებისაც, ანუ საერთოდ მთელი სამონასტრო კომპლექსის) მშენებლობის ხელმძღვანელი *გრიგოლი*. ცნობები მის შესახებ შემოუნახავთ ოშკის წარწერებს. იოვანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძრის სამხრეთის მთავარი შესასვლელის არქიტრავის ნითელი საღებავით შესრულებულ ასომთავრულ წარწერაში, რომელიც საერთოდაც ოშკის მთავარი წარწერაა (ტაბ. 47-49), ვრცელი შესავალი ნაწილისა და კტიტორთა დასახელების შემდეგ, აღნიშნულია: „და მე, გრიგოლ, ღირს მყო ღმერთმან მსახურებასა ამას მათსა ღმრთისა მიმართ და მე ვიყავ საქმესა ზედამდგომი. და არწმუნა ღმერთმან გონებასა მათსა ერთგულობაჲ ჩემი მონისა მათისაჲ“⁹⁵. ე.ი. აქ გრიგოლი თავის თავს უწოდებს „საქმესა ზედამდგომს“, რაც, როგორც ზემოთაც აღინიშნა, თანამედროვე გაგებით ნიშნავს სამუშაოთა ხელმძღვანელს.

2003 წლის 7 ნოემბერს ოშკში აღმოჩენილ დავით მეფის სტელის წარწერაში, რომელიც 966 წლის ახლო დროით უნდა დათარიღდეს (იხ. ქვემოთ), გრიგოლის შესახებ აღნიშნულია: „და გრიგოლ, ხატის ამის აღმმართველი და ეკლესიის ამის მშრომებელი, დაიცევ ორსავე ცხორებასა, მარჯუენით შენსა ღირს ყავ“ (იხ. აქვე, წარწერა 7). აქაც, გრიგოლი ხატის აღმმართველს (დამდგმელს) და ეკლესიის „მშრომებელს“ უწოდებს თავის თავს. საუბარია სტელაზე გამოსახულ ღმრთისმშობლის ჩვილედ ხატზე („ნიკოპეა“), რომლის წელზევითი გამოსახულების ქვემოთ წარმოდგენილია დავით მეფის ასევე წელზევითი ფიგურა (ტაბ. 8-11).

⁹⁵ M. Brosset, Inscriptions géorgiennes et autres, p. 7; *ე. თაყაიშვილი*, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია, გვ. 47; *W. Djabadze*, The Georgian Churches of Tao-Klarjet', p. 126; *მისივე*, Early medieval Georgian monasteries, p. 133. ამ გრიგოლის, შტედომით, ტაძრის ხუროთმოძღვრად მიიჩნევენ ნ. ჩუბინაშვილი (*Н. Чубинашвили*, *САНДЖИ*, Тб., 1972, с. 117-118).



სურ. 13. წმ. ნინოს გამოსახულება რვანახნაგა სვეტზე (დ. უინფილდის მიხ.)

იგივე გრიგოლი გამოსახულია ტაძრის სამხრეთი გალერეის რვანახნაგა სვეტის ერთ-ერთ ნახნაგზე ვედრების რელიეფური სკულპტურის ქვემოთ, მარჯვნივ. აქ იგი წარმოდგენილია მთელი ტანით, მუხლმოყრით, მავედრებლის პოზაში, ვედრების გამოსახულებისაკენ (სურ. 11, 14). როგორც ჩანს, ე. თაყაიშვილის დროს (1917) ჯერ კიდევ კარგად იყო შემორჩენილი ნითელი საღებავით შესრულებული, დღეს უკვე თითქმის მთლიანად გადასული ასომთავრული წარწერა, რომელიც ამ გამოსახულებას ახლდა: „ქრისტე, შეიწყალე მონაა შენი გრიგოლ“⁹⁶. ე. თაყაიშვილი ამ გამოსახულების შესახებ აღნიშნავს, რომ იგია „ტაძრის მშენებლობის გამგის, გრიგოლ ოშკელისა“.

როგორც ჩანს, იგივე გრიგოლია დასახელებული ოშკის ტაძრის კიდევ ერთ ქვაზე ამოკვეთილ წარწერაში, რომელიც მოთავსებულია ტაძრის აღმოსავლეთ აფსიდის სარკმლის ზემოთ, სადაც მას გადასხმული აქვს ნითელი საღებავი. საინტერესოა, რომ წარწერის ტექსტის ქვემოთ, სარკმლის წარბის ორივე მხარეს, მეტად დახვეწილი გრაფიკით, მოზრდილად და კარგი პროპორციებით, ამოკვე-

⁹⁶ ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია, გვ. 40. წარწერის პირველი სიტყვა მხედრულ ტრანსლიტერაციაში ე. თაყაიშვილის აღნიშნული აქვს, როგორც „ქნ“, ე.ი. „ქ(რისტე)მან“, ხოლო გახსნილია, როგორც „ქრისტე“. ვფიქრობ, პირველი ვარიანტიც, მოუხედავად იმისა, რომ სხვაგან მას ანალოგი არ მოეპოვება, დასაშვებია. ე. თაყაიშვილი შენიშნავს, რომ სიტყვაში „გრიგოლ“ „ლასის“ წინ მერმინდელი ხელით მიმატებულია, ალბათ უვიცი მნახველის მიერ ასო „ნარი“ (იქვე, სქ. 1).

თილია — მარცხნივ თორმეტქიმიანი ბორჯღალი და მარჯვნივ წრეში ჩასმული სოლომონის ვარსკვლავი⁹⁷. წარწერის ბოლოს ნათქვამია: „დაიცვენ მამამ მიქაელ და მამამ იოვანე და გრიგოლ ყოვლისაგან ბოროტისაგან“⁹⁸ (სურ. 20; ტაბ. 45). ე. თაყაიშვილი თვლის, რომ ეს სწორედ ის გრიგოლია, რომელიც ტაძრის სხვა წარწერებშია დასახელებული, ხოლო მამამ მიქაელ და მამამ იოვანე „ეგებ მისი თანამემნენი იყვნენ“⁹⁹. მაგრამ, ეს რომ ასე იყოს, თანამემნეები, ე.ი. დახმარებები გრიგოლზე წინ დასახელებულები არ იქნებოდნენ, თანაც ისინი „მამებად“ იწოდებიან. როგორც ჩანს, ერთიც და მეორეც მონასტრის ხელისუფლები იყვნენ ერთ-ერთი წინამძღვარი, ხოლო მეორე მოძღვარი; ან შესაძლებელია ორივე წინამძღვარი. პარხლის ერთ-ერთ წარწერასთან დაკავშირებით აკი თვითონ წერს ე. თაყაიშვილი — საქართველოში დიდ მონასტრებს ზოგჯერ ორ-ორი წინამძღვარი ჰყავდათ ხოლმე და ორიდან ერთი მთავარ წინამძღვრად ითვლებოდაო¹⁰⁰.

ე. თაყაიშვილი იმასაც წერს, რომ ეს გრიგოლი შეიძლება იყოს სწორედ ის გრიგოლი, რომელიც ცნობილია, როგორც მთარგმნელი გრიგოლ ღმრთისმეტყველის ზოგი ნაშრომისა¹⁰¹, მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ეს ასე არ არის.

მამასადამე, სხვა წყაროებით ჩვენთვის უცნობი ეს გრიგოლი, რომელიც ნამდვილად არაა ტაძრის ხუროთმოძღვარი, კტიტორთა მიერ დიდად დაფასებული ყოფი-

⁹⁷ W. Djobadze, *Early medieval Georgian monasteries*, pl. 182, fig. 38. სოლომონის, ანუ დავითის ექვსქიმიანი ვარსკვლავის გამოსახულება, გარდა ომკის ტაძრისა, მოიპოვება ტბეთის, დოლისყანის და სხვ. ტაძრების კედლებზე. ისინი ამ ტაძრების მაშენებელ ბაგრატიონთა ბიბლიური წარმომავლობის სიმბოლოებია. ცნობილია, რომ ბაგრატიონთა დედაბირივი წარმოშობის თეორიაა შორეული საფუძვლები აქვს და იგი ასახულია ქართულ, სომხურ და ბიზანტიურ წყაროებში (*პ. ინგოროყვა*, გიორგი მერჩულე, გვ. 81-82; *მ. ლორთქიფანიძე*, ლეგენდა ბაგრატიონთა წარმოშობის შესახებ, კრ. „კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები“, თბ., 1966, გვ. 144-149; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 452-453).

⁹⁸ ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია, გვ. 51-52; W. Djobadze, *Early medieval Georgian monasteries*, p. 134-135. ორივე გამოცემაში ნაცვლად „დაიცვენ“ ნაკითხულია „დაიცვენ“; ასევე, ნაცვლად „ყოვლისაგან“, „ყოველთა“. წარწერის ბოლოს მის შემსრულებელს ომკის ნაცვლად ამოუკვეთია ომკი. აქ უნდა ეწეროს „ყოვლისაგან ბოროტისა, ამენ“, ხოლო წერია — „ყოვლისაგან ბოროტისაგან“.

⁹⁹ ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია, გვ. 52.

¹⁰⁰ ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია, გვ. 91. პარხლის ტაძრის ამ წარწერის შესახებ, რომელშიც პირველად იხსენიება საქართველოს ეკლესიის მეთაური პატრიარქის ტიტულით X ს-ის ბოლოს, იხ.: *ვ. სილოგავა*, პატრიარქი X საუკუნის საქართველოში (პარხლის წარწერა), წგნ.: ნათელი ქრისტიანი საქართველო, I, თბ., 2003, გვ. 298-303. იხ. აქვე, *დანართი*. პარხლის ამ წარწერაშიც მონასტრის ორი წინამძღვარია დასახელებული — გიორგი ლალუელი (ე. თაყაიშვილის ნაკითხვით — ლოღელი) და იოვანე. ე. თაყაიშვილი მათ თანადროულ მოღვაწეებად მიიჩნევს, მაგრამ წარწერაში პირველის სულის შეწყალებაზე აღნიშნული (ე. თაყაიშვილი ამ ადგილს განსხვავებულად კითხულობს), ე.ი. იგი გარდაცვლილი ყოფილა წარწერის შესრულების დროს, რომელსაც ტექსტში მოიხსენიებს მეორე, ალბათ, მისი მომდევნო წინამძღვარი (დანართლებით იხ.: *ვ. სილოგავა*, იქვე, გვ. 300-301).

¹⁰¹ ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია, გვ. 51.

ლა, რომ მას მიეცა უფლება ტაძრის სამ წარწერაში თავისი თავის დასახელებისა (აქედან ორი წარწერა ყველაზე ვერცელი და მთავარი წარწერაა) და ტაძრის მორთულობის მხრივ უმნიშვნელოვანეს სვეტზე თავისი გამოსახულების მოთავსებისა.



სურ. 14. გრიგოლის გამოსახულება
რეაწახნაგა სვეტზე (დ. უინფილდის მის.).

ე. თაყაიშვილის მიერ შემჩნეულ და დღეს უკვე თვალსმიფარებულ ერთი წარწერის მიხედვით¹⁰², რომელიც შესრულებული ყოფილა ნითელი საღებავით და მოთავსებული იყო ტაძრის სამხრეთი ფასადის შუა, ცენტრალური თალის ქვემოთ, გრიგოლი, თითქოს, შემონახვებულა. ასევე, მას ბიზანტიის იმპერატორების ბასილი II-ისა (976-1025) და კონსტანტინე VIII-ის (1025-1028) მიერ ოშკის ტაძრის ხელმეორედ გადახურვაში მიუღია მონაწილეობა. ამავე წარწერის ბოლოს დასახელებულია „გალატოზი იესე“, რომელიც ტაძრის თავდაპირველი მშენებლობის ხუროთმოძღვარი არ უნდა იყოს და რომელსაც, როგორც ჩანს, კავშირი ჰქონდა ტაძრის ამ ხელმეორედ გადახურვასთან. წარწერას, ბასილი იმპერატორის ცოცხლად მოხსენიების გამო, ე. თაყაიშვილი 1022-1025 წწ. ათარიღებს (1022 წ. იმერ-ტაო და, მაშასადამე, ოშკიც, ასევე, მასთან ერთად ხახულიც, ბიზანტიის ხელში გადავიდა¹⁰³; ამიტომ-

მაც აწარმოებს აქ სამშენებლო სამუშაოებს ბიზანტიის უმაღლესი ხელისუფლება). თუ ეს გრიგოლი ტაძრის თავდაპირველი მშენებლობის გრიგოლია, მაშინ გამოდის, რომ მას საკმაოდ დიდ ხანს უცოცხლია — სულ ცოტა 60 წლის მანძილზე (963-1023) ჩართული ყოფილა მონასტრის სამშენებლო სამუშაოებში; იგი მოსწრებია არა მარტო ბაგრატ ერისთავთა ერისთავის († 966), დავით კურაპალატისა († 1001) და ბაგრატ III-ის († 1014) მეფობასა და გარდაცვალებას, არამედ გიორგი I-ის (1014-1027) მეფობასაც.

ჩვენთვის ცნობილი დანარჩენი ოშკელი მოღვაწეები მნიგნობრობასთან და ხელნაწერების გადანერასთანაა დაკავშირებული.

¹⁰² ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია, გვ. 54.

¹⁰³ ამჟამად ითვლება, რომ ზავი ბიზანტიასა და საქართველოს შორის დაიდო 1023 წელს (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979, გვ. 178; Очерки истории Грузии, т. III, Тб., 2002, с. 97), რაც კიდევ უფრო ავიწროებს წარწერის თარიღს 1023-1025 წწ.

როგორც აკად. კ. კეკელიძე წერს, „ოშკის ლავრაში, რომელიც X ს-ის ქართული მწერლობის პირველხარისხოვან ცენტრად ითვლებოდა, უნდა ემოღვაწოს იმ გრიგოლს, რომელიც ოშკელის სახელითაა ცნობილი ჩვენს ლიტერატურაში“¹⁰⁴. მართლაც, XI ს-ის ერთ დიდი ზომის ხელნაწერში (A-87, 416 ფ.), რომელიც გრიგოლ ღმრთისმეტყველის თხზულებათა კრებულია, მის ერთ-ერთ თხზულებას („საკითხავი, თქმული... გრიგოლი ღმრთისმეტყველისაჲ, სამხილებელი არიანოსთა და ევენუმთანოსთა ბოროტად უწესობისაჲ“) მიწერილი აქვს: „გრიგოლ უშკელისა თარგმნილი“¹⁰⁵. იგივე თხზულება, ოღონდ განსხვავებული რედაქციისა, მოთავსებულია 1800 წელს იოანე ოსეს ძის გადაწერილ გრიგოლ ღმრთისმეტყველის თხზულებათა ასევე დიდ კრებულში (A-292, 407 ფ.), სადაც მისი სათაურია — „ვენომთანოსთა მიმართ და ღმრთისმეტყულებისათჳს წინაგანმჭობა“¹⁰⁶. ამ უკანასკნელს მოეპოვება ეფრემ მცირის შენიშვნა, რომელშიც ნათქვამია:

„ლოცუა ყავთ წმიდანო და ქრისტეს მოყუარენო ეფრემისთჳს თარგმანისა, რომლისა მიერ მეორედ ითარგმნა ესე საკითხავი, რამეთუ ნეტარისა გრიგორი ოშკელისა მიერ სომხურისაგან თარგმნილი, ესე ოდენ ვჰპოვე. ხოლო მე, სომხურისა წილ ბერძულისაგან კუალად მეორედ ვიიძულე თარგმნად, რამეთუ სომეხისა შვლისა, ბერძენისა შვლისშვლისაჲ, ნუ უკუე და არა უეჭველსა, თვთ უეჭვი და საკუთარი შული აღვირჩივე. შემინდევით ცთომისათჳსცა და კადრებისა“¹⁰⁷.

მამასადამე, ამ ცნობის მიხედვით, ეფრემ მცირეს (XI ს.) ბერძნულიდან ხელახლა უთარგმნია ქართულად გრიგოლ ღმრთისმეტყველის ეს თხზულება, რადგან მანამდე არსებული ბერძნულიდან სომხურად თარგმნილის ქართული თარგმანი: „სომეხისა შვლისა, ბერძენისა შვლისშვლსაჲ... თვთ უეჭვი და საკუთარი შული აღვირჩივე“-ო.

მამასადამე, გვაქვს გრიგოლ ღმრთისმეტყველის ამ თხზულების ორი თარგმანი: ერთი, შესრულებული X ს-ში გრიგოლ ოშკელის მიერ სომხურიდან (A-87, 387r-393v) და მეორე, შესრულებული XI ს-ში ეფრემ მცირის მიერ ბერძნულიდან (A-292, 359r-367v)¹⁰⁸.

¹⁰⁴ კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი პირველი, თბ., 1980, გვ. 170.

¹⁰⁵ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია, ტ. I, 1, შეადგინეს და დასაბუთდად მოამზადეს: თ. ბრეგვაძემ, მ. ქავთარიამ და ლ. ქუთათელაძემ, ელ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1973, გვ. 308. გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ხელნაწერები აღწერა, შესავალი და საძიებლები დაურთო თამარ ბრეგვაძემ, თბ., 1988, გვ. 102.

¹⁰⁶ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია, ტ. I, 3, შეადგინეს და დასაბუთდად მოამზადეს: თ. ბრეგვაძემ, მ. ქავთარიამ და ლ. ქუთათელაძემ, ელ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1980, გვ. 186 (№30). გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 175 (№30).

¹⁰⁷ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია, ტ. I, 1, გვ. 189 (ანდერძ-მინაწერები გ); გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 175.

¹⁰⁸ კ. კეკელიძის მიხედვით, „ეს თხზულება სამჯერ ითარგმნა ქართულად: პირველად X ს-ის გასულს გრიგოლ ოშკელის მიერ სომხური ენიდან, მეორედ ბერძნულიდან — ექვთიმე მთაწმინდელისა და ეფრემ მცირის მიერ“ (იხ. მისი, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 482).

კ. კეკელიძის დაკვირვებით, ასევე გრიგოლ ოშკელის თარგმნილი უნდა იყოს გრიგოლ ღმრთისმეტყველის კიდევ ერთი თხზულება — „ქებაა და შესხმაა ნეტარისა კესარიოს ძმისა თუხისაა“, რომელიც მოთავსებულია იმავე ხელნაწერში (A-87, 394r-415v), რომელშიც პირველი თხზულებაა¹⁰⁹.

მაშასადამე, X ს-ში ოშკში უმოღვანია სხვა წყაროებით ჩვენთვის უცნობ ვინმე გრიგოლ ოშკელს, რომელსაც ქართულ მწერლობაში მიენერება გრიგოლ ღმრთისმეტყველის ორი თხზულების ქართულად თარგმნა¹¹⁰.

როგორც ჩანს, დაარსებისთანავე ან მასთან ძალზე ახლო დროს ოშკში ჩამოყალიბდა მძლავრი სკრიპტორიუმი. ამის მაჩვენებელია X ს-ში ოშკში გადაწერილი სამი ბრწყინვალე ხელნაწერი — „სამოთხე“ (977 წ.), ბიბლია (978 წ.) და „იოვანე ოქროპირის ცხოვრება“ (979-980 წწ.), რომლებიც ამჟამად ათონზე, ქართველთა მონასტრის წიგნთსაცავში ინახება. ხოლო ათონზე ისინი ინახება გადაწერისდროიდანვე, რადგან შეიქმნენ ამ მონასტრის ერთ-ერთი დამაარსებლის — იოვანე თორნიკე-ყოფილის, ანუ უფრო თორნიკე ერისთავის სახელით ცნობილი მოღვაწის დაკვეთით.

ოშკში გადაწერილ ხელნაწერებს შორის დღეს ცნობილებიდან უძველესია „სამოთხე“ (ათ.9.)¹¹¹. ესაა დიდი ზომის (34,7X28 სმ), ეტრატის 377 ფურცელზე გადაწერილი ხელნაწერი, რომელიც ასკეტიკურ-ჰომილეტიკური კრებულია. მასში შესულია *იოვანე ოქროპირის*, *ბასილი კესარიელის*, *ეფრემ ასურის*, *საჰაკ მონაზენის*, *მარკოზ მონაზენის* და *მარტვილი მონაზენის* თხზულებები — სულ 42 ნაწარმოები¹¹². მისი აღწერილობა გამოქვეყნებულია სამჯერ¹¹³, რომელთაგან მე-სამე ყველაზე სრულია — თითოეულ ნაწარმოებთან მითითებულია ბიბლიოგრაფია და, რაც მთავარია, ამ აღწერილობაში პირველად ქვეყნდება მთლიანად ხელნაწერის ანდერძი¹¹⁴. იგი ვრცელია, შედგება რამდენიმე ნაწილისაგან; მოვიყვან მხოლოდ ნაწყვეტებს, რომლებიც შეიცავენ ცნობებს ხელნაწერის მომგებელთა, გადაწერის ადგილის, გადამწერის და თარიღის შესახებ:

¹⁰⁹ კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 171, 264, 271, 482. „ქებაა და შესხმაა“ მოთავსებულია XI ს-ის კიდევ ერთ ხელნაწერში — S-1696, 256v-270v, სადაც იგი ბოლონაკლულია (კ. კეკელიძე, იქვე, გვ. 271; ე. გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი აგიოგრაფია, თბ., 2003, გვ. 251. ეს თხზულება რომ A-87-შიც მოიპოვება, აქ მითითებული არ არის).

¹¹⁰ გრიგოლ ოშკელის თარგმანების შესახებ დამატებით იხ.: ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნაკ. II, თბ., 1962, გვ. 449; ი. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X სს-ში, თბ., 1944, გვ. 035, 0199.

¹¹¹ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონის კოლექცია, ნაკვ. I, თბ., 1986, გვ. 34-49 (აღწერილია *ნესტან ჩხიკვაძის* მიერ).

¹¹² მამათა სწავლანი. X და XI ს-თა ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ილია აბულაძემ, ა. შანიძის რედაქციით (ძველი ქართული ენის ძეგლები, 9), თბ., 1955, გვ. XII-XIV.

¹¹³ A. Шапелли, Сведения о памятниках грузинской письменности, вып. I, СПб., 1886, №69. R.P. Blake, Catalogue des manuscrits géorgiens de la Laure d'Iviron au Mont Athos, Paris, 1932-1934, №9; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია, ნაკ. I, № 9.

¹¹⁴ ელ. მეტრეველი, ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან, თბ., 1996, გვ. 11.

„მე, იოვანე თორნიკ-ყოფილმან, და ძმამან ჩემმან იოვანე ვარაზვაჩე, ძეთა სულკურთხეულისა ჩორღვანელისათა, მოვიგეთ და აღვწერეთ წმიდაჲ ესე წიგნი, რომელსა ეწოდების წმიდათა მამათა მიერ *სამოთხე*, სალოცველად და საიდებულად, პირველად, ძლიერისა და ღმრთისმსახურისა მეფისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატისა და ეთისათვის“.

„გადიანრა წმიდაჲ ესე წიგნი დიდებულსა ლავრასა ოპქსა, საყოფელსა წმიდისა ნათლისმცემლისასა, მამაობასა საბაქსა, ქრისტემან აკურთხენ! კელითა სტეფანე დეკანოზისაჲთა და მისითავე კელითა შეიმოსა, ღმერთმან აკურთხენ! ქრონიკონი იყო რჳჳ“¹¹⁵.

ხელნაწერი ათ.9 („სამოთხე“) კოდიკოლოგიური თვალსაზრისით საგანგებოდ შესინავლა აკად. ელ. მეტრეველმა¹¹⁶. მისი დაკვირვებები მრავალ მნიშვნელოვან კულტურულ-ისტორიულ დასკვნას შეიცავს. აღვნიშნავ რამდენიმე უმთავრესს:

„ოპქის სამოთხე“ (ათ.9) გადაიწერა სტეფანე მწერლის მიერ ოპქში 977 წელს. ხელნაწერის შემკვეთი და ოპქის სკრიპტორიუმის სამწერლობო საქმიანობის გამგებელი იმ დროს იყო იოვანე ვარაზვაჩე, ძე ჩორღვანელისა, ძმა იოვანე-თორნიკესი. ხელნაწერი გადაიწერა იოვანე-თორნიკეს მონაწილეობის გარეშე, რომელიც იმ დროს ტაოში არ იყო — 973 წლიდან ის ათონზე, ათანასეს ლავრაში მოღვაწეობდა. 978 წლის ზაფხულში თორნიკე დაბრუნდა ტაოში და ჩამოიტანა ბიზანტიის ეკისართა წერილები დავით მეფისადმი თხოვნით ქართველთა ლაშქრის გაგზავნის შესახებ სკლიაროსის წინააღმდეგ საბრძოლველად. 979 წლის 24 მარტს ბარდა სკლიაროსის დამარცხების შემდეგ თორნიკე ბრუნდებოდა ტაოში დიდი ალაფით. ბიზანტიის კურართაგან იგი ლებულობს სვინგელოზის ტიტულს¹¹⁷, ხოლო დავით მეფე — კურაპალატისას. ამ დროს მათი ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე გადაწყდა ათონზე ქართველთა დამოუკიდებელი მონასტრის აშენება. თორნიკემ მონასტრისათვის საძმოს გამრავლებისა და საჭირო ხელნაწერების მოპოვების თადარიგი დაიჭირა. ამ დროსვე შეირჩა ათონზე გასაგზავნად „სამოთხის“ ხელნაწერი (ათ.9) და გადაწყდა მას დართოდა მომგებლის, იოვანე-თორნიკეს ახალი ანდერძი. ამ მიზნით ხელნაწერს მოსცილდა უკანასკნელი ფურცელი გადამწერის სტეფანეს თავდაპირველი ანდერძით და დემატა სამი ფურცელი, რომელიც მთლიანად ახალ, მომგებლის ანდერძს დაეთმო. ამ ანდერძს დავით კურაპალატი და თორნიკე დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებდნენ — მას უნდა უკვდავყო მათი ღვანლი ბიზანტიის სამეფო კარის გადარჩენის საქმეში. ახალი ანდერძის დასაწერად შატბერდის სახელმძღვანელო სკრიპტორიუმიდან (იქ შეიქმნა დავით კურაპალატის ზეობაში *მიქაელ მოდრეკილის იადგარი, პარხლის ოთხთავი, შატბერდის კრებულო*) მოიწვიეს ცნობილი მწიგნობარი, მიქაელ მოდრეკილის დისწული დავითი. მან დაკისრებულ

¹¹⁵ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია, ნაკვ. I, გვ. 47.

¹¹⁶ ელ. მეტრეველი, ჩორღვანელთა დიდი სახლის ისტორიისათვის, იხ. მისი, ნარკვევები, გვ. 7-16.

¹¹⁷ სპეციალურ ლიტერატურაში თორნიკეს მიერ სვინგელოზის ტიტულის მიღების თარიღად აღნიშნულია 979/980 წწ. (Actes d'Iviron, I, Des origines au milieu du XIe siècle, édition diplomatique par J. Lefort, N. Oikonomides, D. Papachryssantou avec la collaboration d'Helène Mitrévič, Texte, Paris, 1985, გვ. 8, შენ. 2, გვ. 23, შენ. 5, გვ. 93.

ამოცანას შესანიშნავად გაართვა თავი. ანდერძის ტექსტი პოლიტიკური დოკუმენტია და ჩორდვანელთა ფეოდალური სახლის ისტორიის უმნიშვნელოვანესი პირველწყაროც¹⁸. მაგრამ ეს საკითხი ჩვენი კვლევის ფარგლებს სცილდება.

ჩვენთვის ამჟამად მნიშვნელოვანია, რომ 973-979 წწ. ოპკის სკრიპტორიუმს ხელმძღვანელობდა და მის საქმიანობას წარმართავდა *იოვანე ვარაზეაჩე* — ჩორდვანელთა ფეოდალური სახლის წარმომადგენელი. მონასტრის წინამძღვარი იყო *საბა*, დეკანოზი *სტეფანე*. ცნობილია ამ დროს მონასტრის სკრიპტორიუმში მოღვაწე ორი მწიგნობრის სახელი — *სტეფანე*, რომელიც ამავე დროს დეკანოზიც იყო და *დავითი*, თავდაპირველად შატბერდელი მოღვაწე, დისწული სახელგანთქმულ მიქაელ მოდრეკილისა.

ოპკში გადაწერილი სადღეისოდ ცნობილი ქრონოლოგიურად მომდევნო ხელნაწერია ბიბლია (ათ. I, 978-979 წწ.)¹⁹. იგი დიდი ფორმატის (44,5X32,3 სმ), ეტრატზე ნუსხა-ხუცურით გადაწერილი, ორ ტომად აკინძული ხელნაწერია (I. 531 ფ., II. 423 ფ., სულ 954 ფ.) (სურ. 15, 16).

მიუხედავად იმისა, რომ ხელნაწერი ძალზე ნაკლებია — მას აკლია რამდენიმე ათეული რვეული, ცალკეული ფურცლები, მასში მაინცაა ბიბლიის 31 წიგნი — 21 I ტომში და 10 — II ტომში.

ეს წიგნებია: 1. „წიგნი პირველი, დაბადებისა“, 2. „წიგნი მეორე გამოსლვათა“, 3. „წიგნი მესამე, ლევიტელთა“. აქ ხელნაწერს აკლია 27 რვეული. 4. „წიგნი მეშვიდე, მსაჯულთა“, 5. „წიგნი მერვე, რუთისი“, 6. „წიგნი მეცხრე, იობისი“, 7. „წინაწარმეტყულებია ესაიასისი“, 8. „წინაწარმეტყულებია იერემიასისი“, 9. „ბარუქისი“, 10. „გოდება იერემიასისი“, 11. „ლოცვა, გოდებანი“, 12. „ლოცვა — წიგნი სამოციქულო“, 13. „წინაწარმეტყულებია ეზეკიელისი“, 14. „წინაწარმეტყულებია დანიელისი“, 15. „წიგნი ეზრა ზორობაბელისი“, 16. „ეზრა ზორობაბელისი“, 17. „სიტყუანი ნაუმისნი, ძისა აქაზისნი“, 18. „წიგნი ეზრა სუთიელი“, 19. „წიგნი ესთერ მარდოქსი“, 20. „წიგნი ივდიითი“, 21. „ტობი“. აქდან იწყება II ტომი: 22. „პირველი თავი მეფეთა“, 23. „მეორე თავი მეფეთა“, 24. „წიგნი მეფეთა თავი მესამე, სოლომონისი“, 25. „წიგნი მეფეთა, თავი მეოთხე“, 26. „აგავნი სოლომონისნი“, 27. „ეკლესიასტე“, 28. „ქება ქებათა“, 29. „სიბრძნე სოლომონისი, პანა-

¹⁸ ელ. მეტრეველი, ნარკვევები, გვ. 9-11.

¹⁹ არსებობს ხელნაწერის სამი აღწერილობა: 1. *A. Цацели, Сведения, вып. I, №2; 2. R.P. Blake, Catalogue, №1; 3. წიგნი ძუელისა აღთქუმისანი, ნაკვ. I, შესაქმისაა, გამოსლვათაა ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს პ. გვიგინიშვილმა და ც. კიკიძემ. გამოკვლევა ბაქარ გვიგინიშვილისა, თბ., 1989, გვ. 559-572 (აღწერილობა, რომელიც შეიცავს ხელნაწერში ბიბლიის წიგნთა განლაგების სრულ და დაწვრილებით ტოპოგრაფიას და გამოცემათა ბიბლიოგრაფიას, შედგენილია ნ. გოჯუაძის მიერ). 1849 წელს ხელნაწერი ათონიდან თბილისში ჩამოიტანა პლატონ იოსელიანმა (1809-1875). აქ იგი გადაიწერა ორ ცალად: სამეგრელოს მთავრის დავით დადიანისთვის (S-422) და თბილისის სიონის ტაძრისათვის (A-471). ამის შემდეგ ხელნაწერი ათონს დაუბრუნდა (ლ. მენაბდე, კერები, I, ნაკვ. II, გვ. 451. *А. А. Барамидзе, А. I. Ватинишвили, П. И. Иоселиани. Очерк жизни и научно-общественной деятельности. Тб., 1978, с. 132-134*). ხელნაწერის ერთი გვერდის ფერადი ფოტო იხ. წიგნში: *Treasures of Mount Athos, B'edition, Thessaloniki, 1997, p. 622, № 203*.*

რეტოსი“, 30. „სიბრძნე ისუ ზირაქისი“, 31. „წიგნი ათორმეტთა წინანარმეტყუელთა: შსესი, იოველისი, ამოსისი, აბდიაასი, იონაასი, მიქეაასი, ნაუშისი, ამბაკუშისი, სოფონიაასი, ანგეაასი, ზაქარიაასი, მალაქიაასი“.

ამ ძვირფასი ხელნაწერის მომგებელია იოვანე თორნიკ-ყოფილი:

„მე, ოივანეს ორნიკ-ყოფილმან, ძემან სულკურთხეულისა ჩორ დეანელისამან, მოვიგე წმიდაჲ ესე წიგნი მეფეთაჲ, სალოცველად თავისა ჩემისა და ძმათა ჩემთა და შვილთა ჩემთათჳს და მოსაქსენებელად სულისა ყოველთა მიცვალებულთ ჩემთასა“¹²⁰.

ხელნაწერი გადაწერილია სამი მწიგნობრის მიერ. ერთ-ერთ მათგანს — სტეფანეს იგი აუკინძავს და ყდაში ჩაუსვამს. ამის შესახებ აღნიშნულია იმავე სტეფანეს ხელით ჩაწერილ დასკვნით ანდერძში:

„დაინერა წმიდაჲ ესე წიგნი კელითა სამთა მწერალთაჲთა: მიქაელისითა, გეორგისითა და სტეფანესითა. ჩუენთჳსცა ლოცვა ყავთ, წმიდანო ღმრთისანო, ამენ.“

ოდეს ესე წიგნი დაინერა ქრონიკონი იყო რჳჴ.

შეიმოსა კელითა გლახაკისა სტეფანესითა. ლოცვასა მომიკსენეთ, წმიდანო ღმრთისანო, მთანმიდელნო“¹²¹.

ამ ანდერძის ბოლო წინადადებიდან, რომელშიც მიმართვაა მთანმინდელეებისადმი, ჩანს, რომ ხელნაწერი საგანგებოდ შეიქმნა ათონის ქართული საეპისკოპოსოსისთვის. ხოლო იგი რომ ოშკში გადაინერა, ჩანს იმავე სტეფანეს ხელით დაწერილი ასომთავრული ანდერძიდან, რომელიც მოთავსებულია „წიგნი მეფეთაჲ, თავი მეოთხე“ -ს ბოლოს:

„დაინერა წმიდაჲ ესე წიგნი ლაერასა შინა ოშკს, საყოფელსა წმიდისა ნათლისმცემლისასა, სალოცველად სულკურთხეულისა თორნიკეს ჳნგელ-ზისათჳს და შვილთა მისთა. მოწყალო ღმერთო, უხვად მიანიჭე წყალობაჲ შენი სულსა მათსა“¹²².

ამ ანდერძის გაგრძელებაზე ნუსხურით დაწერილ სხვა ანდერძში, რომელიც ხელნაწერის ერთ-ერთ გადაწერს მიქაელ ვარაზვაჩეს ძეს ეკუთვნის, კიდევ ერთხელაა მიმართვა მთანმიდელეებისადმი, როგორც ხელნაწერის მომავალი მფლობელებისადმი („წმიდაო მამანო მთანმიდელნო, გლახაკი ამის მშრომელი ლოცვასა წმიდასა მომიკსენეთ“)¹²³.

როგორც აღინიშნა, ხელნაწერი მთავარი ანდერძის მიხედვით გადაწერილია 978 წელს, ხოლო მასზე მიწერილ რამდენიმე მოსახსენებელში (მათ შორის, ზოგიერთ ზემოთმოყვანილშიც) თორნიკე, იგივე იოვანე თორნიკ-ყოფილი, მოხსენიებულია სვინგელოზის ტიტულით, რომელიც მან მიიღო 979 წლის 24 მარტის, ანუ ბარდა სკლიაროსზე გამარჯვების შემდეგ. ამან ეჭვი დაბადა მკვლევართა ერთ

¹²⁰ წიგნი ძუელისა აღთქუმისანი, გვ. 571.

¹²¹ იქვე.

¹²² იქვე, გვ. 567.

¹²³ იქვე.

ნაწილში (*პ. პეტერსი, ნ. აკინიანი, ნ. აღონცი*¹²⁴) ხელნაწერის ანდერძთა და მოსახსენებელთა ავთენტურობაზე ჩორდევანელთა ფეოდალური სახლის გენეალოგიის დასადგენად. აკად. ელ. მეტრეველმა, ისევე, როგორც „სამოთხე“, ოშკის ბიბლიაც საგანგებოდ შეისწავლა კოდიკოლოგიურად, რამაც შესაძლებლობა მისცა გაერკვია ის შეუსაბამობანი, რომელიც წარმოშობილი იყო ხელნაწერის გადაწერის თარიღსა და მისი მომგებლის მიერ ტიტულების მიღების ქრონოლოგიას შორის. მისი დასკვნები ასეთია:

„სამოთხისაგან“ განსხვავებით, რომლის შექმნის თავდაპირველი ინიციატორი იყო თორნიკეს ძმა იოვანე ვარაზვაჩე, ოშკის „ბიბლია“ თორნიკეს შეკვეთით შესრულებული ნიგნია. მან 979 წლის გაზაფხულამდე, ე.ი. ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ გალაშქრებამდე, ოშკის სკრიპტორიუმში ორი ხელნაწერის გადაწერა შეუკვეთა — ბიბლიის და „იოვანე ოქროპირის ცხოვრების“. ბიბლიის უზარმაზარ ხელნაწერზე სამი მნიგნობარი მუშაობდა — მიქაელი, გიორგი და სტეფანე. მათ ხელნაწერი ოთხ დამოუკიდებელ მონაკვეთად გადაწერეს. მთელი ხელნაწერის ანდერძში, რომელიც სტეფანეს დაწერილია, ხელნაწერის გადაწერის თარიღად 978 წელია მითითებული. აქ ყველგან თორნიკე ჯერ კიდევ პატრიკი(ოსი)ს ტიტულით მოიხსენიება. ხელნაწერის ცალკე პლასტია „მეფეთა ნიგნები“, რომლებიც სტეფანეს გადაწერილია და ისინი ხელნაწერის თავდაპირველ შემადგენლობაში არ შედიოდა — ისინი სტეფანეს უნდა გადაეწერა, რომელიც ჯერ „სამოთხის“ გადაწერით იყო დაკავებული. ხელნაწერის თავდაპირველი და ახალი პლასტების გადაწერას შორის განვლო არა ნაკლებ ერთმა წელმა. დროის ამ მონაკვეთში მოხდა მნიშვნელოვანი მოვლენები — თორნიკემ ბარდა სკლიაროსი დაამარცხა და სვინგელოზის — ბიზანტიის უმაღლესი სასულიერო ტიტული მიიღო. საჭირო იყო ამ ფაქტის ხელნაწერში დაფიქსირება, რაც აისახა კიდევ სტეფანეს მიერ ჯერ კიდევ გადაწერის პროცესში მყოფ „მეფეთა ნიგნებში“. ამას კი ადგილი 979 წლის 24 მარტის შემდეგ ექნებოდა. საჭირო იყო ამ ახალი რეალობით აღზეჭდილი „მეფეთა ნიგნების“ უკვე შეკრულ ხელნაწერში მოთავსება. იგი ჩაერთო იქ სადაც ეს მისთვის ტექნიკურად მოსახერხებელი იქნებოდა. ასე აღმოჩნდა იგი არატრადიციულ ადგილას „ძველი ალექსის“ ნიგნების რიგში. ამან გამოიწვია ის, რომ იოვანე თორნიკე-ყოფილი ხელნაწერის სხვადასხვა ანდერძ-მოსახსენებელში ჯერ პატრიკის, შემდეგ სვინგელოზის და შემდეგ კვლავ პატრიკის ტიტულით იხსენიება.

ჩვენი საკითხისათვის მნიშვნელოვანია ის, რომ ოშკის მონასტერში, „სამოთხის“ გადამწერ-შემქმნელების სტეფანესთან და დავითთან ერთად, მოღვაწეობდნენ „ბიბლიის“ გადამწერი მნიგნობრები: უკვე ნაცნობი *სტეფანე*, რომელიც დეკანოზიც იყო, *გიორგი*, ანუ გეორგი, რომელიც „იგავნი სოლომონისნის“ ტექსტის ბოლოს ჩანერილი მოსახსენებლის მიხედვით გელასის ძე ყოფილა („დაესრულა იგავთა კელითა გლახაკისა გიორგი გელასის ძისაჲთა“¹²⁵) და *მიქაელი*, რომელიც „IV მეფეთა“ ნიგნის ბოლოს მოთავსებული ჩანაწერის მიხედვით სკრიპტორიუმის ხელმძღვანელის, თორნიკეს ძმის, იოვანე ვარაზვაჩეს ძე ყოფილა

¹²⁴ საკითხის გარშემო ლიტერატურის დასახელება და კრიტიკული განხილვა იხ.: ელ. მეტრეველი, ნარკვევები, გვ. 6, 21.

¹²⁵ ნიგნი ძუელისა ალექუმისა, გვ. 568.

(„ქრისტე, მინენე ერთავე სუფევათა შინა მიქაელ, ძე ვარაზეაჩესი“¹²⁶). ამ მიქაელს მეცნიერთა ნაწილი (*კ. კეკელიძე, ლ. მენაბდე*) მიქაელ მოდრეკილთან აიგივებს და მიიჩნევს, რომ დიდ სანელინდო იადგართან ერთად მას მონაწილეობა მიუღია ოშკის ბიბლიის გადაწერაში¹²⁷. ვფიქრობ, ეს აზრი საფუძვლიანად უარყო ნ. სულავამ სპეციალურ წერილში და დაასაბუთა, რომ მიქაელ მოდრეკილი მოღვაწეობდა კლარჯეთში, შატბერდის მონასტერში, თავის ბიძასთან მამა დავითთან და ძმისწულებთან იოვანე ბერაისთან და დავითთან ერთად. იგი არ არის ოშკის ბიბლიის ერთ-ერთი გადამწერი მიქაელ ვარაზეაჩესი ძე, რომელიც ჩორდვანელთა ჩამომავალი იყო¹²⁸.

ზემოთდასახელებული მწიგნობრების თანამედროვეა კიდევ ერთი ოშკელი მოღვაწე *იოვანე ჩირაა*, რომელსაც გადაუწერია ასევე ათონზე დაცული ხელნაწერი ათ.3. საშუალო ზომის (36X24,7სმ) ხელნაწერი 141 ეტრატის ფურცელზეა დაწერილი¹²⁹. მასში მოთავსებულია ორი თხზულება: 1. გ ი ო რ გ ი ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ი ე ლ ი, ცხოვრება იოვანე ოქროპირისა. 2. კ ო ზ მ ა ნ მ ე ქ შ უ რ ქ ლ ე, აღმოცენებისათვის ნაწილთა იოვანე ოქროპირისათა. ხელნაწერის ანდერძიდან ისე ჩანს, რომ მისი დამკვეთებია თორნიკ სვინგელოზი და მისი ძმა იოვანე ვარაზეაჩე. ელ. მეტრეველის სავესებით სწორი დაკვირვებით, იოვანე ჩირაას ხელნაწერის გადაწერა დაუწყია 978 წელს, როდესაც იოვანე თორნიკ-ყოფილი ატარებდა ჯერ მხოლოდ პატრიკის ტიტულს — ხელნაწერის დასაწყისი გვერდების მინაწერებში იგი ამ ტიტულით იხსენიება („ქრისტე, ადიდე თ ო რ ნ ი კ ე პ ა ტ რ ი კ ი“ — 26r; „ქრისტე, ადიდე პ ა ტ რ ი კ ი“ — 35r), ხოლო დაუსრულებია 979 წლის მარტის შემდეგ, რადგან ხელნაწერის ბოლოს მოთავსებულ ანდერძში თორნიკე სვინგელოზის ტიტულითაა მოხსენიებული¹³⁰. მაშასადამე, ხელნაწერი გადაწერილია 978-979 წლებში და არა 980 წლამდე¹³¹, 980 წელს¹³², ან 979-980 წლებში¹³³, როგორც ეს აღწერილობებშია მითითებული.

ერთგან ათ.3-ის ანდერძში დასახელებულია ოშკის ლავრის წინამძღვარი *საბა*: „დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი ლავრასა შინა დიდებულსა ოშკს, საყოფელსა წმიდისა და დიდებულისა ნათლისმცემლისასა, წინამძღურობასა წმიდისა მამისა ს ა ბ ა ა ს ს ა, ლმერთმან ადიდენ და ცოდვანი შეუნდვენ, კელითა ჩემ გლახაკისა,

¹²⁶ იქვე, გვ. 567.

¹²⁷ ლ. მენაბდე, კერები, წიგნი I, ნაკვ. II, გვ. 453.

¹²⁸ ნ. სულავა, ორი მიქაელი ძველ ქართულ მწერლობაში, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 2003, გვ. 33-51.

¹²⁹ არსებობს ხელნაწერის სამი აღწერილობა: 1. *A. Царели, Сведения, вып. I, №52. R.P. Blake, Catalogue, № 3. 3.* ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია, I, გვ. 28-29, №3 (აღწერილია რ. გვარამიას მიერ). 1915 წელს ხელნაწერი ათონზე გადაუწერია ილია ფანცულაიას (ბანძელს). ხელნაწერის ეს პირი ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში — A-1144 (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია, ტ. IV, გვ. 189-191).

¹³⁰ ელ. მეტრეველი, ნარკვევები, გვ. 22.

¹³¹ *A. Царели, Сведения, вып. I, с. 83.*

¹³² *R.P. Blake, Catalogue, p. 21.*

¹³³ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია, I, გვ. 28.

საწყალობელისა იოვანე ჩირაქსითა¹³⁴.

ესაა ოშკის მონასტრის წინამძღვრად საბას დასახელების მეორე შემთხვევა განხილულ ხელნაწერების ანდერძებში¹³⁵. ელ. მეტრეველის ვარაუდით ეს საბა შეიძლება იყო ოშკის მონასტრის პირველი წინამძღვარი¹³⁶. მაგრამ ოშკის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადის სარკმლის ზემოთ ამოკვეთილ წარწერაში დასახელებულია მამა მიქაელ და მამა იოვანე ტაძრის მშენებლობის ხელმძღვანელ გრიგოლთან ერთად. შეიძლება სწორედ ისინი იყვნენ მონასტრის პირველი წინამძღვრები — ან ორივე ერთად, ან ერთი მეორის მომდევნოდ, შეიძლება პირველი წინამძღვარი, ხოლო მეორე — მოძღვარი. წარწერაში ტაძრის კტიტორები — ბ ა გ რ ა ტ და დ ა - ვ ი თ , ცოცხლებად იხსენიებიან („ადიდენ მეფენი ჩუენნი, მონანი შენნი, ბაგრატი და დავით, ორსავე ცხორებასა შინა“¹³⁷), ამიტომ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, იგი 963-966 წწ. უნდა დათარიღდეს. ამის მიხედვით, 10-11 წლის შემდეგ, 977 წ. (ათ.9) და 978-979 (ათ.3) გადაწერილ ხელნაწერების ანდერძებში დასახელებული მამა საბა, მონასტრის მომდევნო, საეარაულოდ, მესამე წინამძღვარი უფრო უნდა იყოს. ის, რომ მიქაელი და იოვანე ოშკის წარწერაში მხოლოდ მამობით იხსენიებიან და არა პირდაპირ წინამძღვრებად, როგორც ეს პარხლის წარწერაშია, არ ნიშნავს, რომ ისინი წინამძღვრები არ იყვნენ. ამის შესანიშნავი მაგალითია მათ თანადროულ, პარხლის ოთხთავის 973 წლის ანდერძში დასახელებული პარხლის მონასტრის წინამძღვარი ეფთიმე, რომლის შესახებ ნათქვამია: „მამობასა სარწმუნოსა მწყემსისა და კათილად მოლუანისა წმიდისა მამისა ეფთიმესა“¹³⁸. აქ იგი მხოლოდ მამობით იხსენიება, მაგრამ მისი წინამძღვრობა პარხლის მონასტერში უჭკველია. ასევე, როდესაც გრიგოლ ხანძთელი მივიდა ოპიზას, „იყო წინამძღურისა მათისა სახელი ა მ ბ ა გ ი ო რ გ ი , რამეთუ მესამე მამა იყო ოპიზისა, რაათგან ს ა - მ ო ე ლ და ა ნ დ რ ი ა გარდაცვალებულ იყვნეს“ (ქქალძე, I, გვ. 253: 1-3). ამდენად, ოშკის „მამები“ იგივე მისი წინამძღვრები არიან.

ოშკში გადაწერილ ათ. 3-ის ანდერძის განხილვისას ელ. მეტრეველი გამოთქვამს ვარაუდს, რომ ხელნაწერის გადაწერის დროს ოშკის ლავრა ჩორდვანელების დიდი ოჯახის მფლობელობაში იყო¹³⁹. ცოტა ქვემოთ, ნაშრომის სხვა ადგილებში იგი უფრო დაბეჯითებით წერს, რომ „ოშკის ლავრა მისი აშენების დამთავრების დროიდანვე (973 წ.) ჩორდვანელთა დიდი სახლის საკუთარი მონასტერი ყოფილა“¹⁴⁰. ვფიქრობ, ეს მოსაზრება გადასინჯვას მოითხოვს, რადგან

¹³⁴ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია, I, გვ. 29.

¹³⁵ პირველად ოშკის მონასტრის წინამძღვრად საბა დასახელებულია „სამოთხის“ ანდერძში (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია, I, გვ. 47).

¹³⁶ ელ. მეტრეველი, წარკვევები, გვ. 22, შენ. 1.

¹³⁷ ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია, გვ. 51-52; W. Djobadze, Early medieval Georgian monasteries, p. 134-135.

¹³⁸ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია, ტ. V, გვ. 2.

¹³⁹ იქვე, გვ. 23.

¹⁴⁰ იქვე, გვ. 29, 35. ასევე ჩორდვანელთა სახლის საკუთრებად თელის იგი ათონის ქართველთა მონასტერი — ივიროსი, აშენებულს 981-983 წლებში იოვანე თორნიკ-ყოფილი სვინგლოზის ინიციატივით (ე. მეტრეველი, ათონის ქართველთა მონასტერში წინამძღვრის დადგენის წესები (X-XII სს.), „მრავალთავი“, XVI, 1991, გვ. 5).

ოშკის მონასტერი აშენდა მეფეების — ბაგრატ ერისთავთა ერისთავისა და დავით მაგისტროსის (შემდგომ — კურაპალატის) მიერ მათივე საფასით და სურვილით, როგორც მათი და მათი ახლო ნათესავების განსასვენებელი, მემორიალური ტაძარი; ე.ი. იგი სამეფო მონასტერი იყო და კერძო პირების მფლობელობაში, რაოდენ ძლიერები და გავლენიანები არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, ვერ გადავიდოდა. ბოლოს და ბოლოს, გამოდის, რომ სამეფო ოჯახმა 963-976 წლებში იგი ჩორდვანელებისთვის ააშენა, რაც წარმოუდგენელია. ამ საკითხს ქვემოთ კიდევ დავუბრუნდებით.

995 წელს სხვა წყაროებით უცნობ დავით ოშკელს ასევე სხვა წყაროებით უცნობ არქიპოსთან ერთად სტეფანე მტბევარი ეპისკოპოსის შეკვეთით გადაუწერია ტბეთის I სახარება (ინახება პეტერბურგში, მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახ. საჯარო ბიბლიოთეკაში; კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში მოიპოვება მისი როტოპირი: RT, III, № 21). ხელნაწერს რამდენიმე ანდერძი და მინაწერი მოსახსენებელი მოეპოვება. კერძოდ, მთავარ ანდერძში აღნიშნულია:

„დაიწერა წ(მიდა)ჲ ესე წიგნი | ს(ა)ცდ(ა)რსა შ(ინ)ა ტბეთისასა, | ს(ა)ყოფელსა წ(მიდა)თა მ(ო)ც(ი)ქ(უ)ლთ(ა)სა, | დასაბამითგ(ან) გ(ა)რდ(ა)სრ(უ)ლთა | წელთა (შემდეგ ადგილია დატოვებული, მაგრამ თარიღი არაა ჩანერილი), | ქრონიკონსა სიფ (ასომთავრულით, ქარაგმების დასმით), ჴელითა ორთა მწერალ|თაჲთა — დ(ავით) ოშკელის(ა)ჲთა | და გლახაკისა არქიპოსისითა, ქ(რისტემან) მიციცინ | სასყიდელი შრომისა | მათისაჲ სას(უ)ფ(ე)ვ(ე)ლსა. |

და შეიმოსა ჴელითა | ს(ა)ნ(ა)ტრელისა მღდლისა სტეფანესითა. ქ(რისტემან) აკუ(რთხენ) ყ(ოველ)ნი მოლუანენი ამის წიგნისანი“¹⁴¹.

ეს დავითი დასახელებულია ხელნაწერის კიდევ ორ მინაწერ-მოსახსენებელში, ოღონდ „ოშკელობის“ გარეშე: 1) „ქ(რისტე), შ(ეინყალე) ც(ოდვილი) მ(წერალი) დ(ავით)“¹⁴²; 2) „დაესრულა წმიდაჲ ესე სახარებაჲ ჴელითა ცოდვილისა დავითისითა. ლმერთო, წყალობით მოიწესენე სული მისი“¹⁴³.

აღსანიშნავია ისიც, რომ იოვანე მტბევარს ხელნაწერი მოუგია „სალოცველად ღ(მრ)თივგკ(რ)გვნოსანთა მეფეთა ჩ(უენ)თა | დ(ავით) კ(უ)რ(ა)პ(ა)ლ(ა)ტისა და

¹⁴¹ ნუსხა-ხუცურით შესრულებული ანდერძი (თარიღის აღმნიშვნელი ასოები (სიფ) — ასომთავრული) მოთავსებულია 305წ-ს მარჯვენა სვეტში; გამოცემულია ორჯერ (A. Цагарели, СВЕДЕНИЯ, I, с. 20; ი. იმნაიშვილი, ტბეთის ოთხთავი, გვ. 105), ორივეჯერ ხარვეზებით — ა. ცაგარელთან დავით ოშკელისათა ნაცვლად იკითხება დავით გლახაკისათა (რუსულ თარგმანში ეს სიტყვა გამოტოვებულია), ხოლო ი. იმნაიშვილთან პირველი სიტყვა დაიწერა წაკითხულია, როგორც დაესრულა.

¹⁴² A. Цагарели, СВЕДЕНИЯ, I, с. 19; — მოსახსენებლები მოყვანილია შემოკლებით და შეერთებით: „ქრისტე, შეინყალე ცოდვილი მწერალი არქიპოსი, დავითი“ (რუსული თარგმანი არ მოჰყავს).

¹⁴³ ნაწერი მსუბუქად გადაფხეკილ-გადაშლილია. ხელნაწერში მათეს სახარების ბოლოს (88წ, მარცხენა სვეტი) მოიპოვება წერილი ასომთავრულით შესრულებული კიდევ ერთი ჩანაწერი, მაგრამ მასში პირი დასახელებული არ არის: „დ(იდე)ბ(ა)ჲ შენდა ქ(რისტ)ს, ნათელი სოფ(ი)ლსაო. დაესრულა სა|ხარებაჲ მათეს თ(ა)ვისაჲ“ (A. Цагарели, СВЕДЕНИЯ, I, с. 19 — ბოლო სამი სიტყვა მოყვანილია არ არსებული წაკითხვით: „სახარება მათე მც~ქსა“.

გუ|რგენ მეფეთა მეფისა | და ბაგრატ აფხაზთა | მეფისა — დ(იდე)ბ(უ)ლ-მ(ც)ა არიან | სასუფეველსა ცათასა“.

მართალია, ხელნაწერის მთავარ ანდერძში არაორაზროვნადაა აღნიშნული, რომ იგი „დაინერა... საყდარსა შინა ტბეთისასა“, მაგრამ მისი ერთ-ერთი გადამწერი — დავითი, დაკავშირებული ჩანს ოპკის ტაძართან, რადგან მოხსენიებულია, როგორც *ოპკელი*. შეიძლება თავდაპირველად იგი ოპკის სკრიპტორიუმში მოღვაწეობდა და შემდეგ გადავიდა ტბეთში — არ არის გამორიცხული მინვეით საგანგებოდ ამ ხელნაწერის (ტბეთის I სახარების) გადამწერად.

ასევე, ოპკიდან სინის მთაზე გადასულა კიდევ ერთი ოპკელი მოღვაწე *იოვანე*. კერძოდ, სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში 1975 წ. აღმოჩენილ ქართულ ხელნაწერებსა და ხელნაწერთა ფრაგმენტებს შორის გამოვლინდა X ს-ში ეტრატზე გადაწერილი ფსალმუნი (115 ფ.), რომლის მომგებელია *დეკანოზი მიქაელ*, ხოლო გადამწერი — *იოვანე ოპკელი* (Sin. Geo. N15) მისი სახელი, ხელნაწერის შემორჩენილ ნაწილში აღნიშნულია სამჯერ (39r, 68r, 115v), ხოლო ტექსტის ბოლოს, ასომთავრულით დაწერილ ანდერძ-მოსახსენებელში ნათქვამია:

„დაინერა წ(მიდა)ჲ ესე დ(ავი)თი მთასა სინასა, | საყოფელსა წ(მი)დისა ლ(მრ)თისმშობელისასა, ჴელითა ჩემ ცოდეილისა | ი(ო)ვანე ოპკელისაჲთა. წ(მიდა)ნო ლ(მრ)თი(სა)ნო, მომი|ჴს(ე)ნ(ე)თ წ(მი)დ(ა)სა ლ(ო)ცვ(ა)სა თ(ქუენ)სა, ლ(მრ)თისა|თ(კ)ს, და, რ(ომელ)ი დამიკლია, შემინდვეთ“ (115v)¹⁴⁴.

მაშასადამე, X ს-ის ბოლოს სინის მთაზე უმოღვაწია ყოფილ ოპკელს იოვანეს, რომელიც არ ივინყებს თავისი თავდაპირველი მოღვაწეობის ადგილს და ოპკელს უწოდებს თავის თავს.

შეიძლება ითქვას, რომ უკვე X ს-ის ბოლოს ოპკი, არამარტო ქართული ხელნაწერებით, არამედ ხელნაწერთა გადამწერებითაც ამარაგებდა სხვა ქართულ საჯანეებს.

მესტიის მუზეუმში ინახება 1033 წ. ეტრატზე გადაწერილი, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში 1970 წელს რესტავრირებული სახარების (26.5X22 სმ.) ხელნაწერი, რომელიც 312 ფურცლისგან შედგება. იგი გადაწერილია ოპკის ლავრამი იოვანე წინამორბედის სახელობისა. გადამწერია „გლახაკი გაბრიელი, გიორგის ძმისწული“, ხოლო მომგებელია იმხნელი ეპისკოპოსი ილარიონი, ძე მასალისა. როგორც ხელნაწერის ანდერძის გადაფხევილი ადგილებიდან ჩანს, გიორგის ხელნაწერის გადამწერა დაუწესია ილარიონის ბანაელ

¹⁴⁴ სინის მთაზე წმ. ეკატერინეს მონასტერში 1975 წ. აღმოჩენილ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. შეადგინეს: ზაზა ალექსიძემ, მზექალა შანიძემ, ლილი ზევსურიაძემ და მიხეილ ქავთარიამ (ბერძნულ, ქართულ და ინგლისურ ენებზე), ათენი, 2005, გვ. 261, ფოტო — გვ. 524-525). რადგანაც ოპკში სამონასტრო საქმიანობა X ს-ის II ნახ-ში გაიშალა, სინის მთაზე სამოღვაწეოდ გადასული იოვანე ოპკელი ამ დროის და, შესაძლოა, უფრო X ს-ის დასასრულის მოღვაწე იყო. ამიტომ, ხელნაწერ სინა-ახალი კოლექც. 15-ის თარიღი შეიძლება კიდევ უფრო დავიწროოდეც, ვიდრე ეს აღწერილობაშია აღნიშნული (X ს.) და X ს-ის დასასრულით განისაზღვროს.

ეპისკოპოსად ყოფნის დროს და დაუსრულებია მისი იშხნელობისას, ე.ი. დანი-ნაურების შემდეგ¹⁴⁵.

ესა ჩვენთვის ცნობილი ოპკში გადაწერილი ბოლო ხელნაწერი და გაბრიელია ოპკის სკრიპტორიუმის ასევე ჩვენთვის ცნობილი ბოლო წარმომადგენელი. ხელნაწერი შემკულია შესანიშნავი საწინამძღვრე ჯვრით, კანონებით და მახარებელთა მინიატურებით. იგი ერთ-ერთი მდიდრულად გაფორმებული ქართული ხელნაწერია. ჩანს, ოპკის სკრიპტორიუმი იმდენად ცნობილი და კარგი წიგნების დამზადებით სახელგანთქმული ყოფილა დაარსებიდან კარგა ხნის შემდეგაც, რომ მაღალი რანგის სასულიერო პირი აქ უკვე თავს ხელნაწერს.

ამის შემდეგ ოპკი, მნივნილობასთან დაკავშირებით, კიდევ ერთხელ გამოკრება წერილობით წყაროში. კერძოდ, 1080 წელს შავ მთაზე, ეზრას მონასტერში გადაწერილ ფსალმუნთა თარგმანებას (Q-37), რომლის თარგმნა ეფრემ მცირეს ეკუთვნის, დართული ჰქონია ეფრემ მცირისავე ანდერძი¹⁴⁶. მასში ერთგან აღნიშნულია:

„გვედრები ყოველთა, რომელნი მიემთხვეთ [წმიდასა ამას] წიგნსა, ლოცვა ყავთ ზემოკსენებულისა მამისა ს ა ბ ა მ ს [თ ვ ს] ბერისა¹⁴⁷, ე ფ რ ე მ უ მ კ ე - ლ ი ს ა თ ვ ს , მოძღუართა, მშობელთა, [ძმათა] და შეილთა მათთათჳს, რამეთუ მათითა წინაძლომითა და საჭეთმპყრობელობითა და უფროსლა საჭმარითა და წარსაგებელითა ქმნილ არს ყოველივე კეთილი ჩუენ ზედა ღმრთისა მიერ“¹⁴⁸.

მაშასადამე, ეფრემ მცირესთან ერთად, შავი მთის ერთ-ერთ მონასტერში უმოღვაწეა ვინმე *ეფრემ ოპკელს* (უშკელს, როგორც ხელნაწერშია). ცხადია, ისიც მნივნილობრი ყოფილა და გარკვეული თანადგომა აღმოუჩენია ეფრემისთვის, რომელიც ამის გამო მას ანდერძში მოიხსენიებს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ იგი ეფრემის ახლო თანამშრომელი გამხდარა და, შესაძლია, გრიგოლ ოპკელის (ზემოთდასახელებული სომხურიდან მთარგმნელის) შესახებ ცნობაც მას მიენო-დებინოს ეფრემ მცირისთვის¹⁴⁹.

ამის შემდეგ ცნობები ოპკისა და ოპკელი მოღვაწეების შესახებ ქრება საისტორიო წყაროებში. მხოლოდ XVI ს. დასაწყისის საბუთში - კათალიკოსის სამწყსონი თავადნი და სოფელნი სამცხე-საათაბაგოში, აღნიშნულია, რომ „მონასტერი ოპკი, მისთა შესავლითა“ საკათალიკოსო სამწყსოა¹⁵⁰.

¹⁴⁵ სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, ისტორიული საბუთები და სულთა მატიაწეები. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო *გ. სილოგავამ*, თბ., 1986, გვ. 41-42.

¹⁴⁶ ეს ხელნაწერი 1091 წელს, 1080 წლის ეფრემის ანდერძიანად, თავისთვის გადაუწერია კასტანის მონასტერში იოვანე ზუცეს მთავარაბსძეს. სწორედ ამ უკანასკნელმა მოაღწია ჩვენამდე (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, Q კოლექცია, შედგენილი *ელ. მეტრეველისა* და *ქრ. შარაშიძის* მიერ *ილ. აბულაძის* რედაქციით, თბ., 1957, გვ. 44).

¹⁴⁷ ცოტა ზემოთ, ანდერძის ტექსტში აღნიშნულია, რომ ეს საბა ყოფილა სულაას ძე თუხარისელი, ე.ი. წარმოშობით სამხრეთ საქართველოდან.

¹⁴⁸ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, Q კოლექცია, I, გვ. 44.

¹⁴⁹ *ელ. მენაბდე*, *კერები*, წიგნი I, ნაკ. II, გვ. 454.

¹⁵⁰ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. *ი. დოლიძემ*, თბ., 1970, გვ. 244.

5. ოპიკის კუთვნილება, მისი თავგადასავალი

ოპიკის მონასტრის კუთვნილების შესახებ გამოთქმულია ორი თვალსაზრისი:

1. ნ. შოშიაშვილის მიხედვით ოპიკი ბაგრატიონთა ტაოს შტოს წარმომადგენლების — ადარნასე კურაპალატის და მისი ძეების ბაგრატი ერისთავთა ერისთავისა და დავით მაგისტროსის საერთო საგვარეულო მონასტერია¹⁶¹.

2. ელ. მეტრეველის თვალსაზრისით, ოპიკის ლავრა მისი აშენების დამთავრების დროიდანვე (973 წ.) ჩორდვანელთა ფეოდალური სახლის საკუთარი მონასტერი იყო¹⁶². ეს მოსაზრება მას არ დაუსაბუთებია — მხოლოდ განაცხადა, რომ ეს ჩანს ქართული ნარატიული წყაროების და ოპიკში გადაწერილი ხელნაწერების მიხედვით. მართალია, ოპიკში ჩანს ჩორდვანელთა სახლის წარმომადგენელთა მოღვაწეობის კვალი — მათი მონაწილეობა ხელნაწერების გადაწერისა და შექმნის საქმეში (იხ. ზემოთ — ოპიკელი მოღვაწეები. ოპიკური ხელნაწერები), მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ მონასტერი მათი საკუთრება იყო. ჩორჩანელ/ჩორდვანელთა საკუთრება ზარზმის მონასტერი და, საერთოდ, სამცხეში ქვაბლანისწყლის ხეობაში აგებული სხვა ეკლესიები იყო¹⁶³, ისევე, როგორც დიდი ლავრა ათონზე ივირონი.

ოპიკი რომ ბაგრატიონთა სამეფო სახლის ზემოთდასახელებული წარმომადგენლების საკუთარი მონასტერი იყო, ეს თვალნათლივ ჩანს იმ მრავალრიცხოვანი ნარწერებიდან, რომლებიც ტაძრის კედლებზე და ახალაღმოჩენილ სტილებზეა მოთავსებული. უფრო მეტი, ამავე სახლის წარმომადგენლების მიერაა აშენებული და მათივე საკუთრება იყო ტაოს სხვა დიდი მონასტრები — ხახული¹⁶⁴, პარხალი და დავით კურაპალატის მიერ განახლებული ოთხთა ეკლესია.

ოპიკი რომ ჩორდვანელთა ფეოდალური სახლის საკუთრება ყოფილიყო, ან იქ მათ თუნდაც რაიმე სამფლობელო პქონოდათ, ეს უსათუოდ აისახებოდა ოპიკის მრავალრიცხოვან ეპიგრაფიკაში. მაგრამ, მსგავსი რაიმე უცნობია. მართალია, ჩორდვანელები უტრიალებენ ოპიკს — თორნიკეს ძმა ვარაზაჯი აქ, თითქოს სკრიპტორიუმის მუშაობას ხელმძღვანელობს, ხოლო ამ უკანასკნელის შვილი მიქაელი ამ სკრიპტორიუმის ერთ-ერთი გადამწერთაგანია, მაგრამ ოპიკი მათ საკუთრებაში არასდროს ყოფილა. ასე რომ ოპიკის მიკუთვნება ჩორდვანელებისათვის უსაფუძვლოა. ამასთანავე, ტაძრის აღმოსავლეთ ფასადის ქვაზე ამოკვეთილი წარწერის ქვემოთ წრეში მტკაედ თვალსაჩინოდ გამოსახული სოლომონის ვარსკვლავი —

¹⁶¹ ქსკ, I, გვ. 55.

¹⁶² ელ. მეტრეველი, ჩორდვანელთა დიდი სახლის ისტორიისათვის, იხ. მისი, ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან, თბ., 1996, გვ. 23, 29; მისივე, ჩორდვანელთა დიდი სახლი და ივირონი, იქვე, გვ. 35.

¹⁶³ ვ. სილოგავა, ჩორდვანელთა ფეოდალური სახლის ერთი ეპიგრაფიკული ძეგლი (ლაღვის წარწერა), თსუ ახალციხის ფილიალის „შრომების კრებული“, I, 1998, გვ. 149-165.

¹⁶⁴ მაგ., „მატიანე ქართლისაში“ დავით კურაპალატის შესახებ აღნიშნულია: „ამან ალაშენა მონასტერი და საყდარი ღმრთისა, ნმიდა ეკლესია ხახულისა“ (ქ ცა, I, გვ. 274:4).

ბაგრატიონთა ბიბლიური წარმომავლობის სიმბოლო (იხ. ზემოთ, გვ. 45, შენ. 97), კიდევ ერთი არგუმენტია იმის სასარგებლოდ, რომ ოშკის ტაძარი იყო ბაგრატიონთა საკუთრება.

6. შოშიაშვილმა დასვა საკითხი იმის შესახებ, რომ ხომ არ იყო ოშკი და ხახული გაერთიანებული ერთ დიდ მონასტრად, ხახულის საერთო სახელწოდებით, ისევე, როგორც გარეჯის სახელწოდებით გაერთიანებული იყო რამდენიმე მონასტერი, რომელთაგან თითოეულს ამავე დროს თავისი სახელწოდება ჰქონდა. ავტორს ამ მოსაზრების არგუმენტად მოჰყავს ოშკის მოუხსენებლობა საისტორიო წყაროებში, ხოლო მეორე მხრივ — ხახულის მონასტრის, ხახულელის, ხახულარის (ხახულის მხარის ფეოდალ-მემამულის) მოხსენიება, როგორც ნარატიულ, ისე დოკუმენტურ წყაროებში¹⁵⁵. ამ მოსაზრების ერთ-ერთი არგუმენტია ისიც, რომ ეს მონასტრები ერთმანეთის ახლოს მდებარეობენ — ოშკი თორთუმისწყლის მარცხენა სანაპიროზე, ხოლო ხახული — თორთუმისწყლის მარცხენა შენაკადის ხახულისწყლის ხეობაში. ცხადია, არსებითაა ისიც, რომ ორივე აშენებულია ერთ დროს — X ს-ის II ნახ-ში.

ოშკის წარწერებიდანვე ჩანს, რომ დავით კურაპალატის გარდაცვალების (1001 წ.) შემდეგ, როდესაც მისი სამფლობელოების ნაწილი ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში გადავიდა, ოშკსაც (ხახულთან ერთად) პატრონი გამოუცვლია — ტაძრის ერთ-ერთი წარწერის თანახმად¹⁵⁶, იგი „განსრულეულ-იქმნა მეორედ დაბურვითა“ ბიზანტიის იმპერატორების ბასილი II-ის (976-1025) და მისი ძმის კონსტანტინე VIII-ის (1025-1028) მიერ.

1036 წელს ტაძარი მოუხატავს ბიზანტიის სამსახურში მყოფ ქართველ დიდებულს პატრიკ ჯოჯიკს, როგორც ეს საკურთხეველში არსებულ (დღეს უკვე დიდწილად ჩამოშლილ) წარწერიდან ჩანს — მას გაუღია ტაძრის მოსახატავად სახსრები: „... განვაშუენე და შევამკე ტაძარი წმიდისა წინამორბედისა საფასითა სულკურთხეულისა ჯოჯიკ პატრიკისაჲთა“¹⁵⁷, - წერს, როგორც ჩანს, მონასტრის ერთ-ერთი იმდროინდელი წინამძღვარი.

მთელი XI და XII საუკუნე ოშკი და ეს მხარე უცხოელი დამპყრობლების, ჯერ ბიზანტიელების, ხოლო შემდეგ თურქ-სელჯუკების ხელშია. XIII ს-ის დასაწყისში იგი კვლავ გაათავისუფლა საქართველოს სახელმწიფომ — ამისსა შემდგომად აიღეს კარი და ციხენი კარნიფორისა და ვანანდისნი და რაჟისი პირისა ციხენი; და წინა ამისსა ხახული, ოშკი და ბანა ნაელო“ - წერს 1215 წლის („ქრონიკონი იყო ოთხას ოცდათხუთმეტი“) წინა ამბების შესახებ ლაშა-გიორგის დროინდელი მემკვიდრე¹⁵⁸.

XIII-XIV სს. მიჯნაზე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში სამცხე-საათაბაგოს ჩამოყალიბების შემდეგ, ცხადია, აჭაური ეკლესია-მონასტრები, მათ შორის ოშკიც მის შემადგენლობაში მოექცა. აი, რას წერს სამცხის მთავრის ბექა I

¹⁵⁵ ქსე, I, გვ. 46.

¹⁵⁶ *ე. თაყაიშვილი*, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია, გვ. 54, წარწერა VIII; *W. Djbadze*, *Early medieval Georgian monasteries*, p. 140, № 14.

¹⁵⁷ *ე. თაყაიშვილი*, დასახ. ნაშრომი, გვ. 56-57, წარწერა XIV; *ე. ჯობაძე*, დასახ. ნაშრომი, გვ. 140, 11.

¹⁵⁸ ქცა, I, გვ. 368:31-32.

ჯაყელის (1285-1308) შესახებ XIV ს-ის ქართველი ანონიმი ისტორიკოსი ფამ-თაალმწერელი:

„ესე ბექა განდიდებულ იყო და აქუნდა ტასისკარითან ვიდრე სპერამდე და ვიდრე ზღუამდე: სამცხე, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ნიგალისკევი, ხოლო ჭანეთი სრულიად მოსცა ბერძენთა მეფემან კომნინოსმან კირ მიხაილ, და ასული ბექასი ცოლად მოიყვანა; ამასვე აქუნდა უმრავლესი ტაო, არტანი, კოლა, კარნიფორი და კარი. ამათ შორის ქუეყანანი და ციხენი, არტანუჯი და უდაბნონი ათორმეტნი კლარჯეთისანი, და დიდებულნი აზნაურნი, და მონასტერნი, ყოველნი მას აქუნდეს“¹⁵⁹.

XIII ს-ის დასაწყისში საქართველოსთვის ოშკის კვლავ შემოერთების შემდეგ, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი საკათალიკოსო საკუთრება გამხდარა — XVI ს-ის დასაწყისის ერთი დოკუმენტის — „კათალიკოზის სამწყსონი თავადნი და სოფელნი სამცხე-საათაბაგოში“ აღნიშნულია, რომ „მონასტერი ოშკი, მისითა შესავლითა“¹⁶⁰ კათალიკოსის სამწყსოა (იხ. ზემოთ).

1639 წელს თურქეთსა და ირანს შორის დადებული საზავო ხელშეკრულებით სამცხე-საათაბაგო საბოლოოდ გადავიდა თურქეთის შემადგენლობაში¹⁶¹. ცხადია, აქაური ეკლესია-მონასტრებიც მუსლიმურ მფლობელობაში მოექცა. მოგვიანებით ოშკში მეჩეთი გაიხსნა, რომელმაც ტაძარში XX ს-ის 80-იან წლებამდე იარსება¹⁶².

¹⁵⁹ ქცა, II, გვ. 304:7-13.

¹⁶⁰ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 304.

¹⁶¹ მ. რეხვიაშვილი, სამცხის სამთავრო, თბ., 1992, გვ. 96; ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ. 1957, გვ. 375.

¹⁶² ეს მეჩეთი ანუ ჯამე აქ XIX ს-ის II ნახ-ში, კონკრეტულად 1861 წლის შემდეგ ჩანს ჩაშენებული. საქმე ისაა, რომ 1861 წელს ტაძრის (შემდეგში — ჯამეს) სამხრეთი შესასვლელის მარცხნივ ნ. სარგისიანმა დააფიქსირა და გადმოხატა მთელ სიგრძეზე ნითელი საღებავით და მსხვილი ასომთავრული ასოებით 30-ზე მეტ სტრიქონად ჩამოწერილი წარწერა, რომლის მხოლოდ პირველი 14 სტრიქონი იკითხებოდა (M. Bruzzi, *Inscrizioni georgiane et autres*, p. 9, № 2, pl. II, № 2). 1917 წელს ე. თაყაიშვილმა მას ვერ მიაგნო, („ადღეს აღარა ჩანს“ — წერს იგი; ხოლო რუსულად უფრო კატეგორიულად აღნიშნავს — „Надписи, снятой Н. Саргисяном, теперь не существуют“), უკვე თვალსმითარებული იყო და გამოაქვეყნა ნ. სარგისიანისეული გრაფიკული ასლით და მ. ბროსესეული წაკითხვით, რომელსაც ბოლოში აზრობრივად დაამატა ორი სტრიქონი (E. Takahashi, *Археологическая экспедиция 1917-го года*, с. 63-64, № IX; ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია, გვ. 54-55, სურ. 32, № IX). როგორც ჩანს, ჯამეში შესასვლელის მარცხნივ, იქვე, მეტად თვალსაჩინოდ შესრულებული წარწერა, ჯამეს ჩაშენებისას შევსილობით დაფარეს. იგი მხოლოდ XX ს-ის 80-იანი წლების დასაწყისში გამოჩნდა ტაძრიდან ჯამეს გატანის შემდეგ და მას ხელახლა მიაკვლია ვ. ჯობაძემ (*W. Djobadze, Early medieval Georgian monasteries*, p. 137, pl. 184, fig. 41) და იგი ამჟამადაც ადგილზეა (იხ. აქვე, გვ. 98, ტაბ. 46). მაშასადამე, ტაძარში ჯამე 1861-1917 წწ. შორის უნდა იყოს ჩაშენებული და მან დაახლოებით ნახევარ საუკუნეზე ცოტა მეტი იარსება.



სურ. 19. ტაძრის საკურობვეელი მარჯენიე — ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ჩაშენებული ჯამე (დ. ერმაკოვის ფოტო, 1874 წ.).

თავი II. დავით მეფის და ბაგრატ ერისთავთა ერისთავის სტელები ოშკში და მათი წარწერები

2003 წლის 7 ნოემბერს, ოშკის ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთში ჩაშენებული ჯამედან (სურ. 7) დარჩენილი აღმოსავლეთის კედლის (ტაბ. 3) დაშლის შემდეგ (დანვრილებით იხ. აქვე, დამატება III) აღმოჩნდა, რომ კედლის ძირში, დაახ. შუა ადგილას, ჩადგმული იყო ოთხკუთხად გათლილი ქვის ორი სტელა (ტაბ. 4). მანამდე, როგორც გაირკვა, იხილებოდა ამ სტელების მხოლოდ ზურგი, რომელთაგან მარცხენაზე, ჯერ კიდევ 1973 წელს, ვ. ჯობაძემ მიაკვლია წითელი საღებავით მიწერილ, ან უკვე მთლიანად გადაშლილ ასომთავრულ წარწერას (№ 15; სურ. 18). სტელების გამოთავისუფლების შემდეგ აღმოჩნდა, რომ მათ წინა მხარეს წარმოდგენილია რელიეფები ორ რეგისტრად — ზემოთ, პირველზე ღმრთისმშობლისა ყრმით, მეორეზე — იოვანე ნათლისმცემლის, ხოლო ქვემოთ — პირველზე დავით მეფის, მეორეზე — მისი ძმის ბაგრატ ერისთავთა ერისთავის გამოსახულებებით. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს რელიეფები ქვაზე პლასტიკის ბრწყინვალე ძეგლებია.

ჯამედან დარჩენილი კედლის დაშლის შემდეგ ისიც გაირკვა, რომ ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთის გუმბათქვეშა ბურჯსა და სამხრეთის კედელს შორის გადაყვანილი ყოფილა დიდი ნაღისებური თალი (ტაბ. 5). თალის ზემოთ, ბურჯსა და კედელს შორის, ქვის ფილების რამდენიმე რიგით, ამოყვანილია მაღალი ანტაბლემენტის, რომლის წინა მხარე დაფარულია თავით ქვემოთ მიმართული, ვერტიკალურად განლაგებული და ერთმანეთთან გადაბმული ბრტყელი ფოთლების რიგით.

თალის ჩრდილოეთი ბოლო ეყრდნობა გუმბათქვეშა ბურჯში ჩაჭრილ სადგარს, იგი პირდაპირ ჩასმულია ბურჯის ნახნაგში (ტაბ. 6), ხოლო სამხრეთი ბოლო — კედელთან მიტყუებულ, გვერდი-გვერდ დადგმულ, ორ მძლავრ მრგვალ სვეტს (ტაბ. 7). სვეტები დაფარულია სხვადასხვა სახის წნული გეომეტრიული ორნამენტით. ისინი მსგავსია სამხრეთი გალერეის მრგვალი, ორნამენტირებული სვეტებისა.

თალის სიმრგვალე წინა მხარეს დაფარულია ფოთლოვანი ორნამენტით. თალის ბოლოები სვეტებთან დაკავშირებულია დიდი ზომის მრგვალად პროფილირებული პილიასტრებით, რომელთაგან მარცხენა უფრო დიდია მარჯვენაზე და უფრო დაბლაც იწყება. ამასთანავე, მარცხენა პილიასტრი პირდაპირ ეყრდნობა ბურჯში ჩაჭრილ სადგარს, რომელსაც გარშემო წნული გეომეტრიული ორნამენტის გაწიერი არშია უვლის.

სტელები აღმართული იყო თაღის დასწვრივ, პირით აღმოსავლეთისკენ¹.

ოშკის სტელების წინა და გვერდითი კიდეები (ერთისა — მარჯვენა, ხოლო მეორისა — მარცხენა) დაფარულია სხვადასხვა შინაარსისა და დანიშნულების (განმარტებითი, საღმრთეებლო, მემორიალური...) ასომთავრული წარწერებით. ასოთა კვეთის ღარებს ჯერ კიდევ მეტ-ნაკლებად შერჩენილი ჰქონდა მათზე გადასმული წითელი საღებავი. ერთ-ერთი სტელის მარცხენა ჩარჩოზე ამოკვეთილია მეტად შთამბეჭდავი და მხატვრულად დამუშავებული ჯვარი — „ძელი ცხოვრებისა“, აღმართული გოლგოთაზე, რომლის კვეთაც ასევე ამოვლებულია დღემდე თითქმის თავდაპირველი ელვარებით შემორჩენილი წითელი საღებავით (ტაბ. 14).

გარდა ამისა, მარცხენა სტელის მარცხენა გვერდზე (ზურგიდან) ამოკვეთილი ასომთავრული წარწერა სტელების მთლიან გამოთავისუფლებამდეც გახდა ცნობილი ჯამედან დარჩენილი კედლის აქ ნაწილობრივ ჩამოშლის შედეგად. მისი ტექსტის პირველი ნახევარი 2003 წ. გამოქვეყნდა კიდეც (იხ. აქვე, დამატება II; წარწერა № 13).

ქვემოთ წარმოდგენილია სტელების აღწერილობა და მათზე მოთავსებული წარწერების პუბლიკაცია.

¹ სტელები რომ ვერტიკალურად იდგა და არ იყო კედელში ჩაშენებული, ან ბრტყლად იატაკზე დაგებული, ამის მაჩვენებელია მათ გვერდებზე, ხოლო ერთის ზურგზეც (ბაგრატ ერისთავთა ერისთავის სტელა) თანადროული წარწერების მოთავსება. არ არის გამორიცხული, რომ საღებავით (სინგური) შესრულებული წარწერა მოთავსებული ყოფილიყო დავით მეფის სტელის ზურგზეც ბაგრატ ერისთავთა ერისთავის სტელის ზურგის მსგავსად, მაგრამ დროთა განმავლობაში იგი ისევე ნაიშალა (თუ ნაშალეს), როგორც ნაიშალა ჩვენს თვალწინ (1973 წელს აღმოჩენის შემდეგ) ბაგრატ ერისთავთა ერისთავის სტელის ზურგის წარწერა, ან სამხრეთ-დასავლეთის გუმბათქვეშა ბურჯზე გამოსახული ვედრების და კტიტორთა საღებავით შესრულებული განმარტებითი წარწერები (დანვრილებით იხ. ქვემოთ).

1. დავით მეფის სტელა

ქვის სტელა ღმრთისმშობლის ხატით (სიმაღლე - 157 სმ., სიგანე - 64 სმ., სისქე - 35 სმ.) ზემოთკენ ორფერდად, სახურავის მსგავსად, ხოლო გარშემო და ქვემოდან ოთხკუთხედადაა გათლილი (ტაბ. 8, 9). მას ზემოდან და გვერდებზე განიერი (9 სმ.), ხოლო ქვემოთ ვიწრო ჩარჩო დაუყვება. ქვედას გამოკლებით, სამივე მხარეს, ჩარჩოს ზედაპირი ასომთავრული წარწერების ტექსტებითაა დაფარული. ზედა მხარეს, იქ, სადაც სტელა სამკუთხა ფორმისაა, ჩარჩო ჩამოტეხილია. მთლიანად ჩარჩოს ზედაპირი, სადაც რელიეფური გამოსახულებებია წარმოდგენილი, დაყოფილია ორ ნაწილად თაღოვანი, ბრტყელი, რელიეფური ზოლით. ზედა ნაწილში წარმოდგენილია მაღალი რელიეფით შესრულებული ღმრთისმშობლის გამოსახულება (ტაბ. 10) — წელზევით გამოსახულებაზე ოდნავ მეტი, 3/4 გამოსახულება მთელი ტანისა (სიმაღლე 76 სმ., სიგანე 42 სმ.). ღმრთისმშობელი წარმოდგენილია პირდაპირ; მას ხშირი, უხვად დრაპირებული ტანსაცმელი მოსავს. თავსაბურავი გადმოცემულია ნიჟარისმაგვარი სქელი ნაკეცებით, მსგავსად იმ ნიჟარისა, ტაძრის სამხრეთ-დასავლეთის გუმბათქვეშა ნიშის თავზე რომ არის გამოსახული. ღმრთისმშობელს მკერდზე მიყრდნობილი ჰყავს ყრმა იესუ (ევმანოელი), რომელსაც იმაგრებს მეტად მოხდენილად გადმოცემული ხელის მტევნებით. ყურადღებას იქცევს გრძელი თითები და პოზის ბუნებრიობა. ყრმა იესუ წარმოდგენილია პირდაპირ, თითქმის მთელი ტანით (აკლია მხოლოდ ფეხის ტერფები), მაკურთხებელი მარჯვენით და მარცხენა ხელში გრავნილით, რომელიც ისე მაგრად უჭირავს, რომ ოდნავ ჩაკეცილია, ჩაზნექილია ხელით დაჭერის ადგილას. ყრმა მაცხოვარსაც უხვად დრაპირებული გრძელი ტანსაცმელი მოსავს, რომელიც წელზე ოთხ ვიწრო ზოლად გადმოცემული ქამრითაა შეკრული². ყურადღებას იქცევს ყრმა იესუს არაპროპორციულად დიდი მაკურთხებელი მარჯვენა³. ქვის ზედაპირის ატკეცვის გამო, ყრმის სახის ზედა ნაწილი და თავის

² როგორც უკვე აღინიშნა (*ი. ვიგიაშვილი, ი. კოპლატაძე, ტაო-კლარჯეთი, თბ., 2004, გვ. 169*) აქ წარმოდგენილია „ნიკოპის“ ტიპის ღმრთისმშობელი (ღმრთისმშობლის ამ იკონოგრაფიული ტიპის შესახებ იხ.: *Н.П.Кондаков, Иконография Богоматери, Петроград, 1915, с. 124-151. ავტორის მიერ მოხმობილ მრავალრიცხოვან მასალას შორის აქ განხილულია გელათის მონასტრის მიძინების ტაძრის მოზაიკაც — გვ. 143-144; M. Schulz, Die Nicopea in San Marco. Zur Geschichte und zum typischer Icone, BZ, Band 91, Heft 2, 1998, S. 475-501, Taf. X-XVII; 6. სიმონიშვილი, ნიკოპეას ტიპის ღვთისმშობლის გამოსახულებისა და ქტიტორთა ჯგუფური პორტრეტის ურთიერთმიმართების საკითხისათვის ატენის სიონის მოხატულობაში, სხელოვნებათმცოდნეობა³, 5, 2003, გვ. 189-234).*

³ შდრ. ასევე დიდი, გამოსახულებასთან შედარებით არაპროპორციული მარჯვენა მაცხოვრისა ოპიზის რელიეფზე (*6. ალადაშვილი, რელიეფი ოპიზიდან ამოტყურაპალატის გამოსახულებით, სმამ, ტ. XV, № 7, 1954, გვ. 553-558*) და *ტყონდიდის* ტაძრის დასავლეთ ფასადის ფრონტონში ჩასმულ რელიეფზე (ქნკ, II, გვ. 35-36, № 10- იქვე, ლიტ.-რა). პირველს ათარიღებდნენ IX ს-ის I მეოთხედით, რადგან მასზე გამოსახულ ამოტს მიიჩნევდნენ ამოტ I-ად (†826 წ.). 6. შოშიაშვილის საესებოთ სწორი მოსაზრებით, რელიეფზე გამოსახულია

გამოსახულება ჩამოფშენილია. როგორც ღმრთისმშობელი, ისე ყრმა წარმოდგენილია უნიმბოდ. ღმრთისმშობლის თავის ორივე მხარეს, კისრის დონეზე, ერთ სტრიქონად, ამოკვეთილია ასომთავრული წარწერა — მარცხნივ 10X4 სმ., ხოლო მარჯვნივ — 8X4 სმ. ფართობზე. ასოების სიმაღლე — 0,6-1 სმ., ქარაგმის ნიშანი - განივი, კიდურწერტილოვანი, სწორი ხაზი. ასოთა კვეთის ღარებს გადასმული აქვს წითელი საღებავი.

წაიღეს გვღუსი (1)
წ(მიდა) ღ(მრ)თის||მშ(ო)ბ(ე)ლი.

სტელის ქვედა ნაწილი, ზედაზე ოდნავ ნაკლები ზომისა, უჭირავს საერო პირის გამოსახულებას. იგი წარმოდგენილია წელზევით (სიმაღლე — 63 სმ, სიგანე — 40 სმ), მაჯებში მოკეცილი და მკერდთან მიტყუპებული ხელების გაშლილი მტევნებით, ხელისგულით მაყურებლისაკენ, მლოცველის პოზაში (ტაბ. 11). მას ტანზე მოსავს ძვირფასი თვლებით (ერთიმეორეში ჩასმული მართკუთხედები, რომბები, წრიულები, მოგრძო ოთხკუთხედები) უხვად შემკული ტანსაცმელი, ხოლო ზურგზე მოსხმული აქვს მოსასხამი, რომლის მკერდზე სამკუთხად გადმოსული ზოლი მარჯვენა მხართან შეკრულია მრგვალი, ფოლაქის მოყვანილობის მოზრდილი ბალთით (ტაბლიონი). მარცხენა მხართან ტანსაცმელი (მოსასხამი?) გადმოცემულია ნიჟარისებური მოყვანილობის ნაკეცებით. მამაკაცის ოდნავ მოგრძო ღამაზი სახე შემკულია მოკლე წვერით და ბოლოებით ძირს დაშვებული ვიწრო უღვაშებით. თავზე ჰხურავს თითქოს მაუღისმაგვარი რბილი და სქელი ქსოვილის ღამაზი მოყვანილობის, როგორც ჩანს, თბილი და მოხერხებული მრგვალი ქუდი. იგი შედგენილია ორი განიერი, განივი ზოლით, რომელთაც ზემოდან „გუმბათი“ ადევს. როგორც ქუდის განივ ზოლებს, ასევე მის გუმბათს, გარშემო მსხვილი კანტი დაუყვება. მამაკაცს ქუდის ქვემოთ, თავის ორივე მხარეს, ყურების ზევით სქელი თმები მოუჩანს (ტაბ. 12, 13). მამაკაცი ისეა გამოსახული, რომ თითქოს წინ წამოწეულია; იგი მოხრილი მკლავებით სტელის ქვედა ჩარჩოს ეყრდნობა, ხოლო თავი ოდნავ მარცხნივ აქვს დახრილი. ასეთი პოზა მას ოდნავ დინამიურ, მაგრამ მაინც მშვიდ, მეტად ცოცხალ და მეტყველ იერს ანიჭებს. მამაკაცის დაშვებული, მომრგვალებული, არაგანიერი, და თითქოს, ოდნავ მოხრილი მხრები უფრო ნივნიერი და მწერლობასთან დაკავშირებული პირისთვისაა დამახასიათებელი. ეჭვი არაა, რომ აქ წარმოდგენილია დავით მეფის, ჯერ კიდევ ახალგაზრდა მომავალი დავით კურაპალატის, პორტრეტული გამოსახულება. აქ უნებლიედ გვახსენდება „მატიანე ქართლისას“ (XI ს.) ავტორისეული დახასიათება დავით კურაპალატისა, რომ იგი „იყო პირველად ღმრთისმოყუარე და გლახაკო-

დავით ქართველთა მეფე (923-937) და მისი ძმა აშოტ IV კურაპალატი (†954 წ.). ამის მიხედვით, რელიეფი თარიღდება 923-937 წწ. (ქსკ, I, გვ. 285-287. იქვე, ლიტ-რა). ჭყონდიდის რელიეფი, ტაძრის საამშენებლო წარწერის (ქსკ, II, გვ. 34-35, №8) მიხედვით, თარიღდება 996 წლით. ცხადია, მაცხოვრის მარჯვენის აქცენტირება დასახელებულ და სხვა რელიეფებზე გარკვეულ თეოლოგიურ საფუძვლებს უკავშირდება და მას თავისი აზრობრივი დატვირთვა აქვს.

მოყუარე, მდაბალი, მშვიდი და ძვრ-უქსენებელი, ეკლესიათა მაშენებელი, ტკბილი, უხვ, კაცთ-მოყუარე და ფიროსანთ-მოყუარე, ყოველთათვის კეთილის-მყოფელი და სასვე ყოვლითა კეთილითა“ (ქ^ა ცა, I, გვ. 274:1-4).

გამოსახულების თავის ორივე მხარეს, ფილის თავისუფალი ზედაპირი ჩარჩომდე, შევსებულია ამოკვეთით შესრულებული ასომთავრული წარწერით 5 და 7 სტრიქონად (ტაბ. 12). წარწერას უჭირავს მარცხნივ 10X19 სმ., ხოლო მარჯვნივ — 15X19 სმ. ფართობი. ასოების სიმაღლე: 0,5-1-1,5 სმ. ასოთა კვეთის ღარებს გადასმული ჰქონია წითელი საღებავი, რომელიც ამჟამად ან თითქმის გადასულია, ან ადგილ-ადგილ დაფარულია კაოლინის (თეთრი თიხის) თხელი ფენით. ქვის ზედაპირის ატკეცვის გამო, წარწერის მარჯვენა ნაწილის ბოლო სტრიქონები ნაკლებად ზიანებულია. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს; ქარაგმის ნიშანი: კიდურწერტილოვანი, განივი, სწორი ხაზი.

ՄԻԳ	Ժ	(2)
ՔՈՒՆ	ՇՕԻԻԽ	
ՈՒՆՏ	ՆԽՈԳԻՄ	
ՔԳԻԾ	ՆՔՆՏ	
5. ԻՒԻ	10. [ՇԽՄԻ	
	[Ո]ԳԻ	
	[ՇԻ]	

დ(ა)ვ(ი)თ, მონაა ლ(მრ)თისაჲ, მეფეა ჩ(უ)ენი, || ძე ადრნერსე კურ(ა)პ(ა)დ(ა)ტისაჲ, [ა]დღ(ე)ნ [ლ] (მერ)თ(მ)ან, [ა(მ)ენ].

მაშასადამე, წარწერის თანახმად, აქ გამოსახულია დავით მეფე, შემდეგში ცნობილი დავით კურაპალატი (†1001 წ.), რომელსაც ჯერ კიდევ არა აქვს მიღებული არც კურაპალატის და არც მასზე უფრო დაბალი და უფრო ადრე მიღებული მაგისტროსის ტიტულები. ეს ფაქტი, ისევე როგორც სხვა მონაცემები, ამ ქვახატების დათარიღების დასაყრდენია, მაგრამ ამ საკითხს ქვემოთ საგანგებოდ დავუბრუნდებით.

ქვის სტელის მაყურებლისაგან მარცხენა ჩარჩოზე, ღმრთისმშობლის მხრების გასწვრივ, ღრმა კვეთით გამოყვანილია გოლგოთაზე აღმართული ჯვარი (15X7,5-9 სმ. სიმაღლე სადგართ — 18,5 სმ) (ტაბ. 14), რომლის კვეთა „ამოვსებულია“ წითელი საღებავით. ჯვრის მკლავების კიდები, მათი ორივე ბოლოები, მთავრდება მსხვილი ბურთულებით, რომლებიც ბოლოებჩაკეტილ მკლავებთან ვიწრო ხაზებითაა დაკავშირებული. მკლავების გადაკვეთის ადგილას წრეა ამოღრმავებული, რომლის ცენტრშიც პატარა წითელი ბურთულაა გამოსახული. ჯვარი მოკლე ტარით აღმართულია სხვადასხვა სიგრძის, ერთიმეორეზე დასმულ, მაგრამ ოდნავ დაშორებულ სამ საფეხურზე („გოლგოთა“). მეტად ლამაზი და მოხდენილი პროპორციების ჯვარი, მასში „ჩაასხმული“ წითელი საღებავის სქელი ფენის გამო,

მკაფიოდ გამოიყოფა ჩარჩოს და, მთლიანად, სტელის ზედაპირზე. ფორმით იგი რამდენადმე მსგავსია იმ ჯვრებისა, რომლებიც ასევე ნითელი საღებავითაა გამოყვანილი ოშკის ტაძრის გუმბათის ყელზე, სარკმლების თავზე. ოღონდ, ამ ჯვრების კიდევები ნაწვეტებულია და „გოლგოთაც“ მრგვალი მოყვანილობისაა (სურ. 8). ჯვარი ოდნავ მარჯვნივ გადახრილია ამოკვეთილი.

ჯვრის ზემოთ, 3 სმ-ის დაშორებით, ერთ განივ სტრიქონად, არაღრმა კვეთით, შესრულებულია ასომთავრული წარწერა, რომელსაც უჭირავს ფართობი 8,5X1,3 სმ. ასოების სიმაღლე: 0,8-1-1,3 სმ. ქარაგმის ნიშანი ზის ერთ ადგილას — განივი, კიდურნერტილოვანი, სწორი ხაზი. წარწერის ბოლო ასოები (ბს) თითქოს არცაა ამოკვეთილი და ნითელი საღებავით პირდაპირ ქვის ზედაპირზეა დაწერილი.

† ԽՆԴ ԸԵՄԻՎԸՆ (3)
ძელი ცხ(ო)რ(ე)ბ(ი)ს(ა)ჲ.

მაშასადამე, აქ წარმოდგენილია ჯვარი „ძელი ცხორებისაჲ“, ე.ი. ქრისტეს სიმბოლური გამოსახულება.

სტელის ჩარჩოს ზედა მომრგვალებულ ნაწილში ნახევარწრიულად ამოკვეთილი ყოფილა ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა (ტაბ. 17, მარცხენა ფოტო). მისი შუა ნაწილი, სტელის თავის ამ მხარეს ჩამოტეხის შედეგად, ნაკლულია. წარწერის დასაწყისს უჭირავს ფართობი 8X4,5 სმ, ხოლო დასასრულს — 18X3,5 სმ. ასოთა კვეთის ღარებზე გადასმულია ნითელი საღებავი. ასოების სიმაღლე: 0,5-1 სმ. ქარაგმის ნიშანი: კიდურნერტილოვანი, განივი, სწორი ხაზი.

† ԽՎ[-----] ԶՆՓԸԸԻԸԸ (4)
† ძე[ლო ცხორებისაო, მეოხ ექმ(ენ მ(ე)ფ(ე)თა ჩ(უ)ნ(თ)ა.

ნაკლულ ტექსტში „ძე[ლო]“-ს და არა „ძე[ო]“-ს (თითქოს — „ძე[ო ღმრთისაო]“) აღდგენის საფუძველია იქვე გამოსახული „ძელი ცხორებისაჲ“ შესაბამისი წარწერით. რადგანაც გაურკვეველია ნაკლული ტექსტის ასოთა რაოდენობა, ან დაქარაგმების ფორმები, თითქოს, შეიძლებაოდა „მეოხ“-ის ნაცვლად „მფარველ“-ის ნაკითხვა. მაგრამ, სწორედ „მეოხ“-ის აღდგენის საფუძველია ამ სტელაზე ამოკვეთილ კიდევ ერთ წარწერაში (7) ღმრთის წინაშე თხოვნა მეოხების შესახებ „ძალითა ძელისა ცხორებისაჲთა“.

სტელის მარცხენა ჩარჩოზე, ძელი ცხორებისას ქვემოთ, შვეულად, ამოკვეთილია ასომთავრული წარწერა (ტაბ. 15, 16). სტელის ქვედა მარცხენა კუთხის მოფშენის გამო, აქ წარწერის ტექსტი ნაკლულია, მაგრამ, შემორჩენილი ასოების მიხედვით სტრიქონთა რაოდენობის დადგენა შესაძლებელია და, მაშასადამე, ირკვევა, რომ წარწერა ამოკვეთილი ყოფილა 20 სტრიქონად, ისე რომ, თითოეულ სტრიქონში ასოთა რაოდენობა ორიდან ოთხამდეა. ჩარჩოს სიგანე, როგორც აღი-

ნიშნა, 9 სმ-ია; ნარწერას უჭირავს ფართობი: 92X9 სმ. იგი შესრულებულია ღრმა და მკაფიო კვეთით, შედარებით მოზრდილი, მსხვილი ასოებით. ასოების სიმაღლე: 3,5-5სმ. მათი კვეთის ღარებს გადასმული ჰქონია წითელი საღებავი. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს; ქარაგმის ნიშანი: კიდურწერტილოვანი, განივი, სწორი ხაზი.

წ'ტ'ც'ა

(5)

ი'ც'ღ

ჰ'ფ'ჟ

ყ'ღ'ხ

5. ა'ბ

გ'დ

ე'ფ

ჯ'ღ

ჩ'ც'ძ

10. ლ'ს

წ'ჩ'ც'

[ს]ჯ

ტ'ც

ი'ც'ი

15. ს'ც

ჩ'ჩ'ს[ც]

[ტ'ც]

[ჩ'ჩ]ც

[ს'ს'ფ'ს]ჯ

20 [ჩ'ჩ'ს]ჯ

წ(მი)დაო ლ(მრ)თისმშობელო, მეოხ ყყავ წ(ინაშ)ე ძისა შ(ე)ნი[ს]ა და ლ(მრ)თისა ჩ(უე)ნი[ს]ა [დავი]თ[ს], [შ(ე)ფ(ე)სა [ჩ(უე)ნს]ა.

სტელის მარჯვენა ჩარჩოზე, ისევე, როგორც მარცხენაზე, შვეულად, 21 სტრიქონად, ისე რომ, თითოეულ სტრიქონში ასოთა რაოდენობა სამიდან ოთხამდეა, ამოკვეთილია ასომთავრული ნარწერა, შესრულებული ღრმა კვეთით, მსხვილი და დაბალი ასოებით (ტაბ. 17-19). ნარწერას უჭირავს ფართობი: 85X9 სმ. ასოების სიმაღლე: 3,5-5 სმ. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს; ქარაგმის ნიშანი: კიდურწერტილოვანი, განივი, სწორი ხაზი.

წ'ღი	(6)
ც'ღ	
ჭ'ღ	
ღ'ღ	
5. ო'ღ	წ(მიდა)ო ლ(მრ)თისმშობელო, მეოხ ეც(ა)ე წ(ინაშ)ე ძისა
ო'ღ	შ(ე)ნისა და და(sic) ლ(მრ)თისა ჩ(უე)წ(ი)სა ს(უ)ლსა ბ(ა)გრ(ა)ტ
ყ'ღ	ერ(ი)სთავთა ერ(ი)სთვისა.
რ'ღ	
ს'ღ	
10. ო'ღ	
ო'ღ	
რ'ღ	
ო'ღ	
15. ს'ღ	
ღ'ღ	
რ'ღ	
ც'ღ	
ც'ღ	
20. კ'ღ	
რ'ღ	

წარწერის მე-11 და მე-12 სტრიქონებში კავშირი „და“ ამოკვეთილია ორჯერ.

სტელის მარცხენა გვერდი მთლიანად დაფარულია 33 სტრიქონად ამოკვეთილი ასომთავრული წარწერით (ტაბ. 20-23). უჭირავს ფართობი: 124X34,5 სმ. ასოების სიმაღლე: 2-3,5-4,5 სმ. გამოირჩევა დიდი ზომის *დონები* (სიმაღლე - 3,5 სმ) მე-13 და მე-16 სტრიქონებში და *ენი* (სიმაღლე -4,5 სმ.) 28-ე სტრიქონის დასაწყისში. ეს უკანასკნელი იმდენად თვალსაჩინოდაა გამოყოფილი, რომ ცალკე, დამოუკიდებელი ტექსტის, კიდევ ერთი წარწერის დასაწყისად შეიძლება მიგვეჩნია. ასოთა კვეთის ღარებზე გადასმულია წითელი საღებავი. წარწერის ბოლო სამი სტრიქონის ადგილას, სტელის მთელ სიგანეზე, ქვის ზედაპირი მოფშენილია და წარწერა ნაკლულია იმდენად, რომ აქ ტექსტის აღდგენა არ ხერხდება. პირობითი სავარაუდო აღდგენა წარმოდგენილია ქვემოთ. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს; ქარაგმის ნიშანი: კიდურწერტილოვანი, განივი, სწორი ხაზი.

და ვინცა-ვინ ამის საყდრის(ა)ა შემწე და მსახ(უ)რი — თუ კელმწ(ი)ფე, თუ ებ(ი)სკ(ოპო)სი, თუ მ(ა)მასახლ(ი)სი, თუ მ(ო)ნაზ(ო)ნი, გინა ერ(ი)ს(ა)გ(ა)ნი, დ(ი)დი თუ მც(ი)რე, ამ(ო)დ(ე)ნ(ი) ყ(ოველ)ნი, - მ(ე)იწყ(აღე)ნ(ი)ნ.

და გრ(ი)გ(ო)ლ, ხ(ა)ტის ამის ალმ(მ)ართ(ე)ბ(ე)ლი და ეკლ(ე)სი(ი)ს ამის მშრომ(ე)ბელი, დაიც(ე)ვ ორსავე ცხ(ო)რებ(ა)სა, მ(ა)რჯ(უე)ნით შე(ე)ნსა ლ(ი)რს ყ(აე).

ეკლ(ე)სიაა დ(ა)ინყ(ე)ს ქრ(ო)ნ(ი)კ(ონ)სა რაბ. ბ(ა)გრ(ა)ტ მ(ე)ფე გ(ა)რდ(ა)ი-ცვ(ა)ლა [ქრ](ო)ნ(ი)კ(ონ)სა რაბ. და მ(ე)მდგ(ო)მ[ად-] [- - - - -] ყ(ა)მსა და [- - - -] [- - - - -] [- - - - -].

წარწერის მე-7 სტრიქონის ბოლოს სიტყვაში „მარტულთა“ ვ-ს შემდეგ წერია ზედმეტი ი („მარტვილთა“). ჭრელია უ-ს გადმოცემის ორთოგრაფია: ვ (ი`ვ სტრ.1; დიდებულნ სტრ.8; თვ სტრ. 20, 21 (ორჯერ), 22), ო (კორაპლტი სტრ.12), ოვ (თოვ სტრ.19), რაც ამ ასოს დანეროლობის ადრეული კლასიკური ფორმის (ოვ) რღვევის დაწყების მაჩვენებელია X ს-ის შუა ხანებში.

წარწერის დასასრული, პირობითად, შეიძლება ასე აღვადგინოთ:

„და შემდგომ[ად ბა].

[გრატისა, მისსა] ყ(ა)მსა, და[ვით]

[მეფემან ჩუენმან,]

[.....].“

2. ბაგრატ ერისთავთა ერისთავის სტელა

ქვის სტელა (სიმაღლე - 130 სმ, სიგანე - 59 სმ, სისქე - 31 სმ.) ზემოდან გათლილია ორფერდა გადახურვით (სიმაღლე დაფერდების გარეშე - 103 სმ) (ტაბ. 24, 25). ნინა მხარეს სტელას გარშემო დაუყვება ჩარჩო (სიგანე 9სმ.), რომელიც გვერდებზე სამ ნაწილად იყოფა. შიდა ნაწილები ლილვისებურადაა მომრგვალებული, ხოლო გარეთა ბრტყელია. ჩარჩო ქვემოთ, სტელის მთელ სიგანეზე, მოფუნელია. ჩარჩოს შიგნით გამოთლილია თალი, რომელიც ორივე მხარეს ეყრდნობა ზემოდასახელებულ წყვილ ლილვებს. ასევე წყვილი, ოღონდ ბრტყელი მოყვანილობის ჩარჩოთია შემოსაზღვრული თალის ზედა, ნახევარწრიული ნაწილი. თალისა და ლილვების შეერთების ადგილას, ორივე მხარეს, ორ-ორი პატარა კაპიტელებია; ამათგან მარჯვენა გარეთა კაპიტელი წინვოვანი ორნამენტითაა დაფარული. სტელის ზედა ნაწილში, დაფერდების შეერთების ადგილას, წვერი (კეხი) ოდნავ მოტეხილია.

სტელის ნინა მხარე დაყოფილია ორ ნაწილად. ზემოთ წარმოდგენილია იოვანე ნათლისმცემლის ნელზევითი გამოსახულება (სიმაღლე - 57 სმ, სიგანე - 36 სმ.), რომელიც ქვემოთ სწორხაზოვნადაა გადაჭრილი (ტაბ. 26). წმინდანი წარმოდგენილია პირდაპირ, მკერდთან მიყრდნობილი მოხრილი მარჯვენით, რომლის თითები შეტყუებულია, მაგრამ არა კურთხევის სახით. მარცხენა ხელში, ტანის გარდღარდმო, უჭირავს გრძელ ტარზე დაგებული ტოლმკლავიანი ჯვარი ფართო და განიერი მკლავებით. ჯვარი მთლიანად ავსებს წმინდანის მარცხენა მხარს ზემოთ, ნიშნა და ჩარჩოს შორის დარჩენილ ფილის თავისუფალ ზედაპირს. ეს ჯვარი ისეთივეა, როგორც უჭირავთ, ასეთსავე პოზაში, ოღონდ მარჯვენა ხელში დავით მეფეს და ბაგრატ ერისთავთა ერისთავს ტაძრის სამხრეთ-დასავლეთ გუმბათქვეშა სვეტზე, ნიშის ორივე მხარეს გამოსახულ რელიეფებზე (ტაბ. 40-44). წმინდანს მოსავს ხშირი, ადგილ-ადგილ წინვოვანი ორნამენტის მსგავსად უხვად დრპირებული ტანსაცმელი, რომლის გულისპირი გახსნილია და ოდნავ ღრმადაა ჩაჭრილი. სახე დაფარული აქვს ხშირი, გრძელი ხვეული წვერით; ასევე, ხშირი და ბოლოებით ძირდაშვებული უღვაშებით. იგი წარმოდგენილია თავსაბურავის გარეშე, თავზე გრძელი, ხშირი, კულულებად ჩამოშლილი თმებით. თავის გარშემო გამოსახულია ფართო, ქვემოთკენ ოვალურად შემოხაზული, რელიეფური ნიშბი. უჩვეულოა წმ. იოვანე ნათლისმცემლის გამოსახვა ასეთი ფართო, უხვნიკეცებიანი ტანსაცმლით.

წმინდანის მარცხენივ (მაყურებლისგან), თავისა და მარჯვენა მხარის გამოსახულებების დონეზე, ჩარჩოსა და ნიშნს შორის დარჩენილი ფილის ზედაპირის სამკუთხა სეგმენტი, მთლიანად შევსებულია 7 სტრიქონად ამოკვეთილი ასომთავრული წარწერით (ტაბ. 28). უჭირავს ფართობი: 25X7სმ. წარწერის ასოები მოზრდილია და მსხვილი; სიმაღლე: 1-1,5 სმ. ქარაგმის ნიშანი: კიდურწერტილოვანი, განივი, სწორი ხაზი. წარწერის ასოები, ძირითადად, კიდურწერტილოვანია, თუმცა, ა-ს ბოლოები („ა“ - პირველი სტრიქ.) და ც-ანის გახსნილი წრის თავი, კიდურწრის-რულია.

წ

(8)

ნ

ც

წ(მიდა) ნათლისმცემელი.

ს

5. კ

ხ

კ

ყურადღებას იქცევს ის, რომ გამოსახული წმინდანის განმარტებით წარწერაში სახელი („იოვანე“) არაა აღნიშნული.

იოვანე ნათლისმცემლის ქვემოთ წარმოდგენილია საერო პირის მასთან შედარებით პატარა (სიმაღლე - 45სმ., სიგანე - 31სმ.) გამოსახულება წელზევით, ტანის გასწვრივ მაღლა აღმართული ხელებით, ე.ი. ორანტიის პოზაში (ტაბ. 27). აცვია ძვირფასი თვლებით (ძირითადად, ოთხკუთხედეების და რომბების ფორმისა) უხვად მორთული ტანსაცმელი, რომლის გულისპირი ჩაჭრილია ოთკუთხად. მხრებზე მოსხმული მოსასხამის მკერდთან გადმოკეცილი განიერი ზორტი მარჯვენა მხართან იკვრება ბალთით (ტაბლიონი), რომელიც ფოლაქის მსგავსი, მრგვალი მოყვანილობისაა. სახე დაზიანებულია ქვის ატკეცვის გამო, მაგრამ მოჩანს ხშირი, ქვემოდან მრგვალად შემოჭრილი წვერი და ასევე ხშირი, კლაკნილი, რელიეფური მრგვალი ზოლით გადმოცემული, უღვაში. თავზე პხურავს მრგვალი ქუდი, შედგენილი ორი განიერი, ბრტყელი, ერთიმეორეში ჩასმული ნაჭრისაგან, რომელთაც ზემოთ ადევს ოთხკუთხა „გუმბათი“. ქუდი პირდაპირ მიბჯენილია იოვანე ნათლისმცემლის გამოსახულების ქვედა გადანაჭერზე.

ფილის ზედაპირი გამოსახულების თავის გარშემო, ასევე, გამოსახულების მარცხენა ხელსა და ფილის ჩარჩოს შორის დარჩენილი თავისუფალი ფართობი, შევსებულია ამოკვეთით შესრულებული ასომთავრული წარწერით - მარცხნივ ორ და მარჯვნივ რვა სტრიქონად. წარწერას უჭირავს ფართობი - მარცხნივ 13X11სმ., მარჯვნივ - 13X21სმ. ასოების სიმაღლე: 0,8-1სმ. ქვის ზედაპირის აცრეცის გამო, წარწერის ასოები, განსაკუთრებით გამოსახულების თავის გარშემო, ოდნავ გადასულია; თუმცა, დარჩენილი კვალის მიხედვით მათი ნაკითხვა ეჭვს არ იწვევს. ასოთა კვეთის ღარებს გადასმული ჰქონია წითელი საღებავი, რომელიც ამჟამად ტექსტის ბოლო ასოებშია ჩარჩენილი.

წარწერის ტექსტი ასეთია:

ԳՆԼԿԸ	[ԺԴ] ՇԾԻ	(9)
ԲԶԳԻԴ	ԻՆՆԿԶ	
	5. ԳԿՆՍԸ	
	ՆՇ ԲԴ	
	ՆՇ	
	Ն	
	ԳԴ	
	10. ԻԴ	

ბაგრატუნე, || [ძე] ადრნესე კურაპალატისაჲ, შ(ეინყალე), ქ(რისტე).

თალის გარეთა ბრტყელ წახნაგზე, წითელი საღებავით, ერთ სტრიქონად, შესრულებულია ასომთავრული წარწერა. ასოებს უჭირავს თალის მთელი სიგანე -3სმ. ტექსტის დაახლოებით შუა ადგილას, საღებავი გადასულია და წარწერა ნაკლულია. ქარაგმის ნიშანი: კიდურწერტილოვანი, განივი, სწორი ხაზი.

ԴԿԴ ԸՇԾԻ ՆԶԳ[ՆԴԸ ՇԾԻԻ]Ն ԿԶԳԿՆՍԸ[ՆՇԸԸ] (10)

ი(ეს)უ ქ(რისტე), ად(ი)დ(ე)ნ სუ[ლითა ადრნესე კურაპალატი].

წარწერის ნაკლულ ტექსტში ანთროპონიმ *ადრნესეს* აღდგენის საფუძველია სიტყვის ბოლოს შემორჩენილი „სე“ და აქ დასახელებული პირის მოხსენიება კურაპალატის ტიტულით. ფორმულის — „ადიდენ სულითას“ მიხედვით, ადრნესე კურაპალატი წარწერის შესრულების დროისათვის გარდაცვლილი ყოფილა.

სტელის მარცხენა ჩარჩოზე, შვეულად, ამოკვეთილია ასომთავრული წარწერა (ტაბ. 29); 33 სტრიქონი; სტრიქონებში, ძირითადად ერთი ან ორი ასოა (მხოლოდ პირველ სტრიქონშია 4 და მეორეში 3 ასო). უჭირავს ფართობი 63X3-5,5სმ. ასოების სიმაღლე: 0,5-0,8სმ. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს; ქარაგმის ნიშანი: კიდურწერტილოვანი, განივი, სწორი ხაზი. ასოთა კვეთის ღარებს გადასული პქონია ამჟამად აღვილ-ადვილ გადასული წითელი საღებავი. სტელის კიდის ჩამოტეხის გამო, მე-10 სტრიქონის ქვემოთ, ასოები უმნიშვნელოდ დაზიანებულია, მაგრამ მათი ნაკითხვა ეჭვს არ იწვევს.

	წ.ღ.წ.	(11)
	ძ-ზ	
	სპ	
	ც	წ(მიდა)ო ნათლისმცემელო, მმ(ეო)ხ(sic!)
5.	პ	ეყავ წ(ინაშ)ე ლ(მრ)თისა ს(უ)ლსა ბაგრატ
	ზ.	ერისთავთა ერისთვისასა.
	ჰ	
	ჰ.	
	ჟ	
10.	ყ	
	რ	
	ჩ	
	ც	
15.	ს	
	ს	
	ვ	
	ღ	
	ქ	
20.	რ	
	ს	
	ც	
	ძ	
	წ	
25.	ტ	
	თ	
	ს	
	ც	
	ძ	
30.	ს	
	ც	
	ს	
	ც	

ნარწერის მე-7 და მე-8 სტრიქონების სიტყვაში „მეოხ“ მანი ამოკვეთილია ორჯერ („მმეოხ“). ეს ან შემსრულებლის შეცდომაა - ე-ს ნაცვლად მეორეჯერ მ-ანი

ამოკვეთა, ან არაა გამოორიცხული, რომ ფორმა „მმეოხ“ წარწერის ავტორისთვის მისაღები და კანონზომიერი იყო.

სტელის მარჯვენა ჩარჩოზე, შეეულად, ამოკვეთილია ასომთავრული წარწერა (ტაბ. 30); 33 სტრიქონი; ყოველ სტრიქონში ძირითადად ერთი ან ორი ასოა (მხოლოდ პირველ სტრიქონშია 4, ხოლო მეორე და მესამე სტრიქონებში 3-3 ასო). წარწერის ბოლო ათი სტრიქონის ადგილებში ქვის ზედაპირი მოფუშენილია და ტექსტი ნაკლულია. მოღწეულ ნაწილს უჭირავს ფართობი 53X3-6სმ. ასოების სიმაღლე: 0,5-0,8-1სმ. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს. ქარაგმის ნიშანი: კიდურწერტილოვანი, განივი, სწორი ხაზი. ასოთა კვეთის ღარებს გადასმული აქვს წითელი საღებავი, რომელიც ცალკეულ ადგილებში გადასულია.

- | | | |
|-----|-----------------------------------|-----------------------------------|
| | ჭ'ღ რღ | (12) |
| | ტ'ზ | |
| | სპც | |
| | რჟ | |
| 5. | ზღ | |
| | პი | |
| | ღ | |
| | ჟო | |
| | ცჟ | |
| | ნ(მიდა)ო ნათლისმცემ(ე)ლო, მეოხ და | |
| 10. | ფ | მფარველ ეყ[ავ] წ(ინაშ)ე ლ(მრ)თისა |
| | ც | დაე[ითს], მ[ეფესა ჩუენსა]. |
| | ქი | |
| | რხ | |
| | რყ | |
| 15. | [ღ] | |
| | [ჩ] | |
| | ჭ'ე | |
| | რ'ც | |
| | რ | |
| 20. | ც | |
| | ო | |
| | ც | |
| | ბ | |
| | [ღ] | |

25. [G]

[ს]ჟ

[უ]ფ

[უ]

[ს]

30. [C]

[ჩ]ჩ

[ს]

[C]

სტელის მარჯვენა გვერდზე ამოკვეთილია ასომთავრული წარწერა (ტაბ. 31-33); 12 სტრიქონი; უჭირავს ფართობი: 49X31სმ. ასოების სიმაღლე: 1-1,5სმ. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს (მხოლოდ ტექსტის დასაწყისში დასმული ქანწილი გამოყოფილია ორწერტილით მომდევნო ტექსტისაგან); ქარაგმის ნიშანი: კიდურწერტილოვანი, განივი, სწორი ხაზი. წარწერა კიდურწერტილოვანია — შეიძლება ითქვას, რომ იგი ამ სახის წარწერების კლასიკური ნიმუშია. სტრიქონები ამოკვეთილია ქვის ზედაპირზე გავლებულ პარალელურ, განივ ხაზებს შორის. კვეთის ღარები ამოვლებულია წითელი საღებავით, რომელიც ზოგიერთ ადგილებში გადასულია, ხოლო ზოგან გაფერმკრთალებულია. ქვის ზადაპირის აცრეცის გამო, ტექსტი მე-8 სტრიქონის ქვემოთ, შუა ადგილას, დაზიანებულია, მაგრამ შემორჩენილი კონტურების მიხედვით, ასოების ნაკითხვა ეჭვს არ იწვევს. მარჯვენა კიდეზე ქვა 4-5 ადგილას მოტეხილია. მონატეხს მე-5 სტრიქონში ა, ხოლო მე-7 სტრიქონში ი ასოები გაპყოლია. მათი მხოლოდ უმნიშვნელო ფრაგმენტებია დარჩენილი.

გ ა მ ო ც .: *ვ. სილოგავა*, ოშკის უცნობი წარწერა, *გაზ. ლიტერატურული საქართველო*, 44 (3460), 31 ოქტომბერი-6 ნოემბერი, 2003წ., გვ. 13-14.

Ⲫ:ⲧⲰ ⲒⲰⲒ ⲛⲓⲒⲚⲒⲒ

(13)

ⲒⲰⲒⲰⲒⲰⲒⲒⲒ ⲪⲚ

Ⲓ ⲚⲒⲒⲚⲚⲒⲒⲒⲒ

ⲧⲚⲚⲒⲒⲒⲒⲒⲒⲒⲒⲒ

5. ⲒⲒⲚⲒⲚ ⲒⲰⲚⲚ ⲒⲒ

ⲒⲒⲒⲒ ⲒⲒ ⲒⲒⲒⲒⲒ

ⲒⲰⲒⲚⲚ ⲒⲚⲚⲚ ⲒⲰⲚⲚ

ⲒⲒⲒⲚⲚⲚⲚⲚⲒⲒⲒⲒ

ⲒⲒⲒⲒⲒⲒⲒⲒⲒⲒⲒⲒ

10. ⲒⲰⲚⲚⲒⲒⲚⲚ ⲒⲒⲚ

ⲪⲒⲒⲒⲒⲒⲒⲒⲒⲒⲒⲒ

ⲒⲚ

ქ(რისტე), ძეო ლ(მრ)თისაო, მეოხებითა წ(მიდ)ისა ნათლისმცემელისაათა შ(ეი)წყ(ალ)ენ მონანი შენნი, ბაგრატ და დავით, მეფენი ჩ(უე)ნნი, ძენი აღრნესე კურაპალატისანი, მაშენებელნი ამის წმ(ი)დ(ი)სა საყდრისანი.


ტექსტის ორთოგრაფია კლასიკურია — უნი გადმოცემულია ორი გრაფიკული ნიშნით — ოჟ (სტრქ. 8-„კურაპალატი“); ამასთანავე, შშნ-ფუძიან სიტყვაში „მაშენებელნი“ (სტრქ. 9-10) მოსალოდნელ შ-ის ნაცვლად („მაშწნებელი“) დასმულია ენი.

სტელის იმავე მარჯვენა გვერდზე, (№13) წარწერის ქვემოთ, დაახ. ორი სტრიქონის მანძილის ანუ 3 სმ-ის დაშორებით, ამოკვეთილია ასომთავრული წარწერა (ტაბ. 33); 4 სტრიქონი; უჭირავს ფართობი 16X31სმ.; ასოების სიმაღლე: 0,8-1,2სმ. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს; ქარაგმის ნიშანი: კიდურწერტილოვანი, განივი, სწორი ხაზი. ქვის ზედაპირი წარწერის ამოკვეთის ადგილებში ძლიერ ატკეცილ-მოცვეთილია, როგორც ჩანს, მიწაში ხანგრძლივად დებისაგან. ამის გამო, წარწერის ტექსტი ძალზე ნაკლებია — თითქმის არ იკითხება პირველი სტრიქონი, მეორე სტრიქონის დასასრული და ადგილ-ადგილ მომდევნო სტრიქონებიც. ყოველივე ამის შედეგად, წარწერის გაბმული ტექსტის დადგენა არ ხერხდება. წარწერა კიდევ საჭიროებს შესწავლას.

[- - - - -] (14)
[- - - - -]
[- - - - -]
ⲘⲚⲞⲚⲤⲘⲚⲤⲘ
ⲘⲚⲞⲚⲤⲘⲚⲤⲘ
ⲘⲚⲞⲚⲤⲘⲚⲤⲘ

[. . .] [. . .] [- - -] ოველნი ს[აყდა]რსა ზ(ედ)ა(!) მდგომარ[ი]ენი, შ(ეი)წყ(ა)ლენ ლ(მერ)თ(მა)ნ.

ამავე სტელის ზურგზე წითელი საღებავით მიწერილი იყო ასომთავრული წარწერა (სურ. 18); 12 სტრიქონი; მას მიაკვლია ვ. ჯობაძემ 1973წ. მე-9 სტრიქონის ქვემოთ ნაწერი გადასული იყო. ამჟამად წარწერა მთლიანად გადაშლილია და ქვის ზედაპირზე მხოლოდ წითელი საღებავის უმნიშვნელო კვალი შეიმჩნევა ადგილ-ადგილ. ვ. ჯობაძის ცნობით, ასოების სიმაღლე იყო 0,5-2,3სმ. წარწერის გარეგნულ იერზე შეიძლება ვიმსჯელოთ ვ. ჯობაძის მიერ გამოქვეყნებულ შავ-თეთრი და პ. ზაქარაიას მიერ გამოქვეყნებულ ფერადი ფოტოების მიხედვით. წარწერის ტექსტში განკვეთილობის ნიშნები: ორწერტილი, დასმული ყოფილა ადგილ-ადგილ,



სურ. 18. წარწერა ბაგრატი ერისთავთა ერისთავის სტელის ზურგზე (ე. ჯობაძის მიხ.).

მ. ანდრონიკაშვილის გამოკვლევით, ადარნასე ირანული სახელია, რომელიც გაერცელებულია, აგრეთვე, სომხურში. ქართული და სომხური ფორმაც მომდინარეობს საშ. სპარსული შედგენილი სახელიდან Aadamarséh, რომელიც პირველ ნაწილად შეიცავს სიტყვას „ცეცხლი“, ხოლო კომპოზიტის მეორე ტერმინს შეადგენს საკუთარი სახელი „ნერსეს“, რაც „კაცი ქებულს, ცნობილს“ „განთქმულს“ აღნიშნავს. მისი დასკვნით, ქართული ფორმა შემოსულია უშუალოდ სასანური ფალაურიდან, ხოლო სომხური ამოსავლად არშაკიდულ ან ადრე-სასანურ ფალაურ ფორმას გულისხმობს. უფრო მოგვიანო, — განაგრძობს ის, ქართულ ძეგლებში (ჯუან-შერი, მათიანე ქართლისაჲ, სუმბატ დავითის ძის ქრონიკა) ეს სახელი წარმოდგენილია ფორმით ადარნასე, რაც შეიძლება ბერძნულის გავლენით აიხსნას; შდრ.

ბერძნ. Ἀναρσιον⁴.

მცხეთის ჯვრის VI-VII სს. მიფნის ორ წარწერაში (ქსე, 11, გვ. 563) ერთიდაიმავე პირის ეს სახელი ასეა გადმოცემული: „ესე ჯუარი ქრისტესი აღხემათა სალოცველად... ადრნერსე უპტოსისა“ (ქსე, I, გვ. 96, №31); „წმიდაო გაბრიელ მთავარანგელოზო, ადრნერსეს უპტოსისა მეოხ ეყავ“ (ქსე, I, გვ. 162, №69). ე.ი. ეს სახელი აქ წარმოდგენილია *ადრნერსე*-ს ფორმით.

„*მოქცევაჲ ქართლისაჲ*“ (IX ს.) შატბერდული რედაქციით: „შემდგომად ერისთვობდა ადრნესე“ (ქქალძე, I, 96:35); „მისა შემდგომად ერისთვობდა... ადრნესე... და ძენი ადრნესესნი“ (ქქალძე, I, 97:19, 22). ხოლო ჭელიშური რედაქციით: „ამისსა შემდგომად ერისთაობდა ადრნერსე“ (ქქალძე, I, 96:35); „ამისსა შემდგომად ერისთავობდა... ადარნესე... და ძენი ადარნესესნი“ (ქქალძე, I, 97:20,22). ე.ი. აქ დასტურდება ფორმები — *ადრნესე* და *ადარნესე*.

„*ვრიგოლ ხანძთელის ცხოვება*“ (X ს.) დაინერა, აღნიშნავს გიორგი მერჩულე, „ქართველთა ზედა მთვრობასა აშოტ კურაპალატისასა, ძისა ადარნერსე ქართველთა მეფისასა... ერისთავთა ერისთვობასა სუმბატისსა, ძისა ადარნერსე მეფისასა, მაგისტროსობასა ადარნერსესსა, ძისა ბაგრატ მაგისტროსისასა“ (ქქალძე, I, 316:39-40); „მაშინ სამთა მათ დიდებულთა ძეთა კურაპალატისათა — ადარნერსე (ადარნერსე), და ბაგრატ და გუარამ, შენირეს თითოეულად, რაჲცა საქმარი მონასტერსა მისსა უქმდა“ (ქქალძე, I, 252:11)⁵; ე.ი. აქ დასტურდება ფორმა *ადარნერსე*.

სუმბატ დავითის ძის ქრონიკაში (XI ს.), რომელსაც იმონშებს მ. ანდრონიკაშვილი, ყველა შემთხვევაში წარმოდგენილია ფორმა „*ადარნასე*“ (*სუმბატ დავითის ძის ქრონიკა*, ე. თაყაიშვილის გამოცემა, გვ. 91 — პირთა საძიებელი). როგორც მ. ანდრონიკაშვილი აღნიშნავს, ეს ფორმა „უფრო მოგვიანო ქართულ ძეგლებში“ გვხვდება⁶. ცხადია, იგი ასახავს იმ გვიანდელი ხელნაწერების ვითარებას, რომლითაც ამ ძეგლმა მოაღწია.

ოშკის წარწერებში (966-973 წწ. იხ. ქვემოთ) ეს სახელი დასტურდება სამი ფორმით: ადრნერსე — 2, 7; ადრნესე — 9, 13; ადარნესე — საამშენებლო წარწერა.

როგორც ვხედავთ, ამ სახელის დაწერილობის ერთიანი ფორმა არ არსებობს, ამიტომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იგი ისე უნდა გადმოიცეს, როგორც მოცემულ წერილობით ძეგლშია. ერთადერთი კანონზომიერება, რომლის დადგენა შესაძლებელია ისაა, რომ კომპოზიტის მეორე ნახევარში *ენიანი* ფორმა ნერსე/ნესე უფრო ძველია, ხოლო *ანიანი* ნასე/*ნარსე უფრო ახალი.

მაშასადამე, ოშკის ტაძრის ინტერიერში აღმართული იყო ორი სტელა კტიტორების გამოსახულებით. ტაძრის ინტერიერში კტიტორის რელიეფური გამოსახუ-

⁴ მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბ., 1966, გვ. 420-421.

⁵ მეორე ციტატი დამონშებული აქვს მ. ანდრონიკაშვილსაც; იხ. *იქვე*, გვ. 417, №2.

⁶ იქვე, გვ. 421.

ლების სხვა შემთხვევაცაა ცნობილი და ამას ადგილი ჰქონდა ტბეთში. დ. ბაქრადის⁷, პრ. უვაროვას⁸ და ნ. მარის⁹ ცნობით, ტაძრის დასავლეთი მკლავის ჩრდილოეთი კედლის აღმოსავლეთ მონაკვეთში მოთავსებული იყო სადგარზე აღმართული და ზურგით კედელში ჩასმული ფილა კტიტორის გამოსახულებით, მთელი ტანით, ეკლესიის მოდელით ხელში და 3/4 მიზრუნებით საკურთხევლისაკენ. გამოსახულების თანმხლებ რელიეფურ, მაგრამ გადათლილ-გადაშლილ წარწერის ფრაგმენტებში ალ. ხახანაშვილს ნაუკითხავს სიტყვა „კუხ“¹⁰ და მას შემდეგ მიჩნეულია, რომ ეს არის ტაძრის მაშენებლის, ერისთავთა ერისთავის აშოტ კუხის (†918) რელიეფური გამოსახულება. ფილის მდებარეობა ტაძრის ინტერიერში კარგად ჩანს 1888 წელს გადაღებულ ფოტოზე¹¹. რელიეფი ამჟამად ინახება თბილისში, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში. ტბეთის რელიეფი საფუძვლიანადაა ადგილზე აღწერილი ნ. მარის მიერ¹² და სპეციალურ სტატიიაში შესწავლილი კ. მაჩაბელის მიერ¹³. მისი ფოტო და გრაფიკული მონახაზი გამოაქვეყნა ვ. ჯობაძემ¹⁴.

ბოლო დროს გამოითქვა მოსაზრება — „უეჭველია, რომ ეს ფილა თავის ადგილას არ „იჯდა“ და რომ თავიდან ის ფასადზე იქნებოდა მოთავსებული“¹⁵. უფრო მეტი, ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ ტბეთის რელიეფი უნდა დათარიღდეს X ს-ით ან XI ს-ის დასაწყისით და რომ იგი გამოსახავს ტბეთის ტაძრის ერთ-ერთი გვიანდელი განახლების კტიტორს¹⁶. გარდა იმისა, რომ ამ მოსაზრებებს რეალური საფუძველი არ გააჩნია, ვფიქრობ, ოპკის ტაძრის ინტერიერში ცალკე მდგომ სტელებზე კტიტორთა გამოსახულებების მიკვლევამ, ტბეთის კტიტორულ რელიეფთან დაკავშირებითაც ზოგი რამ გაარკვია — ტბეთის ინტერიერში კტიტორის რელიეფის მოთავსება არ ყოფილა ერთეული შემთხვევა, უცხო და შეუძლებელი. ასევე, შესაძლოა იგი აღმართული იყო კტიტორის — აშოტ კუხის საფლავზე ან მის ახლოს.

⁷ *Д. Бахрадзе, Об археологической поземке, совершенной в 1879 году, по поручению Академии Наук в Чорохский бассейн, Батум, Артвин и Артанудж, ЗИАН, т. 37, кн. I, СПб, 1880, с. 50; Еж-ж, Заметки о Батумской области, ИКОИРГО, т. VI, Тиф., 1879-1881, с. 163.*

⁸ *П. Уварова, Путевые записки. Кавказ: Аджария, Шавшети, Пощховский участок, ч. II, М., 1891, с. 290.*

⁹ *Н. Марр, Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию, ТР.VII, СПб., 1911, с. 15-16.*

¹⁰ *А. Павлитов, Экспедиция на Кавказ 1888 года, МАК, вып. III, М., 1891, с. 72.*

¹¹ *МАК, вып. III, т.6. XLIII. ამის მიხედვით: W. Djobadze, Early medieval Georgian monasteries, pl. 338; ი. გვირაშვილი, ი. კობლატაძე, ტაო-კლარჯეთი, გვ. 118.*

¹² *Н. Марр, დასახ. ნაშრომი, გვ. 15-16.*

¹³ *კ. მაჩაბელი, აშოტ კუხის რელიეფი ტბეთიდან, „მაცნე“, 1968, №5, გვ. 150-162.*

¹⁴ *W. Djobadze, Early medieval Georgian monasteries, p. 225, fig. 83, pl. 346.*

¹⁵ *დ. ხომჭარია, ტბეთის ტაძრის ისტორიიდან, „საქართველოს სიძველენი“, 4-5, 2003, გვ. 81-82.*

¹⁶ *N. et J.-M. Thierry, La cathedrale de T'beti, "Cahiers Archeologiques", 47, 1999, p. 87-89.*

3. სტელეების წარწერების დათარიღება და ოშკის სხვა ეპიგრაფიკული ძეგლები

ოშკის ტაძარი გამორჩეულია იმითაც, რომ მის კედლებზე მრავალრიცხოვანი, რამდენიმე ათეული, ქართული ეპიგრაფიკული ძეგლია შემორჩენილი. როგორც ჩანს, მათი თავდაპირველი რაოდენობა გაცილებით მეტი იყო, მაგრამ ისინიც, რომლებიც დროს გადაურჩა, მეტად მნიშვნელოვანი ცნობების შემცველია. შესრულების ტექნიკის მიხედვით, როგორც თავდაპირველი, ისე შემდეგში მოთავსებული წარწერები, ორ ჯგუფად იყოფა — ქვაზე ამოკვეთილები და ნითელი საღებავით დანერილები (ასევე ქვაზე, ან ზოგჯერ — შელესილობაზე). ბუნებრივია, ოშკის მრავალრიცხოვანი წარწერები სხვადასხვა დროსაა შესრულებული და ტაძრის შესწავლის ერთ-ერთი ამოცანა მათი ქრონოლოგიის დადგენაა. მათი ქრონოლოგია ასევე დაუკავშირდა ტაძარში აღმოჩენილ სტელეების წარწერებს.

სტელეების წარწერების დათარიღება. სტელეებზე მოთავსებული წარწერები ასომთავრულია; პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით ისინი X ს-ით თარიღდება. ორი წარწერა შეიცავს ქრონოლოგიურ მონაცემებს¹⁷. პირველი მოთავსებულია (უფრო სწორად იყო, მაგრამ დღეს ნაშლილია) ბაგრატ ერისთავთა ერისთავის სტელის ზურგზე. მას, როგორც აღინიშნა, 1973 წ. მიაკვლია ვ. ჯობაძემ. მასში აღნიშნულია, რომ „დავინწყეთ ეკლესიათა ქრონიკონსა რპჱ, მარტსა კქ, დღესა ხა-რებასა. აღესრულა ბაგრატ ერისთავთა ერისთავი“¹⁸, ეკლესიისა ამის მამწებელი,

¹⁷ პირდაპირ ქრონოლოგიურ მონაცემებს არა, მაგრამ ტაძრის მშენებლობის ხანგრძლივობას აღნიშნავდა წარწერა, რომელიც აღმოსავლეთ ფასადის ფრონტონში ჩასმულ დღეს დაკარგულ რელიეფზე იყო მოთავსებული (მას ქვემოთ ცალკე განვიხილავთ). ტაძრის მოხატვის თარიღი (1036 წ.) იყო აღნიშნული ერთ ფრესკულ წარწერაში (ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია, გვ. 56-57), რომელიც დღეს არ არსებობს. ასევე არ არსებობს კიდევ ერთი ფრესკული თარიღიანი წარწერა ბიზანტიის იმპერატორის ბასილი II-ის გარდაცვალების (1025 წლის 12 დეკემბერი, კვირა) აღნიშვნით (ე. თაყაიშვილი, იქვე, გვ. 57), მაგრამ ტაძრის მშენებლობის პირველ ეტაპს ეს ფრესკული წარწერები არ განეკუთვნებია.

¹⁸ სხვათა შორის, წარწერის ტექსტში მისი წოდების სრული და დაუქარაგმებელი წარმოდგენა ასეთი ფორმით — „ერისთავთა ერისთავი“, კიდევ ერთი უტყუარი მაჩვენებელია იმისა, რომ სხვა შემთხვევებშიც იგი უნდა დაიწეროს ასე და არა საყოველთაოდ გავრცელებული და მიღებული ფორმით — „ერისთავთ-ერისთავი“. ეს ასეა ამ სტელეების ყველა დანარჩენ წარწერაშიც (№ 6, 7, 11); უფრო მეტი, ასეა ოშკის ტაძრის კედლებზე არსებულ წარწერებშიც (ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია, გვ. 47, 51...). ამიტომ, გ. აბრამიშვილის მიერ 739 წლით დათარიღებულ ატენის სიონის წარწერაში (ე. აბრამიშვილი, სტეფანოს მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში, თბ., 1977, გვ. 35-36; ქსე, III, გვ. 89-90, №25) „ერისთავთ[რისთ]ავსთა“-ს ნაკითხვა კიდევ ერთი არგუმენტია იმისა, რომ ამ წარწერის ტექსტი არაა ბოლომდე სწორად ნაკითხული და იგი კიდევ საჭიროებს შესწავლას. წარწერის თარიღიანი ადგილის განსხვავებული ნაკითხვისათვის იხ.: ვ. სილოგავა, ქართული ქრონოლოგიური ტერმინოლოგიიდან („ხუდა წელი“), „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 4, 1974, გვ. 115). მთლიანად წარწერის ტექსტის განსხვავებული

ქრონიკონსა [რჰე], ოკდომბერსა ზ, დღეს სამთშაბათსა" (№ 15). მაშასადამე, აქ აღნიშნულია ორი თარიღი: 963 წლის 25 მარტი, როდესაც დაუწყიათ ეკლესიათა, მართალია, არაა აღნიშნული, მაგრამ, ალბათ, შენება და მეორე — 966 წლის 2 ოკდომბერი, როდესაც გარდაცვლილა „ეკლესიის ამის მამნებელი“ (როგორც ქვემოთ დავინახავთ — ერთ-ერთი) ბაგრატ ერისთავთა ერისთავი. პირველ შემთხვევაში აღნიშნულია, რომ ეს იყო ხარება დღე, რაც ბუნებრივია, ხოლო მეორე შემთხვევაში, რომ ეს იყო „დღესა სამთშაბათსა“¹⁹.

მეორე წარწერა ლაბიძარულია, იგი ამოკვეთილია დავით მეფის სტელის მარცხენა გვერდზე (№7). წარწერის დასასრულს აღნიშნულია: „ეკლესიაჲ დაიწყეს ქრონიკონსა რჰე. ბაგრატ მეფე გარდაიცვალა ქრონიკონსა რჰე“. მაშასადამე, იგი, პირველთან შედარებით, უფრო მწირი ქრონოლოგიური ცნობების შემცველია — არაა აღნიშნული მომხდარი მოვლენების დღეები, მაგრამ ორივეგან ერთნაირად აღნიშნულია ეკლესიათა (ეკლესიის) დაწყება 963 წელს და ბაგრატის გარდაცვალება 966 წ.

ყურადღებას იქცევს ის, რომ წარწერებში არაა აღნიშნული თუ რა დაიწყეს ამ წელს ეკლესიათა, თუ ეკლესიისა — წინადადებას ორივე შემთხვევაში აკლია პირდაპირი დამატება. როგორც ჩანს, აქ იგულისხმება ტაძრის მშენებლობის დაწყება, ან კონკრეტულად მისთვის საფუძვლის ჩაყრა ხარება დღეს.

ბუნებრივია, რომ ორივე წარწერის შესრულების ქვედა თარიღია 966 წელი. მათი ზედა ქრონოლოგიური ზღვრის დასადგენად, ისევე, როგორც საერთოდ, ოშკის წარწერების უმეტესობის თარიღის დასადგენად, გვრჩება მათი შინაარსი. როგორც პირველ (№15), ისე მეორე (№7) წარწერაში 966 წელს გარდაცვლილი ბაგრატ ერისთავთა ერისთავის ძმა დავით მეფე დასახელებულია ბიზანტიური ტიტულების გარეშე. ორი ბიზანტიური ტიტულიდან — *მაგისტროსისა* და *კურაპალატისა*, რომელიც დავითს ჰქონდა, პირველი მისი მოხსენიების სადღეისოდ ცნობილი უად-

ინტერპრეტაციისა და პროსოპოგრაფიის შესახებ იხ. : დ. მუსხელიძე, საქართველო IV-VIII საუკუნეებში, თბ., 2003, გვ. 366-369.

¹⁹ წარწერის ტექსტის პირველ პუბლიკაციაში ამ ადგილის ასე წაკითხვა ვ. ჯობაძეს ეჭვებოდა და შესაძლებლად მიიჩნედა, როგორც „სამშაბათის“ ისე „სუთშაბათის“ წაკითხვას (*W. Djobadze, The Donor Reliefs, p. 59; ვ. ჯობაძე, ოშკის ტაძარი, გვ. 48*). მე შევნიშნე, რომ ბაგრატის გარდაცვალების დღე — 2 ოკდომბერი აღნიშნულია ე. თაყაიშვილის მიერ გამოქვეყნებულ ოშკის ტაძრის კიდევ ერთ მოსახსენებელ წარწერაში (*ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია, გვ. 55, წარწერა №X*), რომელიც, როგორც ჩანს, ვ. ჯობაძეს მხედველობიდან გამოჩნდა, და, გარდა ამისა, ვ. გრუმელის ქრონოლოგიური ტაბულითაც (*V. Grümel, La chronologie, Paris, 1958, p. 286*) 966 წლის 2 ოკტომბერი სამშაბათი იყო (იხ. *ვ. სილოგავა, გამოკვლევა ოშკის ტაძრის კტიტორთა რელიეფების შესახებ, გვ. 135-136; აქვე, დამატება 1*). როგორც ჩანს, ყოველივე ზემოაღნიშნული ვ. ჯობაძემ გაითვალისწინა, თუმცა, ამის შესახებ არ აღნიშნავს, და წარწერის ტექსტის მეორე გამოცემაში წაკითხვა „სამთშაბათი“ წარმოადგინა რაიმე შენიშვნის გარეშე (*W. Djobadze, Early medieval Georgian monasteries, p. 136-137, №5*).

რესი ფაქტი დასტურდება 973 წელს გადაწერილ პარხლის ოთხთავის ანდერძში²⁰. აქ აღნიშნულია, რომ ხელნაწერი გადაინერა „სალოცველად მეფეთა ჩუშნათოუს, ღმრთივ დიდებულისა ბაგრატ ქართველთა მეფისა, დავით მაგისტროსისა, სუმბატ ერისთავთა ერისთავისა“. აქედან, ბაგრატ ქართველთა მეფე, რეგვენად წოდებული, გარდაიცვალა 994 წელს²¹, მისი შვილი სუმბატი — 992 წელს, დავით მაგისტროსი არის ოშკის ტაძრის ერთ-ერთი კტიტორი, გარდაცვლილი 1001 წელს. სამივე მათგანი ბაგრატიონთა ტაოს შტოს წარმომადგენელია²².

²⁰ ხელნაწერთა ინსტიტუტი, A-1453, 237r-v; MAK, XII, c. 138-194; *ქ. თაყაიშვილი*, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია, გვ. 50; ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, გვ. 034; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია, ტ. V, გვ. 2.

²¹ ამ ბაგრატის გარდაცვალების შემდეგ საისტორიო წყაროებში არ ჩანდა თუ ვის უკონდა „ქართველთა მეფის“ ტიტული, რომელიც ტაოს ბაგრატიონებში მისმა პაპამ ადარნასე II-ემ (923) დაამკვიდრა (*ი. ჯავახიშვილი*, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, იხ. *მისი*, თხზ., ტ. II, თბ., 1983, გვ. 102-104; *სუმბატ დავითის ძის ქრონიკა*, წ. 58, გვ. 83, შენ. 20). ბოლო ხანებში გაიჩნდა, რომ დავით კურაპალატის დავალებით ვინმე იორდანე მაირენისეღს ათონზე გადაუწერია ხელნაწერი — ბასილი კესარიელის „სწავლანი“ (H-2251), რომლის ანდერძ-მოსახსენებლებში დავითი ოთხჯერ დასახელებულია, როგორც „ქართველთა მეფე“ და ორჯერ, როგორც „მეფე“ (*ქ. ქურციკიძე*, ათონზე გადაწერილი ერთი ხელნაწერის შესახებ, კრ. „მნივნობარი“, თბ., 1980, გვ. 112-120; ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო *ქ. ქურციკიძემ*, თბ., 1983, გვ. 016-021). მაშასადამე, ბაგრატ რეგვენის 994 წელს გარდაცვალების შემდეგ, ეს ტიტული მიუღია დავით კურაპალატს, რომელიც მას გარდაცვალებამდე, 1001 წლამდე ფლობდა (ბასილი კესარიელის „სწავლათა“... გვ. 021). ამასთან დაკავშირებით, დგება საკითხი დავით კურაპალატის შვილობილის, გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის, ბაგრატ III-ის (978-1014) ტიტულატურის ქრონოლოგიის შესახებ. ცნობილია, რომ ბაგრატი 975 წელს დაადგინეს ქართლის გამგებლად, 978 წელს ქუთაისში აკურთხეს აფხაზთა მეფედ (*ი. ჯავახიშვილი*, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, გვ. 124-125), ხოლო ქართველთა მეფე იგი, როგორც ჩანს, 1001 წლიდან, დავით კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ გახდა. მართლაც, ყყონდიდის ტაძრის 996 წლის წარწერაში (ქვე, II, გვ. 35) ბაგრატ III მხოლოდ „აფხაზთა მეფედ“ იწოდება, მაგრამ ხცისის 1002 წლის წარწერაში („ქართული ხელოვნება“, 4, გვ. 154) და შაორში 1003 წელს გადაწერილი ხელნაწერის ანდერძში (*ქ. სილოგავა*, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისათვის ბრძოლის ქრონოლოგიიდან. კახეთის შემოერთება 1003 წ., „მრავალთავი“, XIX, 2001, გვ. 355) იგი უკვე „აფხაზთა და ქართველთა მეფეა“. *ი. ჯავახიშვილი* მიიჩნევდა, რომ ბაგრატ რეგვენის გარდაცვალების შემდეგ „ქართველთა მეფე“, თითქოს, ბაგრატ III-ის მამა გურგენი (994-1008) გამხდარიყოს და ამიტომაც მიუღოს მას „მეფეთა მეფის“ ტიტული (*ი. ჯავახიშვილი*, დასახ. ნაშრომი, გვ. 125), მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ასე არ მომხდარა — „ქართველთა მეფის“ ტიტული დავით კურაპალატმა მიიღო, ხოლო გურგენი „მეფეთა მეფედ“ ნომინალურად იწოდებოდა, რაიმე კონკრეტული საფუძვლები გარეშე.

²² *სუმბატ დავითის ძის ქრონიკა*, გენეალოგიური ტაბულა II. მნიშვნელოვანია, რომ პარხლის ოთხთავის ანდერძში, ტაოს ბაგრატიონთა წამოთვლისას, მკაცრად დაცულია უფროსი-უმცროსობის სუბორდინაცია: ბაგრატი დავითს ბიძად ეკუთვნოდა, იმ დროისათვის იგი ატარებდა „ქართველთა მეფის“ ტიტულს, რანგით მომდევნო უკვე დავითი იყო, ხოლო

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე სტელების ეს ორი წარწერა თარიღდება 966-973 წწ.

ამავე დროისაა ბაგრატის სტელის მარჯვენა გვერდით კიდეზე ამოკვეთილი წარწერა (№13), რომელიც პირველი გახდა ცნობილი სტელების წარწერებს შორის, საღებავით შესრულებულს (№15) გამოკლებით, და გამოქვეყნდა 2003 წელს. ტექსტში ბაგრატის და დავითის ქრისტეს მიერ ერთობლივად შეწყალებაზე აღნიშნული („შეიწყალენ მონანი შენნი ბაგრატ და დავით, მეფენი ჩუენნი“) და დავითს ჯერ კიდევ არა აქვს რომელიმე ბიზანტიური ტიტული. ამის მიხედვით, ეს წარწერა 966-973 წწ. თარიღდება.

სტელებზე წარწერები ამოკვეთილია ბაგრატ ერისთავთა ერისთავის გარდაცვალების შემდეგ, რადგან ორივე სტელაზე თითო წარწერა მაინცაა, რომელშიც ბაგრატის სულის შეწყალებაზე აღნიშნული; კერძოდ, ესენია №8 (დავითის სტელა) და №11 (ბაგრატის სტელა).

გამოსახულებათა განმარტებით წარწერებში ბაგრატი და დავითი სხვადასხვანაირადაა მოხსენიებული — დავითი — დიდებით („დავით, ... მეფე ჩუენი... ადიდენ ღმერთმან“ — №1), ხოლო ბაგრატი — ქრისტეს მიმართ შეწყალების თხოვნით („ბაგრატუნე... შეიწყალე, ქრისტე“ — №9); ე.ი. ბაგრატის მოხსენიება შეწყალებით, „სულით შეწყალების“ აღნიშვნის გარეშეც, ნიშნავს, რომ სტელების დამზადებისა და ამ წარწერების (№9, 11) შესრულების დროისათვის იგი გარდაცვლილია.

მასასადამე, სტელებზე ამოკვეთილი წარწერები თარიღდება 966-973 წწ.


ტაძარზე მოთავსებული ლაპიდარული წარწერები. როგორც ზემოთაც აღინიშნა, შესრულების მიხედვით, ტაძარზე არსებული წარწერები იყოფა ორ ჯგუფად — ლაპიდარულები, ანუ ქვაზე ამოკვეთილები და წითელი საღებავით შესრულებულები. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ამის გამო ისინი ქრონოლოგიურადაც განსხვავებულად ჯგუფდებიან.

1. უძველესია ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე ამოკვეთილი წარწერა, რომელიც მოთავსებულია სარკმლის ზემოთ და სადაც მას გადასხმული აქვს წითელი საღებავი (სურ. 19; ტაბ. 45). მასში „ორსავე შინა ცხორებასა“ დიდებითაა დასახელებული *ბაგრატი* და *დავითი*; მათთან ერთად — მონასტრის პირველი მამასახლისები *მიქაელი* და *იოვანე* და სამშენებლო საქმეთა ხელმძღვანელი *გრიგოლი*. წარწერა თარიღდება 963-966 წწ. ქვედა ზღვარია ტაძრის მშენებლობის დაწყების თარიღი, დამონმებული ორივე სტელის წარწერებით (№7, 15), ხოლო ზედა ზღვარია — ბაგრატის გარდაცვალება 966 წელს, დამონმებული სტელების წარწერებით, ოშკის ტაძრის ერთ-ერთი მოსახსენიებელი საღებავით შესრულებული წარწერით²

ანდერძში დასახელებული მესამე პირი ბაგრატის შვილია, სრულიად უმნიშვნელო პოლიტიკური ფიგურა იმ დროის საქართველოს ისტორიაში.

² ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია, გვ. 55, №X წარწერა.

და სუმბატ დავითის ძის ქრონიკით²⁴. აქედან ისიც შეიძლება დავასკვნათ, რომ 966 წლისათვის ტაძრის კედლები ამოყვანილი ყოფილა აღმოსავლეთ ფასადის სარკმლის დონემდე.



სურ. 19. ნარნერა ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე.

2. 966 წლით უნდა დათარიღდეს, დაახ. წინა ნარნერის დონეზე, აღმოსავლეთ ფასადის სამხრეთი სარკმლის წარბზე ნახევარწრიულად ამოკვეთილი ნარნერა²⁵ (სურ 20). ნარნერის ბოლო ხანებში დაზუსტებული ტექსტის მიხედვით²⁶, მასში აღნიშნულია, რომ ეს ადგილი არის ბაგრატ ერისთავთა ერისთავისა; იგულისხმება მისი განსასვენებელი (იხ. ქვემოთ).


3. შეიძლება ამავე დროს (966 წ.) ამოკვეთეს ტაძრის „აღმოსავლეთ ნაწილის სამხრეთ კედელზე“ ორსტრიქონიანი ნარნერა, რომელშიც ქრისტეს მიერ დავითის შეწყალებაზე, ხოლო სამების მიერ მის განდიდებაზეა ანიშნული²⁷. როგორც ჩანს, სამხრეთი სარკმლის წარბზე როდესაც ამოკვეთეს ნარნერა იმის შესახებ, რომ ეს არის ბაგრატის ადგილი, მისი განსასვენებელი, იქვე მოათავსეს დავითის მოსახსენებელი ნარნერაც იმის ნიშნად, რომ მომავალში ეს ადგილი მისი განსასვენებელი იქნებოდა (იხ. ქვემოთ).

²⁴ სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, გვ. 67, 69. ე. თაყაიშვილი თელის, რომ სუმბატ დავითის ძემ ოშკის ნარნერებიდან აიღო ეს და ზოგიერთი სხვა ქრონოლოგიური მონაცემი (ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია, გვ. 55, №X ნარნერის კომენტარი), მაგრამ, ამ შემთხვევაში ეს საქმის არსს არ ცვლის.

²⁵ ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია, გვ. 52, №III ნარნერა.

²⁶ გ. გავოშიძე, ზოფორნის გუმბათიანი ეკლესია, თბ., 2003, გვ. 35.

²⁷ ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია, გვ. 52, №IV ნარნერა.



სურ. 20. წარწერა ტაძრის აღმოსავლეთ ფასადის სამხრეთი სარკმლის წარბზე.

4. კიდევ ერთი ლაპიდარული წარწერა მოთავსებული იყო რელიეფზე, რომელიც ჩასმული იყო ტაძრის აღმოსავლეთ ფასადის ფრონტონის ქვემოთ. მასში აღნიშნული იყო — „...ათსა წელსა აშენებდა“²⁸ (სურ. 21). ამ წარწერას, რომლის მონაცემები არსებითაა ტაძრის მშენებლობის დროისა და მისი დამთავრების თარიღის დასადგენად, ქვემოთ საგანგებოდ დავუბრუნდებით, ხოლო აქ აღვნიშნავ, რომ იგი 976 წლით, ამ მისი ახლო დროით უნდა დათარიღდეს.

ტაძრის საღებავით შესრულებული სამშენებლო და მემორიალურ-მოსახსენებელი წარწერები. ტაძრის მთავარი წარწერა მოთავსებულია სამხრეთი შესასვლელის ტიმპანზე. იგი 12 გრძელ სტრიქონად წითელი საღებავით დაწერილია უშუალოდ ქვის ფილაზე²⁹. წარწერას თარიღი არ უზის³⁰, ამიტომ იგი უნდა დათა-

²⁸ ე. თაყაიშვილი, 1917 წლის ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, გვ. 36-37, ტაბ. 55.

²⁹ ი. ჯავახიშვილმა ეს წარწერა, რატომღაც, ქვაზე ამოკვეთილად მიიჩნია და როგორც ასეთი იგი საგანგებოდ განიხილა (ი. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, ტფ., 1926, გვ. 165; იგივე, II გამოცემა, თბ., 1949, გვ. 169-170; იგივე, III გამოცემა, თბ. ტ. IX, თბ., 1996, გვ. 169-170).

³⁰ მართალია, ე. თაყაიშვილი წერს, „წარწერის ბოლო, სადაც თარიღი უნდა ყოფილიყო, მოსპობილია მაშაფიანების მიერ კარის ამოქოლების დროს“ (ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია, გვ. 49), მაგრამ კარის გამოთავისუფლების შემდეგაც აღმოჩნდა, რომ იქ თარიღი არ იყო აღნიშნული. როგორც ჩანს, ეს შემთხვევით არაა და ამის შესახებ ის. ქვემოთ.

რიდდეს შინაარსის მიხედვით. ეს წარწერა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქართული ეპიგრაფიკული ძეგლია — გარდა იმისა, რომ არის საამშენებლო-მემორიალური, წარმოადგენს ეპიგრაფიკულ საბუთს — ტექსტის მეორე ნაწილში აღრიცხულია ტაძრის მშენებლობაზე ერთი წლის მანძილზე („რომელ წელიწადსა წაეგების“) გაწეული ხარჯი. რადგან იგი სრულყოფილად გამოცემული არაა (ასომთავრული შრიფტით, კითხვასხვაობებით და ა.შ.), წარმოვადგენ მის პუბლიკაციას.



სურ. 21. რელიეფი ტაძრის აღმოსავლეთ ფასადის ფრონტონიდან (ე. თაყაიშვილის მიხ.).

§ 1. ტაძრის საამშენებლო წარწერა. [973-976 წწ.]

ასომთავრული; 12 სტრიქონი; შესრულებული ნითელი საღებავით ტაძრის სამხრეთ შესასვლელის ტიმპანზე. წარწერის მე-3-6 სტრიქონები, სხვებთან შედარებით, ახლოს და მიჯრითაა დანერილი. მე-12 სტრიქონი სხვებზე მოკლეა და შუაშია დანერილი; მე-11 სტრიქონის ბოლო და მე-12-ის დასაწყისში ტექსტი, ქვის ჩამოფშვნის გამო, ნაკლებია. განკვეთილობის ნიშანი — ორწერტილი, დასმული მხოლოდ რიცხვის აღმნიშვნელი ასოების ორივე მხარეს; ქარაგმის ნიშანი : მოკლე, განივი, სწორი ხაზი (სურ. 22; ტაბ. 47-49).

გ ა მ ო ც .: 1. *M. Brosset, Inscriptions géorgiennes et autres recueillies par le Père Nersis Sargisian, MAIS, t. VIII, №10, SPb., 1864, p. 7* (მხედრული ტექსტი), p. 8 (ფრანგული თარგმანი), pl. I (გრაფიკული ასლი) (პრ). 2. *Е. Такайшвили, Археологическая экспедиция 1917-го года в южные провинции Грузии, Тб., 1952, с. 57* (რუსული თარგმანი), рис. 27 (გრაფიკული ასლი), таб. 54 (ფოტო). 3. *ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბ., 1960, გვ. 47* (მხედრული ტრანსკრიპცია) (თ¹), გვ. 47-48 (მხედრული ტექსტი), სურ 27 (გრაფიკული ასლი), ტაბ. 54 (ფოტო) (თ). 4. *W. Djobadze, The Georgian Churches of Tao-Klarjet'i: Construction Methods and Materials, OrCh, 62, 1978, p. 124-125* (მხედრული ტრანსკრიპცია) (ჯ¹), p. 125-126 (მხედრული ტექსტი) (ჯ¹), p. 127 (ინგლისური თარგმანი), fig. c. (გრაფიკული ასლი ე. თაყაიშვილის მიხ.), taf. 6 (ფოტო). 5. *П. Закарая, Зодчество Тао-Кларджети, Тб., 1992, с. 163* (რუსული თარგმანი), рис. 74 (გრაფიკული ასლი), таб. 196 (ფოტო) (ე. თაყაიშვილის მიხ.) 6. *W. Djobadze, Early medieval Georgian monasteries in historic Tao, Klarjet'i and Shavset'i, Stuttgart, 1992, p. 12-133* (მხედრული ტექსტი), p. 133-134 (ინგლისური თარგმანი), fig. 37 (გრაფიკული ასლი ე. თაყაიშვილის მიხ.), pl. 181 (ფოტო) (ჯ).

Handwritten text in Georgian script, starting with a large initial letter.

Handwritten text in Georgian script, continuing the main body of the document.

Handwritten text in Georgian script, including a signature and date.

სურ. 22. ნარეგრა სამხრეთ შესასვლელის ტიპანაწიხე (ე. თაყაიშვილის მიხ.)

სპონდიქსა კრ(ე)ბდა — ლ^ა; სხუა^ა აზავერი, რ(ომე)ლ^ა [-----] [კრ(ე)]
და^ა — ა^ა; [-----] | ა^ა და [—] ყ(ოველ)ი ერი^ა და მოქმედი — კ^ა.

* შდრ. პრომ. 12, 13 („საკმარისა წმიდათასა ეზიარებოდით“). ვ. ჯგობაძე უთითებს: II პეტ. 1, 15, რაც არაა სწორი.

^ა 20. ^ა 5000. ^ა 50. ^ა 250. ^ა 70. ^ა 30. ^ა 60. ^ა 60. ^ა 80.

¹ — ბრ, ქ თ. ² ლთისაათა ბრ. ³ მოყვარეთა ბრ. ⁴ სარწმუნოებითა ბრ. ⁵ ჩვენისა ბრ. ⁶ ლთის მშობლისაათა ბრ. ⁷ წმიდასა ბრ, ჯ¹, წმიდასა (sic) თ. ⁸ ცხოვრებისაათა ბრ. ⁹ ნათლიმცემლისაათა თ. ¹⁰ წმიდათაათა ბრ, თ. ¹¹ უკუნითგან ბრ. ¹² ეყენეს ბრ, თ. ¹³ ლთივ ბრ. ¹⁴ ჩვენთა ბრ. ¹⁵ წმიდასა ბრ, თ. ¹⁶ რათა ბრ, ჯ. ¹⁷ კსენებათა ბრ. ¹⁸ წმიდათა ბრ. ¹⁹ წმიდათა ბრ. ²⁰ ჩვენთა ბრ. ²¹ ყენენ ბრ, ყენენ (sic) თ. ²² რათა ბრ, ჯ. ²³ მოგენენ ბრ. ²⁴ შეენიენეს ბრ. ²⁵ ცხოვრებათა ბრ. ²⁶ ძალითა ბრ. ²⁷ ლთივ კურთხეულისა ბრ. ²⁸ კუროპალატისაათა თ. ²⁹ ერისთავსა თ. ³⁰ მაგისტროსსა თ. ³¹ მარჯვენითა ბრ. ³² ცხოვრებათა ჯ. ³³ — ბრ. ³⁴ ლთისა ბრ. ³⁵ სამესა ბრ. ³⁶ მექუიშეთა ბრ. ³⁷ წარვეგების ბრ, ჯ. ³⁸ ღვთა ბრ. ³⁹ ფასი ბრ. ⁴⁰ ლიტრა ბრ, ლიტრი ჯ. ⁴¹ ხვარბალი ბრ. ⁴² შერებოდა ბრ. ⁴³ სხვა ბრ. ⁴⁴ გრიგოვლ-წმიდით ჯ. ⁴⁵ სხვა ბრ. ⁴⁶ რომელს ბრ. ⁴⁷ ...და ბრ. ⁴⁸ ყოველი ერიბიერი ბრ.

წარწერის დათარიღებისთვის მნიშვნელოვანია მისი შემდეგი ადგილი: „ღმერთმან შეენიენ ორთავე ცხოვრებათა ძეთა ღმრთივ კურთხეულისა ადარნასე კურაპალატისათა, ბაგრატ ერისთავთა ერისთავმან, დავით მაგისტროსმან, სამეხამან წმიდამან სამნივე დაიფარენ მარჯუენითა თუსითა და ადიდენ ორთავე ცხოვრებათა“. წარწერის ტექსტის ამ მონაკვეთში ორგზის გამოყენებულია ისეთი ფორმულა („შეენიენ ორთავე ცხოვრებათა“, „ადიდენ ორთავე ცხოვრებათა“), რომ წარწერის შესრულების დროისათვის სამივე — ადარნასე კურაპალატი და მისი შვილები — ბაგრატ ერისთავთა ერისთავი და დავით მაგისტროსი, ცოცხლებად იგულისხმებიან. ცხადია, ეს ანაქრონიზმია და ამ საკითხს ქვემოთ დაეუბრუნდებით.

ნითელი საღებავით შესრულებული სამი წარწერა მოთავსებული იყო ტაძრის სამხრეთ კედელზე — ვედრების კომპოზიციის ზემოთ და კტიტორების რელიეფური გამოსახულებების თავებთან. ამჟამად მათგან უმნიშვნელო ფრაგმენტებია დარჩენილი საღებავის გადაშლის გამო; ცუდად ჩანდა ისინი 1861 წელსაც, როდესაც ნერსეს სარგისიანმა გადმოიღო მათი ასლები. 1917 წელს ე. თაყაიშვილის ექსპედიციის დროს წარწერების ტექსტების შედარებით მთლიანი სახით გადმოიღება მოხერხებულა.

1. ვედრების ზემოთ იკითხებოდა:

„ნ(მი)დ(ა)ო ლ(მრ)თისმშ(ო)ბ(ე)ლო და ნ(მი)დაო ნ(ა)თლისმც(ე)მ(ე)ლო, ადიდენ მ(ე)ფ(ე)ნი ჩუენნი, | გლახ(ა)კნი შ(ე)ნნი, მ(ა)შ(ე)ნ(ე)ბელნი ამის წმიდისა ეკლეს(ი)სა | და კუალად წარ(უ)მ(ა)რთენ | მ(ე)ფ(ე)თა ჩ(უ)ენთა ბ(ა)გრატ[ს] და | დავითს“.

2. დავით მაგისტროსის ბარელიეფის წარწერა:

„წ მონაა ლ(მრ)თისაა, მ(ე)ფ რ(უ)ენი | დავით მაგისტროსი ადიდენი ლ(მერთმა)ნ ორთავე ცხოვრებათა, | მ(ა)შ(ე)ნ(ე)ბ(ე)ლი ამ(ი)ს წ(მი)დისა | ეკლესიისაა, ა(მ)ენ“.

3. ბაგრატ ერისთავთა ერისთავის გამოსახულების წარწერა. ძალზე შებღალული და თითქმის მთლიანად გადასული ყოფილა. ე. თაყაიშვილი წერს, რომ იგი წარმოადგენს წინა წარწერის განმეორებას — მხოლოდ სახელი და პატივია შეცვლილი, ამიტომ მისი დანამდვილებით აღდგენა ძნელი არ არისო:

„წ მონაა ლ(მრ)თისაა, მეფეა ჩუენი | ბაგრატ ერისთავთა ერისთავი ადიდენი ლმერთმან ორთავე ცხოვრებათა, მაშენებელი ამის წმიდისა ეკლესიისაა, ამენ“³¹.

წარწერის ტექსტებში დავითი დასახელებულია მაგისტროსის ტიტულით, ხოლო ბაგრატ ერისთავთა ერისთავი ცოცხლად იხსენიება („ადიდენ ლმერთმან ორთავე ცხოვრებათა“). ცხადია, ეს ანაქრონიზმია.

1973 წელს ტაძრის სამხრეთ-დასავლეთის გუმბათქვეშა ბურჯის ნიშის ორივე მხარეს, ბაგრატის და დავითის მის მიერ მიკვლეულ ბარელიეფებთან, ვ. ჯობაძემ გამოავლინა საღებავით შესრულებული განმარტებითი წარწერები. ამჟამად ეს წარწერები გადაშლილია, ხოლო ვ. ჯობაძის გამოცემის მიხედვით მათი ტექსტები ასეთია:

1. „ლ(მრ)თისმშობელი. |

წ მონაა ლ(მრ)თისაა | დ(ა)ვ(ი)თ მ(ა)გისტროსი, მა(შენე)ბ(ე)ლი წ(მი)დისა ამის | ს(ა)ყდრისა, | ა(დი)დ(ე)ნ ლ(მერთმა)ნ, | ა(მ)ენ“.

2. „ნ(მი)დაა ნათლისმცემელა.

მ(ე)ფ რ(უ)ენი | ბ(ა)გრ(ა)ტ ერისთავთა | ერისთავი, მაშ(ე)ნ(ე)ბ(ე)ლი

³¹ ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია, გვ. 52-53, წარწერები №V, VI, VII. შემდეგში ამის მიხედვით წარწერები გამოსცა ვ. ჯობაძემაც: *W. Djabadze, The Donor reliefs, p. 43; ე. ჯობაძე, ოშკის ტაძარი, გვ. 22; W. Djabadze, Early medieval Georgian monasteries, p. 141. ე. თაყაიშვილის მიხედვით ისინი გამოსცა ნ. შოშიაშვილმა (ქსე, I, გვ. 49-50).*

წ(მი)დისა | ამის | ს(ა)ყდრისა. | ქ(რისტ)ე, | აქ(ი)დ(ე)ნ, | ა(მე)ნ³².

კიდევ ერთი მოსახსენებელი წარწერა, შესრულებული ასევე ნითელი საღებავით, მიწერილია ტაძრის სამხრეთი შესასვლელის მარცხნივ. იგი პირველად გამოსცა მ. ბროსემ ნ. სარგისიანის მიერ გადმოღებული ასლის მიხედვით. 1917 წელს იგი ჯამბუშ შესასვლელით იყო დაფარული. ე. თაყაიშვილმა ვერ იპოვა და გამოსცა მ. ბროსეს მიხედვით. ჯამეს შესასვლელის მოხსნის შემდეგ კვლავ იპოვა და გამოსცა ვ. ჯობაძემ. წარწერა ამჟამად ადგილზეა (ტაბ. 46). ისევე, როგორც ნ. სარგისიანის დროს, იკითხება მხოლოდ პირველი 16 სტრიქონი. დარჩენილი კვალის მიხედვით, ერთი ამდენი გადაშლილია. ტექსტი ასეთია:

† ი(ეს)უ ქ(რისტ)ე, მეოხებითა | წ(მი)დისა ლ(მრ)თისმშობელისაათა და | წ(მი)დისა იოვანე | ნათლისმცემელისაათა და | წ(მი)დისა ძელისა | ცხოვრებისაათა და ყ(ოვე)ლთა წ(მი)დათა(ა)თა, აღიდენ | მეფენი ჩ(უენ)ნი წ(ინა)შე შენსა, მაშენებელ(ნი) ამის ეკლესი(ი)სანი — ბაგრატ ერისთავთა ერისთავი |...“.

სხვა წარწერების ანალოგიით, აქაც, ამის შემდეგ, ალბათ, იკითხებოდა დავით მაგისტროსის სახელი.

საღებავით შესრულებული ამ მოსახსენებელი წარწერების დასათარიღებლად მათ შინაარსს უნდა მივმართოთ. წარწერებში ბაგრატ ერისთავთა ერისთავი ცოცხლადაა მოხსენიებული და, ამდენად, ისინი, თითქოს, 966 წ-მდე უნდა იყოს შესრულებული. დათარიღების მეორე დასაყრდენია დავითის მოხსენიება მაგისტროსის ტიტულით, რომლითაც იგი პირველად 973 წელს იხსენიება.

სუმბატ დავითის ძის ქრონიკის მიხედვით, დავითამდე მაგისტროსის ტიტულს ატარებდა მამამისი ადარნესე, რომელმაც იგი მიიღო 945 წელს, ხოლო 958 წლიდან ადარნესე კურაპალატი გახდა. ამავე წელს იგი შვილებმა — ბაგრატმა და დავითმა „შეიპყრეს და მონაზონ ქმნეს“. სამი წლის შემდეგ, 961 წელს იგი გარდაიცვალა კიდევ³³; ხოლო ორი წლის შემდეგ, 963 წელს ბაგრატმა და დავითმა დაიწყეს ოშკის სამონასტრო კომპლექსის და მისი მთავარი, იოვანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძრის მშენებლობა; სამი წლის შემდეგ, 966 წელს, მშენებლობის ერთ-ერთი კტიტორი ბაგრატ ერისთავთა ერისთავი გარდაიცვალა.

ე. თაყაიშვილი შვილების მიერ ადარნესეს შემონაზვნებას იმით ხსნის, რომ „ისინი ეპაყოფილი არ იყვნენ მამით, როგორც კურაპალატი და მათ სურდათ, რომ ეს თანამდებობა მათ შორის უფრო ღირსეულს გადასცემოდა“³⁴.

ზემოაღნიშნულიდან ისიც გამოდის, რომ 958 წლიდან მაგისტროსის ტიტული

³² W. Djbadze, *The Donor reliefs*, p. 54; ამის მიხედვით: ე. სილოგავა, გამოკვლევა ოშკის ტაძრის ქტიტორთა რელიეფების..., გვ. 134 (იგივე, იხ. აქვე, დამატება I). ე. ჯობაძე, ოშკის ტაძარი, გვ. 41; ქსე, I, გვ. 50; W. Djbadze, *Early medieval Georgian monasteries*, p. 135-136.

³³ სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, გვ. 67, 669.

³⁴ ე. თაყაიშვილი წერს, უნდა ვიფიქროთ, რომ ადარნესემ თავისი სიცოცხლე ოშკის მონასტერში დაასრულა (ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია, გვ. 51), მაგრამ ეს შეუძლებელია, რადგან ახლა ვიცით, რომ მონასტრის მშენებლობა მისი გარდაცვალებიდან სამი წლის შემდეგ დაიწყო.

ვაკანტური იყო ტაოს ბაგრატიონთა სახლში, მაგრამ 966 წლამდეც იგი არავის ჰქონდა, რადგან სტელეების წარწერებში, რომლებიდანაც ბაგრატი გარდაცვლილი ჩანს, ამ ტიტულს არც ერთი მათგანი არ ატარებს. როგორც ჩანს, იგი ამის შემდეგაც კარგა ხანს ვაკანტური იყო³⁵ და მხოლოდ შვიდი წლის შემდეგ, 973 წ. დაფიქსირდა მისი ტარების პირველი შემთხვევა დავითის მიერ პარხლის ოთხთავის ანდერძის მიხედვით.

მაშასადამე, ზემოთნარმოდგენილი ოშკის ტაძრის წარწერები, რომლებიც საღებავითაა შესრულებული, დამოუკიდებლად იმისა ანაქრონიზმს შეიცავენ თუ არა, შესრულებულია დავითის მიერ მაგისტროსის ნოდების მიღების, ანუ 973 წლის შემდეგ. ესაა ამ წარწერების შესრულების ქვედა ზღვარი. ზედა ზღვრის განსაზღვრაში გვეხელის ოშკის ტაძრის კიდევ ერთი, ამჯერად ლაპიდარული წარწერა, რომელიც ასევე მჭიდროდაა დაკავშირებული ტაძრის მშენებლობის თარიღის დადგენასთან.

4. ტაძრის აშენების თარიღი

1917 წლის ექსპედიციის დროს, როგორც ე. თაყაიშვილი წერს, „ქვებში, რომლითაც შემოზღუდული იყო ტაძრის აღმოსავლეთით მდებარე პატარა ბოსტანი“, აღმოჩნდა ქვა რელიეფური გამოსახულებით ანგელოზისა თუ საერო პირისა, რომლის თავის ორივე მხარეს ამოკვეთილი იყო ასომთავრული წარწერა. რადგანაც გამოსახულებას თავი მოტეხილი ჰქონდა და რელიეფის ზედა ნაწილი საერთოდაც დაზიანებული იყო, წარწერას დასაწყისში აკლდა და იკითხებოდა მხოლოდ შემდეგი: „[...]სა | აშენებქა“. ე. თაყაიშვილმა ივარაუდა, რომ აქ აღნიშნული იყო ტაძრის მშენებლობის ხანგრძლივობა და ტექსტი ასე შეავსო და გამართა: „[ათსა წ(ე)ლი]სა | აშენებქა“. XX ს-ის 60-იან წლებში, როდესაც ვ. ჯობაძემ ოშკის ტაძრის შესწავლა დაიწყო, ეს რელიეფი არ დახვდა და ამჟამად იგი დაკარგულად ითვლება. შემოგვრჩა მხოლოდ ფოტონგეატივი, რომელიც ინახება საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ფოტოთეკაში (№1407/4240) (სურ. 21).

რელიეფი ჩასმული ყოფილა ტაძრის აღმოსავლეთ ფასადის ფრონტონში, მაღლა, სახურავის კარნიზის კეხს ქვემოთ, შუა თალის არეში. ამჟამად ამ ადგილას კედელში დიდი ხერხია განგრეული და აშკარად ჩანს, რომ კედლის წყობას აქ ქვა აკლია.

³⁵ ნ. შოშიაშვილის მოსაზრებით, ადარწესეს გარდაცვალების შემდეგ, როგორც მაგისტროსის, ისე კურაპალატის ტიტული ტაოს ბაგრატიონთა მეორე შტოს წარმომადგენლებში გადავიდა დროებით და ისინი მოგვიანებით კვლავ დაიბრუნა დავითმა (ქსკ, I, გვ. 56-57).



სურ. 23. ანგელოზის რელიეფი ტაძრის სამხრეთ ფასადზე.

ე. თაყაიშვილის აზრით, ფილაზე გამოსახული იყო ტაძრის ხუროთმოძღვარი და ტექსტშიც აღნიშნული იყო მის მიერ ტაძრის მშენებლობის ხანგრძლივობა. პირველად გ. ჩუბინაშვილმა აღნიშნა ე. თაყაიშვილის ნაშრომზე დანერილ რეცენზიაში,

რომ აქ გამოსახული იყო მთავარანგელოზი³⁶ და, მაშასადამე, წარწერაც ამოკვეთილი იყო მის ფრთებზე. ეს მოსაზრება შემდეგში სხვა მკვლევარებმაც გაიზიარეს (*ე. ჯობაძე, ნ. შოშიაშვილი, ვ. სილოგავა*). მართლაც, რელიეფზე წარმოდგენილი გამოსახულება — გაშლილი ფრთებით, პირდაპირ, მკერდთან მიტყუებული ხელებით მლოცველის თუ მავედრებელის პოზაში, მსგავსია ტაძრის დასავლეთის მკლავის სამხრეთის ფასადზე წარმოდგენილ ანგელოზთა რელიეფური გამოსახულებებისა³⁷ (ერთ-ერთი მათგანი იხ. აქვე — სურ. 23).

ანგელოზის ფრთების გარშემო ამოკვეთილი წარწერის მონაცემების მის მიერ მიკვლეულ საღებავით შესრულებული სტელების წარწერის მონაცემებთან შეჯერებით, ე. ჯობაძემ დაადგინა, რომ ოშკის ტაძარი შენდებოდა 963-973 წლებში³⁸.

ანგელოზის ფრთებზე ამოკვეთილ წარწერაში ტაძრის კტიტორი დასახელებულია მხოლოდობით რიცხვში — „აშენებდა“³⁹ (თანაც ეს სიტყვა წერია მთლიანად, დაუქარაგმებლად და მისი ნაკითხვა ფოტოს მიხედვითაც არავითარ ეჭვს არ იწვევს) და არა „აშენებდნენ“, ან „აეშენა“. ამდენად, წარწერის ნაკლებ ტექსტში უნდა ვიგულისხმეთ მხოლოდ დავითი.

წარწერის ტექსტი აღდგენილი სახით შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ (პირველი სამი სტრიქონი თავის გარშემო, ხოლო დანარჩენი თავის ორივე მხარეს):

[C O R I N T H]

[I K N O T C O L U S]

[P A O L O S K T S]

[ად(იდე)ნ ლ(მერთმა)ნ მ(ე)ფ | ჩ(უ)ნი დ(ავით)

[C O S]

მაგისტროსი, რ(ომელ) | ათსა ნ(ელ)ლსა | აშენებდა⁴⁰.

[C R S]

ს

სჟ

რჟ

ო

რადგანაც ვიცით, რომ მშენებლობა დაწყებულ იქნა 963 წელს (სტელების წარწერები) და ბაგრატი გარდაიცვალა 966 წელს (სტელების წარწერები, წარწერა

³⁶ „ქართული ხელოვნება (Ars Georgica)“, 5, 1959, გვ. 258.

³⁷ შდრ., ამ გამოსახულებათა მაღალი ხარისხის ფოტოები (*D. Wienfeld, Some early medieval figure sculptures, tab. 9, a, b, 12a*) და აღმოსავლეთ ფასადის რელიეფის ფოტო (*ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია, ტაბ. 55*). რამდენადმე განსხვავდება მათგან მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზების გამოსახულება ტაძრის სამხრეთი მკლავის სამხრეთ ფასადზე, (ცენტრალურ თაღში, სარკმლის ზემოთ, სადაც ისინი გამოსახულია კვერთხით ხელში (*D. Wienfeld, დასახ. ნაშრომი, ტაბ. მ*)) (სურ. 9). სხვაობა მათ შორის განსაზღვრულია იერარქიულობით — დასავლეთ მკლავზე და აღმოსავლეთ ფასადზე ანგელოზებია გამოსახული, ხოლო სამხრეთ მკლავზე — მთავარანგელოზები.

³⁸ ოშკის ტაძრის აშენების თარიღის შესახებ მანამდე არსებული მოსაზრებები იხ.: ქვკ, I, გვ. 53-55. ნ. შოშიაშვილი იზიარებს ე. თაყაიშვილის თვალსაზრისს და მიიჩნევს, რომ „ოშკის ტაძარი შენდებოდა დაახლოებით 950-960 წლებში“ (იქვე).

³⁹ ე. სილოგავა, გამოკვლევა ოშკის ტაძრის კტიტორთა რელიეფების, გვ. 140; იხ. აქვე, დამატება I.

⁴⁰ შდრ. ე. სილოგავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 141, შენ 4ბ; აქვე, დამატება I.

ტაძრის დასავლეთი მკლავის სამხრეთი შესასვლელის ტიპანზე, სუმბატ დავითის ძის ქრონიკა), მაშასადამე, 963-966 წლებში ტაძარი ერთად უშენებია ორივე ძმას, ხოლო 966 წლის შემდეგ, კიდევ 10 წლის განმავლობაში, გაუგრძელებია დავითს. ამიტომ, ამ მშენებლობის დასრულების აღმნიშვნელი წარწერა ანგელოზის ფრთების გარშემო დათარიღდება 976 წლით. ე.ი. საბოლოო ჯამში ტაძრის მშენებლობა გაგრძელებულა 13 წელიწადს — 963-976 წლებში. ვფიქრობ, დღეს ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით ასე უნდა განვსაზღვროთ ოშკის ტაძრის მშენებლობის თარიღი⁴¹.

როგორც ჩანს, ტაძრის მშენებლობის პროცესში ბაგრატიის გარდაცვალებამ, ასევე, დავითის სურვილმა ტაძარი საგვარეულო სამარხად აეშენებინა, განსაზღვრა ტაძრის, როგორც მემორიალური ძეგლის აშენება და გამოიწვია ის ანაქრონიზმები, რომლებიც მშენებლობის დამთავრების შემდეგ მასზე მოთავსებულ საღებავით შესრულებულ წარწერებში აისახა (დწვრილებით იხ. ქვემოთ).

1980 წელს გამოქვეყნდა „ქართული წარწერების კორპუსის“ I ტომი, რომელშიც გამოცემულია V-X სს. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს ლაპიდარული (ქვაზე ამოკვეთილი) წარწერები. თუმცა, შესავალ ნარკვევში განხილულია საღებავით შესრულებული წარწერებიც (*ოპიზა, ოშკი*) (ქნკ, I, გვ. 48-55, 285).

აქ, ცალკე თავი აქვს დათმობილი ოშკის ტაძრის წარწერებს (ქნკ, I, გვ. 45-58). ავტორის სამართლიანი შენიშვნით, ოშკის, როგორც ფრესკული, ისე ლაპიდარული წარწერები შინაარსობრივად ერთმანეთთანაა დაკავშირებული და ისინი შეეხება ტაძრის აგებასა და განახლება-მოხატვას. ლაპიდარული წარწერების გაგება შეუძლებელია ფრესკული საამშენებლო წარწერების გათვალისწინების გარეშე; ამიტომაც ჩაუთვლია მას საჭიროდ მათი ერთობლივი განხილვა⁴².

ოშკის ტაძრისა და მისი წარწერების შესწავლის ისტორიის მოკლედ გადმოცემის შემდეგ, ავტორს წარმოდგენილი აქვს ოშკის წარწერების დაჯგუფება შინაარსის მიხედვით: I. ტაძრის საამშენებლო. II. მოსახსენებლები (ე.ი. მემორიალურ-სამლოცველო). III. მცირე ეკლესიების საამშენებლო (ქტიტორის). IV. ტაძრის მოხატვის. V. წმინდანთა სახელები (ფრესკებზე და რელიეფებზე) (ქნკ, I, გვ. 48). ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ კლასიფიკაციის III ჯგუფი გაუგებრობაზეა

⁴¹ ადრე ვთვლიდი, რომ ტაძრის მშენებლობა „უნდა განისაზღვროს X ს-ის მესამე მეოთხედით“ (ე. *სილოგავა*, დასახ. ნაშრომი, გვ. 142; *აქეე*, დამატება I), მაგრამ, 2003 წელს აღმოჩენილი სტელების მონაცემებით, აგრეთვე, ტაძარზე არსებულ და მანამდეც ცნობილ წარწერების ახლებური ანალიზის შედეგად, როგორც ჩანს, ტაძრის აშენების თარიღად უნდა მივიღოთ 963-976 წლები.

⁴² „კორპუსში“ ნ. შოშიაშვილი აქვეყნებს ოშკის ოთხ წარწერას (ქნკ, გვ. 302-304, №171-174), რომელთაგან ერთი (№174) აქ შემთხვევითაა მოხვედრილი — იგი ფრესკულია, საღებავითაა შესრულებული და არა ლაპიდარული, ანუ ქვაზე ამოჭრილი. თუმცა, მისი ლაპიდარულობა მასაც ეჭვება — ფოტოს მიხედვით ის უნდა იყოს ლაპიდარული წარწერა, შესრულებული ამოღარვის წესითო“ — წერს ის. მაგრამ, ფაქტია, რომ ეს წითელი საღებავით შესრულებული წარწერა („წმიდაა კოზმან“), მოთავსებული ნმ. კოზმანის გამოსახულებასთან ტაძრის სამხრეთი გალერეის რვანახნავა სვეტზე, მან ჩართო ლაპიდარული წარწერების კრებულში. ეს მით უფრო გასაკვირია, რომ ამ წარწერის ტექსტი, პალეოგრაფიული ასლით, გამოქვეყნებული აქვს ე. თაყაიშვილს (იხ. *მისი*, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია, გვ. 40), რასაც ნ. შოშიაშვილი არ უთითებს — იგი ე. თაყაიშვილის მიერ ამ წარწერის მხოლოდ ფოტოს გამოქვეყნებაზე აღნიშნავს.

დამყარებული — არავითარი მცირე ეკლესიის საამშენებლო ნარწერა ოშკში არ არსებობს. ასეთად ავტორს მიუჩნევია ქვის სტელაზე წითელი საღებავით დაწერილი ნარწერა ეკლესიის მშენებლობის დაწყებისა და ბაგრატი ერისთავთა ერისთავის გარდაცვალების თარიღების აღნიშვნით. როგორც ცნობილია და ზემოთაც არაერთგზის აღინიშნა, მას მიაკვლია ვ. ჯობაძემ ჯამედან დარჩენილ კედელში ჩაშენებულ ქვის სტელის ზურგზე (იხ. აქვე, №15). იგი ცალკე იდგა ტაძარში, ბაგრატი ერისთავის საფლავზე და მას ოშკის ტაძრის გარშემო, შეიძლება ითქვას, საკმაო მოშორებით მდგარ მცირე ეკლესიებთან არავითარი კავშირი არა აქვს.

ავტორი ცალკე განიხილავს ტაძრის აგების თარიღს. მოჰყავს სხვა მკვლევარების თვალსაზრისები ამ საკითხზე (*მ. ბროსე, ი. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი, გ. ჩუბინაშვილი, ვ. ჯობაძე, ვ. სილოგავა*), კრიტიკულად განიხილავს მათ და ასკვნის: „ჩვენი აზრით, ტაძრის აგების თარიღზე მისაღებია ე. თაყაიშვილის თვალსაზრისი“ (ქსკ, I, გვ. 54). საბოლოოდ მისი დასკვნა ასეთია: „ამრიგად, ოშკის ტაძარი შენდებოდა დაახლოებით 950-960 წლებში, როგორც ამას ვარაუდობდა ე. თაყაიშვილი, XI ს-ის 20-იან წლებში, 1028 წლამდე ტაძარში ჩაუტარებიათ სარესტავრაციო სამუშაო, ხოლო 1036 წელს ის მოუხატა“ (ქსკ, I, გვ. 55).

ავტორის ამ მსჯელობაში უგულვებელყოფილია ე. ჯობაძის მიერ აღმოჩენილი საღებავით დაწერილი ნარწერის თარიღი ტაძრის მშენებლობის დაწყების შესახებ 963 წელს; 2003 წელს აღმოჩენილ ქვაზე ამოკვეთილ ვრცელ, 33-სტრიქონიან ნარწერაშიც იგივე მონაცემებია იმავე საკითხზე (აქვე, №7). ცხადია, ამ უკანასკნელის გათვალისწინება ავტორს არ შეეძლო, მაგრამ ვ. ჯობაძის თვალსაზრისთან დაკავშირებით იგი შემდეგს წერს: „ვ. ჯობაძის თვალსაზრისი, რომ ოშკის ტაძარი შენდებოდა 963-973 წლებში, ჩვენი აზრით, გაუგებრობაზეა დამყარებული: რანაირად დაიწყებოდა ოშკის მშენებლობა 963 წ., როცა მისი მთავარი საამშენებლო ნარწერა თარიღდება 958-961 წწ. ვ. ჯობაძის მიერ გამოვლენილი ფრესკული ნარწერა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ალბათ გულისხმობს არა მთავარი ტაძრის მშენებლობის დაწყებას 963 წლიდან, არამედ — მცირე ეკლესიებისა“ (ქსკ, I, გვ. 55). მაგრამ, ვიმეორებთ, ავტორის ეს მოსაზრება გაუგებრობებზეა დამყარებული: 1. მთავარი საამშენებლო ნარწერა 958-961 წწ. ვერ დათარიღდება, რადგან მასში დავითი მაგისტროსის ტიტულით იხსენიება, რომელიც მას 973 წლიდან ჰქონდა და ეს ნარწერა შესრულებულია ტაძრის მშენებლობის დამთავრების შემდეგ, ისევე, როგორც ტაძრის ყველა ის საღებავით შესრულებული ნარწერა, რომელშიც დავითი ამ ტიტულით იხსენიება; 2. ვ. ჯობაძის მიერ აღმოჩენილი ნარწერა მოთავსებული იყო არა რომელიმე მცირე ეკლესიაზე, არამედ მთავარ ტაძარში დადგმულ ქვის სტელაზე წმ. იოვანე ნათლისმცემლის და ბაგრატი ერისთავთა ერისთავის გამოსახულებით⁴³.

⁴³ სტელის ნარწერების ლექსიკითაც ისინი განეკუთვნება მთავარ ტაძარს — დავით მეფის სტელის გვერდით ნარწერაში გრიგოლი საუბრობს „ვიცა-ვინ ამის საყდრისა შემწე და მსახური“ იყოს ღმერთმან შეიწყალო. „ამის საყდრისა“, ცხადია, ნიშნავს, რომ სტელეზე იდგა საყდარში (რომ იდგა ვერტიკალურად — ამის შესახებ იხ. ზემოთ. გვ. 64) და არა ეკლესიაში — საყდართან შედარებით მცირე ზომის ნაგებობაში. ასევე, ტაძრის მთავარ საამშენებლო ნარწერაში (იხ. გვ. 95) იგი იწოდება „საყდრად“ და არა ეკლესიად — „იწყის ღმრთივეგურიგუნოსანთა მეფეთა ჩუენთა შენებად ამის წმიდისა საყდრისა“-ო, წერს იგივე გრიგოლი. მართალია, სტელის

ამრიგად, ოშკის ტაძართან დაკავშირებული ძირითადი წარწერების ქრონოლოგია ასეთია:

963-966 — ტაძრის აღმოსავლეთ ფასადის ლაპიდარული წარწერა⁴⁴.

— ლაპიდარული წარწერის ფრაგმენტი სამხრეთი ფასადის ვედრების კომპოზიციაზე⁴⁵.

966 — წარწერა აღმოსავლეთ ფასადის სამხრეთის სარკმლის წარბზე⁴⁶.

966-973 — სტელების წარწერები⁴⁷.

973-976 — საამშენებლო წარწერა სამხ. შესასვლელის ტიმპანზე⁴⁸.

— წარწერები სამხ. ფასადის ვედრების გარშემო⁴⁹.

— წარწერები სამხ.-დასავლეთის გუმბათქვეშა ბურჯზე⁵⁰.

— წარწერა სამხრეთის კარების მარცხენა ანაყოზე⁵¹.

976 — წარწერა მშენებლობის ხანგრძლივობის შესახებ ანგელოზის ფრთებზე⁵².

1027-1028 — წარწერა ტაძრის მეორედ გადახურვის შესახებ⁵³.

1036 — წარწერა ტაძრის ჯგოფიკ პატრიკის საფასით შემკობის შესახებ⁵⁴.

იმავე წარწერის ტექსტში ამავე საყდარს გრიგოლი ორჯერ მოიხსენიებს „ეკლესიად“, მაგრამ ფაქტია, რომ როდესაც იგი აღნიშნავს სტელების აღმართვის კონკრეტულ ადგილს მას „საყდარს“ უწოდებს, ისევე როგორც მონასტრის მთავარ ნაგებობას — წმ. იოვანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძარს.

∴ ამდენად, ოშკის სტელის წარწერაში აღნიშნული „ამის საყდრისა“, ისევე, როგორც ტაძრის მთავარი წარწერის „ამის წმიდისა საყდრისა“, ნიშნავს ოშკის მთავარ ტაძარს და არა მის რომელიმე მცირე ეკლესიას.

⁴⁴ ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია, გვ. 51-52, წარწერა № II; *W. Djobadze, Early medieval Georgian monasteries*, p. 134-135, №2; აქ და ქვემოთ მითითებულია წარწერათა ტექსტების გამოცემები და არა ამ გამოცემებში მიღებული თარიღები.

⁴⁵ *W. Djobadze*, დასახ. ნაშრომი, გვ. 138, №8, სურ. 186.

⁴⁶ ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 52, წარწერა № III; *W. Djobadze*, დასახ. ნაშრომი, 138, № 7, სურ. 42, ტაბ. 185; ე. გავომიძე, ხაფორნის გუმბათიანი ეკლესია, გვ. 35.

⁴⁷ იხ. აქვე, თავი II, წარწერები №1-15.

⁴⁸ ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 46-51; *W. Djobadze*, დასახ. ნაშრომი, გვ. 132-134, №1.

⁴⁹ ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 52-53, წარწერა № V, VI, VII; *W. Djobadze*, დასახ. ნაშრომი, გვ. 140-141, №15-17.

⁵⁰ *W. Djobadze*, დასახ. ნაშრომი, გვ. 135-136, №3, 4, სურ. 39a, 39b, ტაბ. 136, 137.

⁵¹ ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 54-55, სურ. 32, წარწერა № IX (წ. სარგისიან-მ. ბროსეს მიხ.); *W. Djobadze*, დასახ. ნაშრომი, გვ. 137, №6, სურ. 41, ტაბ. 184.

⁵² ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 36-37, ტაბ. 55.

⁵³ ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 54, სურ. 31, წარწერა № VIII; *W. Djobadze*, დასახ. ნაშრომი, გვ. 140, №14.

⁵⁴ ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 56-57, სურ. 33, წარწერა № XIV; *W. Djobadze*, დასახ. ნაშრომი, გვ. 140, №11.



სურ. 24. ვედრება. მარმარილოს რელიეფი კენესის წმ. პარკოზის ტაძრიდან, XI ს. (რ. ლანგეს მიხ.).

თავი III. ვედრების თემა და ოშკი, რომორც მემორიალური ტაძარი

1. ვედრების თემაზე შექმნილი ოშკური რელიეფები

აღმოსავლურ ქრისტიანულ ღმრთისმეტყველებასა და, შესაბამისად, სახვით ხელოვნებაში, ადრევე ჩაისახა ღმრთის წინაშე შუამავლობის, მეოხეობის იდეა, რომელმაც გამოხატულება *დეისუსის*, ანუ *ვედრების* კომპოზიციის იკონოგრაფიაში პპოვა. შუამდგომელად მაცხოვარი ჩვენი იესუ ქრისტე მოიაზრებოდა. ამის საფუძვლად მიჩნეულია პავლე მოციქულის ტიმოთესადმი I ეპისტოლის შემდეგი ადგილი — „რამეთუ ერთ არს ღმერთი და ერთ არს შუა-მდგომელი ღმრთისა და კაცთა, კაცი იესუ ქრისტე, რომელმან მისცა თავი თვისი საჯარად ყოველთა სანამებელად ჟამთა თვსთა“ (I ტიმ. 2,5-6)¹. მაცხოვრის წინაშე შუამავლად, ყოველი კაცის ცოდვათა მისატყვევლად და სულის საცხოვნებლად², მიჩნეული იქნენ ღმრთისმშობელი და იოვანე ნათლისმცემელი.

საუკუნეთა განმავლობაში, რამდენიმე იკონოგრაფიული სახესხვაობის გავლის შემდეგ, ჩამოყალიბდა სამფიგურიანი კომპოზიცია შუაში მაკურთხებელი მაცხოვრის, ხოლო მარცხნივ (მაცხოვრებისაგან) ღმრთისმშობლის და მარჯვნივ — იოვანე ნათლისმცემლის გამოსახულებით. ამ კომპოზიციას „დეისუსი“, ანუ „ვედრება“ ეწოდება. ითვლება, რომ ღმრთისმშობელი ამ შემთხვევაში მაცხოვრის საშუალებით ღმერთს ავედრებს იმ ადამიანთა ცოდვების მიტყვევას და ცხოვნებას, რომლებიც ქრისტეს დედამიწაზე განკაცებიდან მის მეორედ მოსვლამდე გაჩნდნენ ან გაჩნდებიან, ხოლო იოვანე ნათლისმცემელი — იმ ადამიანებისა, რომლებიც ქრისტეს უბიწოდ შობამდე გაჩნდნენ და იყვნენ ამ ქვეყნად.

საუკუნეთა განმავლობაში სამფიგურიანი კომპოზიციის ორივე მხარეს სხვა წმინდანების (პეტრე და პავლე მოციქულები, მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზები...) გამოსახულებების მოთავსების ტრადიციაც შემუშავდა და ასე გაჩნდა ე.წ. „დიდი დეისუსი“. გარდა წმინდანებისა, ვედრების ორივე მხარეს კტიტორების გამოსახვის ტრადიციაც ჩამოყალიბდა. ასე შეიქმნა ხელოვნების ბრწყინვალე ძეგლები ვედრებასთან ერთად საერო, ან ზოგჯერ სასულიერო პირთა პორტრეტული გამოსახულებებით.

¹ პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები. გამოსაცემად მოამზადეს *ქ. ძონენიძემ* და *კ. დანელიამ*, აკ. *შანიძის* რედაქციით (*თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები*, 16), თბ., 1974, გვ. 412.

² *В.Н. Лавров*, Два новых памятника русской станковой живописи XII-XIII вв. (К истории иконостыя), КСИИМК, вып. 13, №1, 1946, с. 67-76. ვედრების სულიერი (ლეთისმეტყველური) საფუძვლების შესწავლის საქმეში დღემდე შეუცვლელია ა. კიროპინიკოვის ნაშრომი (*А. Кирипникова*, Деисус на Востоке и Западе и сто литературные параллели, ЖМП III, 11, 1893, с. 1-26).



სურ. 25. ტაძრის სამხრეთ ფასადის აღმოსავლეთის მონაკვეთი (ე. თაყაიშვილის მის.).



სურ. 26. დავით მაგისტროსის გამოსახულება სამხრეთ ფასადზე (ე. ჯობაძის მხ.).



სურ. 27. ბაგრატ ერისთავთა ერისთავის გამოსახულება სამხრეთი ფასადზე (ე. ჯობაძის მის.).

მაგრამ სანამ „დიდი დეისუსი“ ან თუნდაც „დეისუსი“ გაჩნდებოდა, რომელიც უსათუოდ გულისხმობს ქრისტეს წინაშე ღმრთისმშობლისა და იოვანე ნათლისმცემლის მლოცველის პოზით გამოსახვას³, V-VI საუკუნეებში, თვით IX ს-ის ჩათვლით, სამივე მათგანი ფრონტალურად გამოისახებოდა და მხოლოდ ღმრთისმშობელია ზოგჯერ თავდახრილი ან ქრისტეს მიმართ მიბრუნებით წარმოდგენილი⁴.

ვედრების გამოსახულებამ ასახვა უპოვა სახვითი ხელოვნების ყველა დარგში — მონუმენტურ ფერწერაში, ხატწერაში, ქედურ ხატებში, მინიატურებში, მინაქარში, მოზაიკაში, მხატვრულ ქსოვაში, თვით მონეტების გამოსახულებებსა და ქვის რელიეფში.

ვედრების გამოსახულებას გამორჩეული ადგილი აქვს დათმობილი ქართულ ხელოვნებაში. საკმარისია აღინიშნოს, რომ სვანეთის ყველა ეკლესიის საკურთხევლის კონქის მოხატულობაში ყოველთვის ვედრებაა წარმოდგენილი⁵ და ვედრების ქვაზე გამოსახვის უძველესი ნიმუშები საქართველოშია ცნობილი — ესენია სწორედ ოშკის რელიეფები X ს-ისა. საინტერესოა, რომ აქაც ვედრების ორნაირი გამოსახვა ჩამოყალიბდა ე.წ. სრული და არასრული ვედრების სახით (იხ. ქვემოთ).

აღსანიშნავია, რომ ოშკში ვედრების რამდენიმე გამოსახულება მოიპოვება, რაც მისი, როგორც მემორიალური ტაძრის ფუნქციითაა განპირობებული (იხ. ქვემოთ). ცხადია, მათ მკვლევართა ყურადღება ადრევე, ტაძრის სამეცნიერო თვალთახედვაში მოყოლისთანავე მიიპყრეს — ჯერ სამხრეთი ფასადის გრანდიოზულმა გამოსახულებამ, ხოლო შემდეგში სხვებმა მათი აღმოჩენის კვალდაკვალ. ამრიგად, ოშკში ვედრების გამოსახულებების გარშემო გარკვეული ლიტერატურა შეიქმნა⁶.

³ კლასიკურ, ქრესტომათიულ ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ XI ს-ის მარმარილოს რელიეფი ვენეციის წმ. მარკოზის ტაძრიდან (R. Lange, Die byzantinische Reliefkone, Recklinghausen, 1964, S. 52-54, Katalog №7 (იხ. აქვე — სურ. 24).

⁴ ი. Ммыслов, Происхождение «Денсуса». Сборник статей в честь В.Н. Лазарева «Византия, Южные славяне и Древняя Русь, Западная Европа», М., 1973, с. 60.

⁵ Н. Аладашвили, Композиции алтарной конхи в церквях Сванети, Международный симпозиум по грузинскому искусству, Тб., 1983.

⁶ ე. თაყაიშვილი, 1917 წლის ექსპედიცია, გვ. 38, 52-53. Е. Такашвили, Археологическая экспедиция 1917-го года, с. 61-62. D. Winfield, Some early medieval figure sculpture, p. 49-65; W. Djabadze, The Donor Relief, p. 40-62; ე. სილოგავა, გამოკვლევა ოშკის ტაძრის კტიტორთა რელიეფების... შესახებ, გვ. 129-142; იგივე, აქვე, დამატება I. ნ. ალადაშვილი, ოშკის ტაძრის სამხრეთ გალერეის სვეტი, საბჭოთა ხელოვნება, 9, 1988, გვ. 74-83; ე. ჯობაძე, ოშკის ტაძარი, თბ., 1991, გვ. 54-63; Н. Аладашвили, Восьмипрянная колонна южной галереи храма Ошкы, ქართული ხელოვნება (Ars Georgia), 10, 1991, с. 69-80; W. Djabadze, Early medieval Georgian monasteries, p. 113-116; ლ. ზუსკივაძე, ოშკის სკულპტურულ „ვედრებათა“ თავისებურებების შესახებ, საქართველოს სიძველეები, 3, 2003, გვ. 59-90; ნ. ალადაშვილი, ოშკის ტაძრის „ვედრების“ რელიეფი და მისი მიმართება ბიზანტიურ სკულპტურასთან, საქართველოს სიძველეები, 4-5, 2003, გვ. 63-76; ი. გვიათაშვილი, ი. კობლაძე, ტაო-კლარჯეთი, თბ., 2004, გვ. 168-169.

ოშკში ცნობილია ორი სრული ვედრება, ე.ი. ისეთი, სადაც ფიგურებია წარმოდგენილი და ორი არასრული ვედრება, ე.ი. ისეთი, სადაც ფიგურების ნაცვლად ნაწილობრივ ტექსტებია (წარწერები) დაწერილი, ან სიმბოლური ნიშნებია აღნიშნული.

პირველი სრული ვედრება ის, რომელიც ტაძრის სამხრეთი ფასადის აღმოსავლეთ მონაკვეთშია წარმოდგენილი (სურ. 25). აქ, როგორც ზემოთაც არაერთგზის აღინიშნა, ვედრების კომპოზიციის მთელი ტანით გადმოცემული სამი ფიგურის ორივე მხარეს ტაძრის კტიტორები, ტაოელი ხელმწიფეები ბაგრატ ერისთავთა ერისთავი და მისი ძმა დავითია წარმოდგენილი. ისინი, ეკლესიის მოდელით ხელში, მლოცველის პოზითაა ვედრების კომპოზიციისკენ მიმართული (სურ. 25, 27).

მეორე სრული ვედრება წარმოდგენილია ტაძრის სამხრეთი გალერეის სახეღანთქმულ რეანახნავა სვეტზე (სურ. 28). აქ მის მიმართ მლოცველის პოზაში გამოსახულია *ტაძრის მშენებლობის ხელმძღვანელი გრიგოლი*, რომელსაც, როგორც ჩანს, დიდი ღვაწლი მიუძღოდა ტაძრის აშენებასა და მორთვაში და რომლის სახელიც სხვადასხვა ფორმით მრავალგანაა ტაძარში აღბეჭდილი.



სურ. 28. ვედრება რეანახნავა სვეტზე (დ. უინფილდის მის.).

პირველი არასრული ვედრებაა ის, რომელიც წარმოდგენილია ტაძრის სამხრეთ-დასავლეთის გუმბათქვეშა ბურჯის ნიშის გარშემო (სურ. 40-44). მას მიაკვლია ვ. ჯობაძემ 1973 წელს. აქ ნიშის ორივე მხარეს წარმოდგენილია ტაძრის კტიტორების წელზევითი ფრონტალური გამოსახულება, ხოლო თითოეულთან სახელობით ბრუნვაში მიწერილია წმ. ღმრთისმშობლის და წმ. იოვანე ნათლისმცემლის სახელები, რაც, ვ. ჯობაძის საყვებთ საფუძვლიანი მოსაზრებით, ენაცვლება მათ გამოსახულებებს. ქრისტეს გამოსახულება, ასე აუცილებელი ვედრების კომპოზიციისათვის და თანაც მისი ცენტრალური ფიგურა, ვ. ჯობაძის აზრით, ნიშის გულშია წარმოდგენილი დღეს დაზიანებული ფრესკის სახით. ეს დაკვირვება ლოგიკურზე უფრო მეტია და თითქოს სხვაგვარი ვითარება დღეს არსებული მასალების მიხედვით წარმოუდგენელია, მაგრამ ნიშის გულში, მის ჩაღრმავებულ ადგილას, მე მგონი, უფრო ტახტზე დაბრძანებული ღმრთისმშობელია გამოსახული ყრმა იესოთი (ეგმანოელი) კალთაში. ნიშის ეს გამოსახულება კიდევ მოითხოვს დაკვირვებას. ამავე დროს, ფაქტია, რომ ნიშის გარშემო ვედრება იყო გამოსახული და იქნებ მაცხოვარს აქ დღეს შუემწიფევი საღებავით გადმოცემული ჯვარი ცვლიდა, ან მისი სახელი მიწერილი იყო ნიშის თალის ცენტრში, მომრგვალებული ნაწილის დაყოლებაზე.

მეორე არასრული ვედრება წარმოდგენილია ოშკის ორ სტელაზე, რომელიც 2003 წელს აღმოჩნდა და რომლებიც აღმართული იყო ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთის გუმბათქვეშა ბურჯსა და სამხრეთის კედელს შორის გასასვლელში (ტაბ. 8, 14, 24). აქაც კტიტორები წარმოდგენილია წელზევითი ფრონტალური გამოსახულებით სტელების ქვედა ნაწილში. ზედა ნაწილში — მარცხენა სტელაზე ღმრთისმშობლის გამოსახულებაა ყრმა იესოთი ხელში („ნიკოპეა“), ხოლო მარჯვენაზე — იოვანე ნათლისმცემელი. ვედრების კომპოზიციისათვის აუცილებელ მაცხოვრის გამოსახულებას აქ ცვლის გოლგოთაზე აღმართული ჯვარი, ერთობ თვალსაჩინოდ ამოკვეთილი და ნითელი საღებავით ამოვსებული ღმრთისმშობლის გამოსახულებიანი სტელის მარცხენა ჩარჩოზე. უფრო ლოგიკური იყო იგი მარჯვენა ჩარჩოზე ყოფილიყო ამოკვეთილი — ღმრთისმშობლისა და იოვანე ნათლისმცემლის გამოსახულებებს შორის, მაგრამ, ფაქტია, რომ ვედრების კომპოზიციის ელემენტები ამ შემთხვევაში ოდნავ ადგილშეცვლილია. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, სტელებზე ვედრების კომპოზიციის გამოსახვა კტიტორებთან ერთად, ეჭვს არ იწვევს. მართალია, კტიტორები აქ, პირველი სრული ვედრების გამოსახულებისაგან (სამხრეთ ფასადზე) განსხვავებით, წელზევით და ფრონტალურადაა გამოსახული, მაგრამ ისინი წარმოდგენილია მლოცველის პოზაში და თითოეული მიმართავს მის ზემოთ გამოსახულ წმინდანს — დავითი ღმრთისმშობელს, ბაგრატი — იოვანე ნათლისმცემელს.

მაშასადამე, ოშკში სადღეისოდ ცნობილია ვედრების კომპოზიციის ოთხი რელიეფური გამოსახულება — სამი კტიტორებთან და ერთი ტაძრის მშენებლობის ხელმძღვანელთან ერთად⁷.

⁷ ვედრების გამოსახულებად მიიჩნევა ვ. ჯობაძე ტაძრის სამხრეთი აფსიდის ერთ-ერთ ფრესკულ კომპოზიციას — ეს უკვე ოშკი ვედრების რიგით მეხუთე გამოსახულება

ცხადია, ვედრების ამდენი გამოსახვა ერთ ტაძარში, თანაც სულ სხვადასხვა კომპოზიციითა და ხერხებით, არ შეიძლება შემთხვევითი იყოს და საჭიროა ამას თავისი ახსნა მოეძებნოს.

ვ. ჯობაძე, ვინც პირველმა გაამახვილა ყურადღება ოშკში ვედრებათა გამო-სახულებაზე და შემდეგში სპეციალური ნარკვევი მიუძღვნა ამ თემას⁸, მიიჩნევს, რომ „შესაძლოა მონარქები გრძნობდნენ აუცილებლობას ხაზი გაესვათ თავიანთი დიდი საქმიანობისათვის თავისი თავის ორჯერ ჩართვით უმაღლეს ციურ იერარქიაში. მეორე მხრივ, მათ უნდაჲ ჰქონოდათ სურვილი, ემართლებინათ თავი, რადგან ძალა იხმარეს მამაზე (ადარნესეზე), რომელსაც ტახტის დაბრუნების იმედი გადაუწურეს და მან ცხოვრების დანარჩენი ნაწილი განმარტოებულმა გაატარა ოშკის მონასტერში, სადაც უნდლიად მიიცვალა ბერის სამოსში“⁹. აქ ავტორი იმეორებს ე. თაყაიშვილის მცდარ მოსაზრებას ადარნესეს მიერ სიცოცხლის ოშკის მონასტერში დასრულების შესახებ¹⁰, რაც გამოირიცხებოდა, რადგან, როგორც ცნობილია, ადარნასე კურაპალატი 961 წელს გარდაიცვალა¹¹, ხოლო მონასტრის მშენებლობა ძმებმა ორი წლის შემდეგ, 963 წელს დაიწყეს როგორც ეს სრული უეჭველობით გაარკვია ოშკის სტელების ორმა ნარწერამ. მაგრამ, აქ მთავარია სხვა — ვ. ჯობაძე ოშკში ვედრების რელიეფების არსებობას ორი მიზეზით ხსნის: 1) ვედრების კომპოზიციამ თავიანთი გამოსახულების ჩართვით ბაგრატს და დავითს უნდოდათ ხაზი გაესვათ თავიანთი დიდი საქმიანობისათვის და 2) მათ უნდოდათ თავის მართლება მამის წინაშე, რომელიც მონაზვნად აღკვეცეს და მონასტერში გაამწყესეს.

ნ. ალადაშვილის აზრითაც, ოშკის კტიტორთა განდიდების მაჩვენებელია დავითის და ბაგრატის განმეორებითი გამოსახვა ოშკის ტაძრის ინტერიერში და, ამასთანავე, ქრისტეს წინაშე მეოხებისა და შეწყალების თხოვნასთან ერთად, ხაზგასმულია ტაოს ბაგრატიონთა მმართველობის ღვთიური წარმომავლობის იდეა¹².

იქნებოდა (*W. Djabadze, Deesis Themes in the Church of Oshki, OrCh, 72, 1988, p. 168-182; ე. ჯობაძე, ოშკის ტაძარი, გვ. 61-63*), მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ კომპოზიციის განსხვავებული ინტერპრეტაციაც არსებობს (*N. Thierry, Peintures historiques d'Oshki (Tao), REGC, 2, 1986, pp. 133-171*). ვ. ჯობაძემაც მიიჩნია, რომ იოვანე ნათლისმცემლის ფიგურა მოგვიანებით გადანერეს და ტაძრის 1036 წლის მოხატულობის კტიტორის ჯოჯიკის გამოსახულებით შეცვალეს (*ე. ჯობაძე, ოშკის ტაძარი, გვ. 62, შენ. 17*). როგორც ჩანს, ამ კომპოზიციამ ბევრია კიდევ სადაო და დასაზუსტებელი, ამიტომ, იგი მომავალში უკუესი, საფუძვლიანად შესწავლის იმედად უნდა დავტოვოთ.

⁸ *W. Djabadze, Deesis Themes, p. 168-182; ე. ჯობაძე, ვედრების ოთხი თემა ოშკის ტაძარში, იხ. მისი, ოშკის ტაძარი, თბ., 1991, გვ. 54-66*. მეოთხე თემად ავტორი მიიჩნევს სამხრეთ აფსიდში გამოსახულ სადავო კომპოზიციას (იხ. ზემოთ).

⁹ *W. Djabadze, The Donor Reliefs, p. 56; ე. ჯობაძე, ოშკის ტაძარი, გვ. 45.*

¹⁰ *ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია, გვ. 61; E. Takaiushi, Археологическая экспедиция 1917-го года, с. 60.*

¹¹ სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, გვ. 67, § 69.

¹² *ნ. ალადაშვილი, ოშკის ტაძრის „ვედრების“ რელიეფი, გვ. 66.*

არსებობს კიდევ ერთი მოსაზრება, რომლის თანახმადაც ვედრების კომპოზიციის თაყიანითი ჩართვით „იძულებით შემონაზუნებული მამის წინაშე თავის მართლებაზე მეტად ადარნასეს ძეებს ჩადენილი ცოდვის გამო სინანული ამოძრავებდათ“¹³. ე.ი. აქ წინ წამოწეულია *სინანულის* თემა.

ვფიქრობ, ყველა ეს მოსაზრება საკითხის თეორიულ მხარეს ასახავს, ხოლო პრაქტიკულად ტაძრის მშენებლობა, მასში ვედრების ოთხი თუ ხუთი გამოსახულების ჩართვა, მათზე შესაბამისი შინაარსის წარწერების მოთავსება და განსაკუთრებით ამ წარწერების ქრონოლოგია და მათი შესრულების ეტაპები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ, ოშკის, როგორც *მემორიალური ტაძრის* აგებასთანაა დაკავშირებული.

2. ოშკი, როგორც მემორიალური ტაძარი

სუმბატ დავითის-ძის ქრონიკის მიხედვით, „გარდაიცვალა ადარნასე კურაპალატი, ძე ბაგრატ მაგისტროსისა, ქრონიკონსა რაჲ, რომელი ესე ძეთა შვიპყრეს და მონაზონ ქმნეს. მოკუდა უნებლიეთ ფიჩთა, და დაუტყვნა ძენი: ბაგრატ ერისთავთა ერისთავი და დავით ერისთავთა ერისთავი. გარდაიცვალა ესე ბაგრატ ერისთავთა ერისთავი, ძე ადარნასე კურაპალატისა, ქრონიკონსა რაჲ, ხოლო ძმა მისი დავით კურაპალატი იქმნა დიდად“¹⁴. მაშასადამე, 961 წელს გარდაცვლილა ადარნასე კურაპალატი, რომელიც მის ვაჟებს — ბაგრატს და დავითს, შეუპყრიათ და იძულებით („უნებლიეთ“)¹⁵ მონაზვნად აღუკვეცავთ, ხოლო იგი გარდაცვლილა ბერისსამოსლიანი (ფიჩუი → ფიჩოსანი)¹⁶. უცნობია თუ როდის აღკვეციეს შვილებმა ადარნასე, ისევე როგორც უცნობია თუ რა იყო ამის მიზეზი. ე. თაყაიშვილი წერს, შვილები უკმაყოფილონი იყვნენ მამის კურაპალატობითო. არ არის გამორიცხული — ადარნასე კურაპალატი გახდა 958 წელს, შეიძლება ამ წელსვე ან მომდევნო წელს აღკვეციეს მონაზვნად შვილებმა, რადგან მალევე, 961 წელს გარდაიცვალა. მანამდე, საკმაოდ დიდ ხანს, 945 წლიდან, ადარნასე მაგისტროსი იყო.

მამის გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ შვილებმა გრანდიოზული ტაძრის აშენება გადაწყვიტეს. მშენებლობის დაწყებამდე ორი წელი, ალბათ, მოსამზადებელ სამუშაოებს დასჭირდა. როგორც ჩანს, მშენებლობა სწრაფი ტემპით წარიმართა, რადგან უკვე ორი-სამი წლის შემდეგ ტაძრის კედლები თითქმის სანახევროდ იყო ამოყვანილი. სწორედ ამ სიმაღლეზეა ამოკვეთილი ის ერთ-ერთი ლაპიდარული წარწერა ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე, რომელშიც დასახელებულ-

¹³ რ. ლაბაძე, ლოცვა და შიში შუა საუკუნეებში (ქართული მენტალური მოდელის ორი ასპექტი), საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2004, გვ. 26.

¹⁴ სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, გვ. 67, § 69, 70.

¹⁵ ხ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბ., 2001, გვ. 217.

¹⁶ იქვე, გვ. 227.

ნი არიან ბაგრატი და დავითი, როგორც მეფეები (ოპის ყველა სხვა წარწერისაგან განსხვავებით ისინი აქ ტაძრის მშენებლად არ იხსენიებიან), მონასტრის პირველი წინამძღვრები მიქაელ და იოვანე, მშენებლობის ხელმძღვანელი გრიგოლი და ბაგრატის და დავითის აზნაურნი და მსახურნი.

ყველა ნიშნის მიხედვით ამ დროსვე უკვე ჩასმული იქნებოდა რელიეფები ვედრებისა და კტიტორების გამოსახულებით, როგორც ტაძრის სამხრეთ ფასადზე, ისე სამხრეთ-დასავლეთის გუმბათქვეშა ბურჯის ორივე მხარეს. ოღონდ, ამ გამოსახულებებს წარწერები ჯერ კიდევ არ ახლდა. ასევე, ჯერ კიდევ არ იყო შესრულებული ტაძრის მთავარი საამშენებლო წარწერა სამხრეთი შესასვლელის ტიმპანზე. ერთად-ერთი შეიძლება დაეწვიათ, რომ ჩვენთვის უცნობი შინაარსის ლაპიდარული წარწერა ამოკვეთილი იყო სამხრეთი ფასადის ვედრების კომპოზიციაზე — ქრისტეს გამოსახულების მარჯვენა მხარეს გრძელ ვერტიკალურ სტრიქონად, რომლის დასასრულის ორ ასოს მიაკვლია ვ. ჯობაძემ¹⁷. უცნობია წარწერის შინაარსი; როგორც ჩანს, იგი წერსეს სარგისიანის დროსაც (1861) უკვე აღარ არსებობდა.

მშენებლობის მესამე წელს (966) გარდაიცვალა ტაძრის ერთ-ერთი კტიტორი ბაგრატ ერისთავთა ერისთავი. ამ დროს, როგორც ჩანს, პირველად დაისვა საკითხი მისი დაკრძალვის ადგილის შესახებ და ამ მიზნით შერჩეულ იქნა ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთი მონაკვეთი — კტიტორების ტრადიციული განსასვენებელი ადგილი ქართულ ეკლესიებში¹⁸. იმის ნიშნად, რომ ესაა ბაგრატ ერისთავთა ერისთავის განსასვენებელი, ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე, ამ ადგილის პირდაპირ, სარკმლის წარბის მარჯვენა მონაკვეთის ბრტყელ ზოლზე ამოკვეთეს წარწერა: „ქ მეფისა ჩ(უ)ენ(ი)სა ბაგრატ ერისთავთა ერისთავისა“¹⁹ (სურ. 20). აქ უკვე ბაგრატი პირველად არის მოხსენიებული ერისთავთა ერისთავის ტიტულით. რადგან ეს წარწერა ბაგრატის გარდაცვალებასა და მისთვის განსასვენებელი ადგილის გამოყოფას უკავშირდება, ზუსტად თარიღდება 966 წლით.

როგორც ჩანს, ბაგრატის გარდაცვალებისთანავე დამზადდა სტელა მისი და იოვანე ნათლისმცემლის გამოსახულებით მის საფლავზე დასადგმელად და მასზე ამოკვეთა შესაბამისი შინაარსის წარწერები. კერძოდ, ორ რეგისტრად დაყოფილი ფილის გამოსახულებათა განმარტებითი წარწერები: ზედა რეგისტრში — ნათლისმცემლისა (სახელის აღნიშვნის გარეშე) (იხ. №8), ხოლო ქვედაში —

¹⁷ ვ. ჯობაძე, ოპის ტაძარი, გვ. 19, შენ. 9; W. Djbadze, Early medieval Georgian monasteries, p. 138, №8, pl. 186, fig. 43.

¹⁸ დანერილებით იხ. გ. გაგოშიძე, სოქორნის გუმბათიანი ეკლესია, თბ., 2003, გვ. 34-35.

¹⁹ როგორც ე. თაყაიშვილი, ისე ვ. ჯობაძე წარწერის პირველ სიტყვაში — „მეფისა“, მეორეჯერაც ოს ნაცვლად ოს კითხულობდნენ („მეფისა“). ამის შესაბამისად იხსენებოდა მესამე სიტყვის ქარაგმებიც — „ჩუენსა“ ნაცვლად „ჩუენისა“ და მთლიანად წარწერა, თითქოს, დაუმთავრებელი, ხოლო მისი შინაარსი გაუგებარი იყო. ეს შეცდომა პირველად გ. გაგოშიძემ ძეგლის ადგილზე შესწავლის (1990) შემდეგ გაასწორა (იხ. მისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 35).

გარდაცვლილი პირის, ბაგრატიისა. აქ იგი იწოდება ადარნესე კურაპალატის ძედ, ხოლო მისი სახელი, ყოველგვარი ტიტულის გარეშე, გადმოცემულია, როგორც „ბაგრატუნე“ (№9). სახელის ასეთი ფორმა, ცხადია, ბაგრატიის სახესხვაობაა²⁰. ოშკის ყველა წარწერაში, სხვა შემთხვევებში, სახელი წერია „ბაგრატი“-ის ფორმით. როგორც ჩანს, საფლავზე აღსამართ მემორიალურ სტელაზე საჭიროდ ჩაუთვლიათ გვარის ეპონიმის თავდაპირველი, ძველი ფორმით გადმოცემა. ცნობილია, რომ ბაგრატიონთა გვარის თავდაპირველი ფორმაა „ბაგრატუნანი“. იგი პირველად ამ სახით დაფიქსირებულია გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ (951 წ.). ამ ნაწარმოებმა მოაღწია XII ს-ის ერთადერთი ხელნაწერით (Ier. 2). მასში ვკითხულობთ: „და მათ ყამთა მფლობელი იყო ამით ქუეყანათა ღმრთის-მსახური კელმნიფჳ დიდი ბაგრატუნანი აშოტ კურაპალატი“²¹. ასეთივე ფორმითაა ეს გვარი წარმოდგენილი XI-XIII სს. ქართულ ისტორიულ საბუთებში (გიორგი II-ის 1073 წლის სიგელი შიომღვიმისადმი²²; გიორგი III-ის 1170 წლის სიგელი შიომღვიმისადმი²³; თამარ მეფის 1195 წლის სიგელი შიომღვიმისადმი²⁴; გიორგი IV-ის სიგელი ქვათახევისადმი 1207/1222 წწ.²⁵ და ბრძანება შიომღვიმისადმი 1212 წლისა²⁶; დავით VIII-ის 1298 წლის სიგელი ჭარმაულ გრიგოლ ჭაჭნაშვილისადმი²⁷). მასა-სადამე, გვარის ეპონიმი ბაგრატუნე/ბაგრატუნი და ოშკის სტელის ამ წარწერაში 966 წლისა იგი წარმოდგენილია უძველესი ფორმით — „ბაგრატუნე“²⁸.

²⁰ ბაგრატი-ის და „ტი“-ზე დაბოლოებული სხვა სახელების ქართული წარმოშობის, ხოლო ბაგრატიონთა საგვარეულოს ერთი შტოს სომხეთში გაბატონების შემდეგ ამ ტიპის სახელების სომხეთშიც გავრცელების შესახებ იხ.: პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 94-99. მ. ანდრონიკაშვილი ანთროპონიმ „ბაგრატი“ განიხილავს ირანული წარმომავლობის პირის საკუთარი სახელების“ ჯგუფში და თვლის, რომ მისი ძირია ძველი სპარსული Bagadāta — „ღვთის მოცემული“, „ღვთის წყალობა“ (იხ. მისი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, გვ. 443).

²¹ ქქაღძ, I, გვ. 258: 26-27.

²² ქისკ, I, გვ. 46:1, 48:41, 48:43^o.

²³ ქისკ, I, გვ. 67:1.

²⁴ ქისკ, I, გვ. 100:1.

²⁵ ქისკ, I, გვ. 107:1.

²⁶ ქისკ, I, გვ. 110:1.

²⁷ ქისკ, I, გვ. 183:2.

²⁸ არ არის გამორიცხული, რომ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ თავდაპირველ, XI-ის ხელნაწერში აშოტ კურაპალატის გვარი გადმოცემული იყო, როგორც „ბაგრატუნანი“, თუმცა, ფაქტია, რომ დედნის სახით მოღწეულ გიორგი II-ის XI ს-ის (1073 წ.) სიგელში გვარი „ბაგრატუნანი“ ფორმითაა წარმოდგენილი (ე. სილოგავა, ბაგრატიონ ხელმწიფეთა ავტოგრაფები, XI-XIII სს., თბ., 2003, გვ. 6-7).

ოშკის სტელის ეს ბაგრატუნე „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ პერსონაჟია, ოღონდ, აქ მას, ისევე, როგორც ოშკის სხვა წარწერებში, ბაგრატი ჰქვია. კერძოდ, „ცხოვრებაში“ მის შესახებ აღნიშნულია: „ესე ბაგრატი, გულისკმის-ყოფითა ქებულ, წმიდათა ეკლესიათა აღმამენებელ, საღმთთა წიგნთა მძიებელ და შემკრებელ, წმიდათა ყოველთა ღირსად მიდიდებელ“ (ქქაღძ, I, გვ. 307: 25-26). უფრო მეტი, იგი მწერლობის ნიჭითაც ყოფილა

სტელის წინა პირის ჩარჩოზე, მარცხენა მხარეს, ამოკვეთეს ბაგრატი ერისთავთა ერისთავის პერსონალური მოსახსენებელი მისი სულის შეწყალების მეოხების თხოვნით ღმრთის წინაშე ნათლისმცემლის სახელზე.

სტელის იმავე წინა პირის მარჯვენა ჩარჩოზე ამოკვეთეს ცოცხლად დარჩენილი დავითის მოსახსენებელი მეფის ტიტულით და მეოხებისა და მფარველობის თხოვნით ღმრთის წინაშე ნათლისმცემლის სახელზე.

სტელის წინა პირის ჩარჩოს გარეთ, ზემოთ, ბრტყელ ნახნაგზე, წითელი საღებავით, მიანერეს გარდაცვლილის მამის სულის სადიდებელი („ადიდენ სულითა“) წარწერა (10) იესუ ქრისტეს სახელზე და ამით მოიხადეს ვალი, როგორც მის წინაშე ჩადენილი დანაშაულის („შეიპყრეს და მონაზონ ქმნეს და მოკუდა უნებლიეთ ფიჩუთა“), ისე მისი ხსოვნის წინაშე. ეს ადარნასე ამ დროს სამი წლის გარდაცვლილია. ამდენი წარწერის ამოკვეთისა თუ მიწერის შემდეგ საჭირო იყო ქრონოლოგიური ცნობების შემცველი ტექსტის მოთავსება, რომლისთვისაც გამოიყენეს სტელის ზურგი — თავისუფალი რაიმე გამოსახულებისა ან ტექსტისაგან. და აი აქ, წითელი საღებავით თორმეტ სტრიქონად მიანერეს წარწერა ეკლესიის მშენებლობის დაწყებისა და ბაგრატის გარდაცვალების დროის აღნიშვნით. ტექსტის მიხედვით, ბაგრატია ერთპიროვნული მაშენებელი — „ეკლესიისა ამის მაშენებელი“, აღნიშნულია მის შესახებ მხოლოდობით რიცხვში. ტექსტის დაზიანების გამო, ჩვენ არ ვიცით რა ეწერა წარწერის ბოლო სამ სტრიქონში, მაგრამ შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით, თითქოს, აქ აღნიშნული უნდა ყოფილიყო ბაგრატის ძმის დავითის („დავით, ძმამამ მათმან“) მიერ რალაც მოქმედების ჩადენის, ალბათ, მშენებლობის გაგრძელების შესახებ.

ამ წარწერის მიხედვით, რადგან ისე ჩანდა, რომ ტაძრის მშენებლობის ინიციატორი, სულაც მაშენებელი, მხოლოდ ბაგრატი ერისთავთა ერისთავი გამოდიოდა, სტელის მარჯვენა გვერდით კიდეზე, ახლა უკვე ამოკვეთეს ასევე თორმეტსტრიქონიანი წარწერა (13), რომლის მიხედვითაც ტაძრის („საყდრის“) მაშენებლებია ორივენი — ბაგრატი და დავით, და ორივენი მოხსენიებულია მეფის ტიტულ-

დაჯილდოებული და მასვე განუახლებია, სასწაულთა ჩართვით შეუესია, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ცალკეული ადგილები — „ნეტარისა მამისა გრიგოლის ცხოვრებაჲ ესე განაახლა სასწაულთა მათ გამოჩუებულთა შერთვითა“-ო, აღნიშნულია ერთგან „ცხოვრებაში“ (ქალძ, I, გვ. 307: 28-29). ბაგრატი ერისთავთა ერისთავის ეს ჩანართები პ. ინგოროვამ ცალკე გამოყო, ერთად შეკრიბა და დამატებად მოათავსა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მის მიერ მომზადებული ტექსტის ბოლოს საერთო სათაურით — „ნიშნი გრიგოლ ხანძთელისანი და მონაფთა მისთანნი და ზაქარია ანჩელისანი“ (*გიორგი მერჩულე*, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა და მოყუასთა და მონაფთა მისთა. დედანი აღადგინა და გამოკვლევა დაურთო *პაეღე ინგოროვებამ*, I, აღდგენილი დედანი, თბ., 1949, გვ. 143-168). კ. კეკელიძის მოსაზრებით, ბაგრატს „ცხოვრება“ განუახლებია „შეიძლება თვით ავტორის დახმარებით“ 958-966 წლებში (*კ. კეკელიძე*, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1980, გვ. 152). სპეციალურად ამ საკითხზე იხ.: *ზ. ალექსიძე*, ბაგრატი ერისთავთა ერისთავის მიერ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ განახლება, ქნ, V, 1978, გვ. 33-39.

ლით („მეფენი ჩუნენი“). აქვე საგანგებოდაა აღნიშნული, რომ ისინი არიან ძენი ადარნესე კურაპალატისანი.

ამ წარწერის ქვემოთ, მისგან განცალკევებით, კიდევ არის ამოკვეთილი ექვს-სტრიქონიანი წარწერა (14), რომელმაც დაზიანებულად მოაღწია ჩვენამდე. როგორც ჩანს, იგი რაიმე განსაკუთრებულ ცნობებს არ შეიცავდა, მაგრამ მასში აღნიშნული იყო ღმრთის მიერ შეწყალების თხოვნა ეკლესიის მაშენებელთა, მშრომელთა და ტაძარში მდგომარეთა შესახებ (ასამალღებელი)².

ამ სტელის დამზადებისა და მისი წარწერებით დაფარვის შემდეგ, ან შეიძლება მისი დამზადების პარალელურად, როგორც ჩანს, გადაწყდა მეორე სტელის, ჯერ კიდევ ცოცხალი დავით მეფის საფლავზე დასადგმელის დამზადება ღმრთისმშობლისა და მისი გამოსახულებით.

სტელის წინა პირზე ორ რეგისტრად განთავსდა რელიეფური გამოსახულებები — ზემოთ წმ. ღმრთისმშობლისა შესაბამისი განმარტებითი წარწერით (1) და ქვემოთ — დავით მეფისა შედარებით ვრცელი განმარტებითი წარწერით (2), რომელშიც აღნიშნულია, რომ იგი არის მეფე, ძე ადარნესე კურაპალატისა. ტექსტი ჩართულია მისი განდიდების ფორმულა („ადიდენ ღმერთმან“), რაც, ცხადია, ნიშნავს, რომ იგი ცოცხალია და მოქმედი ხელისუფალია.

სტელის წინა მხარესვე, მარცხენა ჩარჩოზე ამოკვეთეს მოზრდილი ჯვარი გოლგოთაზე შესაბამისი წარწერით (3), რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, მაცხოვრის სიმბოლური გადმოცემა ვედრების არასრულ კომპოზიციაში.

ჩარჩოს მარცხენა მხარეს ამოკვეთეს გრძელი, შვეული წარწერა (20 სტრქ.) — დავით მეფის მოსახსენებელი (5). აქაც, ტექსტის მიხედვით იგი ცოცხლად მოიხსენიება. სამაგიეროდ, მარჯვენა ჩარჩოზე ამოკვეთეს ასევე შვეული, გრძელი წარწერა (21 სტრქ.), რომელშიც თხოვნაა ღმრთისმშობლისადმი მაცხოვრის წინაშე მხოვების შესახებ ბაგრატის სულისათვის. ცხადია, ბაგრატი ამ წარწერის მიხედვითაც გარდაცვლილად იგულისხმება. რაც მთავარია, ეს წარწერა თავისი ტექსტით ეხმარება ბაგრატის სტელის მარცხენა ჩარჩოს წარწერას (11), რომელშიც ასევე ბაგრატის სულის შეწყალებაზეა აღნიშნული და, მასადაამე, იგი მიცვალებულად იგულისხმება. ვფიქრობ, ეს კიდევ ერთი არგუმენტია იმის სასარგებლოდ, რომ ორივე სტელა ერთდროულად დამზადდა — ერთი ბაგრატის გარდაცვალებისთანავე, მეორე — დავითის სიცოცხლეში.

² არაფერია მოულოდნელი იმაში, აქ რომ მაშენებელთა, მშრომელთა და მდგომარეთა (ეკლესიაში მლოცველთა) ასამალღებელი ყოფილიყო ამოკვეთილი, რადგან მსგავსი ტექსტი გვხვდება კუმურდოს ტაძრის 964 წლით დათარიღებულ, ე.ი. ოპის ამ წარწერის თანადროულ წარწერაში — „წმიდაო ეკლესიაო, შენნი მუშაკნი და ყოველნი მაშენებელნი შენნი დელსა მას საშუკლისასა დაიფარენ“ (ჯ. სილოგავა, კუმურდო. ტაძრის ეპიგრაფიკა, თბ., 1994, გვ. 43). წარწერათა ტექსტებში ფამისნირვის ფორმულების, ასამალღებლის ჩართვის შესახებ, მათ შორის 493 წლის ბოლნისის სიონის ერთ-ერთ წარწერაში, იხ.: ჯ. სილოგავა, ბოლნისის უძველესი ქართული წარწერები, თბ., 1984, გვ. 25-26.

სტელის წინა პირზე მოათავსეს კიდევ ერთი წარწერა, რომელიც ამოკვეთილია ზემოთ, მომრგვალებულ ნაწილში, ნახევარწრიულად. აქ, მიმართვაა ძელი ცხორებისადმი, რომელიც მარცხენა ჩარჩოზეა ამოკვეთილი, მეოხების თხოვნით ზოგადად „მეფეთა ჩუენათათვის“ (შდრ. ბაგრატის სტელაზე ანალოგიურ ადგილას წითელი საღებავით მიწერილი წარწერა (10), რომელშიც გარდაცვლილ ადარნესე კურაპალატის სულით განდიდებაზეა საუბარი).

ამის შემდეგ სტელის მარცხენა გვერდი მთლიანად დაფარეს 33 სტრიქონად ამოკვეთილი ვრცელი წარწერის ტექსტით, რომელიც პირობითად რამდენიმე ნაწილად იყოფა.

დასაწყისში აღნიშნულია ქრისტესადმი თხოვნა ღმრთისმშობლის მეოხებით, ძელი ცხორების ძალით, იოვანე ნათლისმცემლის ეედრებით, ასევე ყოველთა წმიდათა მართალთა და მარტვილთა მადლით, რომ განსჯის დღეს მის მარჯვენით დაადგინოს ადარნასე კურაპალატი და ბაგრატი ერისთავთა ერისთავი, მეფენი ჩუენნი. ე.ი. ისინი გარდაცვლილებად იგულისხმებიან.

ამას უშუალოდ მოსდევს დავითის მეფობის განმადიდებელი („დიდებულ-მცა არს მეფობაჲ დავითისა“) წინადადება ქრისტესადმი თხოვნით — „მიანჭე სიმრთელით დღეგრძელებაჲ და მტერთა მიმართ მძლეობაჲ“. ე.ი. დავითი წარმოდგენილია, როგორც ცოცხალი და მოქმედი ხელისუფალი.

შემდეგ მოდის საკმაოდ ვრცელი ფორმულა, მსგავსი ჟამისწირვების ასამაღლებლის ფორმულებისა, რომელშიც ჩამოთვლილია საყდრის შემწე, მსახური, ზოგადად ხელმწიფე, ეპისკოპოსი, მამასახლისი, მონაზონი, ერისაგანი, დიდი თუ მცირე — ტექსტის ავტორისვე აღნიშვნით — „ამოდენი ყოველნი“, და გამოთხოვილია მათი შეწყალება.

ტექსტში შემდეგ დასახელებულია გრიგოლი. მის შესახებ აღნიშნულია, რომ იგია „ხატის ამის აღმმართველი და ეკლესიის ამის მშრომებელი“. მასზე ტექსტის ავტორი ქრისტეს მიმართავს — დაიცევ ორსავე ცხოვრებასა და მარჯვენით შენსა ღირს ყავო. ზუსტად ისე, როგორც ეს ტექსტის დასაწყისშია აღნიშნული მეფეების — ადარნესე კურაპალატის და ბაგრატი ერისთავთა ერისთავის შესახებ. აქ კიდევ ერთხელ გამჟღავნებულია ამ გრიგოლის დაუოკებელი ამბიციები — მისი მოხსენიება ტაძრის ყველა მთავარ წარწერაში და გამოსახვა ვედრების კომპოზიციის წინაშე მსგავსად მეფეებისა; მართალია, შემცირებული ზომით და მასშტაბებით, მაგრამ, მთავარია — იმავე იდეით და მისწრაფებით.

ტექსტის ბოლო მონაკვეთში წარმოდგენილია ქრონოლოგიური ცნობები მსგავსად ბაგრატის სტელის ზურგზე წითელი საღებავით მიწერილი წარწერისა (15) — აღნიშნულია ეკლესიის მშენებლობის დაწყების (963 წ.) და ბაგრატის გარდაცვალების თარიღები (966 წ.). ბოლოს, ისევე, როგორც ბაგრატის სტელის წარწერაში, ქვის დაზიანების გამო, აქაც ნაკლულია სამი უკანასკნელი სტრიქონი, რომელშიც, როგორც ჩანს, დავითის მიერ რაღაც ქმედების განხორციელების შესახებ იყო აღნიშნული.

ამ სტელის წარწერები, ისევე როგორც სტელა, ბაგრატიის სტელისა და მისი წარწერების მსგავსად, ბაგრატიის გარდაცვალების დროით — 966 წლით, ან უკიდურეს შემთხვევაში 966-973 წლებით უნდა დათარიღდეს.

სტელების დამზადების და ბაგრატიის საფლავზე მისი სტელის აღმართვის შემდეგ, დავითმა მარტომ გააგრძელა ტაძრის მშენებლობა. იგი ათი წელი გაგრძელდა და მშენებლობის დასრულების აღსანიშნავად აღმოსავლეთის ფასადის ფრონტონში ჩასვეს ქრონოლოგიური ცნობების შემცველი წარწერა ... ათსა წელსა აშენებდა". ეს წარწერა თარიღდება 966+10=976 წლით. როგორც უკვე აღვნიშნე, თარიღს 963 წლიდან, ე.ი. ტაძრის ფაქტიური მშენებლობის დროიდან ვერ ავითვლით, რადგან ტექსტში მშენებლობის დასრულებელი მხოლოდობით რიცხვშია დასახელებული და იგია დავითი, რომელმაც 966 წელს ძმის გარდაცვალების შემდეგ მარტომ გააგრძელა ტაძრის აგება.

მშენებლობის დასრულების შემდეგ, როგორც ეს ნესად იყო მიღებული, დაინყეს ტაძრის საამშენებლო და მემორიალური წარწერებისა და მოსახსენებლების მოთავსება შესაბამის ადგილებში.

ამასობაში, სანამ ტაძრის მშენებლობა გრძელდებოდა, 973 წელს დავითმა მიიღო მაგისტროსის ნოდება (შეიძლება, უფრო ადრეც, მაგრამ ჩვენ ცნობა ამ დროიდან გვაქვს²⁰). საჭირო იყო მშენებლობის დასრულების შემდეგ შესრულებულ წარწერებში ამ რეალობის დაფიქსირებაც.

მართლაც, ტაძრის მშენებლობის დასაწყის ეტაპზე, ე.ი. იმ დროს როდესაც ორივე ძმა ცოცხალი იყო, შესრულებულ ვედრების კომპოზიციების — როგორც სამხრეთ ფასადზე, ისე გუმბათქვეშა ბურჯზე, დავითი ყველა წარწერაში მოხსენიებულია მაგისტროსის ტიტულით. ასეა ეს ტაძრის მთავარ საამშენებლო წარწერაშიც სამხრეთი შესასვლელის ტიმპანზე. მაშასადამე, ეს წარწერები ადრევე დამზადებული და ტაძრის შესაბამის ადგილებში ჩასმული ვედრების გამოსახულებების გარშემო (ასევე ტიმპანზე) შესრულებულია 976-979 წლებში (ზედა თარიღია დავითის მიერ კურაპალატის ნოდების მიღება).

²⁰ პ. ინგოროყვა თელის, რომ დავითმა მაგისტროსობა მიიღო 961 წლიდან (პ. ინგოროყვა, გორგი შერჩულე, გვ. 105) — ივლისხმება მამის, ადარნასე კურაპალატის ამ წელს გარდაცვალების შემდეგ, მაგრამ ეს გაუგებრობაა — ამ წელს გარდაცვლილი ადარნასე იყო კურაპალატი და დავითს სწორედ ეს ნოდება უნდა მიეღო. ცნადა, მას 961 წელს არა თუ კურაპალატობა, მაგისტროსობაც არ ჰქონდა მიღებული, თორემ ეს უსათუოდ აისახებოდა სტელების 966 წელს შესრულებულ მრავალრიცხოვან წარწერებში. როგორც ჩანს, 958 წელს ადარნასეს მიერ კურაპალატობის მიღების შემდეგ, მან ხელი შეუშალა მისი რომელიმე შვილის მიერ მისი ყოფილი ტიტულის — მაგისტროსის მიღებას. ალბათ, ეს გახდა ოჯახური კონფლიქტის მიზეზი და უკმაყოფილო შვილებმა ადარნასე ძალად ბერად აღკვეცეს და ისიც ორ წელიწადში გარდაიცვალა. დავითმა მაგისტროსობაც და კურაპალატობაც დამოუკიდებლად მიიღო მამისა და ძმის გარდაცვალების შემდეგ ბიზანტიის სამეფო კარის ნიშნე და მსახურებათა გამო. ამათგან მეორე ტიტულის მიღების საბაბი და მიზეზი ცნობილია (ბარდა სკლიაროსის აჯანყების ჩახშობაში დახმარება), მაგრამ არ ვიცით — პირველისა.

სწორედ ამასი გამოიხატება ოპკის, როგორც მემორიალური ტაძრის განსაკუთრებულობა — პირველ რიგში, იგი აშენებული იქნა, როგორც ბაგრატიონთა ტაოს შტოს წარმომადგენლების განსასვენებელი ადგილი; აქ დაიდგა ორი სტელა ტაძრის მშენებელი-კტიტორების საფლავებზე; ტაძრის მშენებლობის დასრულების შემდეგ კიდევ ერთხელ იქნა წარწერებში ასახული 10 წლის წინ გარდაცვლილი ერთ-ერთი კტიტორის სახელი; რაც მთავარია, ტაძრის სხვადასხვა ადგილებში განთავსდა ვედრების ოთხი გამოსახულება კტიტორებთან ერთად, ვედრებისა, რომელიც თავისი შინაარსით იმპერეციონურ ცხოვრებაში შემწეობის თხოვნას შეიცავს. როგორც ჩანს, სწორედ ამითაა განპირობებული ოპკის მონასტრის მთავარი ტაძრის აგება იოვანე ნათლისმცემლის სახელზე — იგი ხომ ქრისტეს შობამდე მიცვალებულთა მეოხად მოიაზრებოდა³¹.

მართალია, სანამ ტაძრის სრული შესწავლა არ ჩატარდება არქეოლოგიურ გათხრებთან ერთად, ძნელია დასკვნების გაკეთება იქ დაკრძალული პირების საფლავების შესახებ, მაგრამ ასეთები რომ ნამდვილად იყო ამის მაჩვენებელია ტაძრის ე. თაყაიშვილისეული აღწერილობის ერთი ადგილი. იგი წერს: „ტაძრის დასავლეთის მკლავის გასწვრივ არის თალოვანი საძვალე სარდაფი, რომელიც ტაძრის ქვეშ მოქცეულ მეორე საძვალესაც უერთდება საერთო კარით და საერთო ჩასასვლელით. ჩასასვლელი ახლა სანახევროდ მინით არის ამოვსებული. ამ საძვალეთა პირველი ნაწილი ალბათ საერო პირთათვის იყო განკუთვნილი და, სხვათა შორის, ტაოს ზოგიერთი ბაგრატიონიც აქ უნდა იყოს დამარხული. მეორე საძვალე ალბათ ბერთა და საეკლესიო პირთათვის იყო დანიშნული. ერთიც და მეორეც ეხლა ძვლებით არის სავსე“³². მართალია, ე. თაყაიშვილი ამას 1917 წელს წერდა და 2003 წელს იქ ტაძრის მაშენებელთა საფლავის სტელების შესახებ არაფერი იცოდა, მაგრამ დიდი მეცნიერის გუშანით მაინც ინინასწარმეტყველა, რომ ტაძარში ტაოს ზოგიერთი ბაგრატიონიც იქნებოდა დაკრძალული.

³¹ იოვანე ნათლისმცემლის სახელზეა აგებული *კონდოლის* (VI ს. დასაწყ.), *ალუანის* (VIII-IX სს.), *საბუის* (დაახ. VIII-IX სს.) ბაზილიკები (Г.Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, Текст, Тб., 1959, с. 68-69, 94-97, 178-181), *იძლეეთის* (კასპის რ-ნი) VI ს-ის I ნახ-ის ეკლესია (საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 5, თბ., 1990, გვ. 165, № 132), *ხცინის* 1002 წლის ტაძარი (Р.Шмидлин, Древний Цвиниотский храм близ сел. Хциси, *Art Georgia*, 4, 1955, გვ. 139-168), *დავით-გარეჯის* ერთ-ერთი სამონასტრო კომპლექსის მთავარი ტაძარი (Г.Н. Чубинашвили, Пещерные монастыри Давида-Гареджис, Тб., 1948, с. 49-53) და 15-მდე მცირე ეკლესია, მათგან ზოგიერთი გვიანი შუა საუკუნეებისა, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში — *ატენი*, *ახატანი*, *ვანძანი*, *ფიჩხოვანი*, *საფარა*, *ქვემოხეთი*, *წითელწყარო* (*ვორის*), *დიდი გომარეთი*, *ნარაზენი*, *ხოვლე*, *იელი*, *ხაში*, *ვაქირი*, *დურჩი...* (იხ. საქართველოს კულტურის ძეგლები, ავტორილი სახელმწიფო დაცვაზე, თბ., 1959). ყველა მათგანის აგებაში, როგორც ჩანს, ქრისტეს წინაშე ნათლისმცემლის მიერ მიცვალებულთა სულის მეოხეობის აზრია ჩადებული.

³² ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია, გვ. 33.

976 წელს ტაძრის მშენებლობის დასრულების შემდეგ დავით მეფემ კიდევ 25 წელი იცოცხლა. ამ ხნის მანძილზე მის გარშემო დიდი მნიშვნელობის პოლიტიკური მოვლენები დატრიალდა, რომელთა მონაწილე თვითონ იყო:

1) 975 წელს, ტაძრის მშენებლობის დასრულებამდე ერთი წლით ადრე, ხოლო ვ. ჯობაძის ქრონოლოგიით 3 წლის შემდეგ, უშვილო დავითმა იმდროინდელი საქართველოს ერთ-ერთი შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსის, აფხაზთა მეფის ქართლში მოხელის, ივანე მარუშისძის რჩევით, ბაგრატი უფლისწული იშვილა. ბაგრატი დაქუცმაცებული საქართველოს ორი პოლიტიკური ერთეულის სამეფო ხელისუფლების მემკვიდრე უკვე იყო და თუ დავით კურაპალატის მემკვიდრეობაც მას დარჩებოდა, იგი საქართველოს ორ მესამედზე მეტს სათავეში უპირობო მმართველად მოექცეოდა და ამით ქვეყნის გაერთიანებას საფუძველი ჩაეყრებოდა. მართლაც, დავითმა ეს ნაბიჯი გადადგა და 975 წელს ბაგრატი — აფხაზთა სამეფოს ტახტის მემკვიდრე დედის ხაზით და ქართველთა სამეფოს ტახტის მემკვიდრე მამის ხაზით, შიდა ქართლის მმართველად დაადგინა.

2) 978 წელს ბაგრატი დავითის მონაწილეობით აფხაზთა მეფედ ეკურთხა და ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანების დასაწყისს მტკიცე საფუძველი შეექმნა. როგორც ცნობილია, მოვლენები ისე განვითარდა, რომ 1001 წელს ბაგრატმა დავითის მემკვიდრეობა, ხოლო 1008 წელს მამამისის გურგენის მემკვიდრეობა მიიღო. ამით საქართველოს დიდი ნაწილი დინასტიური გზით უსისხლოდ გაერთიანდა. 1003 წელს პირველი შტგევით და 1008-1010 წლებში ორწლიანი ბრძოლით, დინასტიური გაერთიანების გარეთ დარჩენილი კახეთ-ჰერეთი შემოიერთა და თბილისის საამიროს გამოკლებით, რომლის ისედაც ნომინალური პოლიტიკური დამოუკიდებლობის დღეები დათვლილი იყო (თუმცა, მის იურიდიულ შემოერთებას კიდევ ასი წელი და 1122 წელს თბილისისათვის გააფთრებული ბრძოლა დასჭირდა), ქვეყანა ერთ სახელმწიფოდ გააერთიანა. ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე კავკასიის მეორე ქრისტიანული ქვეყნის სომხეთის ასევე დაქუცმაცებული პოლიტიკური ერთეულების სათავეში არ აღმოჩნდნენ მსგავსი შორსმჭვრეტელი ხელმძღვანელები და მათ გაერთიანება ვერ მოახერხეს. ამის გამო იყო, რომ XI ს-ის შუა ხანებიდან სომხური პოლიტიკური ერთეული არ არსებობდა და მისი ისტორიული მიწების ნაწილი ჯერ ბიზანტიის იმპერიამ, შემდეგ სელჯუქებმა, ცოტა მოგვიანებით საქართველოს სახელმწიფომ და ბოლოს ხან ირანმა და ხან ოსმალეთ-თურქეთმა მიიერთეს. მხოლოდ 1920 წელს შეძლო სომხეთმა, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემაჯავლი ერთ-ერთი რესპუბლიკის სახით, ნომინალური სახელმწიფოებრივი არსებობა მოეპოვებინა. აი, ამას გადაარჩინა დავითმა და მისმა თანამედროვე შორსმხედველმა პოლიტიკურმა გუნდმა საქართველო, რომელმაც ამის შემდეგ კიდევ ათი საუკუნე იარსება, მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში სისხლსავსე, როგორც პირდაპირი, ისე გადატანილი მნიშვნელობით, პოლიტიკური სახელმწიფოებრივი ცხოვრებით იცხოვრა, სანამ 1801 წელს მსოფლიო ასპარეზზე გამოსულმა რუსეთის იმპერიამ არ შეიერთა. ჩვენ ისევ დავითს დავუბრუნდეთ.

3) 979 წელს დავითი, მათივე თხოვნით, აქტიურად ჩაერია ბიზანტიის პოლიტიკური ცხოვრების მოწესრიგებაში — თავისი სარდლები — თორნიკე და ჯოჯოკი ერისთავთა ერისთავები, 12 ათასიანი მხედრობის სათავეში გააგზავნა საიმპერატორო კარის წინააღმდეგ აჯანყებული და იმპერატორობის მოპოვების სურვილით შეპყრობილი უზურპატორის ბარდა სკლიაროსის დასამხობად. მიღებული იქნა მნიშვნელოვანი პოლიტიკური გამარჯვება — დავითმა საიმპერატორო კარისგან კურაპალატის ტიტული მიიღო, მასვე გადაეცა, სიცოცხლეში ფლობის უფლებით, ბიზანტიის მფლობელობაში, მაგრამ მისი სამეფოს გვერდით არსებული ძირძველი ქართული ტერიტორიების ნაწილი — იმიერ ტაო. ასევე, მან ბარდა სკლიაროსის და მისი მომხრე წინააზიელი ფეოდალების დამარცხებით დიდძალი ქონება მოიპოვა. ამ ქონების ნაწილით, აგრეთვე, სხვა მატერიალური საშუალებებით, 980-983 წლებში ათონზე ქართველთა დიდი მონასტერი დაარსდა, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში, როგორც კულტურულ-საგანმანათლებლო, ასევე პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა. დავითმა ამ საქმეშიც მსურველ მონაწილეობა მიიღო — მის მიერ დაარსებულ ოპკის ლავრაში შეიქმნა სწორედ ათონის ქართველთა მონასტრისათვის განკუთვნილი უძვირფასესი ხელნაწერები (იხ. ზემოთ).

4) 987 წელს დავითმა სხვათა ნაქეზებით და, როგორც ჩანს, ბიზანტიის მიერ დროებით მფლობელობაში გადმოცემული, აგრეთვე, დამატებით კიდევ სხვა მიწების მუდმივ მფლობელობაში გადმოცემის დაპირებით, მხარი დაუჭირა საიმპერატორო კარის წინააღმდეგ მიმართულ მორიგ აჯანყებას სარდალ ბარდა ფოკას ხელმძღვანელობით. ბარდა ფოკა დამარცხდა. მას მისი მომხრე ქართველი დიდებულების დიდი ნაწილი გადაყვა, ხოლო დავითი იძულებული გახდა შეედგინა ანდერძი, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ მისი სამფლობელოები ბიზანტიას გადაეცემოდა. ცხადია, ეს დიდი პოლიტიკური მარცხი იყო, რადგან სულ მალე მას სისხლისმღვრელი ბრძოლები მოჰყვა საქართველო-ბიზანტიას შორის დავითის მემკვიდრეობის გამო.

ბოლოს, დავით კურაპალატის ცხოვრების უკანასკნელი დღეების, მისი გარდაცვალების გარემოებებზე, რომელსაც ქართული საისტორიო წყაროები (და ქართული ისტორიოგრაფიაც) გვერდს უვლის. სომხურმა წყაროებმა შემოინახეს ცნობები მისი სიცოცხლის ძალადობრივი გზით დასრულების შესახებ — მისი ხანგრძლივი მეფობით თავმოებურებულ დიდებულებს განუზრახავთ მეფის თავიდან მოშორება, რაშიც დიდი იყო ბიზანტიის სამეფო კარის დაინტერესება (თუ ნაქეზებაც არა) — დავითის გარდაცვალების შემდეგ ხომ მის მიერ ბიზანტიისაგან სხვადასხვა დროს სხვადასხვა დამსახურებათა გამო მიღებული სამფლობელოები კვლავ ბიზანტიას უნდა დაბრუნებოდა³².

³² საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი III, გვ. 157. ა. აბდლაძე, დავით კურაპალატის მკვლელობის კვლადაკვალ, „ქართული დიპლომატია“, წელიწდეული, 4, თბ., 1997, გვ. 31-38.

თავიანთი ბოროტი განზრახვის განსახორციელებლად მათ შეურჩევიათ, როგორც ჩანს, სამეფო კარის ეპისკოპოსი ვინმე ილარიონი, რომელიც თავისი სამეფო კარზე მდგომარეობის გამო მეფესთან დაახლოებული პირი იქნებოდა. მათ იგი დაუშინებიათ (თუ როგორ და რის გამო, უცნობია) და იძულებული გაუხდიათ სისრულეში მოეყვანა მათი ბოროტი განზრახვა. სომეხ ისტორიკოსებთან — არის-ტაკეს ლატივერტიცი (XI ს.), მათე ურპაეცი (XII ს.) და სუმბატ სპარაპეტი (XIII ს.), დაცული ცნობების შეჯერებით ასეთი სურათი ჩანს: დიდ ხუთშაბათს, ლიტურგიის დროს, ეპისკოპოსმა «ცხოველმყოფელი ხორცი და სისხლი ქრისტესი სასიკვდილო ნამალს შეპარია» და «პირში ჩაუღო» მეფეს. მათე ურპაეცი განაგრძობს: «ღვთის მოყვარე დავითმა იცოდა ყოველივე, არაფერი არ თქვა, არამედ აიღო განსაკუთრებული ნამალი და მით დაიყურა თავისი სხეულის სატიკვარი. ხოლო ურჯულო ეპისკოპოსი ილარიონი კვლავ აღენთო ბოროტი განზრახვით. ერთ დღეს შევიდა მის ოთახში და ვიდრე კეთილმსახურ დავითს მშვიდი ძილით ეძინა, აიღო მისი ბალიში, დაადო დავითს პირზე, ზედ დაეცა ძლიერი ძალით და ნამებით მოახრჩო ღვთის მოყვარე დავით კურაპალატი»³⁴. ეს მოხდა სომხური წყაროებით 1000, ქართულით — 1001 წელს.

ამის შემდეგ ბიზანტიის სამეფო კარმა კვლავ მიმართა მორიგ მზაკვრობას და კვალის დაფარვის მიზნით შეთქმულების მონაწილეები თავიდან მოიშორა. «რამდენიმე წლის შემდეგ — განაგრძობს მათე ურპაეცი, ბასილი მეფემ (იგულისხმება ბიზანტიის იმპერატორი ბასილი II (976-1025), საქართველოს დაუძინებელი მტერი, დავითის ანდერძის განუხრელი აღსრულების თავგამოდებული გამტარებელი — ვ.ს.) შეიპყრო ურჯულო ეპისკოპოსი ილარიონი, დიდი ქვა შეაბა მას კისერზე და იგი და სხვა მისი მომხრე აზნაურები ზღვაში ჩააგდო. ასე ამოწყდნენ ისინი წყევლით»³⁵.

უშვილო დავით კურაპალატი დაკრძალეს თავისი ასევე უშვილო ძმის ბაგრატ ერისთავთა ერისთავის გვერდით, 25 წლის წინათ მათ განსასვენებლად აგებულ ოშკის ტაძარში, რომელიც დღემდე დგას მათ სახსოვრად და დიდებად.

³⁴ ე. ცაგარეიშვილი, სომხური წყაროები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ X-XI საუკუნეებში, *მრავალთავი*, II, 1973, გვ. 162-163, 198.

³⁵ იქვე, გვ. 198-199.

დამატება I

ბამოკვლევა ოშკის ტაძრის კტიტორთა რელიეფების და აშენების თარიღის შესახებ ახლად აღმოჩენილი ეპიგრაფიკული ძეგლების მიხედვით*

სამხრეთ საქართველოს ისტორიული რეგიონის ტაოს (ამჟამად თურქეთის რესპუბლიკის ართვინის ვილაიეთში) უმნიშვნელოვანესი ხუროთმოძღვრული კომპლექსის — ოშკის მონასტრის შესახებ არსებულ მცირერიცხოვან სპეციალურ ლიტერატურას ახლახან შეემატა ვ. ჯობაძის (კალიფორნიის უნივერსიტეტი, აშშ) ფრიად მნიშვნელოვანი გამოკვლევა მონასტრის მთავარი ტაძრის კტიტორთა რელიეფების და მისი აშენების თარიღის შესახებ¹. ვ. ჯობაძე, მისივე ცნობით, 1965-1975 წწ. ექვსჯერ ეწვია ოშკს სამონასტრო კომპლექსის მთლიანი შესწავლის მიზნით; აღმოაჩინა მანამდე უცნობი რამდენიმე სკულპტურა და წარწერა და ამ ტაძრის შესახებ თავისი სამეცნიერო კვლევის შედეგების ერთი ნაწილი გამოაქვეყნა ზემოდასახელებულ ნაშრომში². მასში წარმოდგენილია დაწვრილებითი ანალიზი ტაძრის კტიტორთა რელიეფების ორი ჯგუფისა (ამათგან მეორეს ვ. ჯობაძემ მიაკვლია 1973 წელს) და მოცემულია პირველი პუბლიკაცია ტაძრის ადრე უცნობი ისტორიული შინაარსის სამი ვრცელი წარწერისა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ წარწერების აღმოჩენა და გამოქვეყნება, რადგან მათ, ავტორისვე განცხადებით, გაამდიდრეს ჩვენი ცოდნა ოშკის ტაძარზე და ამავე დროს, შუქი მოჰფინეს ძეგლთან დაკავშირებულ ზოგიერთ ბუნდოვან ქრონოლოგიურ საკითხს.

ნაშრომის ზოგადი ხასიათის შესავალი ნაწილის შემდეგ ავტორი გეთავაზობს კტიტორთა რელიეფური ჯგუფების აღწერას და მათ ანალიზს. ამჟამად ოშკის ტაძარში ცნობილია კტიტორთა რელიეფების ორი ჯგუფი (2003 წლის 7 ნოემბერს აღმოჩნდა კიდევ ერთი, მესამე ჯგუფი, რომლისადმიცაა მიძღვნილი წინამდებარე ნაშრომი). ერთი მათგანი მოთავსებულია ტაძრის სამხრეთ კედელზე, გარეთ, აღმოსავლეთის მხარეს, პასტოფორიუმის ფასადზე.

* „მაცნე“, ისტორიის ... სერია, 1, 1977, გვ. 129-142.

¹ *W. Djobadze, The Donor Reliefs and the Date of the Church at Oshki, Byzantinische Zeitschrift, 69, 1976, გვ. 39-62, ტაბ. 1-XIV.* (ნაშრომი ამჟამად გამოქვეყნებულია ქართულ ენაზეც: ვ. ჯობაძე, ოშკის ტაძარი (ორი ნეილი ოშკის ტაძარზე), თბ.; 1991, გვ. 15-53. ამ გამოცემაზე იხ.: დ. ხოშტარია, ვახტანგ ჯობაძის ნაშრომები ქართულ ენაზე, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1-2, 1992, გვ. 242-250).

² ავტორის განცხადებით, ოშკის სრული შესწავლა წარმოდგენილი იქნება მონოგრაფიაში ტაო-კლარჯეთის X და XI სს. ეკლესიების შესახებ, რომელსაც გამოსაცემად ამზადებს (*W. Djobadze, დასახ. ნაშრომი. გვ. 57, შენ. 119*) [ნაშრომი ამჟამად გამოცემულია: *W. Djobadze, Early medieval Georgian monasteries in historic Tao, Klarjet' i Savier'i, Stuttgart, 1992*].

ეს არის 146X67-73 სმ. ზომის ხუთი სკულპტურული გამოსახულება, მოთავსებული ერთი მეორის ვედრით, მინის დონიდან სამი მეტრის სიმაღლეზე და განლაგებული მიჯრით 367 x 402 სმ. ფართობზე. აქ, ცენტრში წარმოდგენილია ვედრების კომპოზიცია და მის ორივე მხარეს კტიტორები — მარცხნივ დავით მაგისტროსი და მარჯვნივ ბაგრატ ერისთავთა ერისთავი. მთლიანად კომპოზიციას და ცალკე-ცალკე კტიტორთა გამოსახულებებს თან ახლდა სინგურით შესრულებული წარწერები. ისინი 1861 წელს პირველად გადმოიხატა მხითარისტმა *ნერსეს სარგისიანმა* და 1864 წელს გამოაქვეყნა *მარი ბროსემ*³; შემდეგ, 1917 წლის ექსპედიციის დროს, ისინი შეისწავლა *ე. თაყაიშვილმა*, რომლის ნაშრომი გამოიცა 1952 და 1960 წწ. რუსულ და ქართულ ენებზე⁴. 1965 წელს, როდესაც ისინი ვ. ჯობაძემ შეისწავლა, მისი განცხადებით, ეს წარწერები უკვე თითქმის მთლიანად გადასული იყო.

კომპოზიციის ცენტრში, როგორც აღინიშნა, წარმოდგენილია ვედრება. ავტორის საცხებიტო სამართლიანი განცხადებით, ეს არის ვედრების პირველი მონუმენტური გამოსახულება და, როგორც ჩანს, არა მარტო ქართულ, არამედ საერთოდ ქრისტიანულ ხელოვნებაში⁵. ვედრების კომპოზიციის გარშემო კტიტორთა გამოსახვის იდეის მნიშვნელობის საილუსტრაციოდ ვ. ჯობაძეს მოჰყავს ტაძრის სამხრეთი მინაშენის წარწერა, რომელშიც ეკლესიის კტიტორები პირდაპირ მიმართავენ ღმრთისმშობელს და იოვანე ნათლისმცემელს,

³ M. Brosset, *Inscriptions géorgiennes et autres recueillies par le Père Nersès Sargisian et expliquées par M. Brosset*, MAIS, VII série, t. VIII, N 10, SPb., 1864.

⁴ E. Тақайшвили, Археологическая экспедиция 1917 г. в южные провинции Грузии, Тб., 1952, გვ. 62-63, სურ. 29-31; *ე. თაყაიშვილი*, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბ., 1960, გვ. 52-54, სურ. 29-31.

⁵ სამწუხაროდ, ვედრების ამ გამოსახულებამ, რომელიც 100 წელზე მეტია ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურაში, ვერ პოვა ასახვა ჩეხოსლოვაკელი ბიზანტიანისტი *ი. მისლივეცი*ის სპეციალურ ნაშრომში ვედრების წარმოშობის შესახებ (*И. Мысливец, Происхождение «Девиссы», об. კრ. «Византия. Южные славяне и Древняя Русь. Западная Европа». Искусство и культура. Сборник статей в честь В. Н. Лазарева*, М., 1973, გვ. 59-63). ეს მით უფრო დასაბნა თუ გავითვალისწინებთ, რომ: ა) ვედრების იკონოგრაფიული სქემა (ცენტრში წარმოდგენილი მაკურთხებელი მაცხოვრისაკენ ვედრების პოზით მიმართული ღმრთისმშობელი და იოვანე ნათლისმცემელი), როგორც ეს სპეციალურ ლიტერატურაშია დადგენილი, საბოლოოდ ჩამოყალიბდა X ს-ში და ოპიის ტაძრის კტიტორთა გამოსახულებების პირველ ჯგუფში სწორედ ეს იკონოგრაფიული სქემაა მოცემული; ბ) ი. მისლივეცი დაწვრილებით ჩამოთვლის ვედრების ამ იკონოგრაფიული სქემის ყველა ცნობილ ნიმუშს — X ს-ის ჭედური ხელოვნების ძეგლებს, მინანქრის ნიმუშებს, მონუმენტური ფერწერის ძეგლებს და ფერწერულ ხატებს, მაგრამ მონუმენტური სკულპტურის ძეგლები მისთვის უცნობია, და როგორც ჩანს, ოპიის გარდა სხვაგან ამ დროისა (X ს.) არც არის.

*იხ. I ტომ. 2,5: „რამეთუ ერთ არს ღმერთი და ერთ არს შუა-მდგომელ ღმრთისა და კაცთა, კაცი იესუ ქრისტე“.

ხოლო მათი მეოხებით იესუ ქრისტეს ღმრთის წინაშე შემწეობისათვის⁶. ოპკის მრავალრიცხოვან წარწერებში (ამჟამად ცნობილია ოცზე მეტი წარწერა) ეს ერთადერთია ასეთი შინაარსისა ფორმულით „ადიდენ მეფენი ჩუენნი წინაშე შენსა“. ის პირველად გადმოიწერა ნერსეს სარგისიანმა და გამოაქვეყნა მარი ბროსემ⁷. ე. თაყაიშვილს, 1917 წლის ექსპედიციის ანგარიშში აღნიშნული აქვს, ეს წარწერა დღეს აღარ ჩანსო⁸. ვ.ჯობაძეს ხელახლა მიუკვლევიან ამ წარწერისათვის და მის მიერ მომზადებულ პუბლიკაციაში, მ.ბროსესეული გამოცემისაგან განსხვავებით, წარმოდგენილია წარწერის მეტი ტექსტი, მაშინ, როდესაც პირველ (და მასზე დამყარებით ე.თაყაიშვილის მიერ მომზადებულ) გამოცემაში წარწერის გაგრძელება არ იკითხებოდა, თუმცა, ოპკის სხვა წარწერების მონაცემების გათვალისწინებით, ადვილი იყო ამ ნაკლები ადგილების ნაწილობრივ შევსება. წარწერა წითელი საღებავითაა მიწერილი ტაძრის სამხრეთ შესასვლელის ქრილის მარცხენა ანაყოლზე. იგი დაფარული იყო ჯამეში შესასვლელი კარით და გამოჩნდა მისი მოხსნის შემდეგ. ამჟამადაც თავისუფლად იკითხება პირველი 15 სტრიქონი, ხოლო მათი გაგრძელება, თითქმის კიდევ ერთი ამდენი, მთლიანად გადასულ-გადაშლილია. წარწერის მოღწეული ტექსტი ასეთია:

„† იესუ ქრისტე, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისათა და წმიდისა იოვანე ნათლისმცემელისათა და წმიდისა ძელისა ცხორებისათა და ყოველთა წმიდათათა, ადიდენ მეფენი ჩუენნი წინაშე შენსა, მაშენებელნი ამის ეკლესიისანი ბაგრატი ერისთავთა ერისთავი...“.

ზემოდასახელებულ წარწერებში მოხსენიებული დავით მაგისტროსის და ბაგრატი ერისთავთა ერისთავის სწორი იდენტიფიკაცია, როგორც აღარნასე III-ის შვილებისა, ეკუთვნის ივ. ჯავახიშვილს და მას ვ.ჯობაძეც იზიარებს⁹. ამავე დროს, ამ წარწერათა ტექსტების მონაცემების გათვალისწინებით, ე.თაყაიშვილმა დაასკვნა, რომ კტიტორები ცოცხლები იყვნენ, როდესაც მათი სკულპტურული გამოსახულებები იჭრებოდა და აღნიშნული წარწერები სრულდებოდა. ამის შედეგად იყო, რომ ტაძრის სამხრეთი შესასვლელის ტიმპანის

⁶ M. Brusset, დასახ. ნაშრომი, ტაბ. II, 2. ვ.ჯობაძე ოპკის წარწერების გამოცემას, მექანიკური შეცდომით, ნ. მარს მიანერს და ასახელებს მ. ბროსესეულ პუბლიკაციას (W. Djobadze, დასახ. ნაშრომი, გვ. 42, შენ. 16). ნ. მარს ოპკის წარწერებით არ გამოუცხა.

⁷ ე.თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ.54.

⁸ ოპკის წარწერებში მოხსენიებული ისტორიული პირების იდენტიფიკაცია პირველად წარმოადგინა მ.ბროსემ (M. Brusset, დასახ. ნაშრომი, გვ. 8), მაგრამ ეს იდენტიფიკაცია, როგორც ივ. ჯავახიშვილმა შემდეგში დაადგინა (ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, ტფ., 1926, გვ. 164-165; იგივე, მეორე გამოცემა, თბ., 1949, გვ. 169-170; მესამე გამოცემა, მისი, თბ. ტ. IX, თბ., 1996, გვ. 169-170), არასწორი იყო. ე.თაყაიშვილის მოსაზრებები ოპკის ტაძრის წარწერებში მოხსენიებული პირების შესახებ, ემთხვევა ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისს.

ვრცელი წარწერის მონაცემების გათვალისწინებით, რომელშიც ადარნასე III ცოცხლად იგულისხმება, ე.თაყაიშვილი ტაძრის აგების ზედა თარიღს 961 წლით (ამ წელს გარდაიცვალა ადარნასე III)⁹ განსაზღვრავდა. ამავე დროს, რადგანაც ადარნასე III ამ წარწერაში მოხსენიებულია კურაპალატის ხარისხითაც, რომელიც მან 958 წელს მიიღო, ე.თაყაიშვილი დაასკვნინდა, რომ ტაძრის აგება თითქოს 958 წლისათვის უნდა დაწყებულიყო. უნდა აღინიშნოს, რომ 958-961 წწ. ოშკის ტაძრის აგების თარიღად ე.თაყაიშვილს არ მიაჩნდა. პირიქით, ის აღნიშნავდა, „ეს (ტაძრის აგება 958-961 წწ.), ჩვენი აზრით, ყოვლად შეუძლებელია: ასეთი დიდი და რთული ტაძარი სამ წელიწადში ვერ აშენდებოდა და ამას სულ ცოტა, ათი წელიწადი მაინც დასჭირდებოდა, ამიტომ შენების დაწყება 950 წლის ახლო ხანას უნდა ეკუთვნოდეს“¹⁰. ამავე დროს, ე.თაყაიშვილი ბოლომდე მტკიცედ დარჩა იმ აზრისა, რომ ტაძრის აგების ზედა ქრონოლოგიური ზღვარი 961 წელია. ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ოშკის ტაძრის მშენებლობის პირველ ეტაპებთან დაკავშირებული წარწერების (როგორც ცნობილის, ისე, განსაკუთრებით, ვ.ჯობაძის მიერ გამოვლენილების) ერთ ქრონოლოგიურ სიბრტყეზე განხილვა შეუძლებელი ჩანს და ამ საკითხს ქვემოთ დაუბრუნდებით.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია და შეუწელებელი ინტერესით იკითხება ნაშრომის ის ნაწილი, რომელშიც გადმოცემულია კტიტორთა კოსტუმების აღწერა და მათი ანალიზი. ვ.ჯობაძე საგანგებოდ იკვლევს ქართული ხელოვნების ძეგლების დეკორში პალმეტის (ვარდულის) მოტივის შემოსვლის და გავრცელების საკითხს კტიტორთა კოსტუმების გაფორმებაში ამ მოტივის ფართოდ გამოყენებასთან დაკავშირებით. ავტორი მიიჩნევს, რომ უცნობია საქართველოში აღმოჩენილი ქსოვილები, ან ადგილობრივი წარმოებისა, ან შემოტანილი, რომელშიც გამოყენებული იყოს პალმეტის მოტივი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ქართულ ხელოვნებაში ცნობილია პალმეტის მოტივიანი ქსოვილის გამოსახვა ისეთი პირველხარისხოვანი ძეგლის მხატვრობაში, როგორცაა იფრარის მთავარანგელოზთა ეკლესია (ზემო სვანეთი, კალა), სადაც ეს მხატვრობა შესრულებულია 1096 წელს მეფის მხატვარ თევდორეს მიერ; აქ, როგორც ცნობილია, ქსოვილის იმიტაცია წარმოდგენილია ეკლესიის კანკელის მარჯვენა ფილაზე¹¹. კტიტორთა კოსტუმების დეკორთან დაკავშირებით ავტორის მიერ დიდძალი ფაქტობრივი და პარალელური მასალის მოხმობისას, ინტერესმოკლებული არ იქნებოდა მოშველიება ქსოვილის

⁹ სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, ე.თაყაიშვილის გამოცემა, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, 27, 1949, § 69.

¹⁰ ე.თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია, გვ. 51.

¹¹ Шмерлинг, Малые формы в архитектуре средневековой Грузии, Тб., 1962, ტაბ. 107-1; ნ.ჩოფიკაშვილი, ქართული კოსტუმი (VI-XIV სს.), თბ., 1964, გვ. 120, სურ. 71; Н. Аладашвили, Г. Алибегашвили, А. Вальская, Росписи художника Тевдоре в Верхней Сванети, Тб., 1966, ტაბ. 16-2; მათივე, Живописная школа Сванети, Тб., 1983, с. 36, таб. 31.

გამოსახულებისა (მცენარეული მოტივით და ფასკუნჯებით) *ნათლისმცემლის* მონასტრის (დავით-გარეჯი) წინამძღვრის ნიშის ზურგზე¹².

ორივე დასახელებული ძეგლის მოხმობა მით უფრო სასურველი ჩანს თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს სინამდვილეში ჩვენამდე რეალურად მოღწეული ქსოვილების ადრეული (XI-XIII სს.) ნიმუშები (ესაა *ფარის* წმ. გიორგის ეკლესიის საკურთხეველისწინა ჯვრის ვერცხლის ჭედურ ფირფიტებსა და ხის სარჩულს შორის ჩაფენილი ქსოვილი) აღმოსავლური წარმოებისაა; ეს ამკარაა, როგორც მათი დეკორატიული ხასიათით, ისე მათზე მოთავსებული კუფური წარწერებით, რომელთაც ორნამენტული დატიერთვის ფუნქციაც ეკისრებათ¹³.

კტიტორთა კოსტუმების აღწერისას ავტორი ტანსაცმელთან ერთად განიხილავს მათ გვირგვინებს და ფეხსაცმელს. ინტერესმოკლებული არ იქნებოდა ყურადღების მიქცევა იმაზე, თუ როგორია დავით მაგისტროსის და ბაგრატ ერისთავთა ერისთავის იერარქიული ურთიერთდამოკიდებულება მათი კოსტუმების მიხედვით. ორივე კტიტორი წარმოდგენილია საზეიმო, ცერემონიალური კოსტუმით (ეკლესიის მოძელებით ხელში და მიბრუნებით ვედრების კომპოზიციისკენ). დავით მაგისტროსს პალმეტის მოტივით დამშვენებული *კაბის* ზემოდან მოსხმული აქვს *ქლამიდა* არწივების გამოსახულებით. არწივები, როგორც ცნობილია, საიმპერატორო რეგალიას წარმოადგენს და ასეთი ქლამიდით ხაზგასმულია დავითის იერარქიული უპირატესობა ბაგრატიან შვიდრებით. ბაგრატის ქლამიდა მორთულია უფრო სადად — მარგალიტების ასხმით გარშემორტყმული წრეებით, რომლებიც შევსებულია თირკმლის მოყვანილობის ორნამენტული სახეებით.

სამაგიეროდ, გვირგვინების მიხედვით ამკარაა ბაგრატი ერისთავთა ერისთავის იერარქიული უპირატესობა დავით მაგისტროსის წინაშე. დავითის გვირგვინი წარმოადგენს ე.წ. *στέφανος* (ძვირფასი ქვებით მორთული ვიწრო, ბრტყელი რგოლი), რომლსაც ბიზანტიის იმპერატორები საჩუქრად გადასცემდნენ სხვა ქვეყნების მმართველებს კარგი სამსახურისა და დამსახურებისათვის. ბაგრატი ერისთავთა ერისთავის გვირგვინის გამოსახულებას, მართალია, მთლიანი სახით არ მოუღწევია, მაგრამ მასზე, ორივე მხარეს კარგად შეიმჩნევა *პენდილია* — ყურების გასწვრივ მხრებამდე ჩამოშვებული მარგალი-

¹² Г. Чубинашвили, Пещерные монастыри Давида-Гареджи, Тб., 1948, таб. 118; Б. ჩოფიკაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 121, სურ. 72; А. Вольская, Росписи средневековых трапезных Грузии, Тб., 1974, таб. 34.

¹³ ამ ქსოვილის შესახებ იხ. *მკეცხოველი*, აბრეშუმის ქსოვილის ფრაგმენტი ზემო სვანეთიდან, «ძეგლის მეგობარი», 29, 1972, გვ. 40-45, უკანასკნელ ხანს ზემო სვანეთში გამოვლინდა ქართული წარმოების დეკორატიული ქსოვილებიც X ს-ის დასასრულისა და XI ს-ის დასაწყისისა (ს. იფხი, ლატალი) და XII ს-ის დასასრულისა და XIII ს-ის დასაწყისისა (ს. ჩაუაში, უშგული); იხ. მ. კეცხოველის მოხსენება, წაკითხული 1997 წლის 27 მაისს ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილ II საერთაშორისო სიმპოზიუმზე (*М. Кецохели, Грузинские средневековые декоративные ткани из Верхней Сванетии*, Тб., 1977).

ტების ასხმა. გვირგვინზე პენდილიის ტარება წარმოადგენს ისეთსავე საიმპერატორო რეგალიას, როგორსაც ქლამიდებზე არწივების გამოსახვა. ამრიგად, როგორც ვხედავთ, კოსტუმების მიხედვით, დავით მაგისტროსისა და ბაგრატ ერისთავთა ერისთავის იერარქიული ურთიერთდამოკიდებულება განონასწორებულია.

ქართველ მეფეთა კოსტუმებიდან შესადარებელი მასალის მოხმობისას ვ.ჯობაძე ასახელებს დავით აღმაშენებლის და გიორგი III-ის პენდილიანი გვირგვინებით გამოსახვას მათ მონეტებზე. დამატებით შეიძლება აღინიშნოს დავით აღმაშენებლის ფრესკული პორტრეტი გელათის მონასტრის ღმრთისმშობლის ეკლესიის ჩრდილოეთ კედელზე¹⁴, ბაგრატ IV-სა და ბორენა დედოფლის გამოსახულებები ატენის სიონში¹⁵, თამარ მეფე ოთხსავე პორტრეტზე (ეარძიაში, ყინწვისში, ბეთანიაში და ბერთუბანში)¹⁶. ამთავან, საგანგებოდ უნდა გამოიყოს დავით აღმაშენებლისა და გიორგი III-ს გვირგვინები. ამ გვირგვინებს მოეპოვებათ შუაში აღმართული ჯვარი — $\sigma\epsilon\mu\mu\alpha$, რომელიც საიმპერატორო ინსიგნიაა.

ვ. ჯობაძე შენიშნავს, რომ საიმპერატორო ნიშნების გამოყენება, კერძოდ გვირგვინზე პენდილიის მოთავსება, იმპერატორის ერთ-ერთი პრივილეგია იყო, და ბაგრატ ერისთავთა ერისთავის გამოსახულებაზე მისი არსებობა ოშკის ტაძარში სხვანაირად წარმოუდგენელია თუ არა საიმპერატორო სტატუსის მითვისებით.

შემდგომ, ავტორი გვთავაზობს კოსტუმის სხვა ნაწილების (ქამარი, ყელსაბამი, ტაბლიონი) აღწერას. მოყავს ცნობები ბიზანტიელი ავტორებიდან (სკილიცი, კონსტანტინე პორფიროგენეტი) ბიზანტიის იმპერატორების მიერ ქართველი მეფეებისა და მთავრებისათვის საჩუქრად კოსტუმების გამოგზავნის შესახებ¹⁷.

ამით მთავრდება ნაშრომის ერთი ნაწილი — კტიტორთა რელიეფების პირველი ჯგუფის აღწერა და მისი დატალური დახასიათება.

ნაშრომის მომდევნო თავი შეეხება კტიტორთა რელიეფების მეორე ჯგუფს. ეს ჯგუფი, წელზევითი სკულპტურული გამოსახულებები დავით მაგის-

¹⁴ *შამირანაშვილი*, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961, ტაბ. 187.

¹⁵ *ნ. როფიკაშვილი*, დასახ. ნაშრომი, სურ. 53; *Г. Алибегашвили*, Светский портрет в грузинской средневековой монументальной живописи, Тб., 1979, с. 12-29, таб. 1-21.

¹⁶ *Г. Алибегашвили*, Четыре портрета царицы Тамары, Тб., 1957. *გალიბეგაშვილი*, თამარ მეფის ოთხი პორტრეტი, „ძეგლის მეგობარი“, მ, 1966, გვ. 13-17. *Г. Алибегашвили*, Светский портрет в грузинской средневековой монументальной живописи, Тб., 1979, с. 12-29.

¹⁷ შდრ. *ნ. როფიკაშვილი*, დასახ. ნაშრომი, გვ. 67-68, შენ. 148. უნდა აღინიშნოს, რომ ოშკის ტაძრის კტიტორთა კოსტუმების პირველი დახასიათება (მართალია ზოგადი და შეკუმშული სახით) მოცემულია ნ. როფიკაშვილის დასახელებულ ნაშრომში (იხ. გვ. 67, 119-120).

ტროსისა და ბაგრატ ერისთავთა ერისთავისა, როგორც აღინიშნა, 1973 წელს აღმოაჩინა ვ.ჯობაძემ. იგი მოთავსებულია ტაძრის სამხრეთ-დასავლეთ გუმბათქვეშა ბურჯის აღმოსავლეთ მხარეს, 335 სმ-ის სიმაღლეზე. ტაძრის სამხრეთი ნაეის ნაწილი ადრევე ჯამედ გადააკეთეს; ამის გამო, ბურჯის ეს მხარე დაფარული იყო ჯამეს კედლით და რელიეფური გამოსახულებები და მათი თანხლები წარწერები შეუმჩნეველი დარჩათ თავის დროზე, როგორც ნ.სარ-გისიანს, ისე ე.თაყაიშვილს.

კტიტორები გამოსახილია ბურჯის აღმოსავლეთით გამოყვანილი ნიშის ორივე მხარეს — მარცხნივ დავით მაგისტროსი და მარჯვნივ — ბაგრატ ერისთავთა ერისთავი. ნიშა ზემოდან მთავრდება ნიჟარის მოყვანილობის ნახევარწრიული გადახურვით, რომლიც შიგნიდან შეესებულება სხივანების კონცენტრული რიგით. მთლიანად ეს გამოსახულება, როგორც ვ.ჯობაძე შენიშნავს, სიმბოლურად გადმოსცემს ციურ თალს. კტიტორები, როგორც აღინიშნა, გამოსახულია წელზემოდ, პირდაპირ. ვ.ჯობაძე საგანგებოდ ხაზს უსვამს მათი სახეების არაჩვეულებრივ მსგავსებას. მარცხენა ხელი მაღლა აქვთ აწეული ორთავეს მორჩილების ყესტით, ხოლო მარჯვენა ხელში უჭირავთ ტანის მიმართ განივად აღმართული კვერთხები, რომლებიც მთავრდება (დაბოლოებულია) ბოლოებგაფართოებული ფერების გამოსახულებებით. ავტორი დაწვრილებით აღწერს თითოეული მათგანის ჩაცმულობას, მათი გამოსახვის პოზის და თანხლები ატრიბუტების სიმბოლურ მნიშვნელობებს და ამ საკითხის განხილვისას მოჰყავს დიდძალი პარალელური შესადარებელი მასალა. ავტორის დასკვნით, კტიტორების მეორე ჯგუფის გამოსახულებაში, „ჩვენ საქმე გვაქვს საერო მმართველობის განდიდებასთან, რომელმაც დაჩრდილა თვით ვედრების ჯგუფიც, რაც აღმოსავლური ქრისტიანული ხელოვნების ისტორიაში ამ ხარისხით არასოდეს გადმოცემულა ქანდაკებაში და ეს შეიძლება შეესაბამება მაკედონური რენესანსის პოლიტიკურ ტენდენციებს, როდესაც კვლავ გამოჩნდა ახლებურად ძველი რომის იმპერიის იდეები“¹⁸.

ვ.ჯობაძის მიხედვით, დავით მაგისტროსის გამოსახულებასთან იკითხება შემდეგი წარწერა:

„ღ(მრ)თ(ი)ს|მშობელი.“

† [მონა]ღ ღ(მრ)თისაღ | დ(ა)ვ(ი)თ მ(ა)გის|ტროსი, მაშ(ენე)ბელი
წ(მი)დი|სა ამის | ს(ა)დრ|ისა; ა(დი)დ(ე)|წ | ღ(მერთმა)წ, | ა(მე)წ“¹⁹.

ხოლო, ბაგრატ ერისთავთა ერისთავის გამოსახულებასთან შემდეგი წარწერაა:

„წ(მიდა)ღ ნათ|ლი|სმ|ცე|მე|ლი.“

მ(ე)ფჳ ჩ(უე)წი | ბ(ა)გრ(ა)ტ ერის|თავთა | ერისთავი, მაშ(ენე)ბ(ე)ლი
წ(მი)დისა | ამის ს(ა)ყდ|რისა. | ქ(რის)ტე, ა|დ(ი)|დ(ე)წ, | ა(მე)წ“²⁰.

¹⁸ W. Djobadze, დასახ. ნაშრომი, გვ.56.

¹⁹ იქვე, გვ. 54.

²⁰ იქვე.

ვ.ჯობაძეს ყურადღება მიუქცევია იმ გარემოებისათვის, რომ ამ წარწერებში მეფედ დასახელებულია მხოლოდ ბაგრატ ერისთავთა ერისთავი. ამავე დროს, ორივე მათგანის გვირგვინი იდენტურია — ბაგრატის გვირგვინს არ გააჩნია *pendilia*; ე.ი. რელიეფები შესრულებულია მანამ სანამ დავითი მხოლოდ მაგისტროსი იყო, ხოლო ბაგრატი არ იყო დაჯილდოებული პატივით, რომელიც მას *pendilia*-ს ტარების უფლებას დართავდა. აქედან ვ.ჯობაძე ასკვნის, კტიტორთა ამ გამოსახულებების შესრულება წინ უნდა უსწრებდეს ტაძრის სამხრეთ კედელზე წარმოდგენილ გამოსახულებებს. ასეთი დასკვნისათვის წინააღმდეგობას ავტორი ხედავს იმაში, რომ საქართველოში, ისევე როგორც ბიზანტიაში, ეკლესიის მშენებლობა იწყებოდა აღმოსავლეთის მხრიდან — ე.ი. პასტოფორიუმი და მისი სამხრეთი კედელი, მასში ჩასმული კტიტორების სკულპტურული გამოსახულებებით, უფრო ადრე იქნებოდა ამოყვანილი, ვიდრე ტაძრის სამხრეთ-დასავლეთი გუმბათქვეშა ბურჯი. მეორე — კტიტორების ორივე ჯგუფის გამოსახულება მოთავსებულია თითქმის თანაბარ დონეზე — შპ-ის სიმაღლეზე მინიდან. ეს კი თითქოს სანააღმდეგო დასკვნის (ჯერ სამხრეთ კედელზე მოთავსებული რელიეფების შესრულების და შემდეგ ბურჯზე არსებულის) საშუალებას იძლევაო, დასძენს ის.

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ შემთხვევაში, როგორც ჩანს, მაინც წარწერის ტექსტის მონაცემებს უნდა დაეყრდნოთ; მით უმეტეს, თუ ამას გამოსახულებათა შესრულების სტილისტური მხარეც ეთანხმება, რადგან არ არის გამორიცხული, რომ ეკლესიის კედლების მშენებლობის ერთდროულად გუმბათქვეშა ბურჯების ამოყვანაც დაეწყოთ; ეკლესიების შენების დაწყება აღმოსავლეთის კედლიდან არ ნიშნავს იმას, რომ თავდაპირველად მხოლოდ აღმოსავლეთ კედელს (ან თუნდაც აღმოსავლეთის მხარეს) ამოიყვანდნენ და შემდგომ მას სხვა კედლებს (ან ნაწილებს) შექანიკურად მიუშენებდნენ.

სანამ ამ წარწერების და, აგრეთვე, ოშკის სხვა წარწერების ქრონოლოგიური მიჯნების დადგენის ცდას წარმოვადგენდეთ, მოვიყვანოთ ტაძრის კიდევ ერთ უცნობ წარწერას, რომლისთვისაც ვ.ჯობაძეს მიუკვლევია 1973 წელს, ტაძარში ჩაშენებულ ჯამეში მოქცეულ ნაწილში. ასომთავრული წარწერა შესრულებულია 12 სტრიქონად; აქედან დანამდვილებით იკითხება პირველი 9 სტრიქონი, ხოლო უკანაკელი სამი სტრიქონის მხოლოდ ფრაგმენტებია მოღწეული; შესრულებულია სინგურით; 2,3-2,5, სმ. სიმაღლის ასოებით. მისი ტექსტი ასეთია:

„† დავიწყეთ ეკლესიათა ქრო|ნიკონსა რჳგ, მარტსა კ[ე],| დღესა ხარე-
ბისა. აღესრუ|ლა ბაგრატ ერისთავთა ერ|ისთავი, ეკლესი(ი)სა ამის მ[ა]შე-
ნებელი, ქრონიკ(ო)ნსა რჳგ, | ოკდ(ო)ნბერსა ზ, დღესა ს[ამ]თშ(ა)ბ(ა)თსა(!); დი-
დებ(უ)ლ-მცა არს | ს(უ)ლი მ(ა)თი. და ადიდენ ლ(მერთმა)ნ, დ(ავი)თ, | ქმამ[ა]ნ²¹

²¹ „ქმამ[ა]ნ“ აღდგენილია ჩვენს მიერ.

მ(ა)თმან [- - - -] | [- - -]ზე დაე²² [- - - - - - -] ბ | [- - - -]თისა [- - - - - - - - - -] ²³.

ტიქსტში თარიღების აღმნიშვნელი რიცხვების წაკითხვა (ეს ასოები, სამწუხაროდ, ნაშრომისადმი დართულ ფოტოსურათზე²⁴ თითქმის არ ჩანს) ვ.ჯობაძეს საეჭვოდ არ მიაჩნია. მას აეჭვებს მხოლოდ 6-7 სტრიქონებს შორის მოთავსებული სიტყვის წაკითხვა და შესაძლებლად მიიჩნევს, რომ წაეკითხოთ როგორც „სამშაბათსა“ ისე „ხუთშაბათსა“. თანაც დასძენს, ჩემი გამოთვლის მოხედვით 966 წ. 2 ოქტომბერი ხუთშაბათი იყო. მაგრამ, ბაგრატ ერისთავთა ერისთავის გარდაცვალების დღე — სამშაბათი, ჩვენთვის ცნობილია ოშკის ტაძრის სხვა წარწერით, რომელიც სააღაპე წარწერებთან ერთად მოთავსებულია ტაძრის სამხრეთი მკლავის მეორე შესასვლელის ტიმპანზე და რომელიც პირველად გამოაქვეყნა ე.თაყაიშვილმა²⁵. თითქოს, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს წარწერა და მისი მონაცემები ვ.ჯობაძეს გამორჩენია²⁶.

წარწერის მოყვანილი ტექსტი, ავტორის მიხედვით, საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ ორი ფაქტი: პირველი, რომ ბაგრატ ერისთავთა ერისთავი გარდაიცვალა 966 წლის 2 ოქტომბერს (მისი გარდაცვალების წელი და დღე, როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩვენთვის ცნობილი იყო ოშკის ტაძრის სამხრეთის მეორე შესასვლელის ტიმპანის წარწერით, ხოლო წელი — სუმბატ დავითის ძის ქრონიკის მიხედვით²⁷ და მეორე, რომ ეკლესიის აგება დაუსწყიათ 963 წელს, 25 მარტს, ხარება დღეს.

ვფიქრობ, წარწერის ტექსტის მონაცემები არ გვაძლევს იმის დასკვნის საშუალებას, რომ ეკლესიის მშენებლობის დაწყება მივიჩნიოთ უეჭველად 963 წელს. ჩვენ არ ვიცით და ალბათ დანამდვილებით არც არასდროს გვეცოდინება თუ რა ენერა წარწერის ბოლო სამ სტრიქონში²⁸, რადგან ტექსტის ეს ადგილი გადასულია. მაგრამ წარწერის პირველ ორ სტრიქონშიც არ არის პირდაპირ აღნიშნული რომ 963 წელს ეკლესიის მაინცადაშინც აგება დაიწყეს. ტექსტში ნათქვამია: „დავიწყეთ ეკლესიათა ქრონიკონსა რჳგ“; რა დაიწყეს ეკლესიების — აგება, მოხატვა, შემკობა, მშენებლობის განახლება-გაგრძელება? ამის

²² შეიძლება „დავ[დევე]“, ან „დავ[იწყე]“ (?).

²³ *W. Djobadze*, დასახ. ნაშრომი, გვ.58. ვ.ჯობაძის წაკითხვით: სტრქ. 3 ხარებისა; სტრქ. 3-4 აღესროლა; სტრქ. 5 ეკლესისა (sic).

²⁴ იქვე, ტაბ. VIII. (2002 წლის 4 ოქტომბერს ტაძრის ადგილზე პირველად შესწავლისას ეს წარწერა მთლიანად გადაშლილი დამხვდა. როგორც შემდეგში გაიკვია, იგი მოთავსებული ყოფილა ბაგრატ ერისთავთა ერისთავის სტელის ზურგზე).

²⁵ *ე.თაყაიშვილი*, დასახ. ნაშრომი, გვ. 55.

²⁶ გარდა ამისა, *ე.გრუმელის* ქრონოლოგიური ტაბულით, 966 წლის 2 ოქტომბერი სამშაბათი დღე იყო (იხ. *V. Grumel, La chronologie, Paris, 1958*, გვ. 286).

²⁷ *სუმბატ დავითის ძის* ქრონიკა, დასახ. გამოცემა, § 70.

²⁸ შეიძლება, იქ აღნიშნული იყო ბაგრატ ერისთავთა ერისთავის სახელზე ალაპის დაწესების და მისი ხსენების დღის დადგენის შესახებ.

შესახებ შეიძლება მხოლოდ ვარაუდები გამოვთქვათ. შემდეგ, რატომ „ეკლესიათა“ და არა „ეკლესიისა“?

როგორც ჩანს, წარწერის დასაწყისში აღნიშნული ცნობა რალაცის დაწყების შესახებ მარტო ოშკის მთავარ ეკლესიას არ შეეხებოდა (ცნობილია, რომ ოშკის სამონასტრო კომპლექსში, მთავარ ეკლესიასთან და სხვა ნაგებობებთან ერთად, შედის ორი მცირე ეკლესიაც)²⁹. რაც მთავარია, მშენებლობის დაწყების თარიღად 963 წლის მიჩნევა არ შეესაბამება ტაძრის იმ წარწერის მონაცემებს, რომელიც მოთავსებულია სამხრეთი შესასვლელის ტიმპანზე.

ერთი რამ ცხადია, რომ წარწერა, რომელშიც აღნიშნულია 963 წელს ეკლესიებში, თუ ეკლესიებთან დაკავშირებით რალაცის დაწყების შესახებ, შესრულებულია 966 წლის შემდეგ (სავარაუდოდ ამავე წელს, ან მის ახლოს), რადგან მასში აღნიშნულია ეკლესიის ერთ-ერთი კტიტორის — ბაგრატ ერისთავთა ერისთავის ამ წელს გარდაცვალების შესახებ. უკვე ამის მიხედვით შეიძლება წარწერის ტექსტის მონაცემი საეჭვოდ მივიჩნიოთ, რადგან წარწერის შემსრულებელი აღნიშნავს წარწერის შესრულებამდე სულ ცოტა 3 წლით ადრე მომხდარ რალაც ფაქტს, რომელიც მას, როგორც ვხედავთ, კონკრეტულად არ გადმოუცია.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ოშკის ტაძრის მშენებლობის ადრინდელ ეტაპთან დაკავშირებული წარწერების ერთ ქრონოლოგიურ სიბრტყეზე განხილვა შეუძლებელია და მშენებლობის დაწყების ან დამთავრების თარიღის დასადგენად მხოლოდ ერთი რომელიმე მათგანის მონაცემების გათვალისწინება მთლად გამართლებული არ ჩანს.

ამ წარწერებს შორის, როგორც ჩანს, ყველაზე ადრინდელია ტაძრის სამხრეთი შესასვლელის ტიმპანზე მოთავსებული გრიგოლ „საქმესა ზედამდგომის“ (ე.ი. სამშენებლო საქმეთა ხელმძღვანელის) ვრცელი წარწერა, რომელშიც ეკლესიის აგების კტიტორებისა და დონატორების დასახელებასთან და ამ მშენებლობის წამოწყების მოტივებთან ერთად, აღრიცხულია მშენებლობის ერთი წლის განმავლობაში განეული ხარჯი. წარწერის ტექსტში აღნიშნულია:

„ღ(მერთმა)ნ შე(ე)ნ(ი)ენ ორთავე | ცხორებ(ა)თა ძ(ე)თა ლ(მ)რ(თ)ი(ე) კურთხეულისა ადარნესე კურაპალატისათა: ბ(ა)გრ(ა)ტ ერისთავთა ერისთ(ა)ვმ(ა)ნ, დავით მაგისტროსისა, სამეგრ(ა)მ(ა)ნ ნშიდამან | სამნივე დაიფარენ მარჯუენითა თ(ე)სითა და ა(ღი)დ(ე)ნ ორთავე ცხორებ(ა)თა“³⁰; ე.ი. წარწერის შესრულების

²⁹ ე.თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 45-46.

³⁰ ე.თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 47. საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ფოტოთიკის დერმაკოვისეულ კოლექციაში მოიპოვება ამ წარწერის ფოტონეგატივი (318/8740). წარწერის ტექსტში, ბაგრატ ერისთავთა ერთიან და დავით მაგისტროსის სახელების მოთხრობით ბრუნვაში დასმა ე.თაყაიშვილმა შეცდომად მიიჩნია და მიცემით ბრუნვაში წარმოადგინა. იგი ამასთან დაკავშირებით, შენიშნავდა: „დედაწი გრამატიკული უხერხულობაა, მოთხრობითი ბრუნვა მიცემითის მაგიერ, როგორც ბროსესაც აქვს აღნიშნული [უნდა შევნიშნოთ, რომ მ.ბროსე ვარაუდობდა არა მიცემითი ბრუნვის აღდგენას, არამედ ნათესაობითისას — „ერისთვა, მაგისტროსისა“ [M. Brosse, დასახ. ნაშრომი, გვ.8], რაც უფრო მეტად გაუმართლებელია — ვ.ს.). საკვირველია, რომ არც ერთ სპეციალისტს,

დროისათვის ცოცხლები იყვნენ არა მარტო ბაგრატ ერისთავთა ერისთავი და დავით მაგისტროსი, არამედ ცოცხალი იყო მათი მამა ადარნესე კურაპალატიც, რადგან ნარნერის ავტორი (გრიგოლ „საქმესა ზედამდგომი“) ლმერთს თხოვს შეენიოს სამივე მათგანს ორთავე ცხოვრებაში — როგორც ამქვეყნიურში, ისე საიქიოში.

ვიციტ, რომ ადარნესე კურაპალატი გარდაიცვალა 961 წელს. მაშასადამე, ასეთი შინაარსის ნარნერა ამის შემდეგ ვერ შესრულდებოდა; მეორე მხრივ, ვიციტ რომ, ადარნესეს შეეძლო კურაპალატის ხარისხი მიეღო მხოლოდ 958 წლის შემდეგ, როდესაც გარდაიცვალა მამამისი სუმბატ კურაპალატი³¹. მაშასადამე, ადარნესე კურაპალატად იყო 958-961 წწ-ში და ოშკის ტაძრის სამხრეთი ტიპანის ნარნერაც მხოლოდ ამ დროით დათარიღდება. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ 958-961 წწ. იყოს ეკლესიის აშენების თარიღი: უჭვევლია ერთი

რომელიც ამ ნარნერას მიუთითებს ან მოჰყავს იგი თავის ნაშრომში, არ მიუქცევია ყურადღება ამ შეცდომისთვის, თუმცა ყველას ადვილად შეეძლო მისი შესწორება. ასეთმა მცდარმა წაკითხვამ, როგორც ჩანს, აიძულა სახელოვანი ისტორიკოსი ივ. ჯავახიშვილი ადარნესე III კურაპალატი ელიარებიანა ოშკის ტაძრის ერთ-ერთ მშენებლად, მის შვილებთან ერთად, რაც სწორი არ არის“ (*ე.თაყაიშვილი*, დასახ. ნაშრომი, გვ. 48). ვფიქრობ, ოშკის ტაძრის ამ ნარნერის ცნობების სწორად გაგებისთვის აუცილებელი არაა ტექსტში შესწორების შეტანა და მოთხოვით ბრუნვაში დასმული საკუთარი სახელების მიცემით ბრუნვაში დასმით შეცვლა. ე.თაყაიშვილის თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ოშკის ტაძრის კტიტორებია მხოლოდ ბაგრატ ერისთავთა ერისთავი და დავით მაგისტროსი, საესებით სწორია და ეს დასტურდება ტაძრის არა ერთი და ორი ნარნერით, როგორც ამას თვითონაც ხაზგასმით აღნიშნავს. იმისთვის, რომ სწორედ იქნას გაგებული ნარნერის ტექსტის ეს ადგილი, საჭიროა მთელი წინამავალი (მის წინ არსებული) ტექსტის გათვალისწინება, რომლის მიხედვით, ბაგრატ ერისთავთა ერისთავმა და დავით მაგისტროსმა „მოწყალებითა ღმრთისაათა“ „ინყეს შენებად ამის წმიდისა საყდრისა“. „ამთ დიდებულთა მეფეთა ჩუენთა უმურველ-ყვენ წაფასენი წარმავალნი წარუვალისა მისთუს“. ბუნებრივია, ასეთი კონსტრუქცია საჭიროებს საკუთარი სახელების მოთხოვით ბრუნვაში დასმას; მაგრამ ამის შემდეგ ნარნერის შემსრულებლი, ჩართული წინადადების გამოყენებით, ლმერთს შეწევნას თხოვს, ბაგრატ ერისთავთა ერისთავის, დავით მაგისტროსის და მათი მამის ადარნესე კურაპალატისთვის, თანაც ისე, რომ ტექსტით ადარნესე არ უნდა წარმოგვიდგეს როგორც ტაძრის მშენებელი, ან აშენების ინიციატორი, როდესაც ნარნერის ავტორი განაგრძობს ტექსტს და წერს, „ღმერთმან შეენიენ ორთავე ცხოვრებათა ძეთა ღმრთიე-კურთხეულისა ადარნესე კურაპალატისათა“ და „სამებამან წმიდამან სამივენი დაიფარენ მარჯუენითა თუსითა და ადიდენ ორთავე ცხოვრებათა“-ო და ჩამოთვლის სახელებს მოთხოვით ბრუნვაში, გულისხმობს, რომ მთელი წინამავალი თხრობა ტაძრის შენების შესახებ უნდა მივაკუთვნოთ მხოლოდ ბაგრატს და დავითს, ხოლო თხოვნა შეწევნის შესახებ და დიდება ორთავე ცხოვრებაში, სამივეს — ბაგრატს, დავითს და ადარნესეს. ადარნესე კურაპალატი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ამ ნარნერის შესრულების დროს შვილებს უკვე ბერად ჰყავდათ აღკვეცილი. ამიტომ, ვთვლი, რომ ნარნერის ავტორი შეცდომას კი არ უშვებს, არამედ, პირიქით, დიდ ვირტუოზულობას იჩენს, როდესაც ახერხებს ერთდროულად დაასახელოს ტექსტში სამივენი — მამა და ორი შვილი, თანაც ისე, რომ შვილები წარმოადგინოს კტიტორებად და ამით ჩრდილი არ მიაყენოს მათ მამას, რომელიც ამ დროს ჯერ კიდევ ცოცხალი იყო.

³¹ სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, დასახ. გამოც. წ 68.

რამ, ამ წლებში ეკლესიის კედლები, სამხრეთი კედელი მაინც, ამოყვანილი ყოფილა სულ ცოტა ტიმპანის დონემდე.

ტაძრის მომდევნო წარწერებში უკვე დასახელებულია არა სამივენი (მამა და ორი შვილი), არამედ, მხოლოდ შვილები. ცნობილია, რომ ადარნესე კურაპალატი შვილებმა შეიპყრეს და მონაზონ-ქმნეს. ეს შეპყრობაც უთუოდ 958 წლის შემდეგ მოხდებოდა, რადგან შეპყრობილ ადარნესეს კურაპალატის ხარისხს არავინ უბოძებდა. ამის შემდეგ იყო, რომ ადარნესე „უნებლიე ფიჩვა“ (ე.ი. ძალად შემონაზვნებული) გარდაიცვალა კიდეც 961 წელს. აღსანიშნავია, რომ იმ კტიტორული წარწერის ქვემოთ, სამივე მათგანს რომ მოიხსენიებს, ტაძარში შესასვლელის მარცხენა ანაყოლზე მოიპოვება მეორე წარწერა, რომელიც მხოლოდ ბაგრატ ერისთავთა ერისთავს და დავით მაგისტროსს ასახელებს, მათ წარმოგვიდგენს კტიტორებად³². ეს წარწერაც 961 წლის შემდეგ და უფრო მის ახლო ხანებში უნდა იყოს შესრულებული.

ყველა წარწერა, უკანასკნელად დასახელებულის გამოკლებით, რომელიც კტიტორებად ბაგრატ ერისთავთა ერისთავს და დავით მაგისტროსს წარმოგვიდგენს, მოთავსებულია ეკლესიის იმ ადგილებში, რომლებიც სამხრეთი შესასვლელის ტიმპანზე გაცილებით მაღლა მდებარეობენ. ესენია სწორედ კტიტორთა რელიეფური გამოსახულებების თანმხლები წარწერები: სამი მათგანი — სამხრეთ კედელზე და ორი — სამხრეთ-დასავლეთის გუმბათქვეშა ბურჯზე. ხუთივე წარწერაში ბაგრატ ერისთავთა ერისთავი წარმოდგენილია ცოცხლად და, ამდენად, მათი შესრულების ზედა ქრონოლოგიური ზღვარი იქნება 966წ. — ბაგრატის გარდაცვალების დრო. უფრო კონკრეტულად, ეს წარწერები და კტიტორთა რელიეფური სკულპტურები, როგორც ჩანს, შესრულდა 961-966 წლებში.

მამასადამე, ეს წარწერები სრულდებოდა თანდათან, ტაძრის მშენებლობასთან ერთად; თითოეული მათგანი ცალ-ცალკე და ყველა ერთად ასახავს ტაძრის მშენებლობის ცალკეულ ეტაპებზე შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას.

ტაძრის მშენებლობის ეტაპების ამსახველ ამ წარწერებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული კიდეც ერთი, ამჯერად ქვაზე ამოკვეთით შესრულებული წარწერა ოპის ტაძრისა³³. წარწერის ტექსტი (შემორჩენილი იყო ანგელოზის

³² ესაა IX წარწერა *ე.თაყაიშვილის* მიხედვით (იხ. *მისი*, დასახ. ნაშრომი, გვ. 54-55), რომელსაც მან ვერ მიაგნო და გამოსცა მ. ბროსესეულ პუბლიკაციაზე დაყრდნობით და რომელსაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხელახლა მოაკვლია *ე.ჯობაძემ*.

³³ ე.თაყაიშვილი აღნიშნავს, რომ ოპის ტაძარზე „ქვაზე ამოჭრილი წარწერა მხოლოდ სამია“-ო. ეს წარწერა მეოთხეა; იგი ცნობილი იყო მისთვისაც და აღმოჩნდა სწორედ 1917 წლის ექსპედიციის დროს, „ქვებში, რომლითაც შემოზღუდული იყო ტაძრის აღმოსავლეთით მდებარე პატარა ბოსტანი“. ე.თაყაიშვილის დროს ეს ქვა გადმოუღია და გადაულიათ მისი ფოტოსურათი. ე.ჯობაძეს ამ ქვისთვის ვერ მოუკვლევია, როგორც ჩანს, იგი დიდი ხნის წინათ გაქრაო — დასძენს ის. საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ფოტოთექნიკური დაცულია ამ რელიეფის ფოტონეგატივი (1407/4240). იგი ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე, ფონტონში, სახურავის კარნიზის კეხს ქვემოთ, შუა თაღის არეში იყო ჩასმული (ანგელოზის ეს გამოსახულება ე.თაყაიშვილს ხუროთმოძღვრის გამოსახულებად მიაჩნდა. მისი სწორი

მხოლოდ მარცხენა გაშლილ ფრთაზე) ასეთია: „[...]სა | აშე|ნებ|და“. ე.თაყაიშვილის დაკვირვებით, ტექსტის ნაკლებად ადგილები, რომელიც მის დროს თითქმის მთლიანად გადასული იყო, შეიძლება აღდგეს, როგორც „ოცსა წელ|სა“ ან „ათსა წელ|სა“, ჩვენნი რწმენით, — აღნიშნა მან, უფრო სწორია „ათსა წელსა“-ო და საბოლოოდ ტექსტი ასეთი სახით გამართა: „[ათს|ა წ(ე)ლ|სა | აშე|ნებ|და“³⁴.

როგორც აღინიშნა, ე.თაყაიშვილს მიაჩნდა, რომ წარწერა მოთავსებული იყო ხუროთმოძღვრის გამოსახულების გარშემო და დასძენდა: „რა თქმა უნდა, დაკარგული თავისა³⁵ და პირის ირგვლივ წარწერილი იქნებოდა ხუროთმოძღვრის ვინაობა, სახელი და გვარი, მაგრამ წარწერის ეს ნაწილიც ჩვენთვის სამუდამოდ დაკარგულია“³⁶. ე.ი. ე.თაყაიშვილი მიიჩნევდა, რომ წარწერის ტექსტს, გარდა იმისა რაც მან აღადგინა და გამოცემაში წარმოადგინა, დასაწყისში კიდევ აკლდა გარკვეული ნაწილი.

ე.თაყაიშვილის მიერ წარმოდგენილ ტექსტს ვ.ჯობაძე ეთანხმება. ის, როგორც ჩანს, საესებით სამართლიანად მიიჩნევს, რომ წარწერა ეკუთვნოდა კტიტორს და არა ხუროთმოძღვარს³⁷ და დაასკვნის, რომ ეკლესია შენდებოდა ათი წლის განმავლობაში, 963 წლიდან 973 წლამდე³⁸.

ამ წარწერის ტექსტის მონაცემების გათვალისწინებისას და თვით წარწერის დასათარიღებლად, საჭიროა ყურადღება მიექცეს რამდენიმე გარემოებას: წარწერა მოთავსებულია ქვის ფილაზე, რომელიც ჩასმულია ტაძრის კედლის ყველაზე მაღალ ადგილას და, მაშასადამე, განეკუთვნება მშენებლობის ბოლო ეტაპს; იგი ჩასმულია ისეთ თვალსაჩინო ადგილას (ტაძრის აღმოსავლეთ ფასადში, კარნიზის კეხს ქვემოთ, ფასადის ცენტრალური თაღის არეში³⁹), რომ უსათუოდ კტიტორს ეკუთვნოდა და არა ტაძრის მშენებელ

იდენტიფიკაცია პირველად აღნიშნა გ. ჩუბინაშვილმა („ქართული ხელოვნება“, 5, გვ. 238), ხოლო დაადასტურა ვ.ჯობაძემ). მისივე აღნიშვნით, ანგელოზის მსგავსი გამოსახულება მოთავსებულია ტაძრის სამხრეთ ფასადზე (იხ. *ე.თაყაიშვილი*, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 73; *D. Winfield*, *Somme early medieval figure sculpture from North-East Turkey*, *Journal of the Warburg and Courtauld Institutes*, 31, 1968, ტაბ. 12. შდრ., აგრეთვე, იქვე, ტაბ., 9ბ).

³⁴ *ე.თაყაიშვილი*, დასახ. ნაშრომი, გვ. 37.

³⁵ გამოსახულება, როგორც ეს ფოტოსურათზეც გარკვევით ჩანს, დაზიანებული იყო: მას მოტეხილი პქონდა თავი, ძალზე გადაცრეცილი და ატყეცილი კისერი, მხრები და ფრთების ზედა ნაწილი.

³⁶ *ე.თაყაიშვილი*, დასახ. ნაშრომი, გვ. 36.

³⁷ *W. Djebadze*, დასახ. ნაშრომი, გვ. 60, შენ. 128.

³⁸ იქვე, გვ. 60.

³⁹ აღსანიშნავია, რომ სწორედ ასეთ ადგილას — ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე, შუა ნაგის ნეკრში, კარნიზის კეხის შეერთებაზეა მოთავსებული დავით კურაპალატის განმადიდებელი (ფაქტობრივად, საამშენებლო) წარწერა ოთხთა ეკლესიაზე (ბოლო პუბლიკაცია კარგი ხარისხის ფოტოსურათის დართვით: *B. Baumgartner*, *Studien zur historischen Geographie von Tao-Klarzeti* (Dissertation), Wien, 1996, S. 556).

ოსტატს⁴⁰. კტიტორი კი ტექსტში დასახელებულია მხოლოდით რიცხვში („ამუნებდა“). ეს უნდა იყოს დავით მაგისტროსი, რადგან ტაძრის მშენებლობის დასრულების დროისთვის მხოლოდ ის იყო ცოცხალი: ადარნესე გარდაიცვალა 961 წელს — ამდროისთვის ამოყვანილი იყო ტაძრის კედლები შესასვლელთა ტიმპანების დონეზე; ზაგრატ ერისთავთა ერისთავი გარდაიცვალა 966 წელს, როდესაც ამოყვანილი იყო კედლები, როგორც ჩანს, სამხრეთის ფასადზე მოთავსებული კტიტორული რელიეფების შემომზღუდავი მართკუთხა თალის დონეზე და ამის შემდეგ ეკლესიის მშენებლობის დასრულება მოუხდა დავით მაგისტროსს⁴¹.

ამრიგად, ანგელოზის თავის გარშემო და მარჯვენა ფრთის არეში, როგორც ჩანს, მოთავსებული იყო დავით მაგისტროსის სახელი. ჩვენ არ ვიცით და როგორც ჩანს, ვერც ვერასდროს გავიგებთ თუ როგორი ფორმით, რა ტიტულით იყო ეს სახელი აღნიშნული. ცნობილია, რომ დავითს მაგისტროსის ტიტულის შემდეგ მიენიჭა კურაპალატის ხარისხი, რომელსაც 1001 წ-მდე, ე.ი. გარდაცვალებამდე ატარებდა, და იგი უფრო ამ ტიტულითაა ცნობილი.

ჩვეულებრივ, როდესაც სურთ დაადგინონ თუ როდის მიიღო დავითმა კურაპალატის ნოდება, მოიშველიებენ ორი ქართული ხელნაწერის ანდერძებს. ერთია, პარხლის ოთხთავი, გადაწერილი 973 წელს, რომლის ორ სხვადასხვა ანდერძში დავითი ჯერ კიდევ მაგისტროსად იხსენიება⁴², და მეორეა, ათონის ქართველთა მონასტერში დაცული ხელნაწერი №9, რომელიც წარმოადგენს პომილიების კრებულს და ეწოდება „სამოთხე“⁴³. იგი გადაწერილია 977 წელს ოშკში და მის ანდერძში გვაქვს ჩვენთვის ცნობილი ყველაზე ადრინდელი დასახელება დავითისა კურაპალატის ხარისხით⁴⁴. ამრიგად, ითვლება, რომ

⁴⁰ ხუროთმოძღვრის გამოსახულება, საღებავით შესრულებული თანხლები წარწერით, შემონახულია ტაძრის ერთ-ერთ სვეტზე (იხ. *ე.თაყაიშვილი*, დასახ. ნაშრომი, გვ. 40; *D. Winfield*, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 20; *Н. Чубинашвили*, *Хандиси*, Тб., 1972, т. 92, s. 117).

⁴¹ აღსანიშნავია, რომ სამი სხვადასხვა კტიტორის მიერ ტაძრის რამდენიმე ეტაპად მშენებლობის სურათი გადმოცემულია სამშვილდის სიონის ვრცელ წარწერაში (*ლ. მუსხელიშვილი*, სამშვილდის სიონის წარწერები და აშენების თარიღი, „ენიშკის მოამბე“, XIII, 1943, გვ. 92; *Н. Чубинашвили*, *Самшвиლდский Сион*, Тб., 1969, გვ. 28.).

⁴² ხელნაწრთა ინსტიტუტი, H-1453, 237წ. „ღირს ვიქმენ მე, გლახაკი იოვანე, წართულად ბერაი, აღსრულებად წმიდასა ამას სახარებასა ოთხთავსა, სალოცველად მეფეთა ჩუენთათჳს — ღმრთივ დიდებულისა ბაგრატ ქართველთა მეფისა, დავით მაგისტროსისა, სუმბატ ერისთავთა ერისთავისა“; 238წ. „შეწიწე წმიდასა ეკლესიასა პარხლისასა, წინაჲთ ახალსა ეკლესიასა, ახალსა საკურთხეველსა ჴედა დაიდვას სადიდებულად ღმრთივ გურგუნოსნისა მეფეთა მეფისა, ადიდენ ღმერთმან, ღმრთივ დამყარებულისა დავით მაგისტროსისა“ (იხ. ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (897, 936 და 973 წწ.), გამოსცა *ა. შანიძემ*, თბ., 1945, გვ. 034-035).

⁴³ ვ.ჯობაძე ამ ხელნაწერს სახარებად (Gospel) მიიჩნევს (იხ. *W. Djobadze*, დასახ. ნაშრომი, გვ. 60).

⁴⁴ Ath-9. 357წ. „დაცნერეთ წმიდაჲ ესე წიგნი სადიდებულად და სალოცველად პირველად ძლიერისა და ღმრთისმსახურისა კურაპალატისა დავითისთჳს და სალოცველად სულისა

დავითმა კურაპალატის ხარისხი მიიღო 973-977 წლებს შორის. ხოლო ოშკის ყველა წარწერაში, რომელმაც სრული სახით მოაღწია ჩვენამდე, იგი დასახელებულია ჯერ კიდევ მაგისტროსის ხარისხით.

თუ ჩვენ მივიღებთ, რომ 966 წელს, ბაგრატ ერისთავთა ერისთავის გარდაცვალების შემდეგ, ოშკის ტაძრის მშენებლობის დასრულება მოუხდა დავით მაგისტროსს და ეს მშენებლობა ამის შემდეგ კიდევ ათ წელიწადს გრძელდებოდა, მაშინ, გამოდის, რომ ტაძრის მშენებლობა დასრულებულა დაახლოებით 976 წლისათვის. მაშასადამე, თუ 958-961 წლებისთვის მშენებლობა მიყვანილი იყო შესასვლელთა ტიპანების დონეზე, იგი უნდა დაწყებულიყო დაახ. 950-იანი წლების მეორე ნახევრის დამდეგიდან, ე.ი. სავარაუდოდ, 955-956 წლიდან; ხოლო, მთლიანად დასრულებულა 976 წლისათვის, ე.ი. დაახ. ოც წელიწადს გრძელდებოდა⁴⁵. ხოლო თუ ვიგულისხმებთ, რომ ანგელოზის ფრთების

ბაგრატ მაგისტროსისა. დაიწერა წმიდა ეს ნიგნი დიდებულსა ლაერასა ოშკს, საყოფელსა წმიდისა ნათლისმცემლისასა, ქრონიკონსა რჳზ" (იხ. R.Blake, Catalogue des manuscrits greciens de la Bibliothéque de la Lavre d'Ivion au Mont Athos, Paris, 1932, გვ. 49). ამ ანდერძის თანამედროვე პუბლიკაციაში მისი ეს ნაწყვეტები ასეა წარმოდგენილი: „მოვიგეთ და დავწერეთ წმიდა ეს ნიგნი *სამოთხლ*, სალოცველად და სადიდებელად პირველად ძლიერისა და ღმრთისმსახურისა შეფისა და ყოვლისა აღმოსავალისა კურაპალატისა დავითისათჳს. ქრონიკონი იყო რჳზ" [ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია, ნაკვეთი I, თბ., 1986, გვ. 47. ხელნაწერი ათონი-9 აღწერილია *ნესტან ჩხიკვაძის* მიერ).

⁴⁵ ე.თაყაიშვილი შენიშნავს, რომ „ტაძრის შენება ერთობ ინტენსიურად უწარმოებიათ — სახელდობრ, დღემი 70 მუშა უმუშავებიათ, ამიტომ შენობა ათი წლის განმავლობაში უნდა დამთავრებულიყო, ოცი წელიწადი საამისოდ მეტად დიდი დრო იქნებოდა“ (*ე.თაყაიშვილი*, დასახ. ნაშრომი, გვ. 37). მაგრამ, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ოცი წლის განმავლობაში, როგორც ჩანს, მარტო დიდი ტაძრის მშენებლობა არ მიმდინარეობდა; ოშკის მონასტრის კომპლექსში გარდა ამ ტაძრისა შედის მისი თანადროული რამდენიმე სხვა ნაგებობა: ორი მცირე ეკლესია, სემინარია-საოსტიგნე და სხვ. ოშკის ტაძარი, მთელს სამონასტრო კომპლექსში თუნდაც რომ მხოლოდ იგი ეშენებინათ 20 წელიწადი, ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს; საქართველოში დიდი ტაძრების 20-25 წლის (და მეტი ხნის) განმავლობაში მშენებლობის სხვა შემთხვევებიც გვაქვს: ნილკნის ეკლესიის ბაქურ მეფე აშენებდა, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ შატბერული ვარიანტით 35, ხოლო ძველბურთი ვარიანტით — 31 წელიწადს (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, *ილ.აშულაძის* რედაქციით, ნ. I, თბ., 1964, გვ. 91:25-27. *ლ.მუსხელიშვილი* და მისი მიხედვით ნ.ჩუბინაშვილი თვლიან, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“-ში ნილკნის ეკლესიის შენება განსაზღვრულია 25 წლით), სამშვილდის სიონი შენდებოდა 19 წელი (*ლ.მუსხელიშვილი*, დასახ. ნაშრომი, გვ. 97), რამდენადმე ნაკლები დრო — 15 წელი დასჭირდა ბოლნისის სიონის აგებას, როგორც ეს პირდაპირ არის აღნიშნული ტაძრის საამშენებლო წარწერაში — „ათხუთმეტ წლისა შემდგომად განხესრულა“; აკ. შანიძემ წარმოადგინა ბოლნისის სიონის საამშენებლო წარწერის ნაკლები ადგილების ახლებური აღდგენა და ამ აღდგენის ერთ-ერთი ვარიანტით გამოდის, რომ ტაძრის მშენებლობა 25 წელი გაგრძელებულა (*აკ. შანიძე*, ბოლნისის წარწერები, „ნობათი“, 1, 1975, გვ. 31); უფრო ადრე, წარწერის ამ ადგილის მსგავსი აღდგენა მიუწოდებია პ.ინგოროყვას *ლ.მუსხელიშვილისთვის* (*ლ.მუსხელიშვილი*, დასახ. ნაშრომი, გვ. 97, შენ. 2); შდრ. *ვ. სილოვაჲა*, ბოლნისის უძველესი ქართული წარწერები, თბ., 1994, გვ. 61, შენ. 37.

გარშემო მოთავსებულ წარწერაში დავით მაგისტროსის შესახებ აღნიშნული იყო, არა „[ათსა წელს] აშენებდა“, არამედ „[ოცსა წელს] აშენებდა“, მაშინ ტაძრის მშენებლობის ხანგრძლივობა დაახ. 30 წლით განისაზღვრება და მისი დასრულება 986 წლისათვის უნდა ვივარაუდოთ. მაგრამ, ამ მოსაზრებას ერთი გარემოება უშლის ხელს: 986 წელს დავით მაგისტროსს უეჭველად ჰქონდა კურაპალატის ხარისი, ასე რომ, ეს ფაქტი (მის მიერ კურაპალატობის მიღება, ან კურაპალატის ხარისხში ყოფნა) ოპის ტაძრის ეპიგრაფიკაში აუცილებლად აისახებოდა; ხოლო ოპის მრავალრიცხოვან წარწერებში დავითი ყველგან დასახელებული მაგისტროსის ხარისხით⁴⁶; თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენ არ ვიცით რა სახით იყო წარმოდგენილი დავითის ტიტული ანგელოზის ფრთებზე ამოკვეთილ წარწერაში, თუ საერთოდ იყო არნიშნული იქ მისი სახელი⁴⁷. ზოგადად, ტაძრის მშენებლობის თარიღი, ამჟამად ჩვენს განკარგულებაში არსებული ეპიგრაფიკული მასალის და მათი ზემონარმოდგენილი ინტერპრეტაციის მიხედვით, როგორც ჩანს, დაახლოებით უნდა განისაზღვროს X ს-ის მესამე მეოთხედით.

ამრიგად, ოპის ტაძრის მშენებლობის ხანგრძლივობის და აგების თარიღის შესახებ ჩვენს მიერ მიღებული დასკვნები ფარავენ იმ ქრონოლოგიურ საზღვრებს, რომლებიც დაადგინეს ე.თაყაიშვილმა — 950-963 წწ. და ვ.ჯობაძემ — 963-973 წწ.⁴⁸ ამავე დროს, ამ დასკვნებთან უფრო ახლოს დგას ვ.ჯობაძის მიერ შემოთავაზებული თარიღი.

ვ. ჯობაძის ნაშრომი, რომელშიც წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ახალი მასალა ოპის ტაძრის ისტორიის შესახებ, საყურადღებოა ამ მასალის შესწავლისა და ინტერპრეტაციის თვალსაზრისით; ეს ნაშრომი გარკვეულ ეტაპს ქმნის ოპის ტაძრის შესწავლის ისტორიაში. უკვე ცნობილი მასალის ხელახალი

⁴⁶ შდრ. *W. Djobadze*, დასახ. ნაშრომი, გვ. 60.

⁴⁷ თუ დაუშვებთ, რომ ანგელოზის თავის გარშემო, ფრთების ზედა ნაწილში ამოკვეთილ წარწერაში დასახელებული იყო დავით მაგისტროსი, მაშინ წარწერის ტექსტი, სავარაუდოდ, შეიძლება შემდეგი სახით წარმოვიდგინოთ: „[აღიღენ ღმერთმან მეფე ჩუენი დავით მაგისტროსი, რომელ | ათს | ა წ(ე)ლ | სა აშენებ | და“.

⁴⁸ სხვა კონკრეტული თარიღი ტაძრის აშენების შესახებ აღნიშნული არ ყოფილა (გამოვრიცხავთ მბროსესეულ დათარიღებას, როგორც გაუგებრობაზე დამყარებულს). გ.ჭუბინაშვილს ტაძრის მშენებლობის ეტაპების კონკრეტული თარიღები არ წარმოუდგენია, მაგრამ, სამხრეთი შესასვლელის ტიმპანის კტიტორულ წარწერაზე დაყრდნობით ის თვლიდა, რომ მშენებლობა დაწყებულია 958 წელს, ამის შემდეგ მშენებლობა, შესაძლებელია, ნახევარ საუკუნემდე გრძელდებოდა, ოღონდ, ცხადია, ხანგრძლივი შესვენებებით („ქართული ხელოვნება“, 5, გვ. 258). ე.თაყაიშვილი მიიჩნევს, რომ თითქოს 958-966 წლებს ივ. ჯავახიშვილი თვლიდეს ოპის ტაძრის აგების თარიღად (ე.თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 50). სინამდვილეში, 958-966 წლებით ივ. ჯავახიშვილი ათარიღებს მხოლოდ ტაძრის სამხრეთი შესასვლელის ტიმპანის წარწერას და არა მთლიანად ტაძარს (ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 169-170). უნდა შევნიშნოთ, რომ ივ. ჯავახიშვილმა წითელი საღებავით (სინგურით) შესრულებული ეს ვრცელი წარწერა პალეოგრაფიული თვალსაზრისით საგანგებოდ დაასასათა და იგი, რატომღაც, ქვაზე ამოკვეთილად მიიჩნია (ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 169-171).

შენსავლაც, მისი ახალი, მაღალი დონის პუბლიკაცია თანმხლები მდიდარი საილუსტრაციო აპარატით, განსაკუთრებული, შეუნილებელი ინტერესის აღმძვრელია ყველასათვის, ვინც მოკლებულია ქართული კულტურის ამ უმნიშვნელოვანესი ძეგლების უშუალოდ შესწავლის შესაძლებლობას⁴⁹.

⁴⁹ ეს სტრიქონები იწერებოდა 1977 წელს. ამის შემდეგ, მის ავტორს, 2002-2004 წწ. არაერთხელ მიეცა ტაო-კლარჯეთის ძეგლების და, მათ შორის, ოშკის ადგილზე შესწავლის შესაძლებლობა.

დამატება II

ოშკის უცნობი წარწერა*

ოშკის დიდებული ტაძარი (ისტორიულ ტაოში, ამჟამად თურქეთში) გამორჩეულია არა მარტო ხუროთმოძღვრული და მხატვრული ღირსებებით, არამედ ძველი ქართული წერილობითი ძეგლებითაც, რომელებიც მასთანაა დაკავშირებული — ესენია, ხელნაწერები და წარწერები.

ოშკის მონასტერში გადანერილი ქართული ხელნაწერების მნიშვნელობის წარმოსაჩენად საკმარისია დავასახელოთ თუნდაც სამი მათგანი — 977 წელს გადანერილი „სამოთხე“, 987 წელს გადანერილი „ბიბლია“ და 979 წელს გადანერილი „იოვანე ოქროპირის ცხოვრება“; სამივე ხელნაწერის ანდერძები, კარინის ქვეყანაში 981 წელს გადანერილ „განძის“ ანდერძთან ერთად, შეიცავს უძვირფასეს ცნობებს დავით კურაპალატისა (†1001წ.) და მისი გარემოცვის პოლიტიკური მიზანდასახულებისა და ფართო მასშტაბის კულტურულ-სააღმშენებლო-საქმიანობის შესახებ¹.

თორნიკ-ყოფილ იოვანე სვინგელოზის, იგივე ცნობილ თორნიკე ერისთავის, ბრძანებით გადანერილი და შექმნილი ეს ხელნაწერები, რომელთაგან პირველი სამი დღესაც ათონის ქართველთა მონასტერში („ივირონი“) ინახება, დიდებული ძეგლებია, არამარტო თავისი ეპოქის კულტურული ყოფისა, არამედ თვალსაჩინო ნიმუშებია იმ დროინდელი საქართველოს მატერიალური და ინტელექტუალური შესაძლებლობების, პოლიტიკური გავლენისა და მიზანდასახულობებისა.

ამ გავლენის და მიზანდასახულობის ერთ-ერთი გამოვლენა იყო ცოტათი ადრე, 963-973 წწ. ოშკის დიდებული მონასტრის და იოვანე ნათლისმცემლის სახელობის მისი ბრწყინვალე, გრანდიოზული და მხატვრულად უხვად შემკული მთავარი ტაძრის აშენება, რომელიც ძმებმა — ბაგრატ ერისთავთა ერისთავმა და დავით მაგისტროსმა, მომავალმა დავით კურაპალატმა განახორციელეს.

ცხადია, მათივე ბრძანებით და ნებართვით, ტაძარზე მოუთავსებიათ მრავალრიცხოვანი წარწერები, რომელებიც ან ქვებზეა ამოკვეთილი ან წითელი საღებავითაა ქვებსა და კედლის შელესილობაზე დაწერილი, ან კედლებზეა ამოკანწერილი. მრავალფეროვანია ოშკის ტაძრის წარწერები შინაარსობრივადაც — საამშენებლო, კტიტორულ-მემორიალური, გამოსახულებათა განმარტებითი, მოსახსენებლები, საბუთები...

* გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 31 ოქტომბერი - 6 ნოემბერი, 2003 წ., 44(3460), გვ. 13-14.

¹ *ე.მეტრეველი*, ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან, თბ., 1996, გვ.5-34.

ამ წარწერებს შორის განსაკუთრებით ღირსშესანიშნავია ვრცელი, 12 გრძელ სტრიქონად შესრულებული ასომთავრული წარწერა, დანერილი ნითელი საღებავით, ტაძრის სამხრეთ შესასვლელის არქიტრავის უშუალოდ სიმაკვლეზე. შინაარსით, იგი ერთდროულად საამშენებლოცაა, მშენებელ კრიტორთა მოსახსენებელიც და ტაძრის მშენებლობისას ერთი წლის მანძილზე განეული ხარჯის ანგარიშიც. სწორედ ამ უკანასკნელი ცნობებით არის ეს წარწერა უნიკალური და მას ქართულ ეპიგრაფიკაში ჯერჯერობით მაინც, ანალოგი არ მოეპოვება.

კერძოდ, წარწერის ამ მონაკვეთში, გრიგოლ „საქმესა ზედამდგომი“, ე.ი. ტაძრის მშენებლობის ხელმძღვანელი, რომელიც, როგორც ჩანს, პასუხისმგებელი იყო ტაძრის მშენებლობაზე განეულ ხარჯებზე, წერს, რომ წლის განმავლობაში კალატოზების, მუშების, ქვის მომტანი ხარების მეპატრონეებზე ხელფასის („მიზდი“) სახით დაიხარჯა 20 ათასი დრამა, 500 ფისოსი ღვინო; მშენებლობაზე დაიხარჯა 50 ლიტრა რკინა, 150 გრივი ხორბალი; „მარადის“ მუშაობდა კალატოზი, ხური და მჭედელი 70; ხარი, რომლითაც ქვას კრებდნენ — 30; ჯორი და სხვა აზავერი, რომელიც გრიგოლწმიდით სპონდიკს (ყვითელი ფერის ფოროვანი სამშენებლო ქვა) ეზიდებოდა — 30, სხვა აზავერი, რომელიც, როგორც ჩანს, ქვიშას ან კირს ეზიდებოდა — 60, დამატებით — „ერი და მოქმედი“ — 80 და სხვ. ეს, ერთი წლის განმავლობაში. თუ ამას გადავამრავლებთ ტაძრის მშენებლობის 10 წელზე, ადვილი დასადგენია, რამდენი იხარჯებოდა ერთი დიდი ტაძრისა და სხვა შედარებით საშუალო ტაძრის ან პატარა დარბაზული ეკლესიის მშენებლობაზე ძველ საქართველოში, ცხადია, მათი მშენებლობის ხანგრძლივობისა და ეკონომიკური კონიუნქტურის გათვალისწინებით.

მოგვიანებით ოშკის ტაძრის კედლებზე, ამა თუ იმ ფაქტთან და მოვლენასთან დაკავშირებით სხვადასხვა დანიშნულების, შინაარსისა და მნიშვნელობის წარწერები მოუთავსებიათ (მაგ., ტაძრის მოხატვა 1032 წელს ფერის ჯოჯიკისძის დაკვეთით; მოსახსენებლის მიწერა ტაძრის კედელზე დავით აღმაშენებლის ძის დემეტრე მეფის მიერ მის მოხილვასთან დაკავშირებით 1125-1155წწ. შორის; ეპიგრაფიკული საბუთის მიწერა ტაძრის სამხრეთ კედელზე, შიდა მხარეს, გედაონისძეთა ფეოდალური სახლის მიერ მონასტრისთვის გარკვეულ შეწირულობის გაღებასთან დაკავშირებით XV ს-ში და სხვ.), ასე რომ, ოშკის ტაძრის ეპიგრაფიული მასალის ქრონოლოგია X-XV სს. მოიცავს, რომელთა შორის, როგორც რაოდენობით, ისე სამეცნიერო მნიშვნელობით გამოირჩევა 20-ზე მეტი წარწერა X ს-ისა.

ოშკის ტაძრის წარწერების შესწავლა — მათი გამოვლენა, გამოქვეყნება, მეცნიერული კომენტირება-ანალიზი და საერთოდ, სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა, თითქმის საუკუნუნახევარზე მეტია მიმდინარეობს. პირველი მეცნიერული პუბლიკაცია მხითარისტ *ნერსეს სარგისიანის* მიერ შეკრებილი — გადმონერილი და პალეოგრაფიული ასლებით გადმოღებული ოშკის ტაძრის 10 წარწერისა, განახორციელა აკად. *მარი ბროსემ* რუსეთის საიმპერატორო მაც-

ნიერებათა აკადემიის მოამბეში („მემუარებში“) 1864 წელს. ასომთავრული დამწერლობით შესრულებული ეს წარწერები მბროსეს პუბლიკაციაში წარმოდგენილია გაშიფვრით, მხედრული შრიფტით, ტექსტების ფრანგული თარგმანით და კომენტარებით — იმ დროისთვის შესაძლებელ უმაღლეს სამეცნიერო დონეზე. კარგა ხნის მანძილზე ეს გამოცემა იყო მეცნიერთათვის ძირითადი მასალა ოშკის ტაძართან დაკავშირებული საკითხების შესწავლისათვის. *დიმიტრი ბაქრაძე* (1891), *ივანე ჯავახიშვილი* (1913, 1926), *სიმონ ჯანაშია* (1947) ოშკის ტაძრის წარწერების სწორედ მარი ბროსესეულ პუბლიკაციას მიმართავენ თავიანთ ნაშრომებში სამხრეთ საქართველოს პოლიტიკური, კულტურული და სოციალ-ეკონომიკური საკითხების კვლევისას.

ოშკის ტაძრის წარწერების გამოვლენას, ტექსტების დადგენას, მათ მეცნიერულ ანალიზს და სწორ დათარიღებას დიდი ამაგი დასდო აკად. *ე.თაყაიშვილმა*. 1917 წელს მისი ხელმძღვანელობით სამხრეთ საქართველოში მოწყობილ სამეცნიერო ექსპედიციისას, რომელშიც მისი მიწვევით მონაწილეობდნენ ჯერ კიდევ ახალგაზრდა, დამწყები შემომქმედნი: *დიმიტრი შევარდნაძე*, *ლადო გუდიაშვილი*, *მიხეილ ჭიაურელი* და სხვები, ისევე, როგორც სხვა ძეგლებზე, ოშკის ტაძარზეც შესწავლილ იქნა მისი მრავალრიცხოვანი წარწერები. როგორც ცნობილია, *ე.თაყაიშვილის* ექსპედიციის მეტად ნაყოფიერი სამეცნიერო შედეგები გამოქვეყნდა გვიან რუსულ (1952) და ქართულ (1960) ენებზე. *ე.თაყაიშვილისეული* პუბლიკაციები დღემდე რჩება ძირითად სამეცნიერო მასალად ოშკის ტაძრის წარწერების შესწავლისთვის.

სამხრეთ საქართველოს ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლებისა და, ამით შორის, ოშკის ტაძრის შესწავლის ახალი ეტაპი დაკავშირებულია *ვახტანგ ჯობაძის* სახელთან. მან გამოავლინა ოშკის ტაძარში ახალი, მანამდე უცნობი წარწერები, რომლებიც გამოაქვეყნა სხვადასხვა პუბლიკაციებში, როგორც უცხოეთში, ისე საქართველოში, ინგლისურ და ქართულ ენებზე². ყველაფერი ეს თავმოყრილია მის შემაჯამებელ ვრცელ მონოგრაფიაში რომელიც 1992 წელს გამოქვეყნდა შტუტგარტში, ინგლისურ ენაზე, ხოლო მისი ქართული გამოცემა განზრახულია უახლოეს ხანებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ვ.ჯობაძის მიერ მოკვლეულ ოშკის წარწერებს შორის ერთ-ერთი წარმოადგენდა საამშენებლოს, რომელშიც დეტალურად იყო აღნიშნული ცნობები ტაძრის მშენებლობის დაწყების დროის, მშენებელი კრიტორების და სხვათა შესახებ. ამ წარწერას ქვემოთ საგანგებოდ დაუფრუნდებით.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ეს დამახასიათებელია ყველა, ან თითქმის ყველა ეპოქალური ძეგლისთვის, ოშკის ტაძრის და, კერძოდ, მისი ეპიგრაფიკული მასალის ყოველი ახალი შესწავლა, ახალი, მანამდე უცნობი ძეგლების გამოვლენით აღინიშნება. მაგალითად, 1991 წელს ფრანგი მკვლე-

² შედარებით დანვრილებით იხ.: *ე.ჯობაძე*, ოშკის ტაძარი (ორი წერილი ოშკის ტაძარზე), თბ., 1991.

ვარების ნიკოლ და მიშელ ტიერების ექსპედიციის ოპკის ტაძარში მუშაობისას გამოვლინდა მანამდე სხვების მიერ შეუმჩნეველი წარწერები³.

უკანასკნელ ხანებში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 1993 წელს საქართველოსა და თურქეთს შორის დაიდო მეგობრობის, თანამშრომლობის და კეთილმეზობლობის ხელშეკრულება, ხოლო 1994 წელს მიღწეულ იქნა შეთანხმება ტურიზმის შესახებ, შეიქმნა შესაძლებლობა თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ძველი ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების მოხილვისა და შესაძლებლობის ფარგლებში შესწავლისა, როგორც მეცნიერ-სპეციალისტების, სტუდენტი ახალგაზრდების, სიძველეთა მოყვარულ-ენტუზიასტების, ისე ნებისმიერი სხვა პირის მიერ.

ამ ძეგლების ფართოდ გაშლილმა ინტენსიურმა მოხილვამაც თავისი შედეგები გამოიღო და აქამდეც ცნობილ ძეგლებთან ერთად, გამოვლინდა მანამდე უნობი ძეგლები — ეკლესიები და ნაეკლესიარები, ციხეები და ნაციხარები, დღესაც მოქმედი ძველი (XII.) ხიდები და ხიდების ნაშთები. გამოვლინდა ახალი ეპიგრაფიკული მასალაც, მათ შორის, ოპკის ტაძარშიც.

ტაძარში სამხრეთის შესასვლელის მარჯვნივ, სამხრეთ-აღმოსავლეთის გუმბათქვეშა ბურჯსა და სამხრეთის კედელს შორის, დარჩენილია აქ ტაძარში ადრე ჩაშენებული და XX ს-ის 80-იანი წლების ბოლოს გატანილი ჯამეს კედლის ნაწილი — აღმოსავლეთის კედელი. იგი ამოყვანილია სხვადასხვა, ზოგი გათლილი და ზოგიც უსწორმასწორო ქვებით. მათ შორისაა, ამ კედლის ძირში, თითქმის მის შუა ადგილას ჩასმული ორი კარგად გათლილი და ერთმანეთზე მჭიდროდ მიდგმული ქვა. ორივე ქვა შედარებით დიდი ზომისაა: სიმაღლე დაახ. 120 სმ. სიგანე 60 სმ. და სისქე 31 სმ. ორივე მათგანი ზემოდან გათლილია ისე, რომ გამოყვანილია ორფერდა სახურავი, რომლის ბოლოები კიდეებზე გადადის.

მაყურებლისგან მარცხენა ქვაზე, 1973 წელს ვ.ჯობაძემ მიაკვლია ზემოთ ნახსენებ შესანიშნავ ასომთავრულ წარწერას. უშუალოდ ქვის ზედაპირზე ნითელი სარეზავით შესრულებული წარწერა განლაგებული იყო 12 სტრიქონად. აქედან, დანამდვილებით იკითხებოდა პირველი ცხრა სტრიქონი, ხოლო ბოლო სამი სტრიქონი მოღწეული იყო ნაწყვეტების სახით. წარწერის ტექსტი, ვ.ჯობაძისეული წაკითხვის, მის მიერ გამოქვეყნებული მასალებისა და ნაქვული ადგილების ნაწილობრივ შევსების შემდეგ ასეთია:

„† დავინყეთ ეკლესიათა ქრონიკონსა რჳჲ, მარტსა კჲ, დღესა ხარებისა. აღესრულა ზაგრატ ერისთავთა ერისთავი, ეკლესიისა ამის მაშენებელი, ქრონიკონსა რჳჲ, ოკდონბრსა ზ, დღესა ს[ამ]თშაბათსა(!); დიდებულ-მცა არს სული მათი. და ადიდენ ღმერთმან, დავით, (ძმა)მან მათმან (...).“

³ ზ.სხირტლაძე, უცნობი ეპიგრაფიკული მასალები საქართველოს სამხრეთ ისტორიული პროვინციებიდან, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 2, 1993, გვ. 96-102.

ნარწერიდან ირკვევა, რომ ოპის ტაძრის მშენებლობ დაუწყიათ 963 წლის 25 მარტს, ხარება დღეს. ტაძრის ერთ-ერთი მაშენებელი ბაგრატ ერისთავთა ერისთავი გარდაცვლილა 966 წელს, 2 ოქტომბერს, სამშაბათ დღეს. შემდეგ, როგორც ჩანს, აღნიშნული იყო, რომ მშენებლობა გააგრძელა მისმა ძმამ დავით მაგისტროსმა და, შემდეგ — შეიძლება, ზოგიერთი ქრონოლოგიური მონაცემი.


1917 წელს ე.თაყაიშვილის მიერ მიკვლეულ და შემდეგში თვალსმიფერებულ ერთ-ერთი ნარწერიდან ცნობილია, რომ ტაძრის მშენებლობა გრძელდებოდა 10 წელიწადს. სწორედ ამ ორი ნარწერის ურთიერთშეჯერებითაა, რომ ოპის ტაძრის მშენებლობა 963-973 წწ. თარიღდება (*ვ.ჯობაძე*).

სამწუხაროდ, ვ.ჯობაძის მიკვლეული ამ შესანიშნავი ნარწერიდან დღეს ადგილზე თითქმის არაფერია დარჩენილი — მე არ ვიცი ეს რა მიზეზითაა, მაგრამ, ქვაზე წითელი საღებავი, რომლითაც ნარწერა იყო შესრულებული, გადასულია და ცალკეულ ასოთა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწყვეტები შეიმჩნევა. დასანანი, რომ ასეთი ძვირფასი ნარწერის ტექსტი, 2002 წლის 4 ოქტომბერს მის შესასწავლად მისულს, გამქრალი დამხვდა. ამჟამად ნარწერის შესწავლა შეიძლება ფოტოსურათებით — შავ-თეთრი გამოქვეყნებული აქვს ვ.ჯობაძეს ზემოთხსენებულ ნაშრომებში, ხოლო ფერადი — პარმენ ზაქარაიას მის ვრცელ მონოგრაფიაში რუსულ ენაზე ტაო-კლარჯეთის არქიტექტურის შესახებ (ტაბ. 197).

იმავე ქვის მარცხენა კიდეზე, რომელიც სიღრმეშია ჩასმული და, ამდენად, დაფარული, კედლის ამ ადგილის ოდნავ ჩამოშლის შედეგად გამოჩნდა ამოკვეთით შესრულებული უცნობი ვრცელი ასომთავრული ნარწერა. იგი მოთავსებულია 31X53 სმ. ფართობზე; ამოკვეთილია 12 სტრიქონად. სტრიქონები მოთავსებულია საგანგებოდ გავლებულ პარალელურ ხაზებს შორის. ნარწერა კიდურწერტილოვანია, ე.ი. ასოების და ქარაგმის განივი ხაზების დასასრულები წერტილებითაა აქცენტირებული, თუმცა, არა ყოველთვის. ასოთა კვეთის ღარები წითელი საღებავით ყოფილა ამოვლებული, რომელიც ამჟამად ბევრგანაა გადასული. ნარწერის ასოები თანაბარი სიმაღლისაა — 3-3, 5 სმ. თუ არ ჩავთვლით ბოლო ხუთი სტრიქონის შუაში ქვის ზედაპირის ოდნავ ატკეცვას და მე-5 და მე-7 სტრიქონების მარჯვენა კიდეებში თითო ასოს ჩამოტეხვას, ნარწერა შესანიშნავადაა შემონახული და ტექსტი თავისუფლად იკითხება:

აქ ქ(რისტ)ე, ძეო ღ(მრ)თისაო, მეოხებითა წ(მიდ)ისა ნათლისმცემელისაათა, შ(ეი)წყ(ალ)ენ მონანი შენნი, ბ[ა]გრატ და დავით, მეფენი ჩ(უე)ნნი, ძენი[ი] ადრნესე კურაპალატისანი, მაშენებ[ლნი] ამის წმ(ი)დ(ი)სა საყდრი-სანი”.

ნარწერა შინაარსით კტიტორულ-მემორიალურია, ე.ი. მასში დასახელებულია ტაძრის მაშენებლები („ბაგრატ და დავით — მეფენი ჩუენნი“) და იგი მათივე მოსახსენებელია.



სურ. 29. ტაძრის საამშენებლო-კტიტორული წარწერა კედლიდან გამოღებამდე.

კტიტორულ-მემორიალური წარწერები ოშკის ტაძარში სხვებიც მოიპოვება. ერთი მათგანი, შესრულებული წითელი საღებავით უშუალოდ ქვის ფილებზე, მოთავსებულია ტაძრის სამხრეთი შესასვლელის მარცხენა ანაყოლზე, მეორე — ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე, სადაც ბაგრატიან და დავითან („მეფენი ჩუენნი“) მოხსენიებულია მონასტრის წინამძღვრები — მამა მიქაელ და მამა იოვანე, აგრეთვე, გრიგოლ, რომელიც ზემოთ უკვე დასახელებული „საქმესა ზედამდგომი“ უნდა იყოს. თითო-თითო წარწერა,

შესრულებული ასევე ნითელი საღებავით, ოღონდ, ამჟამად ძლიერ დაზიანებულ-გადაშლილი (თუმცა, ისინი ასეთივე იყო ვ.ჯობაძის აღმოჩენის დროს 1973 წლის გაზაფხულზე), მოთავსებულია ბაგრატ ერისთავთა ერისთავისა და დავით მაგისტროსის წელზემოთ რელიეფური გამოსახულებების გვერდით კედლებზე. ეს ის რელიეფებია, რომლებიც ჩასმულია სამხრეთ-დასავლეთ გუმბათქვეშა ბურჯის ნიშის ზედა ნაწილის ორივე მხარეს.

მაგრამ, ამ ახალ გამოვლენილ კტიტორულ-მემორიალურ წარწერას სხვებისგან გამოარჩევს ის, რომ იგი კედელზე კი არ არის მიწერილი ან ამოკვეთილი, არამედ მოთავსებულია ამ მიზნისთვის საგანგებოდ გათლილ ქვის მართკუთხა სტელაზე. ვთვლი, რომ ჯამეს კედელში ჩასმული ორივე ერთნაირად დამზადებული ქვის სტელა-სვეტები დადგმული იყო ტაძარში საგანგებოდ ადგილას და მათზე ოთხივე მხარეს მოთავსებული იყო სხვადასხვა შინაარსის, მაგრამ საერთო დანიშნულების, ასევე, განსხვავებული შესრულების (ამოკვეთილი ან საღებავით მიწერილი) კტიტორულ-მემორიალური წარწერები. სადღეისოდ ცნობილია ერთი მათგანის ორ გვერდზე მიწერილი ტექსტი. მომავალში ამ სტელა-სვეტის კედლიდან გამოთავისუფლების შედეგად, რაც მხოლოდ ჯამესგან დარჩენილი და ამჟამად ამ უფუნქციო კედლის დაშლის გზით უნდა მოხდეს, სხვა წარწერებიც აღმოჩნდება*.

მართალია, ოშკის ტაძრის ეს უცნობი წარწერა ქრონოლოგიურ ცნობებს არ შეიცავს, მაგრამ შინაარსის მიხედვით იგი ადვილად თარიღდება ტაძრის მშენებლობის დროით, ანუ 963-973 წწ. ხოლო, თუ გავითვალისწინებთ წარწერაში დასახელებულ ბაგრატ ერისთავთა ერისთავის 966 წელს გარდაცვალებას, წარწერის თარიღი შეიძლება კიდევ უფრო დაეინოვდეს და 963-966 წწ. განისაზღვროს.

წარწერაში დასახელებულია სამი ისტორიული პირი — ადარნესე (სხვა ქართულ საისტრიო წყაროების ადარნასე) კურაპალატი, ძე ბაგრატ მაგისტროსისა, შვილისშვილის შვილი აშოტ დიდი კურაპალატისა — ტაო-კლარჯეთში ბაგრატიონთა დინასტიის საფუძვლის დამდებისა, და მისი შვილები — „მეფენი ჩუენნი“ ბაგრატ ერისთავთა ერისთავი და დავით მაგისტროსი, მომავალი დავით დიდი კურაპალატი — საქართველოს ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების საფუძვლის ჩამყრელი.

XI ს-ის ქართველი ისტორიკოსის სუმბატ დავითის ძის ცნობით, „ადარნასე კურაპალატი ძეთა შეიპყრეს და მონაზონ ქმნეს“. ეს მომხდარა 961 წელს (სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, ე.თაყაიშვილის გამოცემა, თბ., 1949, გვ. 67, §

* მართლაც, 2003 წლის 7 ნოემბერს, ჯამესგან დარჩენილი ამ უფუნქციო კედლის დაშლის შემდეგ, აღმოჩნდა, რომ ეს ორი სტელა დავით კურაპალატის და ბაგრატ ერისთავთა ერისთავის მემორიალური ძეგლებია მათივე და ღმრთისმშობლისა და იოვანე ნათლისმცემლის რელიეფური გამოსახულებებით. ორივე სტელაზე აღმოჩნდა სხვადასხვა დანიშნულებისა და შინაარსის 16 წარწერა. სწორედ ამ სტელების პუბლიკაციას ეძღვნება წინამდებარე ნივნი.

69). ე.თაყაიშვილის შენიშვნით, „რამ აიძულა შვილები, რომ მამა ძალად „ფიჩოსან ექმნენ“, ე.ი.ბერად შეეყენებინათ, ცნობილი არ არის, მაგრამ, ეტყობა, შვილები მისი კურაპალატობით კმაყოფილები არ იყვნენ“ (იქვე, გვ. 86).

წარწერაში დასახელებული ბაგრატი ერისთავთა ერისთავი და დავით კურაპალატი არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი ამიერკავკასიის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეებია. მრავალი ცნობაა შემონახული მათ შესახებ სხვადასხვა სახის, როგორც ქართულ, ისე უცხოენოვან წყაროებში, რომელთა განხილვის ადგილი და საჭიროება, ცხადია, აქ არ არის.

აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ოშკის ტაძრის ამ უცნობი წარწერის სახით ტაძარს და საერთოდ, მთელ ქართულ კულტურას X ს-ის კიდევ ერთი შესანიშნავი წერილობითი ძეგლი შეემატა.

დამატება III

დიდი ალმომჩინა ოშკის ტაძარში

*„შენი დიდების მომღერალია
ოშკი და ზარზმა,
ბებერი ტაო...“*

*დაუმთავრებელი ქართული შფოთის და ზოგიერთი ტვინ-
გახურებული პოლიტიკოსის შემხედვარე, მართლა გაგიჟდება
კაცი, ზოგჯერ სასიამოვნო ცნობა რომ არ ახარებდეს.*

ამჯერად რა მოხდა?

*თურქეთის ტერიტორიაზე, ისტორიულ ტაოში, ოშკის ტა-
ძარში, ქართველმა მეცნიერმა, პროფესორმა ვალერი სილოვა-
ვამ აღმოაჩინა ისტორიული პირების — დავით კურაპალატის და
მისი ძმის ბაგრატ ერისთავთა ერისთავის რელიეფური გამოსა-
ხულებანი.*

— ოშკის ტაძარი თავისი ხუროთმოძღვრული ფორმებით, რელიეფებით, ორნამენტებით და ტაძარზე მოთავსებული ძველი ქართული ასომთავრული წარწერებით, გამორჩეულია ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს შორის. როგორც ეჭვმიუტანლად დაამტკიცა პროფესორმა ვახტანგ ჯობაძემ, იგი აგებულია 963-973 წლებში.

ტაძრის შესწავლაში, რომელიც 150 წელზე მეტია მიმდინარეობს, სხვადასხვა დროს დიდი წვლილი შეიტანეს აკადემიკოსმა მარი ბროსემ, დიმიტრი ბაქრაძემ, ექვთიმე თაყაიშვილმა, ხოლო ჩვენს დროში — ვახტანგ ჯობაძემ, ვახტანგ ბერიძემ, პარმენ ზაქარაიამ და სხვებმა.

ტაძარი და, საერთოდ, ტაო-კლარჯეთის ძეგლები, დღესაც შეუნღებელი ინტერესით შეისწავლება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის უფროსი თუ ახალგაზრდა თაობების მეცნიერ-მკვლევართა მიერ.

1993 წელს თურქეთსა და საქართველოს შორის დაიდო მეგობრობის, ურთიერთთანამშრომლობისა და კეთილმეზობლობის ხელშეკრულება, ხოლო მომდევნო, 1994 წელს — შეთანხმება ტურიზმის შესახებ.

ამის შემდეგ, როგორც მეცნიერ მკვლევარებს, ისე სტუდენტებს, ენთუზიასტებს, ჩვენი ქვეყნის წარსულით დაინტერესებულ ადამიანებს მიეცათ საშუალება მოეხილათ ისტორიულ სამხრეთ საქართველოში მდებარე ჩვენი ძეგლები. მე თვითონ, პირადად, ხუთჯერ მქონდა ამ ძეგლების დათვალიერებისა და შესწავლის საშუალება.

— ამჯერად, როგორ მოხვდით იქ, ბატონო ვალერი?

— ტაო-კლარჯეთის ძეგლებს შორისაც კი ოპკი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, განსაკუთრებულად გამორჩეულია. 2000 წლის შემოდგომაზე, მისი პირველი დათვალიერების დროს, რა თქმა უნდა, თვალში მომხვდა ორი საგანგებოდ გათლილი ქვის სტელა, რომლებიც ჩადგმული იყო ტაძრის შიგნით, სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთში.

საქმე ის არის, რომ ოპკის ტაძარი დაახლოებით XVII საუკუნეში ადგილობრივმა, უკვე გამაჰმადიანებულმა ქართველებმა ჯამედ, ანუ მუსულმანურ სამლოცველოდ გამოიყენეს. ოღონდ, პატარა სოფლის მცირერიცხოვან მოსახლეობას ასეთი გრანდიოზული ტაძრის მთელი ფართობი არ სჭირდებოდა და მათ ჯამე ჩააშენეს ტაძრის სამხრეთ და აღმოსავლეთ მონაკვეთში. როგორც ჩანს, ეს XIX ს. II ნახ-ში მოხდა (იხ. აქვე, გვ. 62, შენ. სქ-ში). მისი კედლები ამოიყვანეს კაოლინის, ანუ თეთრი თიხის, რომელშიც ნამჯაც იყო შერეული, და ნაშალი ქვების შეზავებით. გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს ჯამე ტაძრიდან ეკიბანეს, რადგან სოფელმა იქვე ახალი მეჩეთი აიშენა. ტაძარში დარჩა ამ ჯამეს ერთი კედელი, რომლის ძირშიც ჩაშენებული იყო ზემოთ ნახსენები ქვის ორი სტელა. დღეს ჩანს, რომ ისინი ზურგით იდგა მაყურებლისკენ, ხოლო გამოსახულებიანი წინა პირი მიქცეული იყო აღმოსავლეთისკენ, ანუ ტაძრის საკურთხევლისკენ.

1973 წელს, როდესაც ჯამე ჯერ კიდევ მოქმედი იყო, ვახტანგ ჯობაძემ მარცხენა სტელის ზურგზე მიაკვლია წითელი საღებავით მიწერილ შესანიშნავ ნარწერას, რომელშიც აღნიშნული იყო ტაძრის მშენებლობის დაწყების თარიღი — 963 წლის 25 მარტი, ხარება დღე და დასახელებული იყვნენ ტაძრის მშენებლები. სამწუხაროდ, დღეს ეს ნარწერა მთლიანად გამქრალა.

მარცხენა სტელის, მარცხენა კიდეზე ჯამეს კედლის ოდნავ გამოთხრის შედეგად გამოჩნდა ქვაზე ამოკვეთილი თორმეტსტრიქონიანი ასომთავრული ნარწერა. იგი სამშენებლო მემორიალური შინაარსისაა. ამაზე ვწერდი კიდევ ახლახან გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“.

ეს ნარწერა 2000 წელს, ჩემი პირველი ყოფნის დროს აღმოჩნდა. აშკარად ჩანდა, რომ გვერდით სტელაზეც უნდა ყოფილიყო ნარწერა მოთავსებული. ჩემგან დამოუკიდებლად ჩემი კოლეგები — ფილოლოგები და ისტორიკოსები, რომლებიც ტაო-კლარჯეთის ძეგლებს მოინახულებდნენ ხოლმე, ოპკის ტაძრის დათვალიერებისას, ცხადია, გარკვეულ ინტერესს იჩენდნენ ამ სტელების მიმართ. მეც მათ ვუტრიალებდი. წერილიც კი მოვამზადეთ ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის მთავარეპისკოპოსის, მეუფე თეოდორეს ლოცვა-კურთხევით თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს ელჩის ბატონ ტარიელ ლებანიძისადმი, თურქი და ქართველი სპეციალისტების ერთობლივი ძალისხმევით ჯამედან დარჩენილი, ამ უფუნქციო კედლის ნაშთის დაშლის და სტელეების გამოთავისუფლების შესახებ.

თუმცა, ამ წერილის ოფიციალურ მსვლელობამდე, მე მომეცა დამოუკიდებლად კვლევის საშუალება. მით უმეტეს, რომ უნივერსიტეტის თანამშრო-

მელმა, ისტორიკოსმა ჯაბა სამუშიამ, რომელიც ტაო-კლარჯეთში ახლდა საექსკურსიოდ წასულ ერთ-ერთ ჯგუფს, ჩამოიტანა ამბავი, რომ მან მარჯვენა სტელის კიდეზე, კედლის ოდნავ მონგრევის შემდეგ შეამჩნია ცხრამეტსტრიქონიანი უცნობი ასომთავრული წარწერა, რომლის არსებობაც, ასე ვთქვათ, მე უკვე ნანინასწარმეტყველები მქონდა „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებულ სტატიაში. იგი სტელის მთლიანი გამოთავისუფლების შემდეგ ოცდაცამეტსტრიქონიანი აღმოჩნდა.

მიმდინარე წლის 6 ნოემბერს მეუფე თეოდორეს ლოცვა-კურთხევით, მისი შემწეობით და დახმარებით — მოგვცა მანქანა და საწვავი, გამოგვაცოლა მძლოლი, გავემგზავრეთ ოშკში — თურქოლოგი, თარჯიმანი როინ ყავრელიშვილი, ოპერატორი ლექსო გელაშვილი, საპატრიარქოს თანამშრომელი გიორგი ქურციძე და თქვენი მონა-მორჩილი.



სურ. 30. ოშკის სტელები უზუნდერეს ჟანდარმერიის ეზოში. მარცხნიდან: გიორგი ქურციძე, როინ ყავრელიშვილი, თურქი სერჟანტი, ლექსო გელაშვილი.

ის ღამე გავათენეთ იუსუფელის სასტუმროში და მეორე დღეს, — პარასკევს გავემგზავრეთ ოშკში, მივადექით მცველის სახლს, ვთხოვეთ დახმარება და ისიც ხალისით დაგვთანხმდა. მოიხმო თავისი ორი მეზობელიც, მოიტანეს ბარი და ძალაყინი და დაიწყეს სტელების გარშემო კედლების გამონგრევა.

თანდათან მათმა მუშაობამ ისეთი მასშტაბი მიიღო, რომ მთელი კედელი ჩამოინგრა. მოვიდნენ სოფლის სხვა მაცხოვრებლებიც და ერთიანი ძალით დაიწყეს ნაშალი ქვების გატანა და ცალკე შეგროვება, თანდათან ქვის სტელებიც

გათავისუფლდა. თავდაპირველად, მარჯვენა სტელა გადმოვანგინეთ, რომელზეც აღმოჩნდა თვალწარმტაცი გამოსახულება ღვთისმშობლისა ყრმით, ხოლო, მის ქვემოთ, საერო პირისა მლოცველის პოზაში.

სტელა ამოიტანეს ორმოდან, დადგეს ტაძრის ცენტრში, შემოვაცალეთ მტვერი: კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდა ამ მხარეს მოთავსებული წარწერები და გაირკვა, რომ შესანიშნავად შენახული საერო პირის თავის ორივე მხარეს ხუთ და ექვს სტრიქონად ამოკვეთილია ასომთავრული წარწერა: „დავით, მონაჲ ღმრთისაჲ, მეფეჲ ჩუენი, ძე ადარნერსე კურაპალატისაჲ, ადიდენ ღმერთმან.“ ცხადი გახდა, რომ ეს იყო დავით კურაპალატის გამოსახულება შესრულებული ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მას არ ჰქონდა მიღებული არც კურაპალატის და არც მაგისტროსის ხარისხები. აღმოჩნდა, რომ სტელის მარცხენა კიდე მთლიანად დაფარული იყო ოცდაცამეტ სტრიქონად ამოკვეთილი ასომთავრული წარწერით.

ამასობაში მეორე სტელაც გამოათავისუფლეს და მასზე აღმოჩნდა იოვანე ნათლისმცემლის და მის ქვემოთ ბაგრატ ერისთავთა ერისთავის გამოსახულებები. ისე როგორც პირველი, ასევე მეორე სტელის კიდეები მთლიანად დაფარული იყო ასომთავრული წარწერებით, ოღონდ ამ წარწერებიდან ჩანდა, რომ სტელების აღმართვის დროს ბაგრატ ერისთავთა ერისთავი უკვე გარდაცვლილი ყოფილა, რადგან წარწერებში მისი სულის შეწყალებაჲა აღნიშნული.

— *ბატონო ვალერი, იქნებ იმ ოცდაცამეტსტრიქონიანი წარწერის შინაარსი გაგვაცნოთ?*

— კი ბატონო. წარწერის ტექსტი დადგენილი მაქვს. ნესია, ნებისმიერი წარწერა ადგილზევე უნდა დაადგინო, რადგან შემდეგში, რომელიმე ადგილის წაკითხვის ეჭვის შემთხვევაში, ხელახლა არ დაგვჭირდეს მისი რამდენჯერმე შესწავლა. მით უმეტეს, რომ ამ შემთხვევაში ასეთი შესაძლებლობის პერსპექტივა არ ჩანდა.

უნდა ითქვას, რომ ორივე სტელაზე 16 წარწერა დაფიქსირდა. თექვსმეტივე არათუ ფოტოგრაფირებულია დეტალურად, არამედ მათი ტექსტებიც დადგენილია. ყველაზე ვრცელი — ოცდაცამეტსტრიქონიანი წარწერის შინაარსი ასეთია: დასაწყისში აღნიშნულია მიმართვა იესუ ქრისტესა, ღმრთისმშობლისა და სხვა წმინდანებისადმი და ნათქვამია, რომ დღესა მას განსჯისასა, მარჯვენით შენსა ღირს ყავ მეფენი ჩუენნი, ადარნერსე კურაპალატი, ბაგრატ ერისთავთა ერისთავი, და, საგანგებო გამოყოფით, განდიდებულია დავითი. მის შესახებ წერია: „დიდებულმცა არის მეფობაჲ დავითისი და მიანიჭენ მას სიმრთელით დღეგრძელობაჲ და მტერთა მიმართ მძლეობაჲ“.

შემდეგ ჩამოთვლილია ამ ტაძრის შემწეთა შეწყალება, დასახელებულია გრიგოლ, რომლის შესახებაც ნათქვამია, რომ იგია ხატისა ამის ამმართებელი და ეკლესიის ამის მმრომებელი. ეს გრიგოლი იხსენება ოშკის ტაძრის აქამდე ცნობილ კიდევ ორ წარწერაშიც.

— *და, ხომ ვერ მიაკვლიეთ, ბატონო ვალერი, ვინ არის ეს გრიგოლი?*

— ერთ-ერთ წარწერაში, რომელიც დიდი ხანია ცნობილია, მას „საქმეთა

ზედამდგომი" ეწოდება. ესე იგი, იგი სამუშაოთა ხელმძღვანელი ყოფილა. ტაძრის სამხრეთი შესასვლელის თავზე მოთავსებულია ქვაზე ნითელი საღებავით დანერილი ვრცელი წარწერა, რომელშიც გრიგოლი აღრიცხავს ტაძრის მშენებლობის ერთი წლის განმავლობაში განუღლ ხარჯს — რამდენი კაცი მუშაობდა, რამდენი ხარით და ჯორით მოქონდათ სამშენებლო მასალა, რამდენი ღვინო იხარჯებოდა და რა რაოდენობით ხელფასი გაიცემოდა.



სურ. 31. როინ ყავერელიშვილი დავით მეფის სტელასთან უზუნდერეს ჟანდარმერიის ეზოში.

ახლა გაირკვა, რომ ამ გრიგოლს აღუმართავს ის სტელები, რომლებიც წარწერაში ხატად იწოდება დავითის და ბაგრატის გამოსახულებებით. ტექსტის ბოლოს აღნიშნულია მშენებლობის დანყების თარიღი — 963 წელი. ბაგრატის გარდაცვალების დრო — 966 წელი და ზოგიერთი სხვა მონაცემი.

— და ბოლოს, პატონო ვალერი, ცხადია, ჩვენს მკითხველებს უნდა ესაუბროთ ამ აღმოჩენის მნიშვნელობაზე...

— უპირველესად, უნდა აღინიშნოს რომ, ეს სტელები მემორიალური და-ნიშნულებისაა და იდგა ოშკის ტაძრის აღმშენებელთა საფლავებზე. თითოეუ-ლი მათგანი წარმოადგენს მათე საუკუნის ქვაზე კვეთილობის ბრწყინვალე ნი-მუშს. მათზე წარმოდგენილია ჩვენი ისტორიის უდამოჩენილესი პირების პორტ-რეტული გამოსახულებანი. ეჭვი არ არის, რომ ეს სტელები ამ თვალსაზრისით ხელოვნებათმცოდნეთა არა ერთი თაობის შესწავლის და შეუწელებელი ინტე-რესის საგანი იქნება. მით უმეტეს, რომ ოშკის ტაძარზე შემორჩენილ ამ პირე-ბის მეტად დაზიანებულ სხვა გამოსახულებებთან შედარებით, ესენი უნაკლო, თითქმის თავდაპირველი სახითაა მოღწეული.

ასევე, არაერთი თაობის შესწავლის საგანი იქნება სტელებზე ამოკვეთი-ლი მრავალრიცხოვანი წარწერები, მით უმეტეს, რომ მათში, მეტად საინტერე-სო, სხვა თანადროული წერილობითი ძეგლებით უცნობი, ენობრივი ფაქტებია დადასტურებული. ორიოდ შემთხვევაში წარწერის შემსრულებელს თითქოს შეცდომაც კი დაუშვია ცოდნის ჩვენი თანამედროვე დონიდან გამომდინარე.

მომავალმა კვლევამ, იქნებ აჩვენოს რომ, ეს შეცდომა კი არ იყო, არამედ კანონზომიერი მოვლენა.

არ შეიძლება საგანგებოდ არ აღინიშნოს მოპოვებული მასალის პალეოგ-რაფიულ-ეპიგრაფიკული მნიშვნელობა: ისინი დათარიღებული, არაჩვეულებ-რივი კალიგრაფიული სილამაზით შესრულებული წერილობითი ძეგლებია და მტკიცე საფუძველს ქმნიან სხვა ანალოგიური უთარილო წარწერების დასათა-რილებლად.

დარწმუნებული ვარ, რომ მომავალი კვლევა მოპოვებული მასალის კიდევ სხვა ასპექტებს წარმოგვიდგენს ჩვენი წარსული კულტურის შესასწავლად.

— ხომ არ გაავრძელებთ ტაო-კლარჯეთში ოშკისა და კიდევ სხვა ძეგლების კვლევას?

— უნდა მოგახსენოთ, რომ ეს აღმოჩენა და სხვა შედარებით ნაკლები მნიშვნელობის აღმოჩენები, რომლებიც ამ მხარეში მოხდა და არ არის ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის, მთლიანად დაკავშირებულია თბილისის უნივერ-სიტეტის ახალციხის ფილიალის სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობასთან. 13 წლის წინათ, როდესაც ეს ფილიალი გაიხსნა, მისმა დირექტორმა მერაბ ბერი-ძემ ფილიალის ერთ-ერთ სამეცნიერო საქმიანობად დასახა სამხრეთ საქართვე-ლოს, მათ შორის, თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ძეგლების შესწავლა. ყარსის უნივერსიტეტთან მჭიდრო სამეცნიერო კონტაქტების დამყარების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ეს გახლდათ. მე, როგორც ამ ფილიალის თანამშრო-მელს, მისი საქართველოს ისტორიის კათედრის გამგეს, მომეცა შესაძლებლო-ბა სხვადასხვა დროს შემესწავლა და გამოემეცვენებინა ანისის, პარხლის, ოშკის ძველი ქართული წარწერები. მეუფე თეოდორე თავმჯდომარე, ხოლო ბატონი მერაბი თანათავმჯდომარეა წმინდა გრიგოლ ხანძთელის საზოგადოებისა. ჩემი ეს ბოლო გამგზავრება და ოშკი ამ მასალების მიკვლევა ამ საზოგადოების სა-ხელითაც განხორციელდა.

წლების განმავლობაში ტაო-კლარჯეთში მოგზაურობის შედეგად ჩვენ აღრიცხული გვაქვს უძველესი ქართული კულტურის ათობით ძეგლი, რომელთა თანმიმდევრული და მეთოდური შესწავლა მომავლის ამოცანად რჩება.

— *ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, მატონო ვალერი, სამედიცინო საქმეთა კვლავაც აღსრულებაში.*

ესაუბრა ვილენ მარდალავიშვილი.

„საქართველოს რესპუბლიკა“, №309 (4688), 16. XI. 2003.

გარდა ამისა, აღმოჩენა გაშუქდა:

1. „ლიტერატურული საქართველო“, № 77 (3463), 21-27. XI. 2003.
2. „ასავალ-დასავალი“, № 47 (484), 24-30. XI. 2003.
3. „თბილისი“, № 134 (19843), 26-27. XI. 2003.
4. „მთავარი გაზეთი“, № 280 (370), 27. XI. 2003.
5. „ლიტერატურული მესხეთი“, № 11 (59), ნოემბერი, 2003.
6. „მესხეთის უნივერსიტეტი“, № 7 (81), დეკემბერი, 2003.
7. „საპატრიარქოს უწყებანი“, № 50 (258), 18-24. XII. 2003.
8. „ეკორის პალიტრა“, № 51 (460), 22-28. XII. 2003.
9. ჟურნ. „ხვამლი“, № 3-4, 2003.
10. „ჯორჯიან თაიმსი“, № 032 (295), 12.08 – 19.08. 2004.
11. ჟურნ. „ბურჯი ეროვნებისა“, № 1-3 (75), 2004.
12. ჟურნ. „ახალი ხიდი. Yeni Köprü“, №3(11), 2004.

დანართი

პატრიარქი X საუკუნის საქართველოში (პარხლის წარწარა)

ძველი ქართული მონასტერი პარხალი მდებარეობს ისტორიულ ტაოში (ამჟამად თურქეთში), მდ. პარხლისწყლის ხეობაში, რომელიც თანამედროვე თურქულ ქალაქ იუსუფელთან მდ. ჭოროხს უერთდება და მისი მეშვეობით შავ ზღვაში ჩაედინება. დღეს სოფელს, სადაც პარხლის მონასტერია, ალთიფარმაქი ეწოდება. ძველი მონასტრიდან შემორჩენილია მთავარი ტაძარი — დიდი ზომის (28,4X18,3 მ) სამნავიანი ბაზილიკა, რომელიც კარგადაა დაცული და მასში ამჟამად მეჩეთია მოწყობილი. პარხლის ტაძრის აგების დრო ხელოვნებათმცოდნეთა მიერ 961-973 წწ. განსაზღვრული¹. იგი ოთხთა ეკლესიასთან ერთად, X ს-ის ქართული სამნავიანი ბაზილიკების ჯგუფს განეკუთვნება და ერთ-ერთი ბრყინვალე ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლია(ტაბ. 1, 2).

პარხლის მონასტერი ძველი ქართული კულტურის მნიშვნელოვანი კერა იყო. მასთან დაკავშირებულია, ან აქ გადაინერა მრავალი ხელნაწერი, რომელთაგან სამი განსაკუთრებით აღსანიშნავია: პარხლის I ოთხთავი, გადაწერილი 973 წელს (ხელნაწერთა ინ-ტი, A-1453), პარხლის მრავალთავი X-XI სს. მიჯნისა (იქვე, A-95) და პარხლის II ოთხთავი X-XI სს-ისა (იქვე, S-4927) .

პირველი ოთხთავის გადამწერია შატბერდელი მწერალი *იოვანე*, რომელიც ხელნაწერის ანდერძში წერს, რომ ეს ხელნაწერი „მე, იოვანე ბერამან, მწერალმან შატბერდელმან, შატბერდს დავენერე და პარხალს შევწერე სალოცველად ყოველთა ძმთა შატბერდელთა“. ხოლო ხელნაწერის მთავარ ანდერძში, რომელსაც შემოკლებით მოვიყვან, იგი შემდეგს აღნიშნავს: „ღირს ვიქმენ მე, გლახაკი იოვანე, ნართაულად ბერაი, აღსრულებად წმიდასა ამას სახარებას ოთხთავსა სალოცველად მეფეთა ჩუენთათჳს — ღმრთივ დიდებულისა ბაგრატ ქართველთა მეფისა, დავით მაგისტროსისა, სუმბატ ერისთავთა ერისთავისა და ღმრთივ მონიჭებულთა ძეთა მათათჳს, დაინერა დასაბამითგანთა წელთა სფოზ, ქრონიკონი იყო მეცამეტედ ქცეული რჳჲ“². ორივე

¹ П. Закария, Зодчество Тао-Кларджети, Изд-ство Тбилисского университета, Тб., 1992, с.134. Xს-ის 60-70-იანი წლებით ათარიღებს ტაძარს ვ. ბერიძე (В. Беридзе, Место памятников Тао-Кларджети в истории грузинской архитектуры, Изд-ство “Мецნიერება”, Тб., 1981, с. 167).

² საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, აკოლექცია, ტ. V, შეადგინა ლილი ქუთათელაძემ, საქ. მეც. აკად. გამომცემლობა, თბ., 1955,

თარიღი შეესაბამება 973 წელს, ხოლო ტექსტში დასახელებული დავით მაგისტროსი არის ცნობილი დავით კურაპალატი, ძველი საქართველოს ერთ-ერთი დიდი პოლიტიკური მოღვაწე, X ს-ის ბოლოს ქვეყნის გაერთიანების მთავარი პრაქტიკული შემსრულებელი, რომელსაც კურაპალატის ტიტული 979 წლიდან ჰქონდა.

პარხლის I სახარება, 936 წელს გადაწერილ ჯრუჭის I სახარებასთან (H-1660)³ ერთად, ქართული ოთხთავის ცალკე, ერთ-ერთ უძველეს რედაქციას ქმნის და იგი, როგორც დიდი ღირებულების ძველი ქართული მწერლობის ძეგლი, მთლიანად გამოცემულია ცალკე წიგნად⁴.

ზემოთ დასახელებულიდან ორი ბოლო ხელნაწერი — პარხლის I სახარება და პარხლის მრავალთავი, საკუთრივ პარხალშია შექმნილი და გადაწერილი X ს-ის დასასრულისა და XI ს-ის დამდეგს შესანიშნავი მწერალ-კალიგრაფის გაბრიელ პატარაის მიერ. გარდა გადაწერილისა, შემქმნილიო, აღვნიშნავ იმიტომაც, რომ გაბრიელ პატარაის პარხლის მრავალთავი მხოლოდ ერთი რომელიმე დედნიდან მექანიკურად კი არ გადაუწერია, არამედ, როგორც დღეს ვიტყვოდით, გარკვეული ფილოლოგიური სამუშაო ჩაუტარებია — ხელნაწერის ანდერძში იგი ერთგან აღნიშნავს: „პირველ, ოდეს ამას წიგნსა დავიწყე, ესრე მედვა გულსა, ვითარ დედათა წამება და ცხორება ოდენ დავწერო. ვძებნე დედად და ესთენ ვპოვე, ვერღარა შემეძლო ძებნა. მერმე, ესე მამათა მოწამეთა, რომელი პარხალს არა ეწერა, იშხნით მოვიდე და მით გავასრულე“⁵.

მოყვანილი ანდერძიდან კარგად ჩანს ტაო-კლარჯეთის მონასტრების შატბერდის, პარხლის და იშხნის კათედრის შესანიშნავი ურთიერთთანამშრომლობა უმნიშვნელოვანესი წერილობითი ძეგლების შექმნისას.

X-XI სს. მიჯნის პარხლის მრავალთავი მრავალმხრივ ღირსშესანიშნავი ხელნაწერია, რომელთაგან ამჯერად აღვნიშნავ ორის შესახებ: 1) იგი „ქართულ ხელნაწერთა შორის მოცულობით ყველაზე უდიდესია“⁶; ნაწერია მაღალი ხარისხის ეტრატზე, ფურცლის ზომაა 48X25 სმ. და შეიცავს 658 ფურცელს. 2) გაბრიელ პატარაის, სხვა თხზულებებს შორის, ხელნაწერში ჩაურთავს ძველი ქართული ლიტერატურის ორი უძველესი ძეგლი — „წამება წმ. შუშანიკისი“ (V

გვ. 2; ილ. აბულაძე, ქართული წერის ნიმუშები. პალეოგრაფიული ალბომი, მეორე შეცვებული გამოცემა, გამომც. „მეცნიერება“, თბ., 1973, გვ. 339.

³ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, H-კოლექცია, ტ. IV, შედგენილია და დასახეჭდად დამზადებული ელ. მეტრეველის მიერ, საქ. მეც. აკად გამოცემლობა, თბ., 1950, გვ. 81; ილ. აბულაძე, ქართული წერის ნიმუშები, გვ.337-338.

⁴ ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (897, 936 და 973 წწ.). გამოსცა აკაკი შანიძე, საქ. მეცნ. აკად. გამომცემლობა, თბ., 1945.

⁵ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A-კოლექცია, ტ. I,1. შეადგინეს და დასახეჭდად მოამზადეს: თ. ბრეგაძე, მ. ქავთარიამ და ლ. ქუთათელაძე ელ. მეტრეველის რედაქციით, გამომც. „მეცნიერება“, თბ., 1973, გვ. 389.

⁶ ილ. აბულაძე, ქართული წერის ნიმუშები, გვ.352.

ს.)⁷ და „ნამება წმ. ჰაბოსი“ (VIII ს.)⁸ და, ამდენად, პარხლის მრავალთავი ამ წარწერებთან უძველესი ხელნაწერია — ყველა სხვა წუსხა ამაზე გვიანდელია.

რაც შეეხება გაბრიელ პატარაის მიერვე გადაწერილ პარხლის II ოთხთავს, იგი „ნუსხახუცურით ნაწერი ერთი უძველესი ოთხთავთაგანია“⁹; სამწუხაროდ, მოღწეულია ნაკლულად — მხოლოდ 147 ფურცელი, თითოეული 29X21 სმ. ზომისა.

გარდა აქ დასახელებული უმნიშვნელოვანესი ძველი ქართული ხელნაწერი ნიგნებისა, საკუთრივ პარხლის ტაძართან დაკავშირებულია ასევე მეტად მნიშვნელოვანი ძველი ქართული წარწერები, როგორც ქვაზე ამოკვეთილი ან რელიეფურად გამოყვანილები, ისე კედელზე საღებავით მიწერილები, რომელთაგან, ე.თაყაიშვილის აღნიშვნით, დროთა განმავლობაში ბევრი დაიკარგა, მაგრამ ბევრმა ჩვენს დრომდეც მოაღწია¹⁰. მათ შორის უმნიშვნელოვანესია ტაძრის სამხრეთ ფასადის შუა ნაგზე, წითელი საღებავით, მსხვილი ფუნჯით მიწერილი წარწერები, რომლებიც მიუხედავად მათი მეტად მაღლა მდებარეობისა, ქვემოდანაც თავისუფლად იკითხება¹¹. წარწერები შესრულებულია სწორი, ვერტიკალური ნუსხა-ხუცური დამწერლობით, რომელშიც მხედრულისაკენ გარდამავალი მოხაზულობის ასოებია შერეული (ანი, ზოგან თანი და სხვ.).

დროთა განმავლობაში წარწერები გადაარეცხილა ან საღებავი მზისგან გახუბებულა, მაგრამ ერთი ვრცელი წარწერა, ჩანერილი ფასადის კამარნარის მე-6 და მე-7 თალებს შორის, მთლიანად შემორჩენილია და თავისუფლად იკითხება¹².

წარწერა შესრულებულია 19 სტრიქონად — 8 სტრიქონი მე-6 თალში და 11 სტრიქონი მე-7 თალში. ტექსტის დასაწყისში შემსრულებელს გამორჩენია სიტყვა „ლ(მრთ)ის(ა)თა“ და იგი პირველი სტრიქონის ზემოთ, შუა ადგილას დაუწერია. სარკმლის ჩარჩოს ქვედა კიდით დაფარულია მე-14 სტრიქონის შუა ადგილი, სადაც წერია სიტყვა „აეშენა“. ბოლო ორი სტრიქონი („ამენ, ამენ. იოვანე / ნინამაძღუარი“) დაწერილია მე-7 თალის სარკმლის მარცხნივ. მე-14 სტრიქონის მარჯვენა ნაწილის თავზე, რადგან კედლის ქვემოთ არ დატეულა. განკვეთილობის ნიშანი — ორწერტილი, დასმულია ორ ადგილას — მე-7 სტრიქონში სიტყვა „პატარაქსა“ წინ და მე-16 სტრიქონში „უკუნისამდეს“ შემდეგ; ქარაგმის ნიშანი — განივი, სწორი ხაზი. ტექსტის დასაწყისში დასმულია ჯვა-

⁷ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A-კოლექცია, ტ. I, გვ. 382 (107).

⁸ იქვე, გვ. 371-372 (53).

⁹ ილ. აბულაძე, ქართული წერის ნიმუშები, გვ. 352.

¹⁰ E. Takaišvili, Археологическая экспедиция 1917 года в южные провинции Грузии, изд-ство АН Грузии, Тб., 1952, с. 97; ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, საქ. მეც. აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1960, გვ. 93.

¹¹ E. Takaišvili, Археологическая экспедиция 1917 года, с. 94-98; ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია, გვ. 87-93.

¹² E. Takaišvili, Археологическая экспедиция 1917 года, с. 95-96; ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია, გვ. 89-90.

რი, რომელიც გამშვენებულია კიდეებში დასმული წრეებით, ამათგან ვერტიკალურ მკლავებზე დასმული წრეები ღიაა, ხოლო განივი მკლავებისა — შეკრული და ბუდეებში ჩასმული თითო წერტილით. ასეთივე ყოფილა მე-6 სტრიქონის თავში დასმული ჯვარი, რომელიც სიტყვა „ქართლისას“ გადმოსცემს დაქარაგმებით, მაგრამ მის გამშვენება ახლა ნაკლებად ეტყობა. წარწერის საერთო იერი ისეთია, რომ თითქოს, იგი „ნაჯღაბნია“, რასაც აძლიერებს სხვადასხვა სისქის ხაზებით გამოყვანილი სხვადასხვა სიმაღლის ასოები, დათხუპნული ბოლო სტრიქონები და ა.შ.

წარწერის ტექსტი ასეთია (ტაბ. 52-54):

† სა(ხელ)ითა ლ(მრთ)ის(ა)ათა, მე(ო)ხებითა წ(მიდ)ისა ლ(მრთ)ისმშობელისაათა, წ(მიდ)ისა იოვ(ა)ნე ნათლ(ი)სმცემელისაათა, ად(ი)დ(ენ) ლ(მერთ)მან, ქ(რისტ)ეს მიერ ქ(ართლისა) და ყ(ოვ)ლისა აღმ(ო)სავლ(ე)თისა პ(ა)ტრ(ი)აქსა იოვანეს, პარხალს ეკლ(ე)სი(ა)სა ზ(ედ)ა ჩასდ(უ)დარ(ა)მ კ(უ)რ(აპა)ლატსა ავშენა, აღარაე(ი)ს ეკ(ა)ზ(ე)მა, და მ(ა)ნ შეკ(ა)ზმა; პ(ა)ნ(ა)მცა ლ(იდე)ბ(ა)მ მისი უკ(უნისამდე). წ(ინამძღურის)ა გ(იორგ)ი ლ(ა)ლ(უ)ლისა ს(ულს)ა შ(ე)ენ(ი)ენ ლ(მერთ)მან; ამენ, ა(მ)ენ. ი(ოვ)ანე წ(ი)ნ(ა)მამდ(უ)არი(ს)ი .

როგორც ვხედავთ, წარწერა „ხელმოწერილია“ — მისი შემდგენელი და შესაძლებელია შემსრულებელიც ყოფილა იოვანე წინამძღვარი, ცხადია, პარხლის მონასტრისა. ტექსტის ბოლოს იგი ასახელებს კიდევ ერთ წინამძღვარს — გიორგი ღალღულს¹³, რომელიც წარწერის შესრულების დროისათვის გარდაცვლილი ყოფილა, რადგან ტექსტში მისი სულის შეწყალებაზეა აღნიშნული. გიორგი ღალღული იოვანე წინამძღვრის წინამორბედად უნდა ვიგულისხმოთ, რომლის დროსაც შენდებოდა, ალბათ, ტაძარი კურაპალატის მიერ და „ჩასდუდარა“ უკაზმავე დარჩა, როგორც წარწერაშია აღნიშნული. მართალია, ე.თაყაიშვილი გიორგი წინამძღვარს იოვანე წინამძღვრის თანამოღვაწედ მიიჩნევს, რადგან „საქართველოში მონასტრებს ზოგჯერ ორ-ორი წინამძღვარი ჰყავდათ ხოლმე და ორიდან ერთი მთავარ წინამძღვრად ითვლებოდა“¹⁴, მაგრამ გიორგის გარდაცვლილად მოხსენიება მის იოვანესთან თანამოღვაწეობას გამორიცხავს, ყოველ შემთხვევაში წარწერის შესრულების დროისათვის.

¹³ ე. თაყაიშვილის ნაქითხვით - „გიორგი ღოღლისასა (რუსულ თარგმანში: Георгий Гогули). ვფიქრობ, მეტი საფუძველი გვაქვს აქ წაუკითხოთ „ღალღული“ — ღალღი ცნობილი ნასოფლარია სამცხეში, ადიგენის რ-ში, მდ. ქებალიანისწყლის ხეობაში. აქ არის X ს-ის შუა ხანების ნამონასტრალი, სადაც აღმოჩნდა ამ დროის წარწერიანი ტრაპეზის ქვა ქონქოზასი, რომელიც ახალციხის მუზეუმშია გადატანილი (ე. სილოგავა, ჩორჩანელთა ფეოდალური სახლის ერთი ეპიგრაფიკული ძეგლი (ღალღის წარწერა), თსუ ახალციხის ფილიალის „შრომების კრებული“, I, თსუ გამომცემლობა, თბილისი-ახალციხე, გვ. 149-165; მისივე, სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები, ახალციხე, 2000, გვ. 23-24, № 3).

¹⁴ Е. Тақайшвилі. Указ. работа, с. 95; ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 91.

იმთავითვე ყურადღება მიუქცევია ტექსტის მთავარ სიტყვას „ჩასდუ-დარა“, რომლის შეკაზმვის შესახებაა წარწერაში მოთხრობილი. ეთაყიშვილს მოყავს ნ.მარის განმარტება ამ სიტყვისა, რომელიც მისი გადმოცემით ასეთია: „ჩას-დუდ-არა“, ნიშნავს, ერთსა და იმავე დროს, თაღს, კამარას და შემდეგ კამარათა მთელ ჯგუფს, ე.ი. კამარნარს ანუ არკატურას¹⁵. მართლაც, წარწერის რუსულად გამომცემლები ტექსტის ამ ადგილს თარგმნიან, როგორც „верхняя аркатура“-ს¹⁶. თვითონ სიტყვა მიჩნეულია ჭანურ-მეგრული წარმომავლობისად. ბოლო დროს ეჭვი გამოითქვა ამ სიტყვის ნ. მარისეული ეტიმოლოგიის მართებულობის შესახებ — „ნ.მარის ეტიმოლოგიის გაზიარება შეუძლებელია; ტერმინი „ჩასდუდარა“ ახსნას მოითხოვს“¹⁷.

შეიძლება ამ სიტყვის ეტიმოლოგია გაურკვეველია, მაგრამ სემანტიკურად იგი რომ თაღნარს აღნიშნავს, ეს ფაქტობრივი მონაცემებით მტკიცდება — სამხრეთი ფასადის შუა ნაწი თერთმეტი სადა თალითაა დაყოფილი; მათში მოთავსებული იყო სხვადასხვა პირთა წარწერები, რომელიც ახლდა კედლის გასამშვენიერებლად მათ მიერ ან მათი ხარჯით შესრულებულ სხვადასხვა გამოსახულებას: მარაოები, წრეები, მზის დისკო, სანინამძღვრო ჯვარი და სხვ. ამდენად, კედლის კამარნარი მორთულია არა ჩუქურთმებით, როგორც ეს იყო ჩვეულებრივ მიღებული და გავრცელებული და რომელიც ტაძრის აღმშენებელ კურაპალატს ვერ შეუსრულებია („არა ეკაზმა“), არამედ პოლიქრომული გაფერადებით, რომელიც ასევე ფართოდაა გავრცელებული ტაო-კლარჯეთის X ს-ის ტაძრებში — *ოშქო, ოთხთა ეკლესიაში, ხახულში, დოლისყანაში* და სხვაგან, ხოლო ამ შემთხვევაში *პარხალშიც*.

წარწერაში დასახელებულია ორი ისტორიული პირი — კურაპალატი სახელის გარეშე და *იოვანე* ქართლისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა პატრიარქი. კურაპალატი, რომელიც ტექსტში ტაძრის მაშენებლად დასახელებული („პარხალს ეკლესიას ზედა ჩასდუდარა კურაპალატსა აეშენა“) ცნობილი *დავით კურაპალატი*, ერთხელ უკვე ზემოთ ნახსენები 973 წელს გადწერილ პარხლის I სახარების ანდერძთან დაკავშირებით. მან საფუძველი დაუდო ფეოდალური ხანის საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას და იგი ქართული წყაროების ცნობით 1001, ხოლო სომხური წყაროებით 1000 წელს გარდაიცვალა. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ პარხლის ტაძრის მშენებლობას ადგილი ჰქონდა 961-973 წლებში და იგი მთლიანად *დავით კურაპალატის* სახელთანაა დაკავშირებული. ეს თვალსაზრისი, *ეთაყიშვილიდან* მოყოლებული, ყველა მკვლევარის მიერ საყოველთაოდ გაზიარებულია.

¹⁵ *Е. Такайшвили. Указ. работа, с. 95; ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, იქვე.*

¹⁶ *Е. Такайшвили, Археологическая экспедиция 1917 года, с. 95; В. Беридзе, Место памятников Тао-Кларджети в истории грузинской архитектуры, с. 168; П. Захаря, Зодчество Тао-Кларджети, с. 134.*

¹⁷ *კ. დანელია, ზ. სარჯველაძე, ქართული პალეოგრაფია, გამომც. „ნეკერი“, თბ., 1997, გვ. 68-69.*

რაც შეეხება იოვანე ქართლისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა პატრიარქს, ე. თაყაიშვილმა იგი გაცილებით გვიანდელი დროის მოღვაწედ მიიჩნია; ჩათვალა, რომ ეს უნდა იყოს კათალიკოს-პატრიარქი იოვანე VIII (1497-1507) და წარწერაც ამ დროით დაათარილა. მისი განმარტებით „ამას გვანიშნებს პალეოგრაფიული სახე წარწერებისა, რომლებშიც არეულია ასომთავრული და ნუსხური აგრეთვე რამდენიმე მხედრული ასო. ეს გარემოება სიახლეს მოწმობს და მეერთადე განასხვავებს ჩვენ წარწერებს საქართველოს ისტორიის კლასიკური პერიოდის წარწერებისგან“¹⁸. ე.თაყაიშვილის სავესებით დამასახურებული დიდი სამეცნიერო ავტორიტეტის გამო, სხვა თვალსაზრისი არავის გამოუთქვამს წარწერის დათარიღებს შესახებ. თუმცა, ყველა გრძნობდა წინააღმდეგობას მის შინაარსსა (ტაძრის აგება X ს-ში დავით კურაპალატის მიერ) და დათარიღებას შორის. პირველად აკად. ე.ბერიძემ აღნიშნა (1981), რომ, ვეფერობ, წარწერა უნდა მიეკუთვნოს გაცილებით ადრეულ დროს ვიდრე XVI ს-სო¹⁹. ბოლო დროს, როგორც ჩანს, წარწერის შინაარსიდან გამომდინარე, ე. თაყაიშვილს მიაწერეს, რომ თითქოს იგი წარწერას ათარიღებდა X ს-ის 60-70-იანი წლების მიჯნით²⁰. მაგრამ, როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ დროით ე.თაყაიშვილი ტაძრის მშენებლობას ათარიღებდა, ხოლო წარწერას XV-XVI სს. მიჯნაზე შესრულებულად მიიჩნევდა. ამისდა დამოუკიდებლად, მაინც ისე გამოვიდა, რომ აღნიშნულმა ავტორებმა ქართული პალეოგრაფიის თავიანთ სახელმძღვანელოში, სადაც წარწერები ქრონოლოგიური თანმიმდევრობითაა დალაგებული და განმარტებული, პარხლის ტაძრის ეს წარწერა X ს-ის ეპიგრაფიკული ძეგლების ჯგუფში მოათავსეს. ამის საფუძველი მათ მისცა წარწერის ტექსტის ენობრივმა, ლექსიკურ-გრამატიკულმა მონაცემებმა²¹.

დღეს უკვე, როდესაც სწორი ეპიგრაფიკული ნუსხურით, მხედრული ან მხედრულისკენ მიდრეკილების ასობის შერევით, აგრეთვე, გარდამავალი ანუ მდივანმნივობრული დამწერლობით შესრულებული ათეულობით წარწერაა გამოვლენილი, შესწავლილი, გამოცემული და მტკიცედ დათარიღებული²², ეჭვი არაა, რომ პარხლის ტაძრის აქ განხილული წარწერა, სწორედ პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, X ს-ის დასასრულისა და XI ს-ის წერილობითი ძეგლების რიგში დგას, რაშიც პირადად დავრწმუნდი ძეგლის ადგილზე შესწავლისას 2002 წლის 5 ოქტომბერს და 2003 წლის 12 აგვისტოს.

¹⁸ *Е. Тақайшвили, Указ. работа, с. 97; ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 98.*

¹⁹ *В. Бериძე, Место памятников Тао-Кларджети с. 168.*

²⁰ *ე. დანელია, ზ. სარჯველაძე, დასახ. ნაშრომი გვ. 68.*

²¹ იქვე, გვ. 68-69.

²² სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, ეპიგრაფიკული ძეგლები. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო *ვალერი სილოგავამ*, გამოც. „მეცნიერება“, თბ., 1988, გვ. 158-171; *მისივე*, წარწერები გარეჯის მრავალწყაროდან, (IX-XIII სს.), პალეოგრაფიული და წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა, გამოც. „ინტელექტი“, თბ., 1999, №5, 8, 21, 24, 51.

წარწერის შინაარსიდან გამომდინარე, რომლის მიხედვით დავით კურაპალატის მიერ დაწყებული და დამთავრებული ტაძარი სხვას შეუშკია, რაც პირდაპირ და არაორაზროვნადაა ტექსტში აღნიშნული, იგი X ს-ის დასასრულით, დავით კურაპალატის გარდაცვალებამდე დროით (1000/1001 წწ.) უნდა დათარიღდეს, რასაც მისი პალეოგრაფიული ნიშნები საცხებით ეთანხმება.

მართლაც, საქართველოს ეკლესიის ისტორიაში დავით კურაპალატის დროს ცნობილია კათალიკოსი *იოვანე I ოქროპირი* (980-1001)²², რომელიც უნდა იყოს დასახელებული პარხლის წარწერაში და რომლის შესახებ სხვა წყაროებაცაა ცნობილი. ეერძოდ, იგი დასახელებულია შიომღვიმის ხელნაწერში მოთავსებულ კათალიკოსთა მოსახსენებელ ნუსხაში²⁴; ასევე, კათალიკოს ბასილი III (1090-1100) თხზულებაში „*თხრობა სასწაულისათვის წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა შიოსი*“. აქ, კათალიკოს *იოვანეს* შესახებ ნათქვამია: „ესე ყრმა არს იოანე კათალიკოზი, რომელი ყოვლითურთ იქმნა სწორ იოანე ოქროპირისა, რომლისა სათნობანი და საქმენი უკეთუ ვისმე უნდენ, ცნობად მიიღეთ ხელად მისთვის აღწერილი წიგნი“²⁵. ეს *იოვანე* კათალიკოსი საქართველოს ეკლესიამ შერაცხა წმინდანად, მისი ხსენების დღეა 3/16 მარტი.

მაგრამ, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, პარხლის წარწერაში იოვანე დასახელებულია „ქართლისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა პატრიარქის“ ტიტულით. აღსანიშნავია, რომ წარწერის ტექსტში იგი ორგონისაა დიდებით მოხსენიებული, რაც რამდენადმე უჩვეულოა სასულიერო პირის მიმართ: „ადიდენ ღმერთმან“ და „ჰვიან-მცა დიდება მისი უკუნისამდე“²⁶. ვფიქრობ, ეს მისი ისევე და ისევე პატრიარქობით მოხსენიებასთან, „ყოვლისა აღმოსავლეთისა პატრიარქის“ ტიტულის ტარებასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

აქამდე მიღებული იყო, რომ საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელებმა პატრიარქის ტიტული XI ს-დან მიიღეს და პირველი ასეთი იყო მელქისედეკ I (1010-1033)²⁷ — მცხეთის სვეტიცხოვლის კათედრალური ტაძრის ამშენებელი და ცნობილი ისტორიული საბუთის, ე.წ. „მცხეთის დაწერილის“ შემდგენელი. ეს საბუთი, როგორც ცნობილია, შეიცავს იმ ხელნაწერების, ხატების, ჯვრების, საეკლესიო სამოსლის, ეკლსიების, მონასტრების, სოფლების და სხვათა სიას, რომელიც მას სვეტიცხოვლისათვის მოუპოვებია ან შეუ-

²² საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები. რედაქტორი აკად. როინ მეტრეველი, გამომც. „ნეკერი“, [თბ.], 2000, გვ. 42.

²⁴ ე. თაყაიშვილი, მფეთთა და კათალიკოზთა სულთა მატთანე ნიკორწმინდის ხელნაწერში, კრ. „დაბრუნება“, I, თბ., 1991, გვ. 181-194.

²⁵ თ. ჟორდანიას, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, [წ. I], ტფ., 1892, — გვ. 60 (სქოლიო)..

²⁶ მეორე მოხსენიება — „ჰვიან-მცა დიდება მისი უკუნისამდე“, როგორც წესი, უფალს, ღმერთს მიემართება. ამიტომ, თითქოს მოულოდნელია იოვანე კათალიკოს-პატრიარქის წარწერის ტექსტში ასე მოხსენიება. ვფიქრობ, ამ თვალსაზრისით წარწერა კიდევ საჭიროებს დაკვირვებას. წარწერის ტექსტის ამ ადგილზე ამ კუთხით ყურადღება მიმაქცევინა დეკანოზმა გიორგი ზვიადაძემ, რომელსაც მაძლობას მოვახსენებ.

²⁷ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, გვ. 43-44.

წირავს²⁸. მეღქისედეკის მიერ პატრიარქის ტიტულის მიღებას მისი ბიზანტიაში ხშირი მოგზაურობით, კონსტანტინოპოლის საიმპერატორო კარზე დიპლომატიური საქმიანობით, ბიზანტიის სამ იმპერატოროთა — ბასილი II (976-1025), კონსტანტინე VIII (1025-1028) და რომანოზ III არგვიროსთან (1028-1034) ახლოობლით ხსნიან; თითქოს, კონსტანტინოპოლში ერთ-ერთი ვიზიტის დროს, აღმოსავლეთის პატრიარქებისაგან მიეღოს თანხმობა პატრიარქის ხარისხში აღყვანაზე²⁹.

ვფიქრობ, ქვეყნის საეკლესიო საჭეთმპყრობლისთვის პატრიარქის უმაღლესი ტიტულის მოპოვებას და მინიჭებას უფრო სერიოზული და მნიშვნელოვანი საფუძველი ჰქონდა; იგი ქვეყნის საერთო პოლიტიკური განვითარებით, მისი პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ დასახული მაღალი სახელმწიფოებრივი ინტერესებით იყო განპირობებული. საქართველოს ისტორიაში სწორედ ასეთი იყო დავით კურაპალატის ეპოქა, როდესაც დაისახა ქვეყნის ცალკეული პოლიტიკური ერთეულების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების მკაფიო გეგმა და დაიწყო მისი თანმიმდევრული განხორციელება³⁰. პოლიტიკურად დამოუკიდებელ (ბიზანტიის იმპერიისგან), ძირითადად გაერთიანებულ ქვეყანას ეკლესიური დამოუკიდებლობაც სჭირდებოდა, რაც მისი ეკლესიის საჭეთმპყრობლისთვის პატრიარქის ტიტულის მინიჭებაში უნდა გამოხატულიყო. ამისთვის ყველა წინაპირობა არსებობდა — მრავალი (40-ზე მეტი) საეპისკოპოსო კათედრა და მონასტერი, ამ დროისთვის უკვე ორი საკათალიკოსოს — ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოების არსებობა³¹, ჯერ კიდევ IX ს-დან წმ. მირონის ხარშვის უფლების მოპოვება, რაც დოკუმენტურად დასტურდება „წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“³² და სხვ.

